Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Arn. Chikobava Institute of Linguistics

Irine Asatiani

Prepositions in Zan (Megrelian-Chan)

Tbilisi
2015

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ირინე ასათიანი

წინდებულები ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში

თბილისი
2015

რედაქტორი – აკად. **არნ. ჩიქობავა**

გამოცემის რედაქტორი – პროფ. **ეთერ შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია
რ. პაპიაშვილი
რ. რატიანი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 978-9941-13-464-7

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 5

I. მეგრულის წინდებულები

მარტივი წინდებულები 11
რთული წინდებულები 53
კო- დართული რთული წინდებულები 53
მა-, წო- დართული რთული წინდებულები 79
ლა- დართული რთული წინდებულები 93
ნო- დართული რთული წინდებულები 114
თო- დართული რთული წინდებულები 136
შა- დართული რთული წინდებულები 148
მიდა- 169
მო- // მა- დართული რთული წინდებულები 170
კილა- // კგლა- 177
კინო- // კგნო- 179

II. ჭანურის წინდებულები

მარტივი წინდებულები 185
რთული წინდებულები 209
კა-, კო- დართული რთული წინდებულები 209
წა- დართული რთული წინდებულები 218
ლა- დართული რთული წინდებულები 227
შა- დართული რთული წინდებულები 254
ჲა- // ჟა- დართული რთული წინდებულები 268
ოხო- დართული რთული წინდებულები 272
მედა- // მენდა- 274
მა- დართული რთული წინდებულები 277
ნა- დართული რთული წინდებულები 280

დ ა ს კ ვ ნ ა 283
მეგრულის წინდებულები (ტაბულა) 302
ჭანურის წინდებულები (ტაბულა) 303
რეზიუმე (რუსულ ენაზე) 304
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 310
დამოწმებული ლიტერატურა 317
შემოკლებათა განმარტება 319
წინდებულთა და სიტყვა-ფორმათა საძიებელი 321

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზანური წინდებულის ანალიზი.

წინდებული ქართველური ენათმეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო საკითხია.

წინდებული[1] ზმნას (აგრეთვე, ნაზმნარ სახელს) დაერთვის თავში – პირისა და სხვა თავსართების წინ და აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოძრაობის, მოქმედების მიმართულებას ან ადგილმდებარეობას მიუთითებს.

ქართულში წინდებულის ამ ძირითადი ფუნქციისაგან არის განვითარებული შემდეგი ფუნქციები:

1. წინდებული გადმოსცემს მოქმედების სრულ სახეს:

აშენა და: ა-აშენა;

წერა, ხატა და: და-წერა/ და-ხატა...

2. აწარმოებს ახალ ნაკვთს. მაგალითად, აწმყოსაგან – მყოფადს:

აშენებს, ა-აშენებს;

წერს, და-წერს...

3. არსებითად ცვლის ზმნის ფუძის მნიშვნელობას:

ა-იგო და: მო-იგო, გა-იგო...

ყველა ამ ფუნქციაში მეტ-ნაკლებად გამოსჭვივის ამოსავალი ფუნქცია – მიმართულების ჩვენება. წინდებული, რომელიც სრულ ასპექტს გამოხატავს ან ახალ ნაკვთს აწარმოებს, ამასთანავე, შესაძლებელია, მიმართულებასაც უჩვენებდეს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ წინდებული მიმართულებას არ გამოხატავდეს. მაგალითად: აკეთა, გა-აკეთა: აკეთებს, გა-აკეთებს... გა- შიგნიდან გარეთ მიმართულებას უჩვენებს, რაც ამ ზმნაში სრულიად არ ჩანს.

წინდებულს აქვს როგორც ნაწილაკის, ისე აფიქსის თვისებები: როგორც აღვნიშნეთ, იგი ზმნას დაერთვის ყოველგვარი პრეფიქსის წინ – მზამზარეულ სიტყვას, რითაც იგი ნაწილაკს ემსგავსება. მაგრამ წინდებულს შეუძლია გარკვეული მორფოლოგიური კატეგორია აწარმოოს (ასპექტი, დრო) ანდა სრულიად შეცვალოს ფუძის მნიშვნელობა. ამ ნიშნებით იგი აფიქსს ემსგავსება.

ასეთია წინდებულის დანიშნულება ახალ ქართულში[2].

ყველა ეს ფუნქცია, ზოგიერთი განსხვავებით, ზანურის წინდებულსაც აქვს. მაგრამ ზანური ზმნის უღვლილებაში წინდებულის როლი გაცილებით მეტია, ვინემ ქართული ზმნის წინდებულებისა. წინდებულთა სისტემა ზანურში მეტად რთულია; მნიშვნელობაც მრავალგვარი აქვს. ზმნის მნიშვნელობის სწორად გაგება ზანურში წინდებულთა მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია.

მეგრულის წინდებულები ვრცლად არის დახასიათებული **ი. ყიფშიძის** შრომაში „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем" (პეტერბურგი, 1914 წ.). განხილულია მათი ფონეტიკური ცვალებადობა, შედგენილობა და ფუნქციები.

ასეთივე ხასიათის, მაგრამ უფრო ღარიბი, მიმოხილვა ჭანური წინდებულებისა წარმოდგენილი აქვს **ნ. მარს** შრომაში „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем" (პეტერბურგი, 1910 წ.).

---

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში იხმარება სხვა ტერმინებიც: „პრევერბი" და „ზმნისწინი".

[2] აკ. შანიძე, „ქართული გრამატიკის საფუძვლები", ნაკეთი I. გვ. 232-255.

არნ. ჩიქობავა, „ქართული ენის ზოგადი დახასიათება", „ქართ. ენ. განმ. ლექსიკონი", ტ. I, გვ. 061, მისივე, „წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში", ენიმკის მოამბე, ტ. I, „ზოგადი ენათმეცნიერება" I, გვ. 8.

არნ. ჩიქობავას შრომაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ" (თბილისი, 1936 წ.) ჩამოყალიბებულია ჭანურის წინდებულთა სისტემა, დახასიათებულია მათი შედგენილობა, ფონეტიკური ცვალებადობა და ფუნქციები. განხილულია მათი მიმართება მეგრულის წინდებულებთან დაკავშირებით. ამავე ავტორს სპეციალური წერილი აქვს მიძღვნილი ზანურის წინდებულთა საკითხისადმი – „Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками" (ენიმკის მოამბე, ტ. XII).

ზანურის წინდებულთა ეტიმოლოგიისათვის მნიშვნელობა აქვს **ქ. ლომთათიძის** გამოკვლევებს: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი" (თბილისი, 1944 წ.) და „აფხაზურ ზმნათა ფუძეების აგებულებისათვის" (მოხსენება წაკითხული 1938 წელს კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე), რომლებშიც აფხაზური წინდებულებია განხილული.

ზანურის (ცალკეულ წინდებულებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებიან გაკვრით თუ სპეციალურად: **პ. ჭარაია**[1], **ვ. თოფურია**[2], **მ. ხუბუა**[3]...

წინდებულის საკითხის დოკუმენტობრივ შესასწავლად ვიყენებდი გამოქვეყნებულ მეგრულ და ჭანურ ტექსტებს. სახელდობრ, მეგრულ ტექსტებს: **ალ. ცაგარლისა**[4], **ი. ყიფშიძისა**[5] და **მ. ხუბუასი**[6].

ჭანურ ტექსტებს: **ნ. მარისა**[7], **ი. ყიფშიძისა**[8], **არნ. ჩიქობავასი**[9] და **ს. ჟღენტისა**[10].

გარდა დაბეჭდილი ტექსტებისა, მასალად გამოყენებულია ჩემ მიერ 1945, 1946, 1947 წლების მივლინებათა დროს სამეგრელოსა (ზუგდიდის, გალის, გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილის) რაიონებში) და ჭანების სოფელ სარფში შეკრებილი ტექსტები.

ზანურის წინდებულთა შესწავლის შედეგად გათვალისწინებულია, რა ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის წინდებული ზანურში, დადგენილია ყოველი წინდებულის ძირითადი სახე, გარკვეულია მისი შედგენილობა და ფუნქციები.

წინდებულთა ფონეტიკური ცვალებადობის გათვალისწინება მდიდარ მასალას იძლევა, საერთოდ, ზანურში ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების დასახასიათებლად.

ზანურის წინდებულების შესწავლით შესაძლებელია გამოვლინდეს ენის განვითარების ზოგი შინაგანი კანონზომიერება. ამ მხრივ, საყურადღებო ფაქტია: თურქულის გავლენის კვალი რომ არ ჩანს ჭანურის წინდებულებში, აგრეთვე, უნიფიკაციის ტენდენცია ჭანურ წინდებულებში, ზანურის წინდებულთა ფონეტიკური ცვლილებების ხასიათი და სხვა.

---

[1] „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან", „მოამბე", 1896, № 1, 2.

[2] „სვანური ენა", თბილისი, 1931.

[3] „მტკიცებითი ქო- ნაწილაკის ხმარებისათვის მეგრულში", საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1942, ტ. III (6).

„უარყოფითი ნაწილაკი ვა- მეგრულში", საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1942, III (7).

„თე ნაწილაკის ბუნებისა და მნიშვნელობისათვის მეგრულში", საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1942, III (7).

[4] Мингрельские этюды, I გამოშვება, პეტერბურგი, 1880.

[5] Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, პეტერბურგი, 1914.

[6] „მეგრული ტექსტები", თბილისი, 1937.

[7] Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, პეტერბურგი, 1910.

[8] Дополнительные сведения о чанском языке, პეტერბურგი, 1929.

[9] „ჭანური ტექსტები", I: ხოფური კილოკავი, თბილისი, 1911.

„ჭანურის გრამატიკული ანალიზი", თბილისი, 1936.

[10] „არქაბული ტექსტები", თბილისი, 1936.

I

მეგრულის წინდებულები

მარტივი წინდებულები

მე-, მო-

თანხმოვნით დაწყებული ფუძის წინ **მე-** წინდებული უცვლელადაა, მიუხედავად იმისა, იქნება ეს თანხმოვანი ძირეული, თუ პრეფიქსისეული. მაგალითად:

სო მ ე ზ ო ჯ გ ნ ქ ი ა? – ყიფშ. 32.6 – სად მიბრძანდებიო?

დუდი მ ე პ კ ვ ა თ ი ა – ხუბ. 1.23 – თავი მომკვეთეო.

თუ წინდებულის მომდევნო თანხმოვანი პრეფიქსია და მას ფუძისეული ხმოვანი **ა** ან **ო** მოსდევს, მაშინ **მე-** წინდებულის ხმოვანი **ე** ვიწროვდება **ი**-დ:

მ ი ვ ო ტ ე ნ ქ ჭარუას – ყიფშ. 155.33 – მივატოვებ წერას.

ენა მუთ მ ი მ ო ჩ ქ გ – ყიფშ. 144.30 – ეს რად მიმაჩნია.

თიში ტანისამოსი მ ი გ ა ხ ი რ ე ნ ი ა დ ა ... ხუბ. 50.10 – მის ტანისამოსს თუ მოიპარავო...

ღონეში მ ი მ ა ჩ ა მ ა ლ ი – ხუბ. 4.13 – ღონის მომცემი...

ართისჳ ჩქჳჩქჳ მ ი ნ ო ც ვ ე ხეთჳ – ყიფშ. 62.13 – ერთს ჩვილი მიჰყავდა თურმე (ზედმიწ. „მინაყოლა“) ხელით.

ასეთივე პოზიციაში **მე-** შეიძლება უცვლელიც დარჩეს: მუ მ ე გ ო გ ე ს ი ა? – ყიფშ. 112.14 – რა მოგარტყესო?

მე- წინდებული ყოველთვის უცვლელი რჩება, თუ თანხმოვან პრეფიქსს მოსდევს **ი** ან **ე** ხმოვანი:

მა ართი კოჩქ მ ე მ ი ხ ი რ გ – ყიფშ. 46.12 – მე ერთმა კაცმა მომიპარა.

მ ე ვ ე ხ ვ ა რ ა თ ჩქჳნი დუსია – ხუბ. 226.20 – მოვეხმაროთ ჩვენს თავსო.

მა მ ე ი ჩ ქ ვ ა ნ ქ მარკინეს – ხუბ. 1.12 – მე გამოგიგზავნი მოჭიდავეს.

უკანასკნელ მაგალითში **მე-** პრევერბის შემდეგ იგულისხმება **ჳ** (=O₂-ის ნიშანი), ამიტომ მომდევნო **ი**-სთან ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება. იქვე:

მა მ ე ჲ ჩ ქ ვ ა ნ ქ ჟირი ცხენს – ხუბ. 54.28 – მე გამოგიგზავნი ორ ცხენს. **მე-**ს გავლენით მომდევნო **ი** ხმოვანი სუსტდება **ჲ**-დ, ე. ი. შეიცვალა არა წინდებულის ხმოვანი, არამედ ფუძისეული.

შეიძლება **მე-** წინდებული უცვლელად დარჩეს, მაგრამ შეიცვალოს ფუძის ხმოვანი – იგი **ი**-დ დასუსტდეს ან სრულიად გაქრეს:

მუქ მ ე მ გ კ ი ნ უ ა – ხუბ. 268.30 – მან გამწიაო.

მ ე მ დ ი ნ ე ს ი ა ჩქჳ ჩქინ ჯიმაქ – ხუბ. 235.33 – დაგვეკარგაო ჩვენ ჩვენი ძმა.

ამრიგად, **მე-** წინდებულის ხმოვანი იცვლება მაშინ, თუ წინდებულს მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ა, ო** ხმოვნებით.

წინდებულის ხმოვანზე ვერ მოქმედებს პრეფიქსის მომდევნო **ი** და **ე** ხმოვნები. უშუალო მეზობლად წინდებულის **ე** ხმოვანზე ფუძისეული **ი, ე** უფრო აქტიურად მოქმედებს, ვიდრე **ა, ო** (იხ. ქვემოთ). აქ კი – არაუშუალო მეზობლად მომდევნო **ა, ო** ხმოვნები უფრო აქტიურნი აღმოჩნდნენ.

ბაბუკანა დაწყებული ფუძის წინ **მე**- წინდებულის ხმოვანი მუდამ შეკვეცილია. კანონიკალისია **უ** ხმოვანი, რომლის წინაც **მე**- უცვლელადაა:

ბონჯურცგ მ ე უ გ ა ნ ც გ – ყიფშ. 99.8 – ჩონგურს უკრავს (მისთვის).

მე + ო > მიო...

ე კარდილას კუჩხი მ ი ო გ გ – ყიფშ. 33.10 – ამ ქვაბს ფეხი ჰკრა.

ო ფუძისეული ხმოვნის წინ წინდებულის **ე** დავიწროვდა **ი**-დ.

მე + ა > მია...

სოიშახითი თოფიში ტყვიას მ ი ა რ თ ე ნ ი ... – ყიფშ. 48.24 – სანამდისაც თოფის ტყვიას მიესვლება.

წინდებულის ხმოვანი ისევე შეიცვალა, როგორც ფუძის **ო** ხმოვნის წინ.

რიგ შემთხვევაში **მე**- წინდებული **ე** ხმოვნის ფონეტიკურად შეცვლის შედეგად ემთხვევა მეორე წინდებულ **მო**-ს, აგრეთვე, სახეცვლილს. ამ დამთხვევათა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი განვიხილოთ **მო**- წინდებულიც.

თანხმოვნის წინ **მო**- წინდებულიც უცვლელი სახითაა:

ათე ბოშიქ... ჯათი მ ო ს ო ფ უ – ყიფშ. 47.20 – ამ ვაჟმა... ხეც მოგლიჯა.

ხენწიფეში სქუა მ ო გ თ ხ ო ზ გ ნ ი ა – ყიფშ. 37.14 – ხელმწიფის შვილი მომდევსო...

მო-ს ხმოვანი **უ**-დ ვიწროვდება, თუ წინდებულს მოსდევს პირის ნიშანი **ა, ო** ხმოვნებითურთ:

მა მუ ოკო მ უ ვ ო ხ ვ ა რ ე ვ ე – ხუბ. 9.4 – მე რა უნდა მოვეხმაროო.

მა სოდე მ უ მ ა ც ო ნ ი ნ ე ინა – ხუბ. 107.12 – მე სად შევძლებ მის მოყვანას.

მ უ გ ო შ ი ნ უ ა ფ უ – ყიფშ. 29.16, – მ უ გ ა შ ი ნ უ ა ფ უ ნ ა – ყიფშ. 163.8 – მოგეხსენება(თ).

ჩქინი მ უ მ ა ტ ა ც ე ბ ე ლ ი ორე ნდია – ხუბ. 4.3– ჩვენი მომტაცებელი არის მდევიო.

თუ თანხმოვან პრეფიქსს **ი** ან **ე** ხმოვნები მოსდევს, **მო**- წინდებული უცვლელი რჩება:

მუ ამბეე მ ო მ ი ჩ ი ნ გ? – ყიფშ. 72.12 – რა ამბავი შემომითვალა?

მუშა მ ო გ ი ზ ო ჯ გ ნ ი ა? – ყიფშ. 38.16 – რისთვის მობრძანებულხარო?

ულირი დროქ მ ო მ ე წ ო ნ უ – ყიფშ. 129.6 – განვლილი დრო მომეწონა.

ძალიან იშვიათად **მო**- უცვლელადაა **მა**-, **მო**- მარცვლების წინაც:

მალას მ ო მ ა შ ო რ ი თ ი – ყიფშ. 5.19 – ჩქარა მომაშორეთ.

თავისებური ცვლილებები ხდება „მომცემს“ ზმნაში:

ღორონთქ მ უ ჩ უ მა – ყიფშ. 46.23 – ღმერთმა მომცა მე.

მა მ უ ჩ ა ნ ც ი ა – ყიფშ. 33.2 – მე მომცემსო.

როგორც ჩანს: მუჩუ < მუმჩუ < მო-მ-ჩუ.

წინდებულის **ო** ხმოვანი, ორ **მ**-ს შორის მოქცეული, კიდევ უფრო ბაგისმიერდება და **უ**-ს იძლევა. მომდევნო **მ** დაკარგულია.

სხვა ძირის ზმნებთან ანალოგიურ მდგომარეობაში ასეთ შედეგს არ ვიღებთ. მაგალითად: მ ო მ წ ო ნ დ ე – ყიფშ. 142.3 – მომწონდა.

მო- ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ:

მო + ა – 1. მუა...
2. მაა...
3. მჳ...
4. მა...

1. **მუა**... წინდებულის ხმოვანი ვიწროვდება **ა** ფუძისეულის გავლენით.

მუ წამალი მ უ ა ლ ე – ყიფშ. 70.5 – რა წამალი მოუხდება. ღურაში მ უ ა ხ ლ ე ბ ა – ყიფშ. 78.29 – სიკვდილის მოახლოება.

ასეთი ცვლილება იშვიათად ხდება.

2. **მაა**... ხდება სრული რეგრესული ასიმილაცია.

მისჲთი მ ა ა რ თ ე დ ე ნი – ყიფშ. 73.28 – ვისაც მოესვლებოდა. სქუაშა მუთაქ მ ა ა ხ ვ ა რ ი ნ – ყიფშ. 11.18 – შვილს ვერაფერი უშველა.

3. **მჳ**-... იდენტური ხმოვნები გრძელ ხმოვნად შეირწყმიან.

მისჲთ წოხოლეშე გური მ ჳ ლ ე დ ე, თიქ ოკო... – ხუბ. 235.31 – ვისაც რომ ადრე გული მოსდიოდა, მან უნდა...

4. **მა**... გრძელი ხმოვნისაგან ჩვეულებრივს ვიღებთ.

მიდგასია გური წჷმახ მ ა ლ ე ნ ი ე – ხუბ. 263.17 – ვისაც გული უწინ მოსდისო.

ო ფუძისეული ხმოვნის წინ **მო**- წინდებული ისეთსავე ცვლილებებს განიცდის, როგორსაც **ა**- ხმოვნის წინ (გამონაკლისია მუა...).

მო + ო > 1. მაა...
2. მჳ...
3. მა...

შედეგს ისეთსავეს ვიღებთ, როგორსაც ფუძის **ა** ხმოვნის წინ, პროცესი ცვლილებისა განსხვავებულია.

1. **მაა**...

ეშმაკიქ მ ა ა გ ე ბ ა ფ უ – ყიფშ. 7.6 – ეშმაკმა მოაგებინა.

2. **მჳ**...

მ ჳ ძ ე თათმანინ – ხუბ. 246.13 – თათმანი რომ აცვია.

გოთანაქ მუჭო მ ჳ ნ ჯ ე დო – ხუბ. 82.38 – გათენებამ როგორც კი მოაწია და.

3. **მა**...

თეშ მ ა ნ წ ყ უ ა ნამუდა... – ხუბ. 44.38 – ისე მოაწყოო, რომ...

მო + უ > 1. მოუ...
2. მუუ...
3. მჳ...
4. მუ...

1. **მოუ**... უცვლელად რჩება. შედარებით იშვიათად გვხვდება: კარი მოუკილეესგ – ყიფ. 49.7 – კარი მოუკეტეს.

შარას მოურცგ – ყიფშ. 54.26 – გზაზე მოდის.

2. **მუუ**... სრული რეგრესული ასიმილაცია ხდება.

ართი სუმარი ინგარდგ მაჟირაში მუულას – ყიფშ. 132.22 – ერთი სტუმარი ტიროდა მეორის მოსვლას.

სორე მუუღალუქინი?! – ყიფშ. 5.34 – სადაა, რომ მოუტანივარ.

3. **მუ**... იდენტური ხმოვნები შეირწყმიან გრძელ ხმოვნად.

გელეღგ ლეკური, მურქუ ძღაბის – ხუბ. 224.13 – ამოიღო ხმალი, მოუქნია გოგოს.

4. **მუ**... გრძელი ხმოვნისაგან ვიღებთ ჩვეულებრივს.

თეურე მულა – ხუბ. 268.1 – იქიდან მოდიან.

მუში სქუა მუთხუ დადული ყვარიაშა – ხუბ. 88. 20 – თავისი შვილი მოუთხოვია დედალი ყვავისათვის.

ქო- და **ვა**- ნაწილაკები თუ ერთვის, წინდებული ისეთსავე ცვლილებებს განიცდის ხმოვანთან, როგორსაც უამნაწილაკებოდ:

თანხმოვნის წინ **ქო**-, **ვა**- ნაწილაკებდართული **მე**- წინდებული ისევე, როგორც უნაწილაკოდ, ჩვეულებრივ, უცვლელადაა.

თანხმოვანი პირის ნიშნების წინ თუ მათ (პირის ნიშნებს) **ა**, **ო** ხმოვნები მოსდევს, გვაძლევს, ისევე როგორც უნაწილაკოდ, **მი**-ს. უფრო ხშირად კი წინდებულის ხმოვანი სუსტდება **გ**-დ ან სულ იკარგება, მაშინ უკვე **მე**- არის თუ **მო**-, გასარჩევად ძნელია.

მი-, **გი**- მარცვლების წინ **მე**- უცვლელია, ისევე როგორც უნაწილაკოდ: ქიმეგიღუ – ყიფშ. 15.28 – მოგიტანა; ვემემირთუმუნ – ხუბ. 56.32 – არ მივსულვარ.

1. წინდებული უცვლელადაა:

ქიმერთ ხენწიფეშა – ხუბ. 1.20 – მივიდა ხელმწიფესთან.

ძღაბის ვემერჩანთ – ხუბ. 57.15 – გოგოს ვერ მოგცემთ.

2. მე- → მი-...

ობრის სუვა ქიმივოხირგნი... – ყიფშ. 53.2. – ორბს ფრთა რომ მოვპარე...

წირუა ვე მიმატეენე – ყიფშ. 12.23 – წირვის მიტოვება არ შემიძლია („არ მიმეტოვება").

ქო-/**ვა**- ნაწილაკებდართული **მო**- უცვლელადაა თანხმოვნის წინ, მაგრამ **მო**- → 1. **მი**-..

2. **მ**-...

თანხმოვანი პირის ნიშნების წინ, თუ მათ ხმოვანი მოსდევს. თუ **ი** ხმოვანი მოსდევს, აქაც უცვლელია **მო**-.

1. **მე**...

გლახა დღაქქომგმოჭიშეს – ყიფშ. 22.18 – ცუდი დღე მოგვესწრო.

2. **მ**...

ხმაქუმმასიმე – ხუბ. 3.28 – ხმა მომესმება.

სივამგაცონინუა – ხუბ. 107.12 – შენ ვერ მოიყვანეო.

მო->მუ- ასეთ შემთხვევებში არა გვაქვს. როგორც ვიცით, უქონაწილაკოდ ასეთ პოზიციაში **მო-** → **მგ-**ს.

შეიძლება ამოვარდეს არა წინდებულის ხმოვანი, არამედ პირის ნიშნის მომდევნო ხმოვანი. მაშინ ზმნისწინი უცვლელია.

თინა ქემომცონია – ხუბ. 45.11 – ის მომიყვანეო.

ქემომცონანქ და ვარა – ხუბ. 107.12 – თუ მომიყვან, თორემ.

მე- ზმნისწინზე დართული **ქო-** ნაწილაკი, ჩვეულებრივ, იცვლის ხმოვანს.

ორიოდე მაგალითია, როცა **ქო-** ნაწილაკი უცვლელადაა **მე-**ს წინ:

ქომიოგეს თოლი – ხუბ. 7.3 – მოჰკრეს თვალი.

ქო- **მე-**ს წინ გვაძლევს:

1. ქე...
2. ქი...
3. ქგ...

1. **ქე**...

ქემეთხი ცას ხევა – ყიფშ. 42.20 – მოჰკიდე ცას ხელიო.

სქანი ძიგარქ ქემმაღინუდა – ხუბ. 9.27 – შენი ჯაგარი თუ მოვიტანე.

ქემიაზადესგ ნდიენსგ – ყიფშ. 29.18 – მიეგებნენ დევებს.

2. **ქი**...

კუპეცის ქიმეციდეს – ხუბ. 87.25 – ვაჭარს მიჰყიდეს.

ხექიმიოგამაფუუ – ყიფშ. 53.22 – ხელი მიარტყმევინა.

3. **ქგ**...

ხეს ხექგმეფჩი – ყიფშ. 123.9 – ხელში ხელი მივეცი.

ცირაქქგმაზადგ – ხუბ. 37.4 – ქალიშვილი მიეგება.

ვა- ნაწილაკი **მე-**ს წინ ჩვეულებრივ **ვე-**ს სახითაა როგორც თახმოვნით, ისე ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ.

ორიოდე მაგალითია, როცა **ვა-** უცვლელადაა.

1. მუთუნი ოკო ვამიარკას – ხუბ. 89.12 – არაფერი არ უნდა მოაკლოს.

მო- წინდებულის წინ **ქო-** ნაწილაკი შეიძლება უცვლელადაც რჩებოდეს.

ქომოთუხუნს მონტყორის – ყიფშ. 22.6 – მოდის და ართავს მატყლს.

ქომგმოჭიშესგ – ყიფშ. 22. 18 – მოგვეწიენ.

ქომორთგ ცუდეშა – ყიფშ. 22. 12 – მოვიდა შინ.

ქო- მო- წინდებულის წინ:

1. ქუ...
2. ქგ...
3. ქ...

1. **ქუ**...

აშო ქუმურსგნი – ხუბ. 7.15 – აქეთ რომ მოვა...

2. **ქგ**...

ცუდეშა ქგმორაცია – ყიფშ. 51.31. – შინ მორეკეო.

3. **ქმო**...

ჟირი ბოშიქ ქ მ ო რ თ გ – ყიფშ. 80.26 – ორი ბიჭი მოვიდა.

განსხვავების შემჩნევა, თუ როდის რა სახითაა **ქო**-, ძნელია, ისევე როგორც **მე**-სთან.

ვა- უცვლელი სახითაა **მო**-ს წინ.

ი ფუძისეული ხმოვნის წინ, როგორც უკვე აღნიშნულია ლიტერატურაში, **მე**- და **მო**- წინდებულები ერთმანეთს ემთხვევა[1].

მე + ი > 1. მიი...
2. მი...
3. მი...

1. **მიი**...

სრული რეგრესული ასიმილაცია ხდება.

ჯა დო ქუაქ არძოქ იკიირთგ დო თე დიკოხონსგ მ ი ი კ ე რ კ ე ლ დ გ – ყიფშ. 31.31 – ხე და ქვა – ყველაფერი გადაბრუნდა და ამ დაღმართზე მიგორავდა.

ვიშო ცხენით მ ი ი შ გ – ყიფშ. 1.21.21 – იქით ცხენით მიდიოდა.

2. **მი**...

წოხოლე ალი – ფოლადი მ ი რ უ ლ ე – ხუბ. 275.13 – წინ ალი – ფოლადი მირბის.

3. **მი**...

პაპა მ ი რ უ ლ ე ნ დო მეურსგნ, ქოძირგ – ხუბ. 228.24 – მღვდელი მირბის და რომ მიდის, ნახა...

მო + ი – 1. მოი...
2. მიი...
3. მი...
4. მი...

1. **მოი**...

ხმოვნები ერთმანეთზე არ მოქმედებენ. ეს პროცესი იშვიათად გვხვდება. დამთხვევა არ არის.

მ ო ი ჯ ი ნ ე ს დო ცუდე ქორე – ხუბ. 124.14 – მოიხედეს და სახლი არის.

2. **მიი**...

სრული რეგრესული ასიმილაცია.

მ ი ი გ ო ნ გ სუმი სიტყვა – ყიფშ. 26.20 – მოიგონა სამი სიტყვა.

3. **მი**...

სუმიხოლოქ მ ი ნ დ ო მ ე ს – ყიფშ. 7.14 – სამივემ მოინდომა.

მ ი რ დ ე ს სუმხოლოქ – ხუბ. 208.24 – გაიზარდა სამივე.

4. **მი**...

მ ი წ ყ ი ნ, ...მუ ორე მოწყინებულიექიე? – ხუბ. 49.21.24 – მოიწყინა, ...რა არის მოწყენილი ხარო?

---

[1] ი. ყიფშიძე, „მეგრ. გრამ.", გვ. 0114.

როგორც ვხედავთ, **ი** ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ **მე-** და **მო-** წინდებული სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად ერთსა და იმავე შედეგს იძლევა და ამ წინდებულიანი ზმნები ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, მ ი ი ღ ა ნ ც – ყიფშ. 96.1: – მხოლოდ კონტექსტით თუ გაირკვევა „მოიტანს" არის, თუ „მიიტანს".

ზოგი ზმნა მხოლოდ ერთ-ერთი ამ ორ წინდებულთაგანით დასტურდება და მათი აღრევა ერთმანეთში გამორიცხულია. მაგალითად: თენეფქ მ ი ს ვ ა ნ დ ე ს თაქ, მ ო ს ვ ა ნ დ ე ლ ი რენა – ხუბ. 254.28 – ამათ მოისვენეს აქ, მოსვენებული არიან. ამ ზმნასთან მხოლოდ **მო-** წინდებული შეიძლება იყოს.

უფრო ხშირად კი ორივე წინდებულით გვხვდება ზმნა, მაშინ განსხვავებას ააშკარავებს **ქო-** და **ვა-** ნაწილაკთა დართვა – ეს ნაწილაკები **მე-** წინდებულთან სხვა სახითაა და **მო-** წინდებულთან – სხვა სახით. მაგალითად: ქ ი მ ი ვ ღ ი იქნება მივიტანე, ქ ო მ ი ი ვ ღ ი – მოვიტანე[1].

ხოლო როდესაც ეს ნაწილაკები წინდებულს არ დაერთვის, მაშინ მხოლოდ კონტექსტის მიხედვით შეიძლება **მე-** და **მო-** წინდებულთა ერთმანეთისაგან გარჩევა. თუმცა ყოველთვის არც **ქო-** და **ვა-** ნაწილაკთა დართვა შველის საქმეს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ნაწილაკები ზოგჯერ მოულოდნელი სახით იჩენს თავს **მე-** ან **მო-** წინდებულებთან, მაგალითად:

ვა მ ი ი ტ ა ხ უ ო მარძგვანი კუჩხი! – ყიფშ. 60.31 – არ მოიტეხა მარჯვენა ფეხი!

ეს ზმნა მხოლოდ **მე-** წინდებულით დასტურდება. მიუხედავად ამისა, **ვა-** ნაწილაკი აქ უცვლელი სახითაა (**ვე-**დ არ იცვლება) – ისეთი სახითაა, როგორც **მო-** წინდებულთან არის მოსალოდნელი.

ასევე, **მო-** წინდებულთან თუ **ქო-** ნაწილაკი უცვლელი სახითაა ან თუ შეიცვალა, **ქუ-**დ იცვლება, ზოგჯერ **ქი-**ს სახითაც დასტურდება – ჩვეულებრივ, კი **ქი-**ს სახით **მე-** წინდებულთან არის მოსალოდნელი:

ქ ი მ ო რ თ გ რაშიშა – ყიფშ. 33. 15 – მოვიდა ცხენთან.

ჩილითი ქ ი მ ი ი ც ო ნ გ – ყიფშ. 24.3 – ცოლიც მოიყვანა.

თინა ორკოლით ქ ი მ ი ღ ი – ხუბ. 8.11 – ეს დოქით მიიტანე.

სამივე შემთხვევაში „მოყვანა" ან „მოტანა" („მოღება") ზმნასთან გვაქვს საქმე. სხვა ზმნებთან თითქოს ასეთი რამ არ დასტურდება.

ასევე დამთხვეულ ფორმათა გარჩევას ართულებს, თუ **ქო-** ნაწილაკი იძლევა **ქგ-**ს.

პუხუშა ქ გ მ ი ბ უ ნ უ – ხუბ. 259.16 – ზურგზე მიიბა (თუ მოიბა?).

ქ გ მ ი ჭ ა ნ უ სუმხოლო – ხუბ. 278.24 – მოიწვია (თუ მიიწვია?) სამთავე.

თინა ქ ი მ ი ც ო ნ ა ნ ს ი ა – ხუბ. 107.2 – ის მოიყვანსო (თუ მიიყვანსო?).

ქგ... შესაძლებელია მივიღოთ ორი გზით:

1. ქო > ქუ > ქი... ჩვეულებრივ, **მო-** წინდებულთან.
2. ქო > ქე > ქი... ჩვეულებრივ, **მი-** წინდებულთან.

---

[1] ი. ყიფშიძე, იქვე, გვ. 0114.

ამ შემთხვევებში რომელი ამ გზათაგანი გაუვლია **ქო**- ნაწილაკს და რომელ წინდებულს არის იგი დართული, ძნელი გასარკვევია.

თუ ფუძე **ე** ხმოვნით იწყება, **მე**- წინდებულის ხმოვანი ვიწროვდება **ი**-დ.

მე + ე > მიე...

მ ი ე ხ ო ლ გ ხენწიფეში დოხორესგ – ყიფშ. 89.31 – მიუახლოვდა ხელმწიფის სასახლეს.

მ ი ე რ უ დო ციხეს დოხვილეს თე ბოში – ხუბ. 231.1 – მოერია და ციხეში დაამწყვდიეს ეს ვაჟი.

ქო + მე + ე > ქიმიე...

შხვა კათემც ქ ი მ ი ე ნ დ გ – ყიფშ. 159.3 – სხვა კაცებს მიენდო.

ხოლო როდესაც მეე, მე-ს იძლევა წინდებული ფუძისეულ ე-სთან, თითქოს მო- არის წინდებულად და არა მე-.

მო + ე > 1. მეე...
2. მე...

1. **მეე**...

ლაცაფიქ მ ე ე გ ო ნ გ – ყიფშ. 32.33 – თამაში მოაგონდა.

უარესის მ ე ე ლ გ ქ ი ა – ყიფშ. 39.4 – უარესს მოელიო.

შარას ჰე მ ე ე შ ო რ გ – ყიფშ. 36.19 – გზას ცოტათი დაშორდა („მოშორდა").

ნდის მ ე ე წ ა დ ი ლ გ – ყიფშ. 18.3 – დევს მოეწადინა.

2. **მე**...

ნდის მ ე რ ი ე ბ უ ქ ი ა – ხუბ. 4.22 – დევს მოერევიო.

თეში მ ე რ ყ უ თე ბოშის – ხუბ. 280.19 – ისე მოეპყრო ამ ბიჭს.

ტურა თხას მუნერო მ ე ქ ც ი ე ბ უ დ გ? – ხუბ. 307.17 – ტურა თხას როგორ მოექცეოდა?

ე კოს მ ე წ ო ნ გ – ხუბ. 244.24 – ამ კაცს მოეწონა.

არიქა, მ ე ხ ვ ა რ ი თ დუსია! – 6.265.34– არიქა, უშველეთ თავსო!

მაგრამ გვაქვს:

მ ე ე ხ ო ლ გ ნდიეფიში დოხორესგ – ყიფშ. 32.31 – მიუახლოვდა დევების სასახლეს.

აქ კი **მე**- წინდებული უნდა იყოს **ე** ფუძის ხმოვნის წინ. ე. ი. **მე**- წინდებული ე ხმოვნის წინაც დაემთხვა **მო**- წინდებულს.

უ ფუძის ხმოვნის წინ, როგორც ვნახეთ, **მე**- წინდებული განსხვავებულია **მო**-საგან, მაგარმ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **მე**- ემთხვევა **მო**-ს.

ვა + მე + უ > 1. ვემუუ...
2. ვემუ...

1. **ვემუუ**...

კოჩიში ხორუაშა თოლი ვე მ უ უ გ ა მ უ – ყიფშ. 57.9 – კაცის სახლობისათვის თვალი არ მოუკრავს.

2. **ვემუ**...

ცუდეს მულახე, სოთინი ვ ე მ უ რ ც – ხუბ. 215.20 – შინ ზის, არსად არ მიდის.

ქო + მე + უ > 1. ქიმუუ...
2. ქიმუ...
3. ქემუ...
4. ქიმუ...

1. **ქიმუუ**...

კოჩი ქ ი მ უ უ ჩ ქ ვ ე ს მეენბელსგ დო მეუჩინეს[1] – ყიფშ. 48.18 – კაცი მიუგზავნეს მასპინძელს და შეუთვალეს.

2. **ქიმუ**...

ქ ი მ უ ღ გ პაპას თექ – ხუბ. 264.18 – მიუტანა მღვდელს ამან.

3. **ქემუ**...

მუჭოთ ვარენო ლევანი ქ ე მ უ რ ს თი კერიშანი – ხუბ. 8.29 – როგორც კი („არაა") ლევანი მივა იმ ტახთან.

ათენა ჩქიმი ოსურც ქ ე მ უ ღ ი თ ი ა – ხუბ. 83.32 – ეს ჩემს ცოლს მიუტანეთო.

4. **ქიმუ**...

თითო კოჩიშა ქ ი მ უ ჩ ა მ უ თითო კგლი ჭა – ყიფშ. 62.21 – თითო კაცისათვის მიუცია თითო შეკვრა ჩალა.

ყოველთვის, როცა **ვა**- ნაწილაკი → **ვე**-ს და **ქო**- → **ქე**-, **ქი**-ს, ამის მიხედვით მარტო არ შეიძლება დავასკვნათ, რომ უთუოდ **მე**- პრეეერბი იგულისხმება. კონტექსტიც უნდა მოვიშველიოთ, თორემ ზოგჯერ ასეთი ცვლილება შეიძლება **მო**-ზე დართულმა ნაწილაკმაც განიცადოს. მაგალითად:

თი მაფაში სქუაქ კოჩი ქ ე მ უ უ ჩ ქ თე ბოშისგ დო მუუჩინუ – ყიფშ. 48.6 – იმ მეფის შვილმა კაცი მიუგზავნა ამ ვაჟს და შემოუთვალა.

...მოლეცუნგ დო ქ ე მ უ ც ო ნ გ ათე ტურენს – ხულ. 207.14 – ...წამოიყვანა და მოუყვანა ამ ტურებს.

მე- და **მო**- წინდებულთა დამთხვევა შესაძლებელია თანხმოვნით დაწყებული ფუძის წინაც.

როგორც **მე**-, ისე **მო**- წინდებულის ხმოვანი შეიძლება დასუსტდეს **გ**-დ ან სრულიადაც დაიკარგოს, მაშინ ეს წინდებულები ერთმანეთისაგან აღარ განირჩევა გარეგნულად. მათი გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტით, ხოლო როცა **ქო**- ან **ვა**- ნაწილაკები ერთვის, ეს ნაწილაკებიც გვეხმარება წინდებულთა გარჩევაში.

---

[1] საყურადღებოა, რომ ერთსა და იმავე ფრაზაში **ქო**- ნაწილაკი როცა დაერთოს **მე – უ — მუუ** (ქიმუუჩქვეს), ხოლო უქონაწილაკოდ: **მე – უ – მეუ** (...მეუჩინეს...), ხომ არა აქვს **ქო**-ს დართვას რაიმე გავლენა? თუმცა შესაძლებელია იყოს, აგრეთვე, ქ ე მ ე უ ჩ ქ ვ ე ს.

მე-/მო- > **მი-**, თუ **მე-/მო-** წინდებულებს მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ა, ო** და, აგრეთვე, **ე** ხმოვნით. უფრო ხშირად მაშინ, როდესაც **ქო-** ან **ვა-** ნაწილაკი ერთვის.

მგ... ნაწილაკებდაურთველად:

თან სიმდიდრეთ მგმანიჭი – ხუბ. 34.15 – თან სიმდიდრეც მომანიჭე.

...იში მგმარიებელი – ხუბ. 90. 18 – მისი მომრევი...

მგნაჩქუმელენქ კვნი მიდართეს – ყიფშ. 53.31 – მოგზავნილები უკან წავიდნენ.

მგმეხვარით! – ხუბ. 15.26 (ასევე: 102.12, 278.11) – მომეხმარეთ!

კონტექსტის მიხედვით ჩანს, რომ ყველა ამ მაგალითში **მო-** წინდებულია.

მგ- ქო- ან ვა- ნაწილაკდართული:

ქო + მე-/მო- > 1. ქიმგ...
2. ქომგ...

ვა + მე-/მო- > 1. ვემგ...
2. ვამგ...

1. **ქიმგ**...

მაქიმგგეხვარებუქია – ყიფშ. 101.15 – მე მოგეხმარებით

2. **ქომგ**...

შარას გლახა დღაქ ქომგმოჭიშესგ – ყიფშ. 22. 18 – გზაზე ცუდი დღე მომეწია.

1. **ვემგ**...

სქანდა ვე მგმოგამაფუა ტრუბა – ხუბ. 354.8 – შენთვის არ მიმარტყმევინო მილი.

ასეშახ ორაგადუშა ვე მგგოთინითია – ყიფშ. 61.29 – აქამდე სალაპარაკოდ მოსვლა ვერ მოვბედეთო.

2. **ვამგ**...

ვამგმართასია და, ... – ყიფშ. 31.15 – თუ ვერ მოვიდეო...

ვამგგაღინუე – ხუბ. 284.2 – ვერ მოიტანეო.

ცოცხალს ვამ(გ)გაშქვა აშოვა – ხუბ. 141.2 – ცოცხალს არ მოგიშვებ აქეთო.

დუს ვამგგოწონუა – ყიფშ. 164.15 – თავს არ მოგაწონებ.

კოჩქგ ვამგგეწონუო? – ყიფშ. 33.6 – კაცი არ მოგეწონა?

მე-/მო- > **მ**...

ქო + მე > 1. ქემ...
2. ქიმ...
3. ქგმ...

ქო + მო > 1. ქომ...
2. ქუმ...
3. ქგმ...

ვა + მე > ვემ...

ვა + მო > ვამ...

1. **ქემ**...

მუჟანს ჩქი სუმი ხოლოქ ართიანს ქემვოფუჩითინი – ხუბ. 6.28 – როცა ჩვენ სამივემ ერთმანეთს რომ შევფიცეთ („მივაფიცეთ").

სქანი ძაგარქ ქემმაღინუდა... – ხუბ. 9.27 – შენი ჯაგარი თუ მოვიტანე...

2. **ქიმ**...

სია ჩქიმი ოსურ-სქუას ქიმგათხრნქია – ხუბ. 216.3 – შენ ჩემს ქალიშვილს მოგათხოვებო.

რთხინქ, ნამდა ქიმმაშქვათ თქვან ბინაშავე – ხუბ. 256.29 – გთხოვ, რომ მიმიშვათ თქვენს ბინაშიო.

ჩილი დო ქომონჯო ქიმვორჩქინათია – ხუბ. 70.2 – ცოლად და ქმრად მივიჩნიოთო.

ქიმგეხვარებუქია – ყიფშ. 21.2 – მოგეხმარებიო.

მა ხოლო ჯეს ქიმგეხვარებუქ – ხუბ. 4.8 – მეც ცოტას მოგეხმარებიო.

ქიმმეხვარებუნია – ხუბ. 244.5 – მომეხმარებაო.

ხოჯეფი ქიმმოხირეს – ხუბ. 59.15 – ხარები მომპარეს.

3. **ქგმ**...

სიქგმგოფუჩინი – ხუბ. 101.37 – შენ რომ შემოგფიცე.

4. **ქომ**...

ღორონთ, ქომმეხვარი – ხუბ. 311.27 – ღმერთო, მომეხმარე.

5. **ქუმ**...

ხმაქ ქუმმასიმუ – ხუბ. 3. 28 – ხმა მომესმა.

ქუმმანტეს დო მურსია – ხუბ. 4.27 – გამოგვეკიდნენ და მოდისო.

ქუმვოღალაფუანქია – ხუბ. 21.35 – მოვატანინებო.

ასე მა ქუმმოჯირინუნი თენა რე! – ხუბ. 12.6 – ახლა მე რომ მომიწია, ეს არის!

6. **ქგმ** ...

ქგმმაზადუა – ხუბ. 268.29 – მომეგებაო.

ქგმმაკათი ჩქიმი ყუდშა – ხუბ. 90.29 – წამომყევი ჩემ სახლში.

თეურე მაჟირა დღას ქგმგართე ცოცხალო და... – ხუბ 102.26 – იქიდან მეორე დღეს თუ დაბრუნდი ცოცხალი...

სისერაქ ქგმმოჯიშუ – ხუბ. 42.21 – სიბნელემ მომისწრო („მომეწია").

1. **ვემ**...

მუჯო ვემმაგორე მა თეში წამალიშავა – ხუბ. 10.21 – როგორ ვერ მივაგნებ... ამის წამალსო.

იმ დღაშა სი ვემგართუა – 6.87.49 – იმ დღემდე შენ არ მიგეწიოსო.

ვემმოტუა, ვა დოღურა – ხუბ. 326.17 – არ მიმატოვო, არ მოკვდე.

ვემმაჩე ჩქიმი ოსურქუავა – ხუბ. 55.15 – ვერ მოგცემ ჩემს ქალიშვილსო.

ათენა ვემმაჩე – ხუბ. 212.14 – ამას ვერ მოგცემ. ვემმაჩენია – ხუბ. 48.9 – ვერ მოგცემო.

ხენწიფეში ორაგადეთ ვემმორჩქგ მა ჩქიმი სიზმარია – ხუბ. 54.6 – ხელმწიფის სათქმელად არ მიმაჩნია მე ჩემი სიზმარიო.

ვემგოხირას – ხუბ. 52.31 – არ მოგპაროს.

2. **ვამ**...

სუმ წანას ვამმართენია – ხუბ. 302.31 – სამ წელიწადს ვერ მოვალო.

თიქვამმაღასინ... – ხუბ. 232.31 – ის თუ ვერ მოვიტანო...

სივამგაცონინუა... – ხუბ. 107.12 – შენ ვერ მოიყვანეო...

ამრიგად, **მე**- და **მო**- წინდებულები ერთმანეთს ემხვევა:

1. **თანხმოვნის წინ**. თუ მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ა, ო** ან **ე** ხმოვნითურთ, უფრო ხშირად თუ **ქო**- ან **ვა**- ნაწილაკიც ერთვის. ხშირად ასეთ შემთხვევაში დამთხვევას ადგილი არა აქვს. წინდებულთა ხმოვნები დავიწროებულია და **მე** > **მი**-ს... **მო** > **მუ**-ს...

2. **ი და ზოგჯერ უ, აგრეთვე, ე ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ**.

მე- წინდებული აღნიშნავს მიმართულებას იქით და მნიშვნელობით უდრის ქართულის **მი**- წინდებულს.

ჩქი-ვა... ცუდეშა მეურთია – ხუბ. 211.34 – ჩვენო... შინ მივდივართო.

სო მეზოჯგნქია? – ყიფშ. 32.6 – სად მიბრძანდებიო?

ჩიტი მეფურინენდგ ჟი-ნი – ყიფ. 41.5 – ჩიტი რომ მიფრინავდა ზევით.

შარას მიოკვაწანდე – ხუბ. 334.31 – შარაზე მიიკვანწებოდე.

კოკეეხეს მუში ჩხოუ მეცუნსგ დო მეჩქარენს – ხუბ. 350.6 – კოკაიას ქალს თავისი ძროხა მიჰყავს და მიიჩქარის.

მერაგადანდგ ხვალე შარას – ხუბ. 207.11 – ლაპარაკით მოდიოდა (ზედმიწ. „მოლაპარაკობდა") მარტო გზაზე.

შარას ირო მეფირქენცგ – ყიფშ. 76.4 – გზაზე სულ მიდის და ფიქრობს (ზედმიწ. „მიიფიქრებს").

მამეიჩქვანქ მარკინეს – ხუბ. 1.12 – მე გამოგიგზავნი მოჭიდავეს.

მემიღუ ართი საკი ფარა – ყიფშ. 7.28 – მიმაქვს ერთი ტომარა ფული.

ართი დიდი ტყას ქიმიოდირთეს – ხუბ. 2.34 – ერთ დიდ ტყეს მიადგნენ.

ბოშიქ მიაკგნგ ხოლოშა – ყიფშ. 80.14 – ვაჟმა მიიწია (მიუახლოვდა) ახლოს.

თი ხენწიფეში ქიცანას მიახოლუუნი... – ყიფშ. 35.16 – იმ ხელმწიფის ქვეყანას რომ მიუახლოვდა...

მახაჩქალქ მიარზუ კაჟის სადილი – ყიფშ. 22.7 – მთოხნელმა (მიწის მუშამ) მიართვა კაჟს სადილი.

ქომონს მიათხინდეს – ყიფშ. 45.12 – ქმარს მიათხოვებდნენ.

შურს მეუბარქია – ხუბ., ბაჯ. 158 – სულს შევუბერავო („მივუბერავო").

ბადიდიქ მიოძახგ დემს – ყიფშ. 42.4 – ბებერმა მიაძახა დევს.

მიახვამესგ მუზარბიიში სქუასგ ხენწგფალა – ყიფშ. 60.14 – მიულოცეს მუზარბიის შვილს ხელმწიფობა.

შხვა საქმესგ მივოტალენქ – ხუბ. 323.13 – სხვა საქმეს მივატოვებ.

კარდილას კუჩხი მიოგგ – ყიფშ. 33.10 – ქვაბს ფეხი მიჰკრა.

ჯალეფი ართიანცგ მიოტერხგვიშო-ვიშო – ყიფშ. 86.6 – ხეები მიატყდება (ერთმანეთს) იქით-იქით.

ათე ბინეხი მეურგევა ათე ჯასიე – ხუბ. 51.30 – ეს ვაზი მიარგავიო ამ ხესო.

ზემომოყვანილ მაგალითებში **მე**- წინდებულით გამოხატულია მიმართულება. ყველა ზმნა ქართულად **მი**- წინდებულით ითარგმნება.

მე-, ქართულის **მი**- წინდებულის მსგავსად, იქით, III პირისაკენ მიმართულებას აღნიშნავს. მაგრამ არა მარტო III პირისაკენ, არამედ II პირისკენაც.

ვიშო თოფურ მეგიჯღონი, მომიჯღონიო ნიორი? – ხუბ. 314.31 – იქით თაფლი გამოგიგზავნე („მიგიგზავნე“), გამომიგზავნეო ნიორი?

თითო ფოხალ წყარს ქიმერჩანსია – ხუბ. 296.27 – თითო კოკა წყალს მოგცემსო („ქემიგცემსო“).

მუ მეგოგესია? – ყიფშ. 112.14 – რა გესროლესო („მიგაგესო“).

ზაფანა ვა გიჭკომუნ და, პიჯი მუქი მერჭუ? – ყიფშ. 177.2 – პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რამ დაგწვა („მიგწვა“).

ძალამი ჯგირი, ქიმერღიდენქია – ხუბ. 7.11 – ძალიან კარგი, მოგყიდიო („ქემიგყიდიო“).

მეგრულში **მე**- წინდებულის გამოყენების არე უფრო ფართოა, ვიდრე ახალ ქართულში. ქართულში ძალიან იშვიათად გვაქვს **მი**- წინდებულიანი ზმნები, სადაც **მი**- მხოლოდ მიმართულებას კი არ აღნიშნავს, არამედ მნიშვნელობასაც ცვლის. ასეთი ზმნებია, მაგალითად: მიუგებს (პასუხს, შდრ. მიუგებს სიტყვას), მისცემს, მიადევნებს, მიალაგებს, მიამსგავსებს, მიაყრუებს, მიახვედრებს, მიხვდება, მიეჩვევა, მიატოვებს, მიასუსტებს, მიბნედს, მიანაზებს, მიაკნავლებს...

მეგრულში ქართულზე უფრო ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც **მე**- წინდებული ფუძის მნიშვნელობას ცვლის. მაშინ, როდესაც ქართულში **მო**- წინდებული გვაქვს, მეგრულში ხშირადაა **მე**-.

ვითოჟირიში მეთებაშა – ყიფშ. 16.23 – თორმეტის მოთავებამდე (შეთავებამდე, „მეთავებამდე“).

დაქ მეკვათგ ჭგნგ – ყიფშ. 57.2 – დამ მოსჭრა („მიკვეთა“) წნელი.

დუც მივოკვათაფუა თი კოჩიშა – ხუბ. 81.21 – თავს მოვაკვეთინებ იმ კაცისათვის.

თინა მიმერიებგ – ხუბ. 289.11 – ის მომერევა.

მოთხუ თე ვეზირს ხე დო დუდი ვიშო მესოფუ ბოშიქ – ხუბ. 2.1. – მოჰკიდა იმ ვეზირს ხელი და თავი (იქით) მოგლიჯა („მეგლიჯა“) ვაჟმა.

მეტახეს არწივიში ხენწიფეში სქუას სუა – ხუბ. 48.18 – მოსტეხეს („მიტეხეს“) არწივის ხელმწიფის ვაჟს ფრთა.

მამიმეწონუა – ხუბ. 291.10 – მე მომეწონაო („მიმეწონაო“). (შდრ. მითინ ვა მოპწონებუნი – ხუბ. 329.15 – არავინ არ მომწონებია; ვართ კოც მოპწონქ – ხუბ. 345.4 – არც კაცს მოვწონვარ).

მო- წინდებული აღნიშნავს მიმართულებას აქეთ, I პირისაკენ, ისევე, როგორც ქართულის **მო**- წინდებული.

ართი სუმარი ინგარდგ მაჟირაში მუულას – ყიფშ. 132.22 – ერთი სტუმარი ტიროდა მეორის მოსვლას.

მუშა მოგიზოჯინია? – ყიფშ. 38.15 – რისთვის მობრძანებულხარო?

ქგმოფურინუნც სუმი ტორონჯი – ხუბ. 59.28 – მოფრინავს სამი მტრედი.

წყარსგ მოჩურუნსგნი – ყიფშ. 28.1 – წყალში რომ მოცურავს.

ქოჩორა მოურცგ, მოსოფუნცგ – ყიფშ. 95.21 – ქოჩორა გლეჯაგლეჯით მოდის (ზედმიწ. „მოიგლიჯება").

ტყაშიკოჩი მოღვარაანცგ – ყიფშ. 86.25 – ტყის კაცი მოღრიალებს („ღრიალით მოდის").

მორაგადანს ბაღანა დო მოულა – ხუბ. 233.31 – ლაპარაკით მოდის (ზედმიწ. „მოლაპარაკობს") ბავშვი და მოდიან.

ქომოთუხუნს მონტყორის მოსვანჯილო – ყიფშ. 22.6 – მატყლის რთვით მოდის (ზედმიწ. „მოირთვება" მატყლს) მოსვენებულად.

ეთიში ბაგარს ქუმომიღანდე – ხუბ. 8.35 – იმის ჯაგარს რომ მომიტანდე.

კოჩი მოცუნს თეს – ხუბ. 234.4 – კაცი მოჰყავს ამას.

თი სუმი ღეჯი... ცუდეშა ქიმორაცია – ყიფშ. 51.31 – ის სამი ღორი... შინ მოდენეო.

სუმარს თაში ოკოდუო, ...მოწუალა – ხუბ. 351.14 – სტუმარს ასე უნდოდაო..., მოწვევა.

ხენწიფეში მოჩქვაფილი – ყიფშ. 33.31 – ხელმწიფის მოგზავნილი.

ქესას მუგართვენთ – ხუბ. 212.21 – ქისას მოგართმევთ.

დიდი ხიარულებაქ მაჭირინუუ – ყიფშ. 35.32 – დიდი მხიარულება (მო)ეწია.

. მასუმა კარს ქიმოდირთუნი... – ხუბ. 3.24 – მესამე კარს რომ მოადგა.

ქგმოხვადგ ოჭიშის – ყიფშ. 21.23 – მოხვდა ზურგში.

ბეგოქ მოურქიუ ცხენს – ხუბ. 102.35 – ბეგომ მოუქნია ცხენს.

კინი კარი მოუკილეესგ – ყიფშ. 49. – ისევ უკან კარი მოუკეტეს.

ღურაში მუახლოება – ყიფშ. 78.29 – სიკვდილის მოახლოება.

ქუმოპიდი ათე სქანი ლაკვია! – ხუბ. 7.10 – მომყიდე ეს შენი ლეკვიო.

როგორც აღვნიშნეთ, მეგრულში **მო-** წინდებული I პირისაკენ მიმართულებას აღნიშნავს, II პირისათვის კი, ისევე როგორც III პირისათვის, **მე-** გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ **მო-**ც შეიძლება შეგვხვდეს.

მა მოიღანთია საერთო ოჭკომალსია – ხუბ. 306.19 – მე მოგიტანთო საერთო საჭმელსო.

პატონქგ მოგიჩინგ – ყიფშ. 99.13 – ბატონმა შემოგითვალა.

ონჯღორეს მუგოძირუა! – ხუბ. 327.6 – სირცხვილს გაჩვენებ!

მო- წინდებულიანი ზმნები, სადაც **მო-** მიმართულებას კი არ აღნიშნავს, არამედ ფუძეს მნიშვნელობას უცვლის, მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, ძალიან ბევრია და მაინცდამაინც განსხვავებულს, საყურადღებოს არაფერს არ უნდა იძლეოდეს.

თანხმოვნის წინ **ე-** უცვლელადაა.

მით თე გირას ე ჯ ო ფ უ ნ ს... – ხუბ. 3.13 – ვინც ამ გირს ასწევს.

ჩვეულებრივ **ე-** უცვლელადაა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მას მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ:

თოლქ ჩილამურით ე მ ა ფ შ უ – ხუბ. 319.17 – თვალი ცრემლით ამევსო.

მხოლოდ იშვიათად **ე-** წინდებული იძლევა **ი**-ს, როდესაც ფუძის ხმოვანი არის **ა** ან **ო**.

მა ი ვ ო ღ ა (ხეს) ჩქიმი ხენწიფალასია – ხუბ. 1.16 – მე ავიღებ (ხელს) ჩემს ხელმწიფობაზეო.

ე- ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ ისეთსავე ცვლილებებს განიცდის, როგორსაც **მე-** წინდებული.

ე + ა 1. ეა...
2. ია...
3. ეია...

1. **ეა**... ფონეტიკური ცვლილება არ ხდება.

ე ა რ თ გ ხუჩქ – ხუბ. 70.25 – აექცა მხარი.

2. **ია**... წინამავალი ვიწრო ხმოვანი კიდევ უფრო დავიწროვდა.

თორქგ წყარით ი ა ფ შ გ – ყიფშ. 32.32 – თვალი წყლით (ცრემლით) აევსო.

3. **ეია**... **ი** ხმოვანი ჩაერთვის წინდებულსა და ფუძის ხმოვანს შორის. წინდებული უცვლელად რჩება.

მისგთი ე ი ა ნ წ ყ ე ნ ი... – ყიფშ. 75.33 – ვისაც რომ ამოხსნა შეუძლია.

ე + ო > 1. იო...
2. ეო...
3. ეიო...
4. ეეო...

1. **იო**... აქაც წინდებულის ხმოვანი დავიწროებულია.

ხე ი ო ღ ი სქანი სახენწიფოსია – ხუბ. 1.14 – ხელი აიღე შენს სახელმწიფოზეო.

თიში ი ო ნ წ ყ გ მ უ შ ა ვორექგ გინოლაფირია – ყიფშ. 76.23 – იმის ამოსახსნელად ვარ გადავარდნილიო.

2. **ეო**... წინდებულის ხმოვანი კიდევ უფრო ვიწროვდება.

წყარი ე ო ბ ე ს ჟირხოლოქ – ხუბ. 272.5 – წყალი ამოიღეს („ამოასხეს") ორივემ.

3. **ეიო**... **ი** ხმოვანი აქაც ჩაერთვის წინდებულსა და ფუძის ხმოვანს შუა.

მუზარბიისგ მუ ე ი ო დ გ ი ნ ა ნ დ გ – ყიფშ. 60.8 – მუზარბიის რა აღადგენდა (მკვდრეთით).

4. **ეეო**... ჰირქა ე ე ო ფ შ გ ღვინით – ხუბ. 92.3 – ჰიქა აავსო ღვინით.

წინდებული უცვლელად რჩება, ისევე როგორც **მე**- წინდებული ფუძის **უ** ხმოვნის წინ.

თოლი გუუთელგ დო ე უ ხ ი ლ გ – ყიფშ. 44.31 – თვალი გაუმრთელა და აუხილა.

გუდა ე უ ფ შ ი თ გ! – ყიფშ. 20.25 – გუდა აუვსეთ!

ე + ი > 1. ეი...
2. ეე...

1. **ეი**... უცვლელადაა წინდებული.

ე ი ყ ა რ ე ს დო მიდართეს – ხუბ. 7.5 – აიყარნენ და წავიდნენ.

ე ი კ ი ნ ე ს დო ჩხუბიშა ქომიწურეს დუდი – ხუბ. 42.10 – აიღეს და ჩხუბში ამოჰყვეს თავი.

მუთ ე ი ჭ ო ფ ე დ ჯიბეთ ფარან, თენა გეჭოფგ – ხუბ. 39.24 – რაც აიღებოდა ჯიბით ფული, ის აიღო.

2. **ეე**... წინდებული, აგრეთვე, უცვლელად რჩება, მაგრამ იმსგავსებს მომდევნო ხმოვანს:

ე ე ყ ა რ გ ძღაბიქგ – ყიფშ. 92.22 – აიყარა გოგო.

ე ე ჩ ე მ გ – ყიფშ. 6.7 – აიჩემა.

ე- წინდებულის წინ **ვა**- ნაწილაკი ყველა შემთხვევაში → **ვე**-ს.

ვოჯანგქ, ვე ე მ ა დ გ ი ნ ე – ყიფშ. 163.20 – ვწევარ, ვერ ავდგები.

ვ ე ი ო დ გ ი ნ ა თ! – ხუბ. 358.24 – არ ააყენოთ!

ისტორიაქ ვ ე ი ა ნ წ ყ ი ნ გ ძღაბის და... – ხუბ. 81.20 – ისტორიას თუ ვერ ამოხსნის გოგო...

ე- წინდებული მეგრულისა მნიშვნელობით უდრის ქართულის **ა(ღ)**- წინდებულს და ასევე ითარგმნება.

ზოგჯერ **ე**- საპირისპირო მნიშვნელობის **და**- წინდებულითაც გადმოდის ქართულში.

თექ გერჩქინდუ ნდიქით. ე რ ჩ ქ ი ნ დ უ, მარა მუქ ე რ ჩ ქ ი ნ დ უ – ხუბ. 4.29 – იქ გაჩნდა („დაჩნდა“) დევიც. გაჩნდა („დაჩნდა“), მაგრამ რა გაჩნდა („დაჩნდა“).

ა-

ე- წინდებულს ზოგჯერ **ა**- ენაცვლება:

ა ა ყ ა რ ე ს ძღაბი, ქიმკუყუნეს შეფაში სტოლცგ – ყიფშ. 92.9 – წაიყვანეს („აყარეს“) გოგო, შემოატარეს სეფას. შდრ.: ე ი ყ ა რ ე ს დო მიდართეს – ხუბ. 7.5.

მაგრამ **ა**-ს ყოველთვის ვერ შევცვლით **ე**- წინდებულით:

შარასგ ა უ ხ ვ ა დ ე ს გ ნ ი – ყიფშ. 17.2 – გზაზე რომ შეხვდნენ.

ამ ზმნაში **ე**- წინდებული არ გვხვდება.

თანხმოვნის წინ **გე-** წინდებული უცვლელი სახითაა, იქნება ეს თანხმოვანი ფუძისეული თუ პრეფიქსი.

თანხმოვანი პრეფიქსია:

თუთუმი გებშვათია... გეშვეს – ყიფშ. 13.19.20 – თუთუნი მოვწიოთო... მოწიეს.

მა გებდირთუქ, თენა ქიდირულუანსიე – ხუბ. 174, – მე ავდგები, ის რომ დაიძინებსო.

თანხმოვანი ფუძისაა:

გედირთგ დო მიდართგ – ყიფშ. 69.10 – ადგა და წავიდა.

ქგდიიჭყგ მეგამა დო გებირუა – ყიფშ. 99.4 – დაიწყო დაკვრა და დამღერება.

გე- წინდებულის ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს, თუ მას მოსდევს S_1-ის, $O_{1,2}$-ის პრეფიქსები მომდევნო **ა, ო** ხმოვნით, ან რომელიმე პრეფიქსი თანხმოვნისა და მომდევნო ხმოვნის შემცველი (მაგალითად – მიმღეობის პრეფიქსი **ნო-**). ასეთ შემთხვევაში:

გე > 1. გი...

2. გგ...

1. **გე** > **გი**...

გლახა დღას გიგორინუანც – ყიფშ. 80.22 – ცუდ დღეს დაგაყენებს.

ცხენს მართახი გივაშქვი – ხუბ. 42.26 – ცხენს მათრახი დავკარი.

2. **გე** > **გგ**...

მითინ ტერქ გგმოჭიშეს – ხუბ. 268.5 – ვიღაც მტერი მოგვეწია.

გგვოლინუანქია ათაქია – ხუბ. 130.5 – აქ შემოვატარებო.

გგმაშინენი, მანგარგნენი-შო – ყიფშ. 145.17 – რომ გამახსენდება, მეტირება-თქო.

გე- არ იცვლის ხმოვანს, თუ პრეფიქსის მომდევნო ხმოვანი **ი** ან **ე** არის:

შორი შარა გემიძგ – ყიფშ. 188.8 – დიდი გზა მიძევს.

თაქ გემიცადითია – ხუბ. 113 – აქ დამიცადეთო.

თუმცა უცვლელი სახით დანარჩენ შემთხვევებშიც ხშირია **ე, ი** მაშინ, როდესაც პრეფიქსს მოსდევს არა **ი, ე** ხმოვნები, არამედ **ა, ო** ხმოვნები.

თხუ მენძელს – გემოსერაფევა – ხუბ. 117.31 – სთხოვა მასპინძელს – გამათენებინეო (ღამე).

ბოში, მუ რე გეგორთუნი – ხუბ. 335.19 – ბიჭო, რა არის, რომ გახურავს.

ეშე გევოცთანქია – ხუბ. 116.36 – ზევით ავაგდებო.

ხშირად **გე-** წინდებული **გეე, გე**-ს სახით დასტურდება:

1. **გეე**...

ხვითოეფი გეეკოროგ – ყიფშ. 25.22 – ხვითოები შეკრიბა (ზედმიწ. „აკრიფა").

მუთ ქომიღუნი, გეეჭარი! – ყიფშ. 165.17 – რაც მაქვს, აღწერე!
კოჩქ გეეჭოფუ გუდა ღვინი – ყიფშ. 17.3 – კაცმა აიღო ტიკი ღვინო.
ოჭუმარესგ გეედგრთესგ – ყიფშ. 67.27 – დილას ადგნენ.
2. **გე̄**...
წყარი გე̄შგ – ხუბ. 145.4 – წყალი დალია.
გალია გე̄ჭოფგ – ხუბ. 134.13 – გალია აიღო.
ორივე შემთხვევა საკმაოდ ხშირია.

ხომ არ არის **გეე-**, **გე̄-** **გე-** წინდებულის მომდევნო ფუძისეულ ხმოვანთან ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებული? მაშინ რა ხმოვანი უნდა ვივარაუდოთ ფუძისეულად? ეს ხმოვანი ფონეტიკურად მოსალოდნელია იყოს **ე** ან **ი**.

გეე, **გე̄** დასტურდება როგორც მოქმედებითი გვარის (გე̄ჭოფგ „აიღო“, გე̄შგ „დალია“...), ისე ვნებითი გვარის ზმნებთან (გე̄ცალგ „გაგიჟდა“...). მოქმედებითი გვარის ზმნებთან მოსალოდნელია **ი** სათავისო ქცევის ნიშნად, ხოლო ვნებითი გვარის ზმნებთან **ი** და **ე** ვნებითის ნიშანი. ე. ი. **გეე**, **გე̄**-იანი ფორმები, ყველა ან სათავისო ქცევისაა, ან ვნებითი გვარისა. ამას საეჭვოს ხდის ჯერ ერთი, ზოგი ზმნის აგებულება და, გარდა ამისა, ასეთი შემთხვევაც:

მა ღაჭალი გეემიჭყუა – ყიფშ. 44, – მე ჩხუბი დამიწყოო.

პირის ნიშანი **მ-** **გეე**-ს შემდეგაა, მას მოსდევს ფუძის ხმოვანი **ი**-, რომელიც სასხვისო ქცევის ნიშანია. სხვა ფუძისეული ხმოვანი ფუძის თავში არ არის მოსალოდნელი, მით უმეტეს, პირის ნიშნის წინ.

ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ **გეე-** (ასევე **გე̄-**) წინდებულია. იგივე **გე-** წინდებულია, თუ სხვა რამ, იგი იმავე შემთხვევებში, იმავე ფუძეებთან გვხვდება, სადაც, ჩვეულებრივ, **გე-** წინდებული გვაქვს. ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან ისე, რომ არავითარ განსხვავებას, მნიშვნელობის მხრივ, არ იძლევიან. მაგალითად: გეჭოფუ და გეეჭოფუ „აიღო და აიღო“, გე̄დირთგ და გედირთგ „ადგა და ადგა“ და სხვ.

ერთი რამ არის საფიქრებელი. ხომ არ არის **გეე-**, **გე-** **ე-** წინდებულზე **გე-** წინდებულის დართვით მიღებული. ეს, მით უმეტეს, საფიქრებელია, რომ ამ ფუძეებთან, სადაც **გეე**, **გე̄** დასტურდება, გვხვდება **ე-** წინდებულიც. მაგალითად: ეჭოფუ, გეეჭოფუ, ედირთუ, გეედირთუ და სხვ.

ა ფუძისეული ხმოვნის წინ **გე-** წინდებული ხან უცვლელი სახით გვხვდება, ხან კი – შეცვლილი.

გე + ა > გია...

ძღაბის გიასიზმარუ – ხუბ. 6.9 – გოგოს დაესიზმრა.

სოდე იდას, გიათხოზია – ხუბ. 109.5 – სადაც წავიდეს, დაედევნეო.

ხშირად წინდებულსა და ფუძის ხმოვანს შორის ჩაერთვის გასაყარად **ი**, რომელიც **ი**-ს გვაძლევს უფრო იშვიათად. მაშინ ზმნისწინი უცვლელი სახითაა.

გე + ა > გეია...

გეიანწყგ და, ... – ყიფშ. 75.9 – თუ ამოხსნის...

ო ფუძის ხმოვნის წინ **გე-** წინდებულის **ე** ხმოვანი ვიწროვდება **ი**-დ.

გე + ო > გიო...

უჩა დღა გიორინეს – ხუბ. 156.38 – შავი დღე დააყენეს.

ირ ქონებაქ გიოსქიდგ მუს – ხუბ. 238.19 – მთელი ქონება დარჩა მას.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც წინდებული უცვლელად რჩება **ო** ხმოვნის წინ.

გე + ო > გეო...

მეღეჯქე ჭა ხანც გეორჩანგ – ყიფშ. 90.2 – მეღორემ ცოტა ხანს იზარმაცა.

წინდებული უცვლელად რჩება მაშინ, როდესაც წინდებულის **ე** ხმოვანსა და ფუძის **ო** ხმოვანს შორის თავს იჩენს ხმოვანთგამყარად **ი**, რომელიც ზოგჯერ **ჲ**-ს სახითაა წარმოდგენილი ხმოვანთა შორის.

გე + ო > გეიო...

შქა დიხას ღუდე გეიოგესგ – ყიფშ. 54.1 – შუა ადგილას სახლი აიგეს.

გეიოღოთუ, წყარს გიოყოთუ – ყიფშ. 5.26 – ჩააგდო, წყალში ჩააგდო.

ერთსა და იმავე კონტექსტში პირველ შემთხვევაში ხმოვანთგამყარი ჩაერთო და წინდებულის ხმოვანი უცვლელად დარჩა, მეორე შემთხვევაში – არ ჩაერთო და წინდებულის ხმოვანი შეიცვალა.

ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია. უფრო იშვიათია:

1. გეჲო..

გეჲოლ შუმილი კოჩქ – ხუბ. 58.5 – ავარდა ნასვამი კაცი.

უ ფუძისეული ხმოვნის წინ **გე**- წინდებული, ჩვეულებრივ, უცვლელადაა.

გე + უ > გეუ...

ხენწიფეს გეუდგდგ ართი სადგომი – ყიფშ. 63.4 – ხელმწიფეს ედგა ერთი სადგომი.

გე + ი >1. გეი...

2. გიი...

3. გი...

1. **გეი**...

ირიფელქ გეიღარგ – ყიფშ. 31.30 – ყველაფერი აირია.

2. **გიი**...

კოჩური ქუდი გიითვინი – ხუბ. 349. – კაცური ქუდი რომ დაიხურე.

3. **გი**...

შარას გისერუ ვეზირქ კინი თი ოსურიშ ღუდეს – ხუბ. 143.33 – გზაზე გაითენა ვეზირმა ისევ იმ ქალის სახლში.

ქო- ნაწილაკდართული წინდებული თითქმის ისეთივე სახით გვხვდება, როგორც ქო- ნაწილაკდაურთველი. იგი იცვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მოსდევს პრეფიქსი რომელიმე ხმოვნით, მაგრამ ცვლილება აქ შესაძლებელია უფრო შორს წავიდეს, ვიდრე **ქო**- ნაწილაკდაურთველად გვაქვს.

ქო- ნაწილაკდაურთველებთან ასეთ შემთხვევაში **გე**-ს ხმოვანი **ი**-დ ან **გ**-დ ვიწროვდება ხოლმე, **ქო**- ნაწილაკდართულებთანაც, ჩვეულებრივ, ასეა:

თქვათი ქეგიმაცუნითია – ყიფშ. 31.15 – თქვენც გამომყევითო.

თე რაშიშა ქიგგახუნუა და – ყიფშ. 61.31 – ამ რაშზე თუ შეჯდებიო.

მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც **გე**-ს ხმოვანი სრულიად გაუჩინარებულია:

ათენა ქეგმაშქვია დუსია! – ხუბ. 150.31 – ეს დამკარი თავშიო!

ჩქი ქიგმანთხეს... მაცვილარო – ხუბ. 101.1 – ჩვენ დაგვესხნენ... მოსაკლავად.

გე- ზმნისწინის ხმოვნის სრულიად დაკარგვის შემთხვევა **ქო**- ნაწილაკდაურთველად არ დასტურდება.

გე- წინდებულზე დართული **ქო**- ნაწილაკი უცვლელი სახით არ დასტურდება. მისი ხმოვანი ემსგავსება მომდევნო წინდებულის ხმოვანს და გვაძლევს: **ქო – გე → ქეგე**... ხშირად ეს ხმოვანი ვიწროვდება **ი**-დ, ან **გ**-დაც და იძლევა ქიგე- ქგე...-ს.

1. **ქეგ**... ასეთი სახით დადასტურებულია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც წინდებულის შემდეგ მოცემულია თანხმოვანი პრეფიქსი ხმოვნით.

ქეგემიდვი – ხუბ. 319.22 – დამიდე (ზედმიწ. „ქედამიდევი“).
ქეგიმაცუნითია! – ყიფშ. 31.16 – გამომყევითო! ქეგმაშქვია! – ხუბ. 150.31 – დამკარიო!

2. **ქიგ**...

კიბირი ქიგებდგიე – ხუბ. 295.24 – კბილი დავადგიო.
ოდა ქიგედგგნი – ყიფშ. 75.17 – სახლი რომ დგას.
ურენს ქიგიმოხუნეს – ყიფშ. 154.25 – ურემზე დამსვეს.

3. **ქგგ**...

ქგგედვი! – ყიფშ. 176.21 – დადე!

ქო- ნაწილაკდართული **გე**- წინდებული **ა** ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ იცვლება **გი**-დ, **ქო**- ნაწილაკი ემსგავსება წინდებულის ხმოვანს და იძლევა **ქი**-ს.

1. **ქეგია**...

ქეგიაშქვეს – ყიფშ. 104.19 – დასცეს.

2. **ქიგია**...

ქიგიანთხგ – ხუბ. 62.22 – დაეცა.

ქო- ნაწილაკდართული **გე**- წინდებულსა და ფუძის **ო** ხმოვანს შორის იგივე ცვლილება ხდება, რაც **ქო**- ნაწილაკის დაურთველად.

ქო – გე + ო > ქეგიო...

თვითონ **ქო**- ნაწილაკის ხმოვანი ასიმილირებულია მომდევნო წინდებულის ხმოვანთან და ზოგჯერ დავიწროებულია **ი**-დ ან **გ**-დ არის დასუსტებული.

1. **ქეგიო**...

კუჩხი ქეგიობიჯგე და – ყიფშ. 180.23 – ფეხს თუ დაადგამ.

2. **ქიგიო**...

ქიგიობუ – ყიფშ. 102.27 – დაასხა.

3. **ქგგიო**...

წყარც ქგგიოხვილუუ – ყიფშ. 71.32 – წყალში შენიშნა.

არის შემთხვევა, როდესაც **ქო – გე + ო > ქუგიო**-ს.

იში რაშის ცირა ქუგიოხუნუ – ყიფშ. 91.2 – მის რაშზე ქალიშვილი შესვა.

ქო + გე + ო ისეთ შემთხვევებსაც ადასტურებს, რაც **ქო**- დაურთველად არ გვხვდება.

ქგგაანგარდგ – ყიფშ. 51.9 – დასტიროდა.

ნაფთი ქიგჳბეს – ხუბ. 271.10 – ნავთი დაასხეს.

ნაფთი ქგგჳბით! – ხუბ. 271.1 – ნავთი დაასხით!

ქუგაბუ ნაფთი დო დოჭუ – ხუბ. 5.7 – დაასხა ნავთი და დაწვა.

ქო- ნაწილაკდაურთველისაგან განსხვავებით დადასტურებულია **გე**- წინდებულის ხმოვნის ფუძის ხმოვნის გავლენით გალაბიალება:

ქო + გე + უ > ქოგოუ...

გვირგვინი ქიგოუდგეს – ყიფშ. 7.3 – გვირგვინი დაადგეს.

მოინალეთ ქიგოურინეს – ყიფშ. 166.13 – მომვლელად დაუყენეს.

შდრ.: ე კოჩქ ქომოლიკოჩანას გუუდირთგ იარაღით – ყიფშ. 46.14 – ეს კაცი ვაჟკაცობას შეუდგა იარაღით.

თვითონ **ქო**- ნაწილაკი შემდეგნაირ ცვლილებებს განიცდის:

1. **ქო + გე + უ > ქეგეუ, ქეგუ**...

ხეშკეტეფიშა ქეგეუკირაფუნა – ყიფშ. 12.9 – საკაცეზე დაუკრავთ.

გურგინი ქეგუდგეს – ხუბ. 61.17 – გვირგვინი დაადგეს.

2. **ქო + გე + უ > ქიგეუ, ქიგოუ, ქიგუუ, ქიგუ**...

ყარული ქიგეურინესკონი – ხუბ. 282.28 – ყარაული რომ დაეყენებინათ.

ქიგოურინეს – ყიფშ. 166.13 – დაუყენეს.

გირგვინითი ქიგუუდგეს – ყიფშ. 45.24 – გვირგვინიც დაადგეს.

გურგინი ქიგუდგეს – ხუბ. 83.10 – გვირგვინი დაუდგეს.

3. **ქო – გე + უ > ქეგუუ, ქუგუ, ქუგუ**...

ქუგუუდირთგ – ყიფშ. 46.28 – სამივე ვარიანტითაა წარმოდგენილი ეს ზმნა: ქუგუდირთგ – ხუბ. 217.17, ქუგუდირთეს – ხუბ. 144.3.

გე- წინდებულსა და მომდევნო **ი** ხმოვანს შორის როცა წინდებულს **ქო**- ერთვის, სავსებით ისეთივე ცვლილებებია, როგორიც **ქო**- ნაწილაკდაურთველ წინდებულებთან გვაქვს.

თვითონ **ქო**- ნაწილაკი იცვლება ასე:

1. ქო + გე + ი > ქეგეი, ქეგი...

ქეგეიდგუნქია – ხუბ. 51.8 – დაგიდგამო.

ქეგიდუ – ყიფშ. 22.11 – დაიდო.

2. ქო + გე + ი > ქიგეი, ქიგიი, ქიგი, ქიგი-ს.

ოკო ქიგეიდგე – ყიფშ. 103.5 – უნდა დაგიდგა.

ქიგიჭკადანც – ხუბ. 173.8 – გარშემო შემოიჭედებს.

ქიგიბუ – ხუბ. 5.31 – დაისხა.

3. ქო + გე + ი > ქ ე გ ი...

ქ ე გ ი ბ უ ნ უ – ხუბ. 303.30 – დაიბა.

ვა- დართულები განსხვავებულია **ვა**- დაურთველებისაგან.

ვა + გე + ი > ვ ე გ ე...

კამბეშიშ ტყების გეჯანუდეს დო ვ ე გ ე ნ ტ ი რ ე ს – ხუბ. 111.8 – კამეჩის ტყავზე იწვნენ და ვერ დაეტივნენ.

ვ ე გ ე მ დ ი ნ უ ა მავა – ხუბ. 113.12 – არ შემიწირო (არ დამკარგო შენ გამო).

ვა- იძლევა თითქმის ყოველთვის **ვე**-ს. მხოლოდ იშვიათად შეიძლება დარჩეს უცვლელად.

გე- წინდებული მიუთითებს მიმართულებას ზევიდან ქვევით და შეესატყვისება ქართულის **და**- წინდებულს მნიშვნელობით.

ჩხომქ... წყარიშე გ ე შ ა ს ხ ა პ უ დო სქირჳს ქიგიანთხჳ – ყიფშ. 48.1 – თევზი მდინარიდან ამოხტა და მშრალზე დახტა.

ცაშე უშქურს მოლურთუმჳ. ოშქარ ბღაბიშ კართეს ქ ი გ ე ლ ა ფ ე – ხუბ. 238.24 – ციდან ვაშლი წამოსულა. შუათანა გოგოს კალთაში ჩავარდნილა.

რაშის მართახი ქ ი გ ი ა შ ქ ვ ი! – ყიფშ. 88.1 – რაშს მათრახი დაჰკარი!

ქუაში წვანს ქ ი გ ი ა ნ თ ხ ჳ დო იში ქიგეღურჳ თექ – ხუბ. 62.30 – ქვის წვერზე დაეცა და... მოკვდა (ზედმიწ. „დაკვდა“) იქ.

ობრიქჳ... ხოლო ქ ე გ ი ო ფ უ რ ი ნ ჳ თე ბოშის ხუსჳ – ყიფშ. 37.25 – ორბი... ისევ დააფრინდა ამ ვაჟს მხარზე.

ართი სენს ჩქიმოთ გ ი ო ბ ი ჩილამური! – ხუბ. 11.30 – ერთ საინზე ჩემთვის დაასხი ცრემლი!

კისერს სათი გ ი გ ო ბ უ ნ ი – ხუბ. 341.7 – კისერზე რომ საათი გაქვს დაკიდებული.

სატევარი... გ ი ო ბ ი ჯ ჳ კისერს თათრაყანიქ – ხუბ. 104.15 – სატევარი... დააბჯინა კისერზე თათარყანმა.

ქ ე გ ა ა ნ გ ა რ დ ჳ – ყიფშ. 61.9 – დასტიროდა.

ლევანქ... დუდი ქ ი გ ე დ უ თე ბალიშის – ხუბ. 13.28 – ლევანმა... თავი დადო ამ ბალიშზე.

მიმართულებას (ქვევით) არ გამოხატავს, მაგრამ ქართულად **და**-თი გადმოდის:

ქ ე დ ი ე ჭ ყ ჳ მეგამა დო გ ე ბ ი რ უ ა – ყიფშ. 89.4 – დაიწყო დაკვრა და დამღერება.

ონდღეშა გ ე უ ც ა დ ე ს – ხუბ. 270.26 – შუადღემდე დაუცადეს.

გ ი რ ც ხ ო ნ უ ფრიმული – ხუბ. 155.6 – დაივარცხნა წვერი.

ირ ქონებაქ გ ი ო ს ქ ი დ ჳ მუს – ხუბ. 238.19 – მთელი ქონება მას დარჩა.

მაჟია სერს გ ი ა ს ი ზ მ ა რ ჳ – ხუბ. 300.29 – მეორე ღამეს დაესიზმრა.

ქართული **და**- წინდებულის მნიშვნელობაში ორი მომენტია: პირველი – ძირითადი: ქვევით მიმართულების ჩვენება, მეორე – ქვევით სიბრტყეზე და არა შიგნით, რამეში, რასაც **ჩა**- წინდებული აღნიშნავს.

გე- წინდებული **და**-ს შეესატყვისება და ზოგჯერ **გე-** წინდებულის მნიშვნელობაში მეორე მომენტია წარმოდგენილი ხაზგასმით და პირველი – ქვევით მიმართულების აღნიშვნა არ ჩანს, ანდა მკრთალად ჩანს. განსაკუთრებით, თუ ზმნა სტატიკურია.

გე- სიბრტყეზე მდებარეობას ან მოქმედებას მიუთითებს:

სივა მა დუდშა გემიხექია – ხუბ. 242.6 – შენო მე თავზე მიზიხარო.

იში რაშის ცირა ქუგიოხუნუ – ყიფშ. 31.2 – მის რაშზე ქალიშვილი დასვა.

ურენს ქიგიმოხუნეს – ყიფშ. 154.25 – ურემზე დამსვეს.

ქა გეჩანსი – ხოჯი ვა რე – ყიფშ. 184.17 – რქა აქვს (ზედ) – ხარი არ არის.

ტყეების ქიგეჯანგ ჩილი დო ქომონჯი – ხუბ. 110.37 – ტყავზე წვანან ცოლი და ქმარი.

მართახით ოჭიში გემიჭვესია – ხუბ. 162.4 – მათრახით ზურგი ამიწვესო („დამიწვესო").

ქაღარდის ქიგიოჭარგ – ხუბ. 273.30 – ქაღალდზე დააწერა.

ურემცგ ქიგიონწკარგ – ყიფშ. 78.6 – ურემზე დაამწკრივა.

გო-

გო- თანხმოვნის წინ უცვლელადაა:

ისგ გეუნჭირა კუჩხისგ დო გობჭყილიტგ – ყიფშ. 19.4 – მას დავაჭერ ფესს და გავჭყლეტ.

გოტყვაცგ დო გოვალგ დო გოგურგინუ – ყიფშ. 37.33 – იჭექა და იელვა და იგრგვინა.

გოთანდუ ჟაშხა დღაქ – ხუბ. 6.14 – გათენდა კვირა დღე.

წინდებულის ხმოვანი, როგორც წესი, ვიწროვდება **უ**-დ და მერე, შესაძლებელია, **ი**-დ დასუსტდეს, თუ მას მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ა, ო** ფუძისეული ხმოვნით.

ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში უცვლელადაც რჩება წინდებული.

ყოველთვის უცვლელადაა, თუ ფუძის ხმოვანი არის **ი**.

1. **გუმ**...

„აკა სერი გუმოთანაფეთია!" – მუნერო გუგოთანაფუა?" – ხუბ. 2.7 – „ერთი ღამე გამათენებინეთო!" „როგორ გაგათენებინო?"

ენას მუთუნ ველაძუნია გუვოჯინიე – ხუბ. 49.26 – ამაში არაფერი მევსო, რომ ვნახეო.

გუმაშინე ჩქიმი ჭუა – ხუბ. 323.24 – მახსენდება ჩემი სატკივარი.

2. **გგმ**...

„სერი გგმოთანაფეთია!" – ხუბ. 143.14 – ღამე გამათენებინეთო!

ჩქიმი ოსურს თაქ გგვორჩქინა – ხუბ. 16.37 – ჩემს ცოლს აქ გავაჩენ.

მუ ღორონთქ გგმაჭყორგ – ყიფშ. 159.14 – რა ღმერთი გამიწყრა.

წინდებული უცვლელადაა:

ტვერიშორო გოგოჩქვანქია – ყიფშ. 40.11 – მტვერსავით გაგხდიო.

ღორონთქ გ ო მ ა ჭ ყ ო რ უ ა – ყიფშ. 42.25 – ღმერთი გამიწყრაო.
ფუძისეულ ხმოვნად არის **ი**:
კარი გ ო მ ი ნ ჯ ი ა! – ყიფშ. 49.29 – კარი გამიღეო!
გ ო მ ი რ თ ი სიმინდია! – ხუბ. 48.8 – გამიყავი სიმინდიო!

გო- ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ:

გო + ა >1. გუა...
2. გაა...
3. გა...

1. **გუა**...
ათაქინე გ უ ა კ უ რ ც ხ ი ნ გ – ყიფშ. 5.33 – აქ გაეღვიძა.
2. **გაა**...
ირიფელქგ გ ა ა ჭ ყ ო რ დ გ – ყიფშ. 59.24 – ყველაფერი დაავიწყდა.
3. **გა**...
ხენწიფეს გ ა ძ ი ც ი ნ უ – ხუბ. 1.21 – ხელმწიფეს გაეცინა.

გო + ო > 1. გაა...
2. გ̃...
3. გა...

1. **გაა**...
კარი გ ა ა ნ ჯ ი ა! – ხუბ. 302.17 – კარი გააღეო!
2. **გ̃**...
გ ̃ ნ ჯ ე ს კარი – ხუბ. 131.15 – გააღეს კარი
3. **გა**...
შური გ ა ღ ო თ ი ნ ა ფ უ უ ნდემცი – ყიფშ. 63.25 – სული გააცხებინა (ზედმიწ. „გააგდებინა“) დევს.

გო + უ > 1. გოუ...
2. გუუ...
3. გუ̃...
4. გუ...

1. **გოუ**...
კარი გ ო უ ნ ჯ ი ა! – ყიფშ. 42.27 – კარი გაუღეო!
2. **გუუ**...
კოკა გ უ უ ტ ა ხ გ – ყიფშ. 31.8 – კოკა გაუტეხა.
3. **გუ̃**...
ბოში გ უ̃ ტ უ̃ – ხუბ. 5.1 – ვაჟი გაუშვა.
4. **გუ**...
გ უ ტ ე ს ზღვაშა – ხუბ. 13.38 – გაუშვეს ზღვაში.

გო + ი > 1. გიი...
2. გ̃ი...
3. გი...

1. **გიი**...

საქონელი გ ი ი რ თ ე ს – ყიფშ. 67.7 – საქონელი გაიყვეს.

2. **გრ**...

ბოშიქ პიჯ გ რ ქ ო ს უ – ხუბ. 171.31 – ვაჟმა პირი გაიმშრალა.

3. **გი**...

ძღაბიქ გ ი ძ ი ც უ – ხუბ. 216.6 – გოგომ გაიცინა.

გო-ზე დართული **ქო**-ს ხმოვანი ვიწროვდება **უ**-დ და ზოგჯერ **გ**-დ სუსტდება.

შესაძლებელია, უცვლელიც დარჩეს.

ვა- ყოველთვის უცვლელადაა.

მნიშვნელობით უდრის ქართულის **გა**-ს.

წყარი ქოძირ. ენა გ ო ჩ უ რ უ – ყიფშ. 27.30 – წყალი ნახა. ეს გაცურა.

გ ა ჯ ღ უ ნ ე ს ცნობეფი ირ ქალაქეფიშა – ხუბ. 292.17 – გაგზავნეს ცნობები ყველა ქალაქში.

გ ო ს ო ფ უ ე ძაფი – ხუბ. 2.21 – გაწყვიტა ეს ძაფი.

შქააბანს გ ო ჭ კ ი რ გ – ყიფშ. 27.25 – შუა ადგილას გაჭრა.

გ უ უ კ ვ ა თ გ ნ ქ გ ქორას ათე ჩხომსგ – ყიფშ. 48.2 – გავუკვეთ მუცელს ამ თევზს.

სქანი ვადა გ უ ლ ი რ ი ენია – ხუბ. 237.24 – შენი ვადა გასულიაო.

გ ი ი ლ ე ს, მიილესგ – ყიფშ. 88.25 – გაიარეს, გამოიარეს.

გ ი ლ ე ს ვიშო, აშო – ხუბ. 4.23 – გაიარეს იქით, აქეთ.

ზოგჯერ **გო**- წინდებულიანი ზმნა გარშემო მოძრაობას თუ მოქმედებას გამოხატავს:

შორშე გ უ გ ა ლ უ ა ფ უ დ ი – ხუბ. 310.1 – შორიდან გევლებოდი (გარშემო).

ვითოჟირი სქუა პუნსია... თინეფ სქანდა გ ო მ ი ლ უ ა ფ უ ნ ი ა – ხუბ. 165.30 – თორმეტი შვილი მყავსო... ისინი შენთვის შემომივლიაო.

სიზგმარო სი გორწყექ დო ცხადო გ ო გ ი ლ უ ა დუს – ხუბ. 330.5 – სიზმრად შენ გხედავ და ცხადად შემოგავლებ თავს.

ხშირად მიმართულებას არ უჩვენებს, გამოხატავს მხოლოდ ასპექტს. ქართულად, ჩვეულებრივ, **გა**- წინდებულით გადმოიცემა, ზოგჯერ სხვა წინდებულითაც.

მაჟია დღაქ გ ო თ ა ნ დ გ – ხუბ. 301.19 – მეორე დღე გათენდა.

ჩქიმი ბანტით კითი გ ო ვ უ კ ი რ ი – ყიფშ. 100.29 – ჩემი ბანტით თითი გავუკარი (შევუკარი).

გ ო ლ ა ს ი რ უ ლეკური – ყიფშ. 11.22 – გალესა ხმალი.

მუმაქ გ ო ლ ა ხ გ სქუა - ყიფშ. 11.11 – მამამ გალახა შვილი.

ხოჯეფი გ ო ტ ყ ა ზ ა რ ე ს – ხუბ. 264.30 – ხარები გაატყავეს.

ბოშის გ ა ჭ ყ ო რ დ გ ირფელქ – ხუბ. 134.12 – ვაჟს დაავიწყდა ყველაფერი.

გ ო გ უ რ გ ი ნ გ მუდგაქირენ – ხუბ. 58.6 – იგრგვინვა რაღაცამ.

მავა გ ო გ უ რ უ ა ნ ქ ი ა გვალო ჯგირისია – ხუბ. 263.16 – მეო გასწავლიო ძალიან კარგსო.

ვარდიქ გ უ მ ა ჯ ო გ გ – ხუბ. 325.16 – ვარდი შემძულდა.

მნიშვნელობით იგივეა, რაც ქართული **გა-**. იგივე წინდებულია. თანხმოვნის წინ:

არმა გახარებული ორდეს – ხუბ. 13.5 – ყველა გახარებული იყო.

გაიკვირდუა სიავა – ხუბ. 256.11 – გაგიკვირდაო შენო.

გაიკვირდუა ← გა-გ-იკვირდუა.

სუბიექტის I პირის **ვ**-ს **გო**- წინდებულის ხმოვანი ემსგავსება და **უ**-ს გვაძლევს.

მუგუვაგრძელა – ყიფშ. 83.33 – რა გავაგრძელო...

შეფა გუვაკეთათია – ხუბ. 132.12 – სეფა გავაკეთოთო.

თანხმოვანი პრეფიქსის წინ (რომელსაც **ა, ო** მოსდევს) შეიძლება უცვლელადაც დარჩეს და შესაძლებელია **გ**-დ შეიცვალოს ხმოვანი წინდებულმა.

მუქ გაგახანგუა – ხუბ. 287.2 – რამ გაგასულელაო.

გგვაკეთით, ქოთ გობჭკადით – ხუბ. 346.16 – გავაკეთეთ, კიდეც გავჭედეთ.

გგგაკეთენს – ხუბ. 191.6 – გაგაკეთებს.

ე- ფუძის ხმოვნის წინ ასიმილაციაა მოსდის წინდებულის ხმოვანს.

ფარაქით გემეთუ – ხუბ. 222.35 – ფულიც გამითავდა.

ი- ფუძის ხმოვნის წინ უცვლელადაა:

მაგაგიგონითგ – ყიფშ. 8.28 –მე გაგიგონეთ.

ოთხონეჩი წანა გამითებუნია მა – ხუბ. 38.35 – ოთხმოცი წელი გამითავებიაო მე.

იცვლება ფუძის ხმოვანი **ი**:

გამჭირდას და, ქგმმეხვარით! – ხუბ. 166.8 – თუ გამიჭირდა, მომეხმარეთ!

გა- ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ:

გა + ა > 1. გაა...
2. გან...
3. გა...

1. **გაა**...

გააზუუ თინეფი – ყიფშ. 21.10 – გააშველა ისინი

2. **გან**...

რაგადი გათეს – ხუბ. 147.35 – ლაპარაკი გაათავეს.

3. **გა**...

გაკეთეს კიბე – ხუბ. 3.6 – გააკეთეს კიბე.

გატარეს რუო დღა თაქ – ხუბ. 51.13 – გაატარეს რვა დღე აქ.

გა + უ > 1. გაუ...
2. გოუ...
3. გუუ...
4. გუ̄...
5. გუ...

1. **გაუ**...

გური **გაუმარგვ** – ყიფშ. 63.34 – გული გაუმაგრა.

2. **გოუ**...

გოუკეთეს ორზოლი – ხუბ. 49.35 – გაუკეთეს საგზალი.

3. **გუუ**...

გუუკეთესგ ართი წანაში ორზოლი – ყიფშ. 31.21 – გაუკეთეს ერთი წლის საგზალი.

4. **გუ**...

გუთელეს ჩირქე – ხუბ. 306.10 – გაუმთელეს ბარძაყი.

5. **გუ**...

გუკვირდუ ე ბოშის ძალამქ – ხუბ. 4.24 – გაუკვირდა ამ ვაჟს ძალიან.

გა + ი > 1. გეე...
2. გე̃...
3. გე...

1. **გეე**...

მიქგეეგონგ – ხუბ. 3.22 – ვინ გაიგონა.

ართო გეებკეთათ ბინა – ყიფშ. 147.22 – ერთად გავიკეთოთ ბინა.

2. **გე̃**...

ჯიმაქ გე̃თელგ – ხუბ. 169.20 – ძმა გაცოცხლდა (ზედმიწ. „გამრთელდა").

მიზეზეფი მოკონია გებგევე – ხუბ. 291.24 – მიზეზები მინდაო გავიგოო.

3. **გე**...

გვალო გეკეთებუთია – ხუბ. 289.36 – მთლად გაკეთდებითო.

სქანი ამბე გე̃ბგონია – ხუბ. 251.32 – შენი ამბავი გავიგონეო.

გა + ე > 1. გეე...
2. გე...

1. **გეე**...

შური ამარი გეერყებუ – ყიფშ. 164.3 – სული ლამისაა გასძვრება.

2. **გე**...

გერიგგ „მეფაიტონეს" – ხუბ. 75.1 – გაურიგდა მეეტლეს.

ქო- ან **ვა-** ნაწილაკების დართვით ისეთივე ცვლილებები ხდება წინდებულისა და ფუძის ხმოვანს შორის, როგორიც მათ დაურთველად.

თვითონ ეს ნაწილაკები შემდეგი სახით დასტურდება:

ქო > ქუ...

ბოშიქ ულა ქუგუ̃გგ – ხუბ. 286.23 – ვაჟმა წასვლა გაუგო.

ქო > ქე...

თი ჰურკის არ ჰიტა კარდალა ქელუდგუ – I.11.28 – იმ ქვაბს ერთი პატარა ქვაბი მიუდგა.

ქო > ქი...

ენა ირიფელი ქიგეეგონუ – ყიფშ. 6.16 – ეს ყველაფერი გაიგონა.

ქო > ქგ...

ქგგენგონეს თენა სქუალენქ – ყიფშ. 7.14 – გაიგონეს ეს შვილებმა.

ვა- ჩვეულებრივ უცვლელადაა.

ე ბოშიქ ცუდეს ვა გააცხადგ – ყიფშ. 27.4 – ამ ვაჟმა შინ არ გაამხილა.

ფუჩიქ იშენი ვაგატახგ – ხუბ. 99.31 – ფიცი მიანც ვერ გატეხა.

ვა- იცვლება **ვე**-დ ფუძის **ი** ხმოვნის წინ:

თე არაბის შურქ ვე გეერყგ – ხუბ. 172.15 – ამ არაბს სული არ ამოხდა (ზედმიწ. „არ გაეყარა).

მუთუნ ჯგირი ვე გებგიდა... – ხუბ. 339.26 – თუ კარგი ვერაფერი გავიგე...

დო-

დო- წინდებული თანხმოვნის წინ უცვლელადაა.

გვალას დოგორეს ართი ფოქვა – ყიფშ. 56.12 – მთაში მოძებნეს (დაძებნეს) ერთი გამოქვაბული.

დოღურუნი, დოთხორესგ – ყიფშ. 26.29 – რომ მოკვდა, დაასაფლავეს.

ართი კოჩი დოვღუპი – ყიფშ. 6.5 – ერთი კაცი დავღუპე.

თუ **დო**- წინდებული თანხმოვანი პრეფიქსის წინ არის და პრეფიქსს მოსდევს **ა** ან **ო** ხმოვანი, ან **ნო**-, **ნა**- პრეფიქსები (თურმეობითისა თუ მიმღეობისა), მაშინ **დო**- წინდებულის **ო** ხმოვანი ვიწროვდება **უ**-დ და შემდეგ შეიძლება დასუსტდეს **გ**-დ.

1. **დო > დუ...**

ნდი დუვაღორათია – ხუბ. 4.18 – დევი მოვატყუოთო.

მუში მუმაში დუნატებუ ლეკური – ხუბ. 2.5 – მამამისის დანატოვარი ხმალი.

ეთიში თომა უთუო დუმოსქილიდუანსია – ხუბ. 10.26 – იმისი თმა უთუოდ მომარჩენსო (ზედმიწ. „დამარჩენსო").

თურმე... არძა დუნოღურუე – ხუბ. 13.26 – თურმე... ყველა მოკვდება (ზედმიწ. „მონაკვდავა").

2. **დო > დგ...**

მით დგმოგურუანსგნი – ყიფშ. 7.19 – ვინც რომ დამასწავლის.

ირი ჭუაშე დგგოსქილიდუანქია – ყიფშ. 50.33 – ყოველი ტკივილისაგან გადაგარჩენო (ზედმიწ. „დაგარჩენო").

ხოლო **დო**- წინდებული უცვლელი რჩება, თუ თანხმოვან პრეფიქსს **ო** ხმოვანი მოსდევს.

შარას დომიღურეს – ყიფშ. 123.14 – გზაზე მოგვიკვდა.

ართის დოგიჩინანთია – ყიფშ. 26.25 – ერთს დაგიბარებთო.

O_2-ის ნიშანი, ჩვეულებისამებრ, რომ დაიკარგოს კიდეც, უშუალოდ მოხვედრილი ხმოვნები მაინც არ მოახდენენ ერთმანეთზე გავლენას:

ათე ჟირი სენს დოიტენქ – ხუბ. 11.19 – ამ ორ საინს დაგიტოვებ.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც **დო**- წინდებული უცვლელად არის წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ თანხმოვან პრეფიქსს **ა** ან **ო** ხმოვანი მოსდევს.

მა დოგოგურუანქინი თეშია – ხუბ. 8.23 – მე რომ დაგასწავლი ისეო...

მუქჳ დოგოშქურინუა? – ყიფშ. 42.27 – რამ დაგაშინაო.

ზოგჯერ წინდებულის ხმოვანი გავლენას ახდენს პრეფიქსის მომდევნო ფუძისეულ ხმოვანზე, იგი სუსტდება **ჳ**-დ.

ჰა, ჯიმა-ღურელი, მუჰომი დომირულუაფუ – ყიფშ. 10.31 – აჰ, „ძმამკვდარო“, როგორ დამძინებია.

წინდებული შეცვლილი სახით დასტურდება, თუ სუბიექტური პირველი პირის ნიშანს მოსდევს **უ** ფუძისეული ხმოვანი.

ათე ბოჰკენს დუთირუათ მუშუში ადგილი – ხუბ. 4.17 – ამ კასრებს შევუცვალოთ (ზედმიწ. „დავუცვალოთ“) თავთავისი ადგილი.

დუთირუათ < დო-ვ-უთირუათ > დოუთირუათ > დუუთირუათ.

დო + ა > 1. დაა...
2. და...

1. **დაა**...

რჩინ კოს დააჩარქალუ – ყიფშ. 9.17 – მოხუცი კაცი წაბორძიკდა.

2. **და**...

დაცუნუ ჯიმაქ დას – დუბ. 7.5 – დაჰყვა ძმა დას.

დო + ო > 1. დაა...
2. დჳ...
3. და...

1. **დაა**...

მით დაასქილიდუანს ჩქიმი ოსურისქუასჳნი, ... – ყიფშ. 11.19 – ვინც რომ მოარჩენს („დაარჩენს“) ჩემ ქალიშვილს.

თეში დააშქურინეს ირი კოჩი... – ყიფშ. 81.31 – ისე დააშინეს ყოველი კაცი...

დააჭკადაფუ შქვილი დო საგანი – ყიფშ. 84.4 – გამოაჭედვინა (ზედმიწ. „დააჭედვინა“) მშვილდ-ისარი.

2. **დჳ**...

დჳფუნუ სანთელი – ხუბ. 5.31 – აადუღა სანთელი.

3. **და**...

ოსურქჳ სადილი ვადახვამილუუ – ყიფშ. 13.6 – ცოლმა სადილი არ დაახვედრა. შრდ.:

ცირაქ ამბეე დაახვამილუუ – ყიფშ. 50.17 – ქალიშვილმა ამბავი დაახვედრა.

დო + უ > 1. დოუ...
2. დუუ...
3. დუ...
4. დუ...

1. **დოუ**...

დოუძახჳ რაშისჳ – ყიფშ. 96.13 – დაუძახა რაშს.

დოუჭყუ ჩიება – ყიფშ. 102.4 – დაუწყო ლაპარაკი.

2. **დუუ**...

დ უ უ ბ ა ღ გ მარჩქილესგ – ყიფშ. 33.28 – ეყოფა მსმენელს.

დ უ უ ც ვ ი ლ უ ნ ა ხოჯი – ყიფშ. 12.9 – დაუკლავთ ხარი.

3. **დუ**...

დ უ ბ ა ხ ე ს გ ბოშისგ - ყიშფ. 14.14 – დაუბახეს ვაჟს.

4. **დუ**...

თენა ხოლო ნდის დ უ გ უ რ უ ა ფ უ დ უ – ხუბ. 10.2 – ესეც დევს დაუსწავლებია.

ბოშიქ შვიდობა დ უ ჩ ი ნ უ – ხუბ. 1.8 – ვაჟმა მშვიდობა დაუბარა.

დო + ი > 1. დიი...
2. დი...
3. დი...
4. დეე...
5. დე

1. **დიი**...

ჩხომენქგ ძალამი დ ი ი გ ვ ა ნ ე ს გ – ყიფშ. 36.16 – თევზები ძალიან დასუქდნენ.

მა ოკო დ ი ი ბ რ გ უ ე ჩქიმი ქომონჯი სუმი წანა – ყიფშ. 103.8 – მე უნდა (და)ვიგლოვო ჩემი ქმარი სამ წელიწადს.

2. **დი**...

სუმოში მახორი კოჩი დ ი ბ ლ ი – ხუბ. 165.9 – სამასი მოსახლე კაცი დავიარე.

3. **დი**...

წოხოლენი კუჩხეფი ვა დ ი შ ო ლ ა ნ გ ნი, თეში – ყიფშ. 8.34 – წინა ფეხები რომ არ დაისველონ, ისე.

ვართგ... დ ი ძ ა ხ ე ს გ დო ვართგ მუთუნი – ყიფშ. 8.34 – არც დაიძახეს და არც არაფერი.

ქო + დო + თანხმოვანი > 1. ქოდო...
2. ქუდო...
3. ქიდო...
4. ქგდო...

1. **ქოდო**...

მუჭო ათაქინე დოხვადუ ნი, ეთეშინე სუმიხოლო ქალაქის ქ ო დ ო ხ ვ ა დ გ რჩინუ კოჩქ – ყიფშ. 4.31 – როგორც რომ აქ დახვდა, ისე სამივე ქალაქში დახვდა მოხუცი კაცი.

2. **ქუდო**...

მაჟირა კარქ ქ უ დ ო ხ ვ ა დ უ – ხუბ. 3.18 – მეორე კარი დახვდა.

3. **ქიდო**...

ათე ოსურქ ქ ი დ ო ხ ვ ა დ გ – ხუბ. 303.31 – ეს ქალი დახვდა.

4. **ქგდო**... (ყველაზე მეტია).

ათე განაჩენი ქ გ დ ო დ უ – ყიფშ. 44.25 – ეს განაჩენი დასდო.

ქო + დო + თანხმოვანი პრეფიქსი + ფუძის ხმოვანი **ო, ა, ე** >

1. ქგდუვო...
2. ქიდგგო...
3. ქგდგგო...
4. ქდგგო...
5. ქუდმო...
6. ქიდმე...
7. ქგდგო...

1. **ქგდუვო**...

არძა სუმარეფი შეფას ოკო ქგდუვოხუნუათგ – ყიფშ. 91.27 – ყველა სტუმარი სეფაში უნდა დავსვათ.

2. **ქიდგგო**...

ქაღარდის მა ქიდგგოგურუანქ – ყიფშ. 7.21 – ქაღალდს (= ბანქოს) მე გასწავლი.

3. **ქგდგგო**...

ეფერი ჭკვერი სიტყვას ქგდგგოგურუანქია – ყიფშ. 23.16 – ისეთ ჭკვიან სიტყვას დაგასწავლიო.

ომიჭოფი დო ქგდგმოხვამილეევა – ყიფშ. 50.19 – დამიჭირე და დამახვედრეო.

4. **ქდგგო**...

ქაღარდის მა ქდგგოგურუანქ – ყიფშ. 8.1 – ბანქოს მე დაგასწავლი.

5. **ქუდმო**...

მარკინე გაიშაგორი დო ქუდმოხვამილევა! – ხუბ. 1.13 – მოჭიდავე შეარჩიე და დამახვედრეო!

6. **ქიდმე**...

თიქ ხოლო ქიდმელახუ – ხუბ. 9.26 – ისიც დამიავადმყოფდა.

7. **ქგდგო**...

ხელუას მა ქგდგოგურუანქ – ყიფშ. 9.23 – ხელობას მე დაგასწავლი.

ქგდგოკირა – ყიფშ. 19.27 – დაგაბამ.

თუ თანხმოვან პრეფიქსს **ი** ხმოვნით დაწყებული ფუძე მოსდევს, წინდებული, ჩვეულებისამებრ, უცვლელად რჩება, მხოლოდ **ქო**- ნაწილაკის ხმოვანი შეიძლება დასუსტდეს **გ**-დ.

1. **ქოდომი**...

ათეშა ოჭკუმალიში კეთება ქოდომიგურევა! – ყიფშ. 90.30 – ამისათვის საჭმლის კეთება (და)მისწავლებინე!

2. **ქუდომი**...

გურს სუსტება ქუდომიჭყუ – ხუბ. 319.24 – გულის წასვლა (ზედმიწ. „სისუსტე") დამიწყო.

3. **ქგდომი**...

ქგდომიდირთი ქირაშა! – ყიფშ. 23.15 – დამიდექი ქირით.

ქო + დო + ა > 1. ქუდა...
2. ქიდა...
3. ქგდა...

1. **ქუდა**...

ქუდარულუ ბოშისგნი... – ხუბ. 5.28 – რომ დაეძინა ვაჟს...

2. **ქიდა**...

ქიდაცუნგ მეშარექ პაპას – ყიფშ. 7.22 – დაჰყვა მგზავრი მღვდელს.

3. **ქგდა**...

ხეთე ქგდალურასგნი... – ყიფშ. 101.20 – მაშინვე რომ დაეძინოს...

ქო + დო + ო > 1. ქოდაა...
2. ქოდან...
3. ქუდან...
4. ქუდა...
5. ქედა...
6. ქიდაა...
7. ქიდა...
8. ქგდაა...
9. ქგდა...

1. **ქოდაა**...

სადილო ქოდაახუნეს – ყიფშ. 54.28 – სადილად დასვეს.

2. **ქოდან**...

ოსერშე ქოჩგ გიორგის, ქოდარჩი დო ქგდინჯირგ ჟირ ხოლოქ – ხუბ. 146.23 – ვახშამი მისცა (აჭამა) გიორგის, დააგო (საწოლი) და დაწვა ორივე.

3. **ქუდან**...

ლაკვიქ ქუდანწყუ მაჩხუბარო მუში მაალეფი – ხუბ. 12.10 – ლეკვმა დააწყო საჩხუბრად თავისი ამხანაგები.

4. **ქუდა**...

ქუდარულუ ბოშისგნი... – ხუბ. 5.28 – რომ დაეძინა ვაჟს...

5. **ქედა**...

გგმონწყილო ქედახვამილუ ხენწიფეშ სქუას – ხუბ. 142.31 – გამოწყობილად დაახვედრა ხელმწიფის ვაჟს.

6. **ქიდაა**...

კოჩქ ბოშის ქიდააგურუუ – ყიფშ. 23.19 – კაცმა ვაჟს დაასწავლა.

7. **ქიდა**...

ფარა ქიდატებაფუ – ყიფშ. 8.5 – ფული დაატოვებინა.

8. **ქგდაა**...

ქგდაანჯირეს ლოგინს – ყიფშ. 83.26 – დააწვინეს საწოლში.

9. **ქგდა**...

პაპაქ ქგდაგურუ ეს ქაღარდი – ყიფშ. 8.18 – მღვდელმა დაასწავლა ამას წერა-კითხვა (ზედმიწ. „ქაღალდი").

ჩიჩიე ქგდახუნესგ ტაბაკისგ – ყიფშ. 65.24 – გლახაკი დასვეს ტაბაკთან.

ქო + დო + უ > 1. ქოდუუ...
2. ქოდუ...
3. ქუდუუ...
4. ქუდუ̄...
5. ქუდუ...
6. ქგდოუ...
7. ქგდუუ...
8. ქგდუ̄...
9. ქგდუ...

1. **ქოდუუ**...

ჩიი დო სქუას ქ ო დ უ უ ტ უ უ – ყიფშ. 42.22 – ცოლსა და შვილს დაუტოვა.

2. **ქოდუ**...

ბირცხათ ქ ო დ უ გ ა ფ უ დ ე ს – ყიფშ. 150.20 – ფრჩხილით დაუგიათ.

3. **ქუდუუ**...

ძღაბის ქვარაში ჭუა ქ უ დ უ უ ჭ ყ უ – ყიფშ. 83.26 – გოგოს მუცლის ტკივილი დაეწყო.

4. **ქუდუ̄**...

ქ უ დ უ̄ ტ უ̄... ფარა – ხუბ. 283.8 – დაუტოვა ფული.

5. **ქუდუ**...

ქ უ დ უ ტ უ ართი ლეკური გოსაშინეთ – ხუბ. 1.8 – დაუტოვა ერთი ხმალი მოსაგონებლად.

6. **ქგდოუ**...

წვალება ქ გ დ ო უ ჭ ყ ე ს – ხუბ. 187.32 – წვალება დაუწყეს.

7. **ქგდუუ**...

დიხაშა ქ გ დ უ უ რ ი ნ უ უ დუდი – ყიფშ. 58.18 – მიწამდე მიატანინა თავი.

8. **ქგდუ̄**...

ოჭკომალი ქ გ დ უ̄ ტ ე ს – ხუბ. 185.17 – საჭმელი დაუტოვეს.

9. **ქგდუ**...

რჩინ კოჩქ სქუა ატუს ქ გ დ უ ტ უ – ყიფშ. 9.29 – მოხუცმა კაცმა შვილი ატუს დაუტოვა.

ქო + დო + ი > 1. ქოდიი...
2. ქედი̄...
3. ქიდიი...
4. ქიდი̄...
5. ქიდი...
6. ქგდიი...
7. ქგდი̄...
8. ქგდი...
9. ქიდეე...
10. ქგდეე...

1. **ქოდიი**...

მაბირექ ქ ო დ ი ი ჰ ყ გ – ყიფშ. 170.10 – მომღერალმა დაიწყო.

2. **ქედრ**...

ქ ე დ რ ჰ ყ გ – ხუბ. 281.6 – დაიწყო.

3. **ქიდიი**...

ირი კოჩქ ქ ი დ ი ი რ უ ლ უ უ – ყიფშ. 54.8 – ყოველმა კაცმა დაიძინა.

4. **ქიდრ**...

ბღაბიქ გვალო ფურინუა ქ ი დ რ ჰ ყ გ – ხუბ. 127.7 – გოგომ მთლად ფრენა დაიწყო.

5. **ქიდი**...

ქ ი დ ი გ უ რ ე ქაღარდი! – ყიფშ. 7.13 – დაისწავლე წერა-კითხვა (ზედმიწ. „ქაღალდი")!

6. **ქგდიი**...

ცირა ჸუდეს ქ გ დ ი ი ტ უ უ – ყიფშ. 50.17 – ქალიშვილი შინ დატოვა.

7. **ქგდრ**...

არბოქ ქ გ დ რ უ ლ ე ე ს გ – ყიფშ. 67.15 – ყველამ დაიძინა.

8. **ქგდი**...

თაქ ქ გ დ ი ჯ ი რ გ – ხუბ. 115.29 – აქ დაწვა.

9. **ქიდეე**...

ხეს ქ ი დ ე ე კ ი ნ გ – ყიფშ. 40.10 – ხელში დაიჭირა.

10. **ქგდეე**...

ართი ოსურისქუა ქიმიიყონგ სანარტიაქგ დო ძიძეეთ ქ გ დ ე ე კ გ ნ გ – ყიფშ. 50.12 – ერთი ქალიშვილი მოიყვანა „სანარტიამ" და „ძიძად" დაიყენა.

დო- წინდებულზე დართული **ვა**- ნაწილაკი მუდამ უცვლელი სახითაა. თანხმოვნის წინ:

სადილი მუშენი ვა დ გ მ ო ხ ვ ა მ ი ლ ე ე ვ ა? – ყიფშ. 13.7 – სადილი რად არ დამახვედრეო?

მა თიქ ვარენო ვა დ მ ა რ ა გ უ ა დ ა – ხუბ. 1.23 – მე იგი თუ არ წავაქციე (ზედმიწ. „თუ არ იქნა და არ დავცე").

წინდებული უცვლელადაა, ამოვარდნილია პრეფიქსის მომდევნო **ი** ხმოვანი.

სქან დუთქ ვა დ ო მ ღ უ რ ა ს ი ა – ხუბ. 336.2 – შენი თავი არ მომიკვდესო.

ვა + დო + ო > 1. ვა დჳ...
2. ვა და...

1. **ვა დჳ**...

ბოშის ვა დ ჳ რ უ ლ გ – ხუბ. 209.2 – ვაჟს არ დაეძინა.

2. **ვა და**...

ოსურქ სადილი ვა დ ა ხ ვ ა მ ი ლ უ უ – ყიფშ. 13.6 – ცოლმა სადილი არ დაახვედრა.

ვა + დო + უ > 1. ვა დუუ...
2. ვა დუ...

1. **ვა დუუ**...

ხვარას ხვარა ვა დ უ უ მ ა ხ ი – ყიფშ. 177.10 – ხორას ხორა არ დაუმახე.

2. **ვა დუ**...

გური ვა დ უ შ ქ უ რ ი ნ უ ა თ – ყიფშ. 155.25 – გული არ შეუშინოთ.

ვა + დო + ი > 1. ვა დიი...
2. ვა დი...

1. **ვა დიი**...

ვა დ ი ი ბ შ ქ ვ ი დ ი ო წყარს! – ყიფშ. 140.14 – არ დავიხრჩვი წყალში!

2. **ვა დი**...

წოხოლენი კუჩხეფი ვა დ ი შ ო ლ ა ნ გ – ყიფშ. 8.34 – წინა ფეხები არ დაისველონ.

მეგრულის **დო**- წინდებული შეესატყვისება ქართულის **და**- წინდებულს როგორც ფონეტიკურად, ისე მნიშვნელობით.

იშვიათად შეიძლება დაჭერა **დო**-ს პირვანდელი მნიშვნელობისა.

დ ა ა რ ა გ უ ნგერქ კოჩი – ყიფშ. 72.25 – დაახეთქა მგელმა კაცი.

თითო კუჩხიში დ ო შ ქ უ მ ა ლ ა თ ი – ხუბ. 1.26 – ერთი ფეხის დაკვრით.

დ უ უ ქ უ ნ უ ნ ა ნოშოთი – ყიფშ. 12.10 – დაუფარავთ „ნეშოთი".

ჩვეულებრივ, **დო**- წინდებული მიმართულებას უკვე აღარ აღნიშნავს და მხოლოდ ასპექტს გამოხატავს.

პიჯალა დ ო ჭ ა რ ე ს – ყიფშ. 38.19 – პირობა დაწერეს.

ირიფელი ართო დ ო ჭ ვ ე რ ე – ყიფშ. 14.4 – ყველაფერი ერთიანად დამწვარა.

ართი კოჩიქ დ ი ი მ ა ხ გ – ყიფშ. 27.6 – ერთმა კაცმა დაიძახა.

უნჩაში ჯიმაქ დ ო კ ა ზ გ რაში – ყიფშ. 79.17 – უფროსმა ძმამ შეკაზმა რაში.

დ ო შ ქ უ რ ი ნ დ გ დემქ – ყიფშ. 43.1 – შეშინდა დევი.

ბოჭკეფი დ ო თ ი რ ე ს – ხუბ. 4.19 – კასრები შეცვალეს.

დ ო ჭ უ ძღაბიქ ბალიში – ხუბ. 13.27 – შეკერა გოგომ ბალიში.

თოკი ქჳმააღალაფუ დო ძალამი მანგარო დ ო კ ი რ გ – ყიფშ. 50.31 – თოკი მოატანინა და ძალიან მაგრად შეკრა.

მუჟანს დ ო ღ უ რ უ გვერშაპი ნი, ... – ხუბ. 12.19 – როცა მოკვდა გველეშაპი, ...

ღვინით დ ო გ ო რ ძ ღ ა ნ ქ ი ა – ყიფშ. 21.3 – ღვინით გაგაძღებო.

დ ა ა ნ წ ყ ი ი თ გ დიარავა – ყიფშ. 64.21 – გა(მო)აწყვეთ ქორწილიო.

დ ა ა ჭ კ ა დ ა ფ უ შქვილი დო საგანი – ყიფშ. 84.4 – გა(მო)აჭედინა მშვილდ-ისარი.

თინა ოგაჭოფენია და, დ ო ს ქ ი დ უ ქ ი ა – ყიფშ. 36.5 – იმას თუ დაიჭერ – გადარჩებიო.

კიდგბანც დ ო კ გ ლ უ უ – ყიფშ. 60.25 – კიდობანში ჩაკეტა.

დო- ინტენსიობის გამომხატველია:

დოტახგ არძო ოკილარეფი – ყიფშ. 33.12 – დატეხა მთელი საკეტები.
არძო ართო დაზღოდოუ – ყიფშ. 105.20 – ყველა ერთად დახოცა.
დო- განუსაზღვრელობის გამომხატველია:
არძა ოთახუეფი დილუ – ხუბ. 7.28 – ყველა ოთახი დაიარა.
ირი ქიცანა დიილით – ყიფშ. 79.4 – მთელი ქვეყანა დაიარეთ.
ირი დიხა დაალინეესგ – ყიფშ. 53.19 – ყველა ადგილი შემოატარეს.

და-

მეგრულის **და**- იგივე ქართულის **და**- წინდებულია, ქართულიდან ნასესხები, ჩვეულებრივ, ზმნის ფუძესთან ერთად.

ნდემიში მორდილქგ დააიმენდგ – ყიფშ. 64.7 – დევის გაზრდილმა დააიმედა.

დაანებესგ ართი... რაში – ყიფშ. 74.19 – დაანებეს ერთი... რაში.

მუთუნი ვა დააოხრესგკო ნი ნდემემქ – ყიფშ. 82.12 – რამე ხომ არ დააოხრეს დევებმა.

გიმელგ რაშისგ, დაასადუ – ყიფშ. 94.21 – ჩამოვიდა რაშიდან, დასასადავა.

სუმარი დააჯერესგ ნამდა... – ყიფშ. 73.22 – სტუმარი დააჯერეს, რომ...

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება: და-აიმენდგ, და-ანებესგ, და-აოხრესგკო და სხვ.

ასევე უცვლელი სახითაა **და**- წინდებული თანხმოვნით დაწყებული ფუძის წინ:

ბაღანაში დაბადებაში... – ყიფშ. 83.9 – ბავშვის დაბადების...
სქანი დათხია – ყიფშ. 83.6 – შენი დათხოვნა.
ართი წანაში დასაბაღი – ყიფშ. 31.15 – ერთი წლის სამყოფი.
ლევანი მურსუ სქანი დაჯიმალებუშა – ხუბ. 9.7 – ლევანი მოდის შენ დასამობილებლად.

და- > **დე**-, **დი**-ს, თუ წინდებულს მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ე** ხმოვნით:

1. და- > დე-...

სივა სქუაქ დეგებადუა – ხუბ. 243.26 – შენ შვილი დაგებადაო.
დემეთხრ პაპა! – ხუბ. 163.21 – დამეთხოვე, მღვდელო!

2. და- > დი-...

სი დიგებადებუნია ბოში – ყიფშ. 83.18 – შენ დაგებადებაო ვაჟი.

შესაძლებელია, **და**- უცვლელად დარჩეს:

დაგესუსტუ გურქია – ხუბ. 360.37 – დაგისუსტდა გულიო.

თუ პრეფიქსს **ი** ხმოვანი მოსდევს, წინდებული უცვლელად რჩება:

მადაგირსხენქია – ხუბ. 137.33 – მე დაგიხსნიო.

და + უ > 1. დაუ...
2. დოუ...

1. **დაუ**...

ქასაგანით ვითოჟირიხოლო დუდი დ ა უ თ ხ ი ნ უ უ – ყიფშ. 59.12 – ისრით თორმეტივე თავი გააყრევინა.

2. **დოუ**...

დ ო უ ჯ ე რ გ უკული თინენს – ხუბ. 268.14 – დაუჯერა მერე მათ.

და + ე > 1. დეე...
2. დე̄...
3. დე...

1. **დეე**...

ბოშიქ ჩიტეფს დ ე ე კ ვ ი რ გ – ყიფშ. 173.8 – ვაჟი ჩიტებს დააკვირდა.

ათე კოჩქ დ ე ე თ ა ნ ხ მ უ – ყიფშ. 15.32 – ეს კაცი დაეთანხმა.

2. **დე̄**...

თი კამპანიას დ ე̄ ს წ რ ი ა – ხუბ. 280.10 – იმ კამპანიას დაესწარიო.

3. **დე**...

დ ე ჯ ი მ ა ლ ე ს ჯგირო – ხუბ. 186.8 – დაძმობილდნენ კარგად.

ქო- და- წინდებულზე დართული იცვლის თავის თავდაპირველ სახეს:

1. **ქუ**...

ოღონ ჭიჭე ქ უ დ ა მ ჯ ე რ ი – ხუბ. 312.17 – ოღონდ ცოტა დამიჯერე.

2. **ქგ**...

ბეგოქ... ხორცი ხეს ქ გ დ ა კ ი ნ უ – ხუბ. 103.25 – ბეგომ... ხორცი ხელში დააჭერინა.

ქ გ დ ა ბ ა დ ე ბ გ ართის ბოში დო მაჟიას ძღაბი – ხუბ. 249.5 – დაჰბადებია ერთს ვაჟი და მეორეს – ქალი.

3. **ქ**...

ქ დ ა მ პ ე ჯ ი თინეჭი სია – ხუბ. 163.6 – დამიპატიჟე ისინი შენო.

4. **ქე**... როცა ფუძის თანხმოვან პრეფიქსს **ე** ხმოვანი მოსდევს:

მუთ ფაშატეჭი ქ ე დ გ ე ბ ა დ ე ბ უ ნ ი ე სიევე, გვერდი ჩქიმი ენია – ხუბ. 137.4 – რაც ფაშატი დაგებადება შენო, ნახევარი ჩემიაო.

5. **ქი**... ფუძის ხმოვანი **ი** არის:

თინა ქ ი დ ე კ ი ნ ი ხეს – ხუბ. 168.9 – ის დაიჭირე ხელში.

დუდი ქ გ დ ი რ ა გ ვ ე ვ ა იშო – ხუბ. 193.12 – თავი მოიმკვდარუნე (ზედმიწ. „დაიგდე იქით“).

როცა ფუძის ხმოვანი **ი** არ არის:

სადილო ქ ი დ ა ა პ ე ე ნ ჯ ე ს გ – ყიფშ. 54.21 – სადილად დაპატიჟეს.

ვა-, და-ზე დართული, ჩვეულებრივ, უცვლელადაა.

ბოშიქ ვ ა დ უ ჯ ე რ – ხუბ. 82.20 – ვაჟმა არ დაუჯერა.

იშენი ვა დ ა მ ი მ ა რ დ უ ქ – ხუბ. 310.13 – მაინც არ იქნები მადლობელი.

ვა > ვე-ს თუ ფუძის ხმოვანი **ე** არის.

ლაკვიქ ენა ვ ე დ ე ჯ ე რ უ – ხუბ. 14.10 – ლეკვმა ეს არ დაიჯერა.

თუმცა აქაც შეიძლება უცვლელად დარჩეს:

ბეჟანქ ვა დ ე ჯ ე რ გ – ყიფშ. 105. – ბეჟანმა არ დაიჯერა.

შე- ქართულიდან ნასესხები წინდებულია. ყველა ფუძე, რომელთანაც **შე-** წინდებულია ქართულში, მეგრულშიც იმავე **შე-** წინდებულით გვხვდება – თვითონ, ან მისი ფონეტიკური შესატყვისი, თუ ლექსიკურად მისი მონაცვლე ფუძე.

შე- გვხვდება სხვადასხვა აგებულების ფუძესთან (თანხმოვნით ან სხვადასხვა ხმოვნით დაწყებულ) და, შესაბამისად, იცვლის თავის ფონეტიკურ სახეს.

თანხმოვნის წინ იგი უცვლელადაა:

სოდეთ მუს შ ე ფ ხ ვ ა დ უ ქ ი ე – ხუბ. 2.26 – სადაც მას შევხვდებიო.

შე-, ჩვეულებრივ, უცვლელად არის მაშინაც, როდესაც მომდევნო თანხმოვანი პრეფიქსია ფუძისეული **ა, ო** ხმოვნის წინ და, მით უმეტეს, **ი** ხმოვნის წინ:

ათე კოსგთი შ ე ვ ა გ ო ნ ი – ყიფშ. 6.1 – ამ კაცსაც შევაგონე.

სი შ ე გ ი ლ ე ბ უ ჯგირიადა... – ხუბ. 4.17 – შენ თუ შეგიძლია, კარგიო.

შ ე მ ი ლ ე ბ უ – 103.7 – შემიძლია.

იშვიათად მაინც იძლევა **შე** > **ში**-ს:

მუქ შ ი გ ა გ ო ნ უ ა – ხუბ. 215.38 – რამ შეგაგონაო.

დიდაში გარაქ შ ი მ ა წ უ ხ უ – ყიფშ. 157.5 – დედის ტირილმა შემაწუხა.

შე- ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ:

შე + ა > 1. შეა...
2. შია...
3. შუა...

1. **შეა**...

მუჭოთ შ ე ა ლ ე ბ უ ნი, თეში – ყიფშ. 10.28 – როგორც შეძლო, ისე.

დოჭარეს, მანგარო შ ე ა მ ო წ მ ე ს – ყიფშ. 4.10 – დაწერეს კარგად (ზედმიწ. „მაგრად") შეამოწმეს.

კინი შ ე ა წ უ ხ უ – ყიფშ. 35.13 – კვლავ შეაწუხა.

2. **შია**...

თქვა გიჩქვნანია შ ი ა ს რ უ ლ ე ნ თ ი ა და – ყიფშ. 26.26 – თქვენ იცით, თუ შეასრულებთო.

3. **შუა**...

თი სიტყვეფქ ვა შ უ ა ნ ა ხ ი ნ გ ნი... – ყიფშ. 26.21 – ის სიტყვები რომ ვერ შეინახა.

ეს უკანასკნელი შემთხვევითიც შეიძლება იყოს.

შე + ო > შიო...

თიში შ ი ო ტ ყ ვ ე ბ უ შ ა – ყიფშ. 76.26 – იმის შესატყობად.

შე + უ > შეუ...

საქვარი შეულებუდგ – ყიფშ. 40.1 – საქმე შეეძლო.

შე + ი > 1. შიი...

2. ში...

1. **შიი**...

გერიაქ მუთათ შიიტყვინუუ – ყიფშ. 32.16 – გერიამ არაფრით შეიმჩნია („შეიტყო").

ჩხომი, ნამუთი შიიცოდე... – ყიფშ. 1ღ1.30 – თევზი, რომელიც შეიცოდე...

2. **ში**...

ძალამი შიწუხეს – ყიფშ. 105.31 – ძალიან შეწუხდნენ.

შე + ე > შეე...

შეებრალგ ე მაცვილარენსგ – ყიფშ. 37.8 – შეებრალა იმ მკვლელებს.

მეჩხომეს შეეცოდგ ე ჩხომქ – ყიფშ. 11.6 – მეთევზეს შეეცოდა ეს თევზი.

დიდებული კათაქ შეეხვეწეს – ყიფშ. 5.15 – დიდებული ხალხი შეეხვეწა.

ქო + შე + თახმოვანი > 1. ქეშე...

2. ქიშე...

1. **ქეშე**...

ართი კოჩქ ქეშეხვადეს – ხუბ. 7.7 – ერთი კაცი შეხვდა.

2. **ქიშე**...

ქიშეხვადგ ორთუშარას – ყიფშ. 87.3 – შეხვდა გზაჯვარედინზე.

თუ **ქო**- დართულ **შე**- წინდებულს მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ო** ხმოვნით, წინდებულის ხმოვანი ვიწროვდება **ი**-დ.

ჩქიმი უმოსი ქიშინოლებუე – ყიფშ. 41.13 – ჩემზე მეტი შესძლებია (ზედმიწ. „ქეშენაძლება").

ხოლო თუ მომდევნო ფუძის ხმოვანი **ე** ან **ი** არის, შესაძლებელია, უცვლელადაც დარჩეს.

ღორონთქ ქოშემეწუუ – ყიფშ. 6.28 – ღმერთი შემეწია.

სიქეშემიტყვია – ყიფშ. 65.32 – შენ შემიტყვეო.

ამავე პოზიციაში წინდებულის **ე** სრულიადაც შესაძლებელია, ამოვარდეს:

მაქეშმეხია-და... ხუბ. 269.2 – მე თუ შემეხებიო...

ართი ჯიმა კოჩქ ქეშგეძინესია – ხუბ. 2.15 – ერთი ძმაკაცი შეგეძინათო.

ქო + შე + ო > ქიშიო...

ხენწიფეს ქიშიოტყვინეს – ყიფშ. 39.33 – ხელმწიფეს შეატყობინეს.

ქო + შე + უ > 1. ქეშუუ...

2. ქეშუ...

1. **ქეშუუ**...

ჩქიმი ჩილქ ენა ქ ე შ უ უ ტ ყ უ ჩქიმი დასიე – ყიფშ. 77.16 – ჩემმა ცოლმა ეს შეუტყო ჩემს დასო.

2. **ქეშუ**...

დიდას ამბეე ქ ე შ უ ტ ყ ვ ე ბ უ – ყიფშ. 12.22 – დედას ამბავი შეუტყვია.

ქო + შე + ი > 1. ქეშიი...
2. ქიშიი...
3. ქეშრ...
4. ქეში...

1. **ქეშიი**...

იშენი ქ ე შ ი ი ტ ყ უ ე ცირაქ – ყიფშ. 55.21 – მაინც შეიტყო იმ ქალიშვილმა.

2. **ქიშიი**...

ენა ქოჩორაქ ქ ი შ ი ი ტ ყ ჳ – ყიფშ. 96.7 – ეს ქოჩორამ შეიტყო.

3. **ქეშრ**...

ოკო ქ ე შ რ ბ ტ ყ ვ ა ვ ე – ყიფშ,. 68.24 – უნდა შევიტყოო.

4. **ქეში**...

ქ ე შ ი ბ ტ ყ ვ ე დო უკული დობღურე ნი, ... – ყიფშ. 76.34 – შევიტყო და მერე რომ მოვკვდე.

ქ ე შ ი ლ ე ბ ე – ხუბ. 5.19 – შეიძლება.

ვა + შე + თანხმოვნით დაწყებული ფუძე:

მუთუნი გლახა ინენც ვა ღოლამუნა (ვ ე შ ე ხ ვ ა ლ ა მ უ ნ ა) – ყიფშ. 79.14 – არაფერი ცუდი იმათ არ მოსვლიათ (არ შეხვედრიათ).

ვა + შე + თანხმოვანი პრეფიქსი + ფუძის ხმოვანი:

თაქ მუამბე რენ დო, მუ ვარინი თექ ვ ე შ მ ა ტ ყ ვ ი ნ ა ნ ი ე – ხუბ. 3.6 – აქ რა ამბავი არის და რა არა, ეს რომ ვერ შევიტყოთო.

ვა + შე + უ > 1. ვეშუუ...
2. ვეშუ...

1. **ვეშუუ**...

თინეფცჳ ვ ე შ უ უ ტ ყ ვ ე ბ უ დ უ კო ნოტევა – ყიფშ. 75.1 – იმათ არ შეეტყოთ, ნეტავო.

2. **ვეშუ**...

მითინც ვე შ უ ლ ე ბ უ დ უ – ყიფშ. 59.1 – არავის არ შეეძლო.

ვა + შე + ი > 1. ვა შიი...
2. ვე შიი...

1. **ვა შიი**...

შურო ვა შ ი ი ლ ე ბ ე დ ჳ – ყიფშ. 44.26 – სულ არ შეიძლებოდა.

2. **ვე შიი...**

მეტი ვე შ ი ი ლ ე ბ ე დ გ – ყიფშ. 35.18 – მეტი არ შეიძლებოდა.

ვა + შე + ა > ვა შია...

თე ზოჯუა... ვა შ ი ა ს რ უ ლ ე ს – ყიფშ. 45.1 – ეს ბძრანება არ შეასრულეს.

მეგრულის **შე-** წინდებული სრულ ასპექტს აღნიშნავს. მიმართულებას არ გამოხატავს.

ჩა-

ჩა- წინდებული, აგრეთვე, ქართულიდან არის ნასესხები. იგი კიდევ უფრო იშვიათია. ორიოდე ფუძესთან გვხვდება.

არბო ჩ ა ა ბ ა რ გ – ყიფშ. 34.9 – ყველა ჩააბარა. ერთ-ერთი **ა-** შეიძლება დაიკარგოს:

თე ბოშის ირი მუში ქონება ჩ ა ბ ა რ უ – ხუბ. 6.32 – იმ ვაჟს მთელი თავისი ქონება ჩააბარა. სრული ასპექტის გამომხატველია შემდეგ ზმნებში:

ბოში ვეზირიში ხათე ჩ უ უ თ ხ ი ნ ე ეს ჯიმუშიერც – ყიფშ. 74.13 – ვაჟი ვეზირისა მყისვე ჩამოაცილეს ჯიმუშიერს.

ჩა + ე > ჩუუ...

ჩ ა რ ც ხ ა ს – ყიფშ. 67.1 – დაეხსნას.

ცირაქ ვა ჩ ე ე რ ც ხ გ ხენწგფესგ – ყიფშ. 66.10 – გოგო არ მოეშვა ხელმწიფეს.

წა-

წა- წინდებული მარტივი სახით ქართულიდან არის ნასესხები ზმნის ფუძიანად.

წა- ყოველგვარი (ფუძისეული, აფიქსისეული) თანხმოვნის წინ უცვლელადაა:

წ ა გ ე ბ უ რ ქ იჭუუ – ყიფშ. 5.5 – წააგო (ზედმიწ. „წაგებული შეიქნა“).

ღორონთიშ სახელიშა წ ა ვ ა გ ე ნ დ ი ნ ი... – ყიფშ. 5.7 – ღმერთის სახელზე რომ წავაგებდი.

წა + უ > 1. წაუ...
2. წუ...

1. **წაუ...**

უკულაში სქუაქ წ ა უ კ ი თ ხ გ დავითნი – ყიფშ. 45.5 – უმცროსმა შვილმა წაუკითხა დავითნი.

ვაი მუში წ ა უ ლ ა ვ ა – ყიფშ. 29.28 – ვაი, მის „წახდენასო!“.

2. **წუ...**

აზრიქ წ უ რ თ გ – ხუბ. 174.11 – აზრი წაუხდა.

წა + ა > 1. წაა... წა...
2. წა...

1. **წაა**...

წ ა ა გ ე ბ ა ფ უ ნ ი, თი ეშმაკიქ – ყიფშ. 6.3 – რომ წააგებინა, იმ ეშმაკმა.

თით წ ა ა გ ე ირიფელი – ყიფშ. 26.21 – იმით წააგო ყველაფერი.

2. **წა**...

ნუმუ წ ა ც უ ნ ე ათე ჩქიმი ბოშალას – ყიფშ. 164.5 – ნუ წაახდენ ამ ჩემს ვაჟკაცობას.

წა + ი > 1. წეე...

2. წე...

1. **წეე**...

ინენქ წ ე ე კ ი დ ე ს – ყიფშ. 21.8. – ისინი წაიკიდნენ.

წ ე ე კ ი თ ხ ე ს – ყიფშ. 63.11 – წაიკითხეს.

2. **წე**...

წ ე კ ი თ ხ უ თენა – ხუბ. 3.12 – წაიკითხა ეს.

წა + ე > წეე...

წ ე ე ჩ ხ უ ბ ე ნისალენქე – ყიფშ. 40.4 – წაიჩხუბნენ რძლები.

ქო- ნაწილაკიანი **წა**- წინდებული თითქოს არ დასტურდება ტექსტებში.

ვა- ყველგან უცვლელი სახითაა. სამაგიეროდ ცვლილებას იწვევს წინდებულში.

წინდებული უცვლელადაა:

შურც ვა წ ა მ ი ც ო ნ ე ნ თ და – ყიფშ. 79.9 – სულს თუ არ წამიწყმედთ.

ვა- დართული წინდებული თანხმოვანი პრეფიქსის წინ, როცა ფუძის ხმოვანი არის **ა**, გვექნება:

1. ვაწიმა...
2. ვაწმა...

1. **ვაწიმა**...

ღორონთი ვა წ ი მ ა წ ყ ე ნ დ ე ნ ს – ყიფშ. 153.9 – ღმერთი არ წამწყმედს.

2. **ვაწმა**...

ვა მომისპა ზღვა დო გოლა. ვ ა წ მ ა ც ო ნ ა, საბაგელო! – ხუბ. 326.14 – არ მომისპო ზღვა და მთა, არ წამახდინო, საბაგელო (საბაგლად?)!

რთული წინდებულები
კოი- დართული რთული წინდებულები

მიკო-(//მეკო), მოკო- (//მუკო-)

თანხმოვნის წინ (იქნება იგი ძირეული თუ პრეფიქსი) წინდებული **მიკო**-ს სახით დასტურდება

გვალას სუმი კაკუალი ჭაფურია მიკოჩანს – ხუბ. 203.4 – მთაზე სამი ცალი „ჭაფურია“[1] ხარობს (ზედმიწ. „ცენობს“, „მიცენობს“).

მიკობლურსუ უმინჯურსუ... – ყიფშ. 150.24 – სადღაც მძინავს უპატრონოს.

თუ წინდებულს მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ი** ან **ო** ხმოვნით, წინდებულის მეორე ხმოვანი **ო** ამოვარდება:

თე რაში ახირებულო მიკვოკირია – ყიფშ. 33.3 – ეს რაში ახირებულად მივაბიო („მივაკარიო“).

ძვალი მიკოტახუ... მიკნატახა ძვალი... – ხუბ. 13.23 – ძვალი მიატეხა... მიტეხილი ძვალი...

კარს მიკნოჭარუე... – ხუბ. 3.12 – კარზე მიწერილი ყოფილა...

მუჭო მორწონქ? მიკმოჯინი... ყიფშ. 171.20 – როგორ მოგწონვარ? შემომხედე...

თუ წინდებულის მომდევნო თანხმოვან პრეფიქსს **ი** ხმოვანი მოსდევს, წინდებულის **ო** ხმოვანი უცვლელად რჩება, სამაგიეროდ ამოვარდნილია ფუძის ხმოვანი **ი**: მა ხენწიფექ კოჩი მიკომკირუ ბარჯგიშანი... – ხუბ. 12.25 – მე რომ ხელმწიფემ კაცი მიმიბა (ზედმიწ. „მიმიკრა“) ბოძზე...

მიკომკირუ < მიკო – მ – იკირუ.

მა სიდე ტახტი მიკომდგდგნ თექ... – ხუბ. 111.18 – მე სადაც ტახტი მედგა (მიდგმული მქონდა), იქ...

მიკომდგდგ < მიკო – მ – იდგდგ.

ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ **მიკო**- შემდეგ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის:

მიკო- წინდებული + **ო** ხმოვანი ფუძისა > 1. მიკაა...
2. მიკვ...
3. მიკა...
4. მიკიო...

1. **მიკაა**...

...უნაგერს მიკააკირგ ხურუჯონი... – ყიფშ. 30.19 – უნაგირზე მიაკრა ხურჯინი...

2. **მიკვ**...

...თი ტყას სინათეს მიკვრინუანც... – ხუბ. 182.13 – იმ ტყეს სინათლეს მიაყენებს...

---

[1] ბალახია.

3. მიკა...

...სქანი ბირცხა ქუას მ ი კ ა ს ო ფ ი ო?.. – ყიფშ. 100.7 – შენი ფრჩხილი ქვაზე მიაგლიჯეო?..

4. მიკიო...

წინდებულისეული **ო**-ს **ი**-დ გადაქცევა ფუძისეული **ო**-ს წინ მოულოდნელია. ამის ერთადერთი მაგალითია ტექსტებში:

...ჯა დო ჯა ართიანს მ ი კ ი ო ტ ი რ ხ გ.. – ყიფშ. 35.20 – ხე და ხე ერთმანეთს მიემტვრევა...

მიკო- წინდებული + ფუძის **უ** ხმოვანი > 1. მიკუ...
2. მიკუ...

1. მიკუ...

მ ი კ უ ჯ ი კ უ... – ხუბ. 286.35 – მიუჯიკავა...

2. მიკუ...

მ ი კ უ ბ ა ხ უ კარს... – ხუბ. 32.22 – მიუბრახუნა კარს.

...მ ი კ უ ჯ ი კ უ ოსურცუ ჰიჭე, კუჩხით... – ხუბ. 193.25 – მიუჯიკავა ცოლს ცოტა, ფეხით.

(შდრ. ზემოთ: მ ი კ უ ჯ ი კ უ).

მიკო- წინდებული + ფუძის **ი** ხმოვანი > 1. მიკიი...
2. მიკი...
3. მიკი...
4. მიკვე...

1. მიკიი...

ძღაბიქგ მ ი კ ი ი ჯ ი ნ გ ზღვაპიჯიშე – ყიფშ. 104 – გოგომ გაიხედა ზღვისპირისაკენ.

2. მიკი...

არბა წყარეფი მ ი კ ი შ ქ უ – ხუბ. 140.28 – ყველა წყალი მიუშვა.

3. მიკი...

ვართი დუს მ ი კ ი პ ტ ე ნ ქ თელო... – ხუბ. 326.12 – არც თავს დავიტოვებ მრთელად...

4. მიკვე...

ე ძღაბი აშო მ ი კ ვ ე ჯ ი ნ ე დ გ ნ ი... – ხუბ. 199.37 – ეს გოგო აქეთ რომ არ იყურებოდა...

ჩვეულებრივ, წინდებული უცვლელი სახით გამოჩნდება თანხმოვნის წინ. აქ თანხმოვნის წინ წინდებული **მიკო**-ს სახით გამოიყოფა. არის თუ არა **მიკო**- ამ წინდებულის თავდაპირველი, ამოსავალი სახე? არ უნდა იყოს. **მიკო**- უნდა მომდინარეობდეს **მეკო**-საგან, რომელშიდაც პირველ ელემენტად გამოიყოფა **მე**- წინდებული. რთული წინდებულის შემადგენლობაში მისი ხმოვანი **ე** დავიწროებულა **ი**-დ, ისევე, როგორც მარტივი წინდებული **მე**- თანხმოვანი პრეფიქსის წინ, თუ ამ თანხმოვანს **ა** ან **ო** ხმოვანი მოსდევს, გვაძლევს **მი**-ს.

წინდებულის პირველი **ი** ხმოვანი შესაძლოა დასუსტდეს **გ**-დ და ვიღებთ **მგკო**-ს. ამ სახით კი შესაძლოა შეგვხვდეს **მოკო**- წინდებულიც. ამ-

რიგად, **მიკო**- და **მოკო**-ს გარეგნულად გარჩევა ძნელდება – **მიკო**- და **მოკო**- წინდებულები ერთმანეთს დაემთხვენენ ისევე, როგორც **მე**-, **მო**- მარტივი წინდებულები.

მიკო- **მკო**-ს, ჩვეულებრივ, იძლევა, თუ მას ერთვის **ქო**- ან **ვა**- ნაწილაკი. აგრეთვე, ზოგჯერ – მათ დაურთველადაც. დამთხვეულ ფორმებს ცალკე განვიხილავთ, მანამდე კი **მოკო**- წინდებულსაც გავეცნოთ.

მოკო- თახმოვნის წინ უცვლელი სახით იშვიათადაა:

ათე ლაგვანი ცუდეში კარს მ ო კ ო პ ო ნ გ – ხუბ. 260.4 – ეს ქვევრი სახლის კარზეა მიყუდებული.

გვალაშ ჯინჯის ირემი მ ო კ ო ხ ე რ დ გ თექ – ხუბ. 208.26 – მთის ძირას ირემი იჯდა.

ჩვეულებრივ, **მოკო**- იძლევა **მუკო**-ს, შესაძლოა, ბაგისმიერი **მ**-ს გავლენით, ან კიდევ **ო უ**-დ ვიწროვდება მომდევნო მარცვლის გავლენით.

მ უ კ ო რ თ გ დღა დო ხანქგ – ყიფშ. 56.15 – გაიარა („გამოიარა") დრო და ხანმა.

მ უ კ ო ხ ე ნ ა სტოლს – ხუბ. 163.17 – უსხედან სუფრას და სხვ.

იშვიათად, ისიც მიმღეობასთან და არა ზმნის ფორმაში, დადასტურებულია **მუკა**-:

მ უ კ ა ლ უ ა ფ ა რ ი ენია – ხუბ. 242.24 – მოსავლელი არისო.

მ უ კ ა ქ უ ნ ა ლ ი – ხუბ. 18.9 – ტანისამოსი.

მოკო + თანხმოვანი პრეფიქსი + **ა, ო** ხმოვანი > 1. მოკ...

2. მუკ...

1. **მოკ**... იშვიათია.

სი უჩა მ ო კ გ ო ქ უ ნ ს ი ე? – ხუბ. 153.4 – შენ შავი გაცვიაო?

2. **მუკ**...

გურიშ მ უ კ მ ა შ ვ ე ლ ე ბ ე რ ი შორს პუნსგ – ხუბ. 340.5 – გულის მომმშველებელი შორსა მყავს.

ძღაბი, აშო მ უ კ მ ო ჯ ი ნ ი! – ხუბ. 332.28 – გოგო, აქეთ შემომხედე!

კიდალას დიდი სარკე მ უ კ ნ ო ბ უ ე ნ – ხუბ. 183.10 – კედელზე დიდი სარკე ჰკიდია (ზედმიწ. „ნაკიდავა").

მ უ კ გ ო ქ უ ნ ს ი ე – ხუბ. 136.10 – გაცვიაო.

მოკო + ო > 1. მუკაა...

2. მუკა̃...

3. მუკა...

1. **მუკაა**...

ვარჩხილიში მუკოქუნალი მ უ კ ა ა ქ უ ნ დ უ ა – ყიფშ. 100.21 – ვერცხლის ტანისამოსი ეცვაო.

2. **მუკა̃**...

მუთ წირუას მ უ კ ა̃ ქ უ ნ დ გ ნ, თინეფი ქიმკიქუნ ირფელი – ხუბ. 143.4 – რაც წირვაზე ეცვა, ისინი ჩაიცვა ყველაფერი.

3. **მუკა**...

იმავე ზმნასთან **მუკა**-ს სახით გვაქვს:

მ უ კ ა ქ უ ნ ს გ ნ – ხუბ. 143.4, 117.8 – რომ აცვია.

მოკო + უ > 1. მუკუუ...
2. მუკუ...

1. **მუკუუ**...

წანამოწანაში მ უ კ უ უ ლ ა შ ა – ყიფშ. 73.25 – წელიწადის გასვლამდე.

2. **მუკუ**...

მ უ კ უ დ უ კერქ ჩქვა – ხუბ. 12.33 – მოსდვა ღორმა ეშვი.

მოკო + ი > 1. მოკიი...
2. მოკრ...
3. მუკრ...
4. მოკი...
5. მუკი...

ისეთი შემთხვევები, სადაც პირველ ელემენტად **მო**- გამოიყოფა და არა **მუ**-, იშვიათია.

1. **მოკიი**...

ქუას ქგგედვი, – მ ო კ ი ი ე ნ ქ ი, ქანორხვადგ – ყიფშ. 176.20 – ქვაზე დადე, – რომ გამოივლი, შემოგხვდება.

2. **მოკრ**...

მ ო კ ი ლ რ თ აშოვა! – ხუბ. 278.1 – გამოიარეთ აქეთო!

3. **მუკრ**...

ტყების ტანიშა მ უ კ რ ქ უ ნ ა ნ დ ე ს – ხუბ. 208.24 – ტყავს ტანზე იცვამდნენ.

4. **მოკი**...

მ ო კ ი ლ უ ართი წანაქ – ხუბ. 13.8 – გაიარა ერთმა წელმა.

5. **მუკი**...

ართი წანაქ მ უ კ ი ლ ა ს გ ნ ი – ყიფშ. 9.23 – ერთმა წელმა რომ გაიაროს.

მოკო + ა > მუკა...

ვართგ აცვილესგ, ვართგ მ უ კ ა რ ა ც ე ს გ – ყიფშ. 94.33 – ვერც მოკლეს, ვერც გამოდენეს.

ეთინა მიდგას მ უ კ ა ც ო თ ი ნ ე... – ხუბ. 161.5 – იმას ვინც ჩამოაგდებს...

მოკო- წინდებულის პირველი ხმოვანი ისევე, როგორც **მიკო**- წინდებულისა, **ქო**- და **ვა**- ნაწილაკთა დართვით სუსტდება **გ**-დ ან სულ ამოვარდება და მაშინ **მოკო**- და **მიკო**- ერთმანეთს ემთხვევა. მათი გარჩევა თითქოს ხერხდება ისევ ნაწილაკთა საშუალებით. **ქო** > **ქუ**-ს **მოკო**- წინდებულის წინ, ხოლო **ქო** > **ქე**, **ქი**-ს **მიკო**- წინდებულის წინ, მაგრამ **ქო**- შესაძლებელია უცვლელად დარჩეს ორივე წინდებულთან, მაშინ ვეღარც ქო-ნაწილაკი შველის ამათ ერთმანეთისაგან გარჩევას. ასევე, **ვა**- ნაწილაკი **მიკო**-ს წინ **ვე**-ს იძლევა, მაშინ როდესაც მოკო-ს წინ უცვლელად რჩება.

განვიხილოთ **ქო**- და სავარაუდოდ გამოვყოთ, როდის არის **მიკო**- და – როდის **მოკო**-.

ქო- ნაწილაკი როცა ერთვის, **მიკო**- წინდებულის მეორე ხმოვნის ფუბისეულ ხმოვანთან შეხვედრისას იგივე ფონეტიკური ცვლილებები ხდება, როგორიც **ქო**- ნაწილაკდაურთველად. თუ არის რაიმე განსხვავება,

ისიც შემთხვევითია და უმნიშვნელო, ამიტომ მაგალითებს აღარ დავასახელებთ.

ქო- ნაწილაკის გავლენა ჩანს **მიკო**- წინდებულის პირველ ხმოვანზე. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა იგი თითქმის ყოველთვის იკარგება.

თვითონ **ქო**- ნაწილაკის ხმოვანიც, ჩვეულებრივ, იცვლება.

მეკა-ს პირველი ხმოვანი **ი** -ს სახითაა, ისე როგორც უ**ქო**ნაწილაკოდ, ხოლო **ქო** წარმოდგენილია **ქი**-ს სახით:

ჩქიმი დღა დალუური ქ ი მ ი კ ო ძ უ ბონდიშს – ყიფშ. 141.10 – ჩემი დღე დალეული მიდებულია ბონდისაკენ.

მუქ სუა ქ ი მ ი კ ა ა ფ ო რ გ – ყიფშ. 39.4 – თვითონ ფრთა მიაფარა.

ცას ქ ი მ ი კ ა ხ უ ნ უ უ – ყიფშ. 39.3 – ცაზე მისვა...

მეკო-ს პირველი ხმოვანი > **გ**, **ქო** > **ქე**, **ქი**-ს.

ართიანს ქ ე მ გ კ ო დ უ – ყიფშ. 34.28 – ერთმანეთს მიადო.

...ირიფელი ართიანს ქ ი მ გ კ ა ა ზ ღ ო დ უ უ – ყიფშ. 35.30 – ყველაფერი ერთმანეთს მიაყლიტა.

მეკო-ს პირველი ხმოვანი დაკარგულია, **ქო** > **ქე**-ს.

...ქ ე მ კ ი ქ უ ნ გ ჭითა ტანისამოსი – ხუბ. 164.29 – ჩაიცვა წითელი ტანისამოსი.

მეკო-ს პირველი ხმოვანი დაკარგულია, **ქო** > **ქი**-ს.

ბარჯგის ქ ი მ კ ო კ ი რ უ ართი ცირა – ხუბ. 11.354 – „ბაჯგზე" მიკრულია ერთი ქალიშვილი.

ვა- ნაწილაკის დართვა **მიკო**- წინდებულზე იმავე ცვლილებებს იწვევს, რასაც **ქო**- ნაწილაკი. სახელდობრ, წინდებულის პირველი ხმოვანი, ჩვეულებრივ, იკარგება. წინდებულის მეორე ხმოვანი ისევე, როგორც ქონაწილაკდართული, ფუძისეულ ხმოვანთან შეხვედრისას ისევე იცვლება, როგორც უ**ვა**ნაწილაკოდ.

თვითონ **ვა**- ნაწილაკი უფრო ხშირად **ვე**-ს სახითაა. **ა** ხმოვანი ემსგავსება წინდებულის პირველ **ი** ხმოვანს.

მოვიყვანოთ ყველა ამ შემთხვევისათვის საილუსტრაციო მაგალითები.

1. წინდებულის პირველი ხმოვანი დაკარგული არ არის:

მუნაფა ცასგ ვე მ ი კ ო ხ ე – ყიფშ. 74.39 – ღრუბელი ცაზე არ არის მიმჯდარი.

2. წინდებულის პირველი ხმოვანი ამოვარდნილია:

ონჯღორეში გურიშენი კოჩი ვ ე მ კ უ ნ ჭ ა ფ უ დ ე ს – ყიფშ. 150.12 – სირცხვილის გამო კაცი არ მიუკარებიათ.

ახლა განვიხილოთ, რა ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის **მოკო**- წინდებული **ქო**- ნაწილაკის დართვისას.

ძალიან იშვიათად **ქო**- შესაძლოა უცვლელად დარჩეს:

ქ ო მ უ კ უ დ ო ხ ო დ გ ოთხილუუსგ – ყიფშ. 34.29 – მოუჯდა სამეთვალყურეოდ.

ჩვეულებრივ, **ქო**- ნაწილაკი გვაქვს **ქუ**-ს სახით და **მოკო**-ს პირველი ხმოვანი თითქმის ყოველთვის ამოვარდნილია (იშვიათი გამონაკლისია: ქ უ მ უ კ ო ბ უ კგდალასგ – ყიფშ. 63.10 – მიკიდებულია კედელზე).

ათე ქალაქის ქუმკადირთუდუ – ხუბ. 14.1 – ამ ქალაქს მოადგე-ბოდა.

ბეჭედ თექ ქუმკობუ – ხუბ. 162.10 – ბეჭედი იქ ჰკიდია.

ვა- ნაწილაკდართული **მოკო**-:

ჯგირი ვა მგკმოქუნსუ – ყიფშ. 167.23 – კარგი არ მაცვია.

წყირსგ ვა მკოდფურინუა – ხუბ. 312.18 – რწყილს არ მოგაფრენ.

გაურკვეველია **მიკო**- წინდებულია თუ **მოკო**-, ვინაიდან განმასხვა-ვებელი ხმოვანი **გ**-დ არის დასუსტებული, ან სრულიად გამქრალია, ხო-ლო **ქო**-და **ვა**- ნაწილაკები ან უცვლელი სახითაა, ან **ქო** > **ქგ**-ს, რაც **მიკო**-წინდებულთანაც შესაძლოა და **მოკო**-სთანაც.

წინდებულის ხმოვანი **გ**-დ არის დასუსტებული, **ვა**- ნაწილაკი უც-ვლელადაა:

სოლეთინ ვა მგკმალე – ხუბ. 331.21 – არსად არ გამესვლება.

წინდებულის პირველი ხმოვანი დასუსტებულია **გ**-დ, **ქო**- ნაწილაკი > ქგ-ს:

...აბგგა ქგმგკააკირგ რაშის – ყიფშ. 89.8 – ˹აბგა˺ მიაკრა რაშს.

წინდებულის პირველი ხმოვანი ამოვარდნილია, **ქო**- ნაწილაკი უც-ვლელადაა:

...ყურძენიშა ქომკურინგნა ჯოღორი დო ტურას – ყიფშ. 141.14 – ყურძენთან მიმდგარან ძაღლი და ტურა.

˹ჟირი დიდი სათი˺ მელე-მოლე კიდას ქომკაბუმეს – ხუბ. 36.29 – ორი დიდი საათი იქით-აქეთ კედელზე ჩამოჰკიდეს.

ქომკიიქუნუ... მუკოქუნალი... – ყიფშ. 94.19 – ჩაიცვა... ტანისამოსი.

წინდებულის პირველი ხმოვანი დაკარგულია; **ვა**- ნაწილაკი უც-ვლელადაა:

უნჩაში ჯიმაქ ვა მკორჩქინდგ – ყიფშ. 79.18 – უფროსი ძმა არ გამოჩნდა.

ხალირი ვორექ ვა მკმოტალენქო? – ყიფშ. 143.3 – დამწვარი ვარ, არ გადამარჩენ?

წინდებულის პირველი ხმოვანი ამოვარდნილია, **ქო** > **ქ**-ს.

...ქგმკჳდგრთეს ართ დიხას... – ხუბ. 302.12 – მიადგნენ ერთ ად-გილს.

ქგმკჳდგრთეს < ქო-მიკო – ოდირთეს.

მიკო- და **მოკო**- ერთმანეთს ემთხვევა **ქო**- და **ვა**- ნაწილაკებდაურთ-ველადაც, როცა ამ წინდებულთა პირველი ხმოვანი **გ**-დ არის დასუსტე-ბული.

თანხმოვნის წინ:

შუმილი კოჩი მგკოჯან სტოლსგნ... – ხუბ. 58.4 – ნასვამი კაცი მი-წოლილი რომ არის სუფრაზე (შდრ. მუკოხენა „სტოლს“ – ხუბ. 163.17 – სხედან სუფრასთან).

გოლას მგკომიდგგ დაფი! – ყიფშ. 121.4 – მთაზე მიდგას დაფნა!

მგკაქუნალი – ხუბ. 91.10 – ტანისამოსი. ჩვეულებრივია – მუკო-ქუნალი.

ზარბაზანიში მგკმარენჯი კოჩი – ხუბ. 36.34 – ზარბაზანთან დამდგომი კაცი.

ტყებიშ მგკმანწყგმალი – ხუბ. 309.8 – ტყავის გამაძრობელი.

ხმოვნის წინ:

...მგკიილგ ბრელი ხანქ – ყიფშ. 79.12 – გაიარა ბევრმა ხანმა.

...დედგბქ მგკრჯინგ – ხუბ. 182.12 – დედაბერმა შეხედა.

მგკილგ ართი წანაქგნ – ხუბ. 54.3 – რომ გაიარა ერთმა წელმა.

მიკო- წინდებულს მნიშვნელობით ქართულად **მი-** წინდებული შეესაბამება.

მუნაფა ცასგ ვე მიკოხე – ყიფშ. 74.33 – ღრუბელი ცაზე არ ზის (მიმჯდარი არ არის).

ეშე ცას ოკო მიკასოფასგნ – ხუბ. 123.8 – ზევით ცას უნდა რომ მიაგლიჯოს.

დაჩხირიში ჟი მიკობუდუ დიდი კარდილა – ყიფშ. 21.22 – ცეცხლის ზევით მიკიდებული იყო დიდი ქვაბი.

კარს მარბგვანი განიშე ოკო მიკუბახუე კუჩხი სუმიშახ – ხუბ. 32.18 – კარს მარჯვენა მხრიდან უნდა მიუბრახუნო ფეხი სამჯერ.

ეკოხონას ხონუნდუ ნი, ქვიშას მიკოთასუნდუნი? – აღმართზე რომ ხნავდა, ქვიშას რომ თესავდა (ზედმიწ. „მითესავდა“).

Ъტოლბას' მიკოკირუნია თი ძღაბი – ხუბ. 150.27 – ბოძზე მიკრულიაო ის გოგო.

მუდგარენი... თი ტყას სინათეს მიკარინუანცგ – ხუბ. 182.18 – რაღაცაა... იმ ტყეს სინათლეს მიაყენებს.

მუქ სუა ქიმიკააფორგ – ყიფშ. 39.4 – მან ფრთა მიაფარა.

კარს მიკნოჭარუე – ხუბ. 3.12 – კარზე მიწერილი ყოფილა.

ცუდეს იშაულარს ქიმკაჭკადია სუმი ლარტყავა... მიკოჭკადგ სუმი ლარტყა – ხუბ. 231.18 – სახლის შესასვლელზე მიაჭედეო სამი ლარტყაო... მიჭედიებულია სამი ლარტყა.

ცქვაფა ცვაშა მიკიფორით! – ხუბ. 354.19 – ქება შუბლზე მიიფარეთ!

მოცემულ წინდებულს -**ჯინ**- ფუძის ზმნასთან განსხვავებული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ქართულად **შე-** წინდებულით გადმოდის.

ნოცვე სუმი სქუა: სუმიხოლო ართიანიში უჯგუში მიკაჯინალო – ყიფშ. 78.28 – ჰყოლია სამი შვილი, სამივე ერთმანეთზე უკეთესი შესახედავად.

ძღაბიქ მიკააჯინგ ქოჩორას – ყიფშ. 91.16 – გოგომ შეხედა ქოჩორას.

მარა მიკააჯინ ნი მუში ჯგირი ბოშალასგნი, ... – ყიფშ. 33.13 – მაგრამ რომ შეხედა თავის კარგ ვაჟკაცობას...

ზოგ შემთხვევაში **მიკო-** ქართულად **გა-** წინდებულს შეესატყვისება მნიშვნელობით:

მიკილუ დროქ – ხუბ. 1.9 – გაიარა დრომ.

გიშელ ართი წანაქ, მიკილ მაჟირა წანაქ – ხუბ. 14.22 – „გამოვიდა“ ერთი წელი, გაიარა მეორე წელმა.

მიკუულეს ართიანცგ – ყიფშ. 87.12 – ჩაუარეს („გაუარეს გვერდით“) ერთმანეთს.

იდეს, მეულა, ასე მიკაჩირთეს ეს დო... – ხუბ. 19.32 – მიდიან, მიდიან, ახლა გასცდნენ ამას და...

ათაშ-ათაში არძა (ჯიმალეფი) თითო ონჯუას ალიშქერქოუქ ქიმკრსურგ – ხუბ. 183.30 – ასე ამგვარად, ყველა (ძმები) თითო საღამოს ალიშქერქოუმ გაისტუმრა [საიქიოს].

მოკო- შეესატყვისება ქართული **მი**-ს მნიშვენლობას. **მიკო**-საგან არ განსხვავდება მნიშვნელობით:

კიდას ლეკური მუკობუ – ხუბ. 36.4 – კედელზე ხმალი არის მიკიდებული.

დიდი კარდილათ ხორცი ქუმკობუნი ქოძირუ – ხუბ. 7.36 – დიდი ქვაბით ხორცი რომ არის მიკიდებული, ნახა.

მუშენი რე მუკოკირუქ ბარჯგისიე – ხუბ. 11.37 – რატომ არის, მიკრული ხარ ბოძზეო (შდრ. სტოლბას... მიკოკირუნია თი ბღაბი – ხუბ. 150.27 – ბოძზე მიკრულიაო ის გოგო).

სი უჩა მოკგოქუნსიე? – ხუბ. 153.4 – შენ რომ შავი გაცვიაო? ვარჩხილიში მუკოქუნალი მუკააქუნდუა – ყიშფ. 100.21 – ვერცხლის ტანისამოსი ეცვაო.

მუკოჭარუდგ თექ სტოლბას – ხუბ. 145.25 – მიწერილი იყო იქ, ბოძზე (შდრ. იქვე: მიკოჭარუნ – ხუბ. 145.31 – რომ აწერია).

ზოგჯერ გამოსჭვივის **მოკო**- წინდებულის **მიკო**-ს საპირისპირო მნიშვნელობა.

ვართ აცვილეს, ვართ მუკარაცესგ – ყიფშ. 94.33 – ვერც მოკლეს, ვერც გამორეკეს.

აშონას მუკომლევა – ხუბ. 24.11 – აქეთობას გამომიარეო.

ათე ლაგვანი ცუდეში კარს მოკოპონგ – ხუბ. 260.4 – ეს ქვევრი სახლის კარზეა მიყუდებული.

წანმოწანაშე ართიშახ ათე ქალაქის ქუმკადირთუდუ – ხუბ. 14.1 – წელიწადში ერთხელ ამ ქალაქს მიადგებოდა.

მაშასადამე, **მოკო**- წინდებულს ქართული **მო**-ს მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ ისევე, როგორც ქართულის **მო**- წინდებულს, **გარშემო**-ს მნიშვნელობა აქვს.

ტყაშა ვემშართუ, რადგანს დიდი მანგარი ტყა ორდუნი დო ვართი მუკულუაფუ უღუდუ მიკმიკი – ხუბ. 2.36 – ტყეში ვერ შევიდა, რადგან დიდი ტყე იყო და არც მოსავლელი (შემოსასვლელი) ჰქონდა გარშემო.

მაჟია ხასგლაშე მუკულუ – ხუბ. 123.11 – მეორე მხრიდან მოუარა.

სუა-ტახილი კვარია ქოძირგ... – მუკალუაფარი ენია – ხუბ. 242.24 – ფრთამოტეხილი ყვავი ნახა... მოსავლელი არისო.

ხენწიფექ ქუმკუდოხოდგ სტოლცგ – ყიფშ. 90.33 – ხელმწიფე მოუჯდა სუფრას.

მოკო- წინდებულის მნიშვნელობაში იშვიათად გამოსჭვივის ქართულის **გა**- წინდებულის მნიშვნელობა.

რაშის ირფელი ოსინგ, მარა ვა მკასოფგ, მუკოკირგნ – ხუბ. 97.26 – რაშს ყველაფერი ესმის, მაგრამ ვერ გამოგლიჯა, მიკრული რომ არის.

ტყებიშ მგკმანწყგმალი... – ხუბ. 309.8 – ტყავის გამძრობი...

ამრიგად, **მიკო**- წინდებული ქართულის **მი**-ს უდრის მნიშვნელობით, **მოკო**- მოსალოდნელია, რომ საპირისპირო **მო**-ს მნიშვნელობისა იყოს, მაგრამ **მო**-ს მნიშვნელობა მკაფიოდ არ გამოსჭვივის ყოველთვის. ჩვეულებრივ, **მიკო**-ს და **მოკო**-ს მნიშვნელობის განსხვავება არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ქართულის მსგავსად, თანამიმდევრულად ეს განსხვავება არ ჩანს. მართალია, ზოგჯერ გვაქვს:

მოკრლით აშოვა! – ხუბ. 278.1 – გამოიარეთ აქეთო!...

ჯგირი ქიმინი დო ქუას ქგგედვი, მოკიილენქი, ქაწორხვადგ – ყიფშ. 176.20 – კარგი ჰქენი და ქვაზე დადე, რომ გამოივლი, წინ დაგხვდება.

მაგრამ სხვა ადგილას იმავე კონტექსტში გვექნება:

ჩქიმდა მიკილი აშონანს – ხუბ. 17.24 – ჩემთან გამოიარე აქეთობას („გაიარე“).

მეორე მხრივ, **მოკო**- არის მოსალოდნელი და **მიკო**- წინდებული არის გამოყენებული.

მუჭო მორწონქ? მიკმოჯინი! – ყიფშ. 171.20 – როგორ მოგწონვარ? შემომხედე!

ჩქიმდა მიკილი აშონანს! – ხუბ. 17.24 – ჩემთან გამოიარე აქეთობას!

მეკო-, **მოკო**-ს მნიშვნელობები დაიყვანება ორ ძირითად მნიშვნელობაზე:

1. აქვს ქართული **მი**-, **მო**-ს მნიშვნელობა, ე. ი. დომინანტობს **მეკო**-, **მოკო**- წინდებულთა პირველი ნაწილის, **მე**-, **მო**-ს მნიშვნელობა.

2. იშვიათად აქვს ქართულის **გა(ნ)**- წინდებულის მნიშვნელობა, რისი წყაროც, სავარაუდოა, რომ არის რთულ წინდებულთა მეორე შემადგენელი ნაწილი **კო**-.

მეკო-/**მოკო**- წინდებულებს დაერთვის **გე**-, **გა**- ან **გო**- წინდებული და ვიღებთ ორმაგად რთულ წინდებულს: **გემკო**-, **გამკო**-, **გომკო**-ს.

მეკო-, **მოკო**- წინდებულთა პირველი ხმოვანი **გე**-, **გა**-, **გო**-დართულ ორმაგად რთულ წინდებულებში გაუჩინარებულია ისევე, როგორც **ქო**- და **ვა**- ნაწილაკთა დართვისას.

გემკო-

თანხმოვნის წინ გვაქვს **გემკო**-ს სახით.

კარი გემკოთოლეს – ყიფშ. 53.25 – კარი გამოთალეს.

გემკოწყუ გოგო – ხუბ. 12.8 – გამოხსნა გოგო.

გემკო + ი > 1. გემკიი...
2. გემკი...
3. გემკი...

1. **გემკიი**...

ირი კოჩიში წოხოლე ოკო გემკიიცუნა ნი – ყიფშ. 54.23 – ყველას წინ უნდა გამოიყვანონ.

2. **გემკრ**...

საჩუქარი გემკრღე კოჩიქ – ხუბ. 243.1 – საჩუქარი გამოიტანა ამ კაცმა.

3. **გემკი**...

ბარგი გემკინწყი! – ხუბ. 273.8 – ტანისამოსი გაიხადე!

მნიშვნელობით **გემკო- მე/ოკო-** წინდებულთა საპირისპირო მიმართულებას გამოხატავს.

ართი ჯიჯე ძვალი გემკოტახუ... თე მიკნატახა ძვალი... – ხუბ. 19.22 – ერთი პატარა ძვალი გამოსტეხა... ეს მონატეხი ძვალი...

ირი კოჩიში წოხოლე ოკო გემკიიცუნა ნი, ... – ყიფშ. 54.23 – ყოველი კაცის წინ რომ უნდა გამოიყვანონ...

საჩუქარი გემკრღე კოჩიქ – ხუბ. 243.1 – საჩუქარი გამოიღო ამ კაცმა.

ბარჯგის ქიმკოკირუ ართი ცირა... გემკონწყუ ძღაბი – ხუბ. 12.8 – ბოძზე მიკრულია ერთი ქალიშვილი... გამოხსნა გოგო.

გემკო- რომ **მე/ოკო-** წინდებულთა უკუქმედითობას გამოხატავს, კარგად ჩანს ისეთ მაგალითებში, სადაც ორივე წინდებულია – **მე/ოკო**, რომელიც მოქმედების განვითარებას გამოხატავს და **გემკო-**, რომელიც – უკუქცევას:

ქიმკოკირუ – „დაბმულია"; > გემკოწყუ „აუშვა" („გამოხსნა").

გამკო1-

თანხმოვნის წინ, ჩვეულებრივ, გვაქვს **გამკო**...

ათე ჩხომს ქვილითი გამკოკვათგ – ყიფშ. 47.27 – ამ თევზს ქვირითი გამოჰკვეთა.

გიწო- წინდებული **გე**-თი გართულებული როცა არის, უცვლელი სახით აღარ გვხვდება. იგი იძლევა **გეგიწო**-ს, რომელმაც პირველი ხმოვნის დასუსტებით შეიძლება **გეგგწო**- მოგვცეს და სრულიად დაკარგვით **გეგწო**-. **გე**- ყოველთვის უცვლელი სახითაა.

ცალკე გამოვყოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც მეორე **გ**-თანხმოვანი ჩავარდნილია.

გეგეწო > გეგიწო > 1. გეიწო...

2. გეიწო... უშუალოდ შეხვედრილი ხმოვნებიდან მეორე **ი** სუსტდება **ი**-დ.

1. **გეიწო**...

თანხმოვნის წინ:

არძას ჯგირი გურით დუდი გ ე ი წ ო ტ ყ უ რ უ – ხუბ. 27.3 – ყველას კარგი გულით თავი გამოსტყუა.

მუჟანს ხეს გ ე ი წ ო ი ღ ა ნ ს გ ნ, ვენაჯინა თოლი დო პის – ხუბ. 35.23 – როცა ხელს ჩამოგართმევს, არ შეხედო თვალსა და სახეში.

გეიწოიღანს < გეიწოგიღანს.

მე-2 ობიექტური პირის ნიშანი **გ** ჩავარდნილია, მაგრამ ივარაუდება და ამიტომ უშუალოდ მოხვედრილ ხმოვნებს შორის ასიმილაცია არ ხდება.

გეიწო + უ > გეიწუ...

ხე გ ე ი წ უ ღ ეს ართიანს – ხუბ. 37.4 – ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

ლაგამი აშო გ ე ი წ უ ღ ი – ხუბ. 129.19 – ლაგამი (აქეთ) გამოართვი.

2. **გეიწუ**...

გ ე ი წ უ ო ლ გ ხეშე ირფელქ – ხუბ. 89.16 – გაუვარდა ხელიდან ყველაფერი.

გეიწუოლგ < გეიწო – უოლგ > გეიწუულგ > გეიწუოლგ.

გ ე უ წ უ ღ გ ბეჭედი – ხუბ. 126.10 – გამოართვა ბეჭედი.

გეუწუღგ < გეიწო-უღგ > გეიწუუღგ > გეიწუღგ > გეუწუღგ.

გაგიწო-

გა + გეწო + უ > 1. გაგგწუუ...

2. გაგწუ...

1. **გაგგწუუ**...

თე კოს გინი გ ა გ გ წ უ უ ც ო ნ ა ნ გ – ყიფშ. 44.27 – იმ კაცს ხბო გამოართვან.

2. **გაგწუ**...

ზიტყვას გ ა გ წ უ ღ ა ნ ქ ი ა – ხუბ. 258.19 – სიტყვას ჩამოვართმევო.

ის შიშით ლეკურქ გ ა გ წ უ ო ლ გ – ხუბ. 185.9 – მას შიშით ხმალი გაუვარდა.

გაგწუოლგ < გა-გეწო-უ-ოლგ > გაგიწუუოლგ > გაგგწუოლ > გაგწუოლგ.

მეორე **გ** თანხმოვანი გაუჩინარებულია და ვიღებთ **გაიწო**-ს. ასიმილაცია არც აქ ხდება, რადგანაც **გ** იგულისხმება.

თანხმოვნის წინ:

მუთ უღუნ ირფელს გ ა ი წ ო ყ ი დ ე ნ ს – ხუბ. 154.21 – რაც აქვს, ყველაფერს იყიდის (მისგან).

ცხენი გ ა ი წ უ მ ც უ ნ უ ა – ხუბ. 268.30 – ცხენი გამომართვაო.

გაიწო-მიცუნუა < გაიწომცუნუა > გაიწუმცუნუა.

გაიწო + უ > 1. გაიწუუ...
2. გაიწუ...

1. **გაიწუუ**...

დიდაქ ქიმუუღგ სქუას... წუღაზეფი... (ბოშიქ) გ ა ი წ უ უ ღ გ ჩაფუ-ლა „მიიბდვანქია" – ხუბ. 60.30 – დედამ მიუტანა შვილს...წუღები... (ვაჟმა) გამოართვა ფეხსაცმელი („ჩაფულა"), „ჩავიცვამო".

2. **გაიწუ**...

გ ა ი წ უ ღ გ თოფი – ხუბ. 159.35 – გამოართვა თოფი.

გ ა ი წ უ ც ო ნ ა თ ი ა თინავა – ხუბ. 94.11 – გამოვართვათ ისო.

გ ა ი წ უ ს ხ ა პ გ ლიფშიქ ხეშე ძღაბის – ხუბ. 130.20 – გაუხტა ნემსი ხელიდან გოგოს.

აფხაქ გ ა ი წ უ ო ლ გ ობრის – 261.27 – ბეჭი გაუვარდა ორბს.

გაიწუოლგ < გაიწო-უ-ოლ > გაიწუულ.

გაიწო + ი > გაიწი...

ირთგ ე ბოშიქ, ირთგ... დო გ ა ი წ ი ნ წ ყ გ ლაგამი – ხუბ. 130.7 – იტრიალა ამ ვაჟმა, იტრიალა... და წაიძრო ლაგამი.

გიწო- წინდებულზე დართული **გე**-, **გა**- წინდებულებით მიღებულ ორმაგად რთულ წინდებულებს – **გაგწო**-, **გეგწო**-ს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ – უკუქცევითობას გამოხატავენ. ზოგჯერ ერთსა და იმავე ზმნასთან დასტურდებიან სავსებით ერთი და იმავე მნიშვნელობით.

გ ე ი წ უ ო ლ გ ხეშე ირფელქ – ხუბ. 89.16 – გაუვარდა („გამოუვარდა") ხელიდან ყველაფერი.

შდრ.: ის შიშით ლეკურქ გ ა გ წ უ ო ლ გ – ხუბ. 185.9 – მას შიშით ხმალი გაუვარდა („გამოუვარდა").

ასევე:

გ ე უ წ უ ღ გ ბეჭედი – ხუბ. 126.10 – გამოართვა ბეჭედი.

გ ე გ წ უ უ ღ გ ხრისტაგანქ აბგა – ყიფშ. 89.8 – გამოარვა ხრისტაგანმა აბგა.

შდრ.: თათრაყანქ ბეგოს გ ა გ წ უ ღ გ მუში ქაშქვილი დო ქასაგანი – ხუბ. 101.25 – თათრაყანმა ბეგოს გამოართვა თავისი მშვილდი და ისარი.

დიდაქ ქიმუუღგ სქუასგ... წუღაზეფი... (ბოშიქ) გ ა ი წ უ უ ღ გ – ყიფშ. 60.30 – დედამ მიუტანა შვილს... წუღები... (ვაჟმა) გამოართვა.

შემდეგ:

ცირაშა ქიმერთია და პიჯალა გ ე გ გ წ უ უ ღ ი ა – ყიფშ. 33.9 – ქალთან მიდი და პირობა ჩამოართვი („გამოართვი").

შდრ.: ზიტყვას გ ა გ წ უ ღ ა ნ ქ ი ა – ხუბ. 258.19 – სიტყვას ჩამოვართმევო („გამოვართმევო").

გეგიწო-, **გაგიწო-** ზმნისწინების მნიშვნელობა უდრის ან დაიყვანება **გამო-** (აგრეთვე, **ჩამო-**) ზმნისწინზე.

ხშირად არის ორივე „ღ“ ძირის ზმნებთან, რომლებთანაც „გამორთმევის“ მნიშვნელობა ახალ მნიშვნელობადაც განვითარებულია ზოგჯერ.

გეგწუუღეს ხე ართიანს – ყიფშ. 87.17 – ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. ქართულის მსგავსი იდიომია.

თე კოს გინი გაგწუუცონანგ – ყიფშ. 44.27 – ამ კაცს ხბო ჩამოართვან (წაართვან).

შდრ.: ცხენი გაიწუმცუნუა – ხუბ. 268.30 – ცხენი ჩამომართვაო (გამომართვაო).

ქიმეჩგ ქონება დო გაიწუღგ ენა – ხუბ. 279.25 – მისცა ქონება და გამოართვა ეს.

იგივე წინდებული თვითონ „ცილ“-ძირის ზმნასთანაც გვხვდება:

არბას ჯგირი გურით დუდი გეიწოტყურუ – ხუბ. 27.3 – ყველას კარგი გულით თავი გამოსტუა.

გაიწუსხაპგ ლიფშიქ ხეშე ძღაბის – ხუბ. 130.20 – გამოუხტა ნემსი ხელიდან გოგოს.

ირთგ ე ბოშიქ, ირთგ... დო გაიწინწყგ ლაგამი – ხუბ. 130.7 – იტრიალა ამ ვაჟმა, იტრიალა და წაიძრო ლაგამი.

ამრიგად, მეგრულის **წო**-იანი წინდებულები მიუთითებენ წინ, წინისკენ ადგილსა და მიმართულებას[1]. გამონაკლისია იშვიათად, როდესაც **წო**-იანი წინდებული ქვევით, რისამე ქვეშ ადგილსა და მიმართულებას მიუთითებს.

ლა- დართული წინდებულები

მელა-, მილა-, მოლა-, მულა

თანხმოვნის წინ.

1. **მელა**...

შქირენს მელაჭკუმაფუ ვა აკო – ყიფშ. 173. 3. – შიმშილს მისაჭმელი არ უნდა.

2. **მილა**...

ათაქ ჯიხა რენია... დო თექ მილახვილუნია – ხუბ. 233. 5 – აქ ციხე არისო... და იქ არის ჩამწყვდეულიო.

ნამ ცუდეს მილარე თი დემეფია – ხუბ. 240. 12 – რომელ სახლში არის ის მდევებიო.

3. **მოლა**...

მოლაბრთით ცუდეშა – ყიფშ. 22. 18 – წამოვედით შინ.

---

[1] არნ. ჩიქობავა, „ჰან. გრამ. ან.“, 119., „წარ- პრევერბი...“, 160.

მოლაზოჯია... ონჯირუუ ოთახშა – ყიფშ. 65. 26 – წამობრძანდით... საწოლ ოთახში.

მოლა- > მალა- ...

მალართ ე ბომიქ მუში ცუდეშა – ყიფშ. 45. 24 – (48. 13; 49, 28) – წამოვიდა ეს ვაჟი თავის სახლში.

მალართ აშო – ხუბ. 289. 20 – წამოვიდა აქეთ.

4. **მულა**...

ცუდეს მულახე – ხუბ. 215. 20. – შინ ზის.

(მაჟირა ცუდეშა) მუნილით... ამარი მულაძუნია – ხუბ. 22. 12 – (მეორე სახლში) შემოდით... აქ ძევსო.

მოლა- → მოლ- ... თუ ეს წინადებული თანხმოვანი პრეფიქსის წინაა, რომელსაც მოსდევს ხმოვანი **ა, ო**.

მოლმაცუნი – ყიფშ. 56. 8 – წამომყევი.

ხოლო თუ ამ პრეფიქსს **ი** ხმოვა ნი მოსდევს, შესაძლებელია, დაიკარგოს არა წინდებულის ხმოვანი, არამედ პრეფიქსის მომდევნო ხმოვანი, ხოლო წინდებული უცვლელად დარჩეს:

აშო მოლამცონუა – ხუბ. 153. 17 – აქეთ წამომიყვანაო (შდრ. იქვე: აშო მოლამიცონუა – ხუბ. 153. 20).

მოლა- (მალა-) ხმოვნის წინ:

მოლა + ო → 1. მოლაა...
2. მალაა...
3. მოლა...

1. **მოლაა**...

ხენწეფექ მუშეფი მოლააჩქუ – ყიფშ. 71. 22 – ხელმწიფემ მუშები წარმოგზავნა.

2. **მალაა**...

საქომონჯოქ თეურეშე ოკო მალააცოთასგ – ყიფშ. 48. 25 – საქმრომ იქიდან უნდა წამოაგდოს.

3. **მოლა**...

ჯარი მოლაჩქუ – ხუბ. 168. 18 – ჯარი წარმოგზავნა.

მოლა + უ → 1. მოლოუ...
2. მოლუუ...
3. მოლუ...

1. **მოლოუ**...

ქოთხეის, მოლოურთგმუნდუკონი – ყიფშ. 106. 4 – სთხოვეს, რომ წამოსულიყო.

2. **მოლუუ**...

ე დემს მოლუუტყუაფუთ – ყიფშ. 42. 7 – ამ დევს წამოუტყუებივართ.

3. **მოლუ**...

მოლურს თინა – 36. 11 – წამოვა ის.

მოლა +ი → 1. მოლეე...
2. მოლე...
3. მალე...

1. **მოლეე**...

მართახი მოლეეღგ – ყიფშ. 14. 5 – მათრახი წამოიღო.

მოლეეცონგ ეობრიქგ – ყიფშ. 39. 6 – წამოიყვანა იმ ორბმა.

2. **მოლე**...

წყარით მოლეღია – ხუბ. 241. 5 – წყალიც წამოიღეო.

ოკო მოლეპონე – ყიფშ. 10. 5 – უნდა წამოვიყვანო.

3. **მალე**...

ერემქ კვარია მალეცუნგ – ხუბ. 241. 16 – ირემმა ყვავი წამოიყვანა.

მოლა +ა→ მოლა...

ათეს ქეგედოხოდგ ე ცირაქ დო თეში მოლაცუნუ ჯარს – ყიფშ. 29. 4 – ამაზე დაჯდა ეს ქალიშვილი და ისე წამოჰყვა ჯარს.

მელა-, მილა-, მოლა-, მულა- წინდებულები ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან, როდესაც პირველი ნაწილის ხმოვანი სუსტდება **გ**-დ ან სრულიად იკარგება. ეს, ჩვეულებრივ, ხდება მაშინ, როდესაც წინდებულს წინ ემატება **ქო**- ან **ვა**- ნაწილაკი. თუმცა დადასტურებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ნაწილაკები არ ერთვის, მაგრამ მაინც ვიღებთ **გ**-ს.

მგლარე დო ყარულენც – ხუბ. 72. 37 – (შიგ) არის და ყარაულობს.

ასეთ შემთხვევაში კონტექსტი უნდა გვშველოდეს, მაგრამ აქ კონტექსტიც არაფერს ამბობს, რადგანაც ხშირად ორივე ერთი მნიშვნელობით იხმარება. მგლარე შეიძლება მიიღებოდეს მილარე-სგანაც და მოლარე || მულარე-სგანაც.

კონტექსტის გარდა, განსხვავების გაგებაში გვიშველის თვითონ ნაწილაკებიც: მილა- წინდებულთან ვა- იძლევა ვე-ს, ხოლო მოლა- წინდებულთან – უცვლელი რჩება.

არძა ოთახუეფი დილუ, მარა კოჩი ნამუთინს ვემლახვილუ – ხუბ. 7. 28 – ყველა ოთახი დაიარა, მაგრამ კაცი არც ერთში (შიგ) არ დახვედრია.

ვემლახვილუ < ვამგლახვილუ < ვამილახვილუ...

ქიმერთ ართი ცუდეშა, მარა მუთუნი ვა მლახვილუუ – ყიფშ. 57. 21 – მივიდა ერთ სახლში, მაგრამ არაფერი არ დახვდა (შიგ).

ვამლახვილუუ < ვამგლახვილუ < ვამულახვილუუ < ვამოლახვილუუ.

მოლა- წინდებულს ვვარაუდობთ, თუ **ქო**- → **ქუ**-ს ან უცვლელი რჩება, თუ **ქო**- > 1. **ქე**-... 2. **ქი**-ს..., მელა- მილა- წინდებულს ვვარაუდობთ.

1. **ქო**...

მინააჯინგ ნი, ... მუში რაში ქომგლარე – ყიფშ. 99. 11 – რომ შეიხედა... მისი რაში არის (შიგ).

2. **ქო > ქუ**...

მიდართეს... ფაცხაშა, თექ ქ უ მ ლ ა დ ო ხ ო დ ე ს – ყიფშ. 93. 28 – წავიდნენ... ფაცხაში, იქ დასხდნენ.

ძღაბი ქ უ მ ლ ე ტ უ მუმაწკემა – ხუბ. 151. 5 – გოგო დატოვა მამასთან.

3. **ქო > ქე**...

გალესოფგ ჩირქე დო ქ ე მ ლ უ ჭ კ ო მ უ – ხუბ. 306. 6 – გამოიგლიჯა ფეხი და შეაჭამა. (შდრ. იქვე: მ ი ლ ა მ ჭ კ ო მ ე ვ ე „რომ შემაჭამე").

4. **ქო > ქი**...

ათე ლაგამი პის ქ ი მ ლ ე დ ვ ი ა – ბუბ. 129. 14 – ეს ლაგამი პირში ჩაიდეო.

თუ ნაწილაკის ხმოვანი **ო > გ**-ს, მაშინ უფრო ძნელი ხდება გარჩევა.

1. **ქგმგლაა**...

ქ გ მ გ ლ ა ა ნ ჯ ი რ ე ე ს თიმუ სერს – ყიფშ. 54. 2 – დააწვინეს (შიგ) იმ ღამეს.

2. **ქგმლა**...

ართი დედგბი ქ გ მ ლ ა ხ ე – ყიფშ. 57. 22 – ერთი დედაბერი ზის (შიგ).

სულ ორიოდე მაგალითია ისეთი, როდესაც წინდებულს თავისი ხმოვანი შენარჩუნებული აქვს, მიუხედავად **ქო**- ნაწილაკის დართვისა.

ქგმულმო...

მულანწყვილი ორომეს თექი ქ გ მ უ ლ მ ო ხ უ ნ ე ს – ყიფშ. 155. 1 – ჩაწყვეტილ ორმოში იქ ჩამსვეს.

მ ი ლ ა- მიუთითებს შიგნით ჰორიზონტალურ ადგილს. ქართულად შეესატყვისება წინდებული **შე**- ან **ჩა**- და, აგრეთვე, სახელს -**ში** თანდებული უჩნდება.

ნამ ცუდეს მ ი ლ ა რ ე თი დემეფია – ხუბ. 240. 12 – რომელ სახლში (შიგ) არის ის მდევებიო.

(შდრ.: მ უ ლ ა რ ე ნ ჯ ი ცუდე – ხუბ. 158. 15) – საცხოვრებელი სახლი.

თექ (ბილიოს) გვერი მ ი ლ ა ხ ე დ გ ნ, მუთ გიჩქდგ თენავა – ხუბ. 136. 16 – იქ (თეთრეულში) რომ გველი იჯდა (შიგ), რა იცოდი ესო.

მუ ქიმინას? მანგარი ცუდეს მ ი ლ ა ხ ვ ი ლ გ დინახალე – ხუბ. 22. 18 – რა ქნას? „მაგარ" სახლში არის შემწყვდეული შიგ.

ირ კოჩი ართო მ ი ლ ა ტ ყ ო ბ უ თ კარ კილეროვე – ხუბ. 151. 38 – ყოველი კაცი ერთად შემალული კარდაკეტილ(შ)ი ხართო.

განჯია ეთი კარია, თექ მ ი ლ ა კ ი რ გ ნ ი ა... რაში – ხუბ. 117. 3 – გააღეო ის კარიო, იქ არის დაბმულიო... რაში.

ათე ლაგამი პის ქ ი მ ლ ა დ ვ ი ა – ხუბ. 129. 14 – ეს ლაგამი პირში ჩაუდეო.

მ ე ლ ა - მ ი ლ ა -საგან განსხვავებული მნიშვნელობითაა:

შქირენს მ ე ლ ა ჭ კ უ მ ა ფ უ ვა აკო – ყიფშ. 173. 3 – შიმშილს მისაჭმელი არ უნდა.

ხორცის მილუჭკუმუანს გიორგი – ხუბ. 152. 31 – ხორცს აჭმევს, „წააჭმევს“ გიორგი.

მულა- წინდებულს სავსებით ის მნიშვნელობა აქვს, რაც წინა მილა-ს.

კარი განჯუ მაჟირა ცუდეში... მუნილით... ამარი მულაბუნია – ხუბ. 22. 12 – კარი გააღო მეორე სახლისა... შემოდით... აქ (შიგ) ძევსო.

ცუდეს მულახე, სოთინი ვემურც – ხუბ. 215. 20 – სახლში ზის, არსად არ მიდის.

დინოხოლე მულაჯანუნია ართი ჯგირი ძღაბია – ხუბ. 134. 3 – შიგნით (შიგ) წევსო ერთი კარგი გოგოო.

ქიმერთგ ართი ცუდეშა, მარა მუთუნი ვარ მულახვილუუ – ყიფშ. 57. 21 – მივიდა ერთ სახლში, მაგრამ არაფერი (შიგ) არ დახვდა. ძღაბი ქუმლეტუ მუმაწკგმა დო მუქ ბალკონს ქაწოდოხოდგ – ხუბ. 151. 5 – გოგო დატოვა მამასთან და თვითონ აივანზე წამოჯდა.

მოლა- მნიშვნელობით უდრის ქართულის **წამო**-ს:

მოლაბრთით ცუდეშა – ყიფშ. 22. 18 – წამოვედით შინ.

მოლართეს დო კინი მუნეფიში ქალაქიშა ქომორთეს – ყიფშ. 5. 4 – წამოვიდნენ და კვლავ თავიანთ ქალაქში მოვიდნენ.

გიორგიქ მოლართგ თუდონი სართულიშა – ხუბ. 147. 35 – გიორგი წამოვიდა ქვემოთა სართულისაკენ.

ცუდეშა მოლაზოჯითია – ხუბ. 13. 2 – სახლში წამობრძანდითო. მოლარაცეს აშო: ორინჯი, კოჩი – ხუბ. 252. 23 – წამორეკეს აქეთ: საქონელი, კაცი.

მუთ ჯგირი დო სქვამი ქორდუნი, ირფელი მოლეღეს დო მოლართეს – ხუბ. 5. 10 – რაც კარგი და მშვენიერი იყო, ყველაფერი წამოიღეს და წამოვიდნენ.

ჯარი მოლაჩქუ – ხუბ. 168. 18 – ჯარი წამოგზავნა.

საქომონჯოქ თეურეშე ოკო მალააცოთას – ყიფშ. 48. 25 – საქმრომ იქიდან უნდა წამოაგდოს.

ამრიგად, მილა-, მულა- წინდებულები აღნიშნავენ შიგნით, ჰორიზონტალურ ადგილს. ისინი სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს მნიშვნელობით და ხშირად ერთსა და იმავე კონტექსტში, ერთსა და იმავე ფუძესთან გვხვდებიან, მაგალითად:

ნამ ცუდეს მილარე თი დემეფია – ხუბ. 240. 12 – რომელ სახლში არიან ის მდევებიო.

ნამ ცუდეს სქანი ოსური მულახენი... – ხუბ. 167. 11 – რომელ სახლშიც შენი ცოლი ზის...

განსხვავება აშკარაა მოლა- წინდებულისა, რომელსაც ქართულის **წამო**-ს მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მელა- წინდებულისა – „ჯკომ“ ძირის ზმნებში (ქემლუჯკომუ „შეაჯამა“, მელაჯკუმაფუ „მისატანებელი“...); მოლა- წინდებულს საპირისპირო მელა- „წამო-ს“ მნიშვნელობით არა აქვს. მას უპირისპირდება მილა-.

ამ ორი წინდებულის შედგენილობა ასეთია:

მე-ლა მი-ლა

მო-ლა მუ-ლა

მეორე შემადგენელ ნაწილად ოთხივეში ლა- გამოიყოფა. პირველ ნაწილად არის მე-, მი-, მო-, მუ-.

ჩვეულებრივ, მი-ს < მე, მუ-ს < მო. პირველადია **მე-**, **მო**, ხოლო **მი**, **მუ** მეორეულია.

ძნელი სათქმელია, ასევეა თუ არა ამ შემთხვევაშიც, რადგანაც თუ მილა-მელა-საგან მომდინარეობს და მულა- მოლა-საგან, მოსალოდნელია, რომ ფორმით მეორეული მნიშვნელობით იგივე იყოს, რაც ამოსავალს აქვს, მაგრამ ეს ასე არ არის. მელა-ს, როგორც დავინახეთ, სულ სხვა მნიშვნელობა აქვს და მილა-ს – სხვა, ასევე მოლა-ს და მულა-ს. სამაგიეროდ ერთმანეთს ემთხვევა მნიშვნელობით მილა- და მულა-.

ხომ არ არის ისინი ერთი და იმავე წინდებულის სახეცვლილება, ე. ი. მათი პირველი ნაწილაკი მი-, მუ- ერთი წარმოშობისაა. ი და უ-ს მონაცვლეობა მეგრულში დასაშვებია. მაგალითად: ნისა, ნოსა; ბირგული, ბურგული.

მელა-მოლა-, როგორც აღვნიშნეთ, შიგნით ადგილს არ მიუთითებს, მილა-, მულა-საგან განსხვავებით.

ამ წინდებულებს „შიგნით"-ის მნიშვნელობას მეორე ნაწილი **-ლა**- ანიჭებს. **-ლა**- კი ორივე წყებისათვის (**მე**, **მო**-იანებისთვისაც და **მი**, **მუ**-იანებისთვისაც) საერთოა. ამ რთულ წინდებულთა პირველ ნაწილს თუ მივაწერთ ამ დიფერენციაციის შექმნას, გაუგებარია – რატომ. ცხადია, დიფერენციაციის მიზეზი პირველი ნაწილი არც არის და განსხვავება, რომელსაც ამ ორი წყების მნიშვნელობაში იძლევა **მე**, **მო**, **მი**, **მუ**, შემთხვევითი უნდა იყოს. მაგრამ ამ ორი წყების განსხვავება მნიშვნელობის მიხედვით მაინც ფაქტად რჩება. განსხვავების მიზეზი ისევ მეორე ნაწილში (**ლა**-ში) უნდა ვეძიოთ.

გამულა-

მილა-, მულა-ს როცა გა- დაერთვის შიგნიდან უკუქცევითობას გამოხატავს და მნიშვნელობით უდრის „შიგნიდან გამო"-ს.

თანხმოვნის წინ:

1. **გამულა-**

ქაყოთგ ბოშიქგ... ქგდაანთხგ ირემქგ ნი, გამულასხაპუ ყურდგელქგ... ქგდაანთხგ ყურდგელქგ ნი, გამულასხაპუ კოლოფიაქგ – ყიფშ. 66. 20 – ესროლა ვაჟმა... რომ დაეცა ირემი, გამოხტა (შიგნიდან) კურდღელი... რომ დაეცა კურდღელი, გამოხტა „კოლოფია".

2. **გამლა**...

ბეგო დო თათარყანი ჟირხოლო ართიანც გგნა, მუჭოთ ცვალი ცვალიშე გამლაკვათე – ხუბ. 99. 24 – ბეგო ლა თათარყანი ორივე ერთმანეთს ჰგვანან, როგორც ყველი ყველიდან გამოკვეთო.

ენა დიდ კითის მიმნოხვე დო გოკვათეს დიდი კითი წყენარო. გამლასხაპგ ალიქერქუქ – ხუბ. 294. 36 – ეს დიდ თითში იყო შემჯდარი და გაკვეთეს დიდი თითი. წყნარად გამოხტა (შიგნიდან) ალიქერქუ.

ელა- || ილა-

თანხმოვნის წინ:

ქგდიიჭყეს... პლატოკიში ელაღალა – ყიფშ. 92. 23 – დაიწყეს... ცხვირსახოცის ამოღება.

(სქანი ღუჯი) მა ელარსოფიო? – ყიფშ. 100. 15 – (შენი ყური) მე აგაგლიჯე?

თუ თანხმოვანი პრეფიქსია **ა** (აგრეთვე **ო**) ხმოვნით, წინდებულს ეკვეცება ბოლო ხმოვანი.

ელმაკითხე კოჩი ვაცუნცუ – ყიფშ. 57. 15 – შესაკითხავი „მრჩეველი" კაცი არა ჰყავს.

თუ პრეფიქსის მომდევნო ხმოვანი **ი** არის, იგი სუსტდება **გ**-დ.

თე კოჩი ელამგჯანუდუა – ხუბ. 18. 1 – ეს კაცი მეწვაო (გვერდში).

ხმოვნის წინ:

ელა + ა → 1. ელაა...
2. ელნ...

1. **ელაა**...

დიდაქ ქიმიოსხაპუ კიდგბანიშა დო ელაამქუ ჭანდი – ყიფშ. 60.31 – დედა მიახტა კიდობანს და ამოუშვა ბუზი.

2. **ელნ**...

ეშე ელნჯინეს ნი, ... – ხუბ. 3. 3 – ზევით რომ აიხედეს.

ელა + უ → 1. ელუ...
2. ელუ...

1. **ელუ**...

ფსუა ელუსგ – ხუბ. 241. 20 – ფრთა წაუსვა.

2. **ელუ**...

ელუსვეს ფსუა – ხუბ. 306. 9 – აუსვეს ფრთა.

ელა + ი → 1. ელე...
2. ელე...

1. **ელე**...

გიორგიქ ელენწყგ ლეკური – ხუბ. 146. 29 – გიორგიმ ამოიძრო ხმალი.

2. **ელე**...

ქარქაშიშე ელელენს – ხუბ. 36. 7 – ქარქაშიდან ამოვა.

ელა-ს ზოგჯერ ენაცვლება **ილა**-.

თანხმოვნის წინ:

ეთექ კგლა ილაძგნია – ხუბ. 296. 19 – იქ კლიტე ძევსო.

ილა + ო → ილა...

ილაჯინესი, ქოძირეს, ყიფშ. 105. 18 – რომ აიხედეს, ნახეს.

ილა + უ → ილოუ...

ღეჯქ ჩქვა ილოურქეუ – ყიფშ. 105. 19 – ღორმა ეშვი აუქნია.

ქო + ელა + თანხმოვანი:

დაჩხირცქელანჯირუ – ხუბ. 187. 30 – ცეცხლს მოუწვა (გვერდში).

ქო + ელა + ო → ქელა...

ქო + ელა + უ → ქელუ...

ყარულ ქელურინესგნი... – ხუბ. 232. 28 – ყარაული რომ დაუყენეს...

ქო + ელა + ი → 1. ქელეე...
2. ქელე...

1. **ქელეე**...

ჯიბეშა ქელეედუ – ყიფშ. 40. 29 – ჯიბეში ჩაიდო.

ქელეენჯირგ მინდორც – ყიფშ. 74. 28 – წამოწვა მინდორში.

2. **ქელე**...

ჟირი ჯიბეშა ქელედუ – ხუბ. 106. 25 – ორი ჯიბეში ჩაიდო.

ქო + ილა + ო → 1. ქილაა...
2. ქილა...

1. **ქილაა**...

ტყობააშე ბრელი ფარა ქილააჭირინუუ – ყიფშ. 44. 7 – ჩუმად ბევრი ფული მისცა.

2. **ქილა**...

ხოპით გალეღეს დო რობუს ქილარაგვეს ვიშო – ხუბ. 261. 29 – ნიჩბით ამოიღეს და ხრამში ჩააგდეს იქით.

ვა + ელა + თანხმოვანი → ველა...

ათე მოინალე ოსურიშა მა ველამჯირალუნია დო, მიქ რენია ელანჯირუან – ხუბ. 30. 29 – ამ მომვლელ ქალთან მე არ ვწოლილვარო და ვინ არის, რომ დაუწვაო.

ვა + ელა + ო → 1. ველაა...
2. ველა...

1. **ველაა**...

კუნტაქ ველაანჭგ – ხუბ. 77. 30 – კუტი ვერ ასწვდა.

2. **ველა**...

აი ნიტე თიში ბეს, მის ლაჩხირი ველარზუნი – ხუბ. 331. 14 – ნეტავი მის ბედს, ვისაც ცეცხლი არ უკიდია.

ვა + ელა + უ → 1. ველუუ...
2. ველუ...

1. **ველუუ**...

დედგბიქ ცუჯით ვე ელუუჩგ – ყიფშ. 58. 29 – დედაბერმა ყურიც არ გააბარტყუნა.

2. **ველუ...**

შური ვ ე ლ უ ბ უ მ გ აჯამს – ხუბ. 72. 30 – ხმა არ გაუღია აჯამს.

ვა + ე ლ ა + ი → ვ ე ლ ე...

შურქ ქვარას ვ ე ლ ე ც ა დ უ – ხუბ. 340. 15 – სულმა მუცელში არ დაიცადა.

ე ლ ა - (ი ლ ა -) წინდებულის მნიშვნელობა:

1. აღნიშნავს რისამე შიგნით მდებარეობას:

ათე კოჩიშ თოლს ქალალგ დო ი ლ ა ძ გ თაქ – ხუბ. 261. 26 – ამ კაცის თვალში ჩავარდა და იქ (შიგ) დევს.

თოლი ალმასიშ ე ლ ა ნ ძ უ – ხუბ. 314. 13 – თვალი ალმასისა უდევს (შიგ).

შურქ ქვარას ვ ე ლ ე ც ა დ უ – ხუბ. 340. 15 – სულმა მუცელში არ მოიცადა (შიგ).

ქ ე ლ ე კ გ რ გ კართეშა – ხუბ. 105. 20 – გამოიკრა (შიგ) კალთაში.

2. შიგნიდან ზევით მიმართულებას მიუთითებს:

დიდაქ ქიმიოსხაპუ კიდგბანიშა დო ე ლ ა ა შ ქ უ ჭანდი – ყიფშ. 60. 31 – დედა მიახტა კიდობანს და ამოუშვა (შიგნიდან) ბუზი.

თოლ-ე ლ ა ღ ა ლ რ ი ირემი, ... თოლი ვოუღუდუნ ფერი – ხუბ. 242. 21 – თვალ-ამოღებული (შიგნიდან) ირემი, ... თვალი რომ არა აქვს ისეთი.

ზოგჯერ შიგნით, მაგრამ ქვევით მიმართულებასაც აღნიშნავს. თოლს მუდგაქიენ ქ ე ლ უ ო ლ გ ტურას – ხუბ. 242. 4 – თვალში რაღაცა ჩაუვარდა ტურას.

ათექ გურიშა ქ ე ლ უ ო ლ გ – ხუბ. 223. 26 – ეს გულში ჩაუვარდა.

3. ზევით (დაქანებულზე, შეღმართზე...) მიმართულებას გამოხატავს:

სუკის გერენ..., თუნთიქ ე ლ ე ლ გ – ხუბ. 113. 9 – გორაკზე რომ დგას, ... დათვი ამოვიდა.

ართი ღეჯქ ჩქვა ი ლ ო უ რ ქ ე უ – ყიფშ. 105. 19 – ერთმა ღორმა ეშვი აუქნია.

ეშე ე ლ ა ჯ ი ნ ე ს გ ნი – ხუბ. 3. 3 – ზევით რომ აიხედეს.

4. გვერდიდან, შიგნიდან ზევით მიმართულებას აღნიშნავს:

გიორგიქ ე ლ ე ნ წ ყ გ ლეკური – ხუბ. 146. 24 – გიორგიმ ამოიძრო ხმალი.

ლეკური წკრიალს გინიკათუანს დო ქარქაშიშე ე ლ ე ლ ე ნ ს – ხუბ. 36. 7 – ხმალი წკრიალს გაიღებს და ქარქაშიდან ამოვა.

ქგდიიჭყეს... პლატოკიში ე ლ ა ღ ა ლ ა – ყიფშ. 92. 23 – დაიწყეს... ცხვირსახოცის ამოღება.

ზოგჯერ საპირისპირო მიმართულებასაც აღნიშნავს:

ლეკური ქ ე ლ ე გ გ – ხუბ. 275. 20 – ხმალი ჩააგო.

ჯიბეშა ქ ე ლ ე ე დ უ – ყიფშ. 40. 29 – ჯიბეში ჩაიდო.

5. აღნიშნავს: გვერდით, ზევითა მიმართულებას:

(სქანი ცუჯი) მა ე ლ ა რ ს ო ფ ი ო? – ყიფშ. 100. 15 (შენი ყური) მე აგაგლიჯეო?

ზღვა პის ელ აც უნს – ხუბ. 295. 4 – ზღვის პირს მიუჰყვება.

წყარეფი არხვადგენიე, არბას ელ ულ ევა – ხუბ. 140. 26 – წყლები რომ შეგხვდება, ყველას აუქციეო გვერდი.

ქიმიოსხაპუ ქვაშა, ელ უკგნგ – ყიფშ. 56. 26 – მიახტა ქვას, აუწია (კიდე).

მაგრამ ზოგჯერ საპირისპირო – ქვევით მიმართულებასაც უჩვენებს:

ცუჯი ილ აწ ურ ილ ო – ყიფშ. 169. 24 – ყურჩამოყრილად („ჩამოწურულად").

6. გვერდით ადგილსა და მიმართულებას უჩვენებს:

დაჩხირც ქელ ანჯ ირუ – ხუბ. 187. 30 – ცეცხლს მიუწვინა.

ზისნახე ქელ ეხ უნუ კაჟ-დემქ დო ართო მიდართეს – ხუბ. 303.37 – მზისუნახავი მოისვა კაჟ-მდევმა და ერთად წავიდნენ.

ელ მახვ ენჯი კოჩი – ხუბ. 27. 26 – (გვერდით) მჯდომი კაცი.

ჩქიმი დედიბის ქალ ეგხ უნუ ან ქ, ლიტრა ღვინს ქელ ეგ დგგნქ დო უჯგუში ვა რენო? – ხუბ. 154. 31 – ჩემს დედაბერს მოვისვამ, ლიტრა ღვინოს მოვიდგამ და უკეთესი არ არის?

7. გადატანითი მნიშვნელობითაა, ქართულად **შე-** წინდებულით გადმოდის:

ბალამც ოკო ქეშიტყვას... მარა ელ მაკ ით ხე კოჩი ვა ცუნცუ – ყიფშ. 57. 15 – ბალიან უნდა შეიტყოს... მაგრამ მრჩეველი („შესაკითხავი") კაცი არა ჰყავს.

ცხვინიშა ცვანა ამედუ ნი, ინა ვარ რდუ სულელი, – ელ ეთ ირუ ნი თინა რდუ – ყიფშ. 178. 62 – ცხვირთან ყანა რომ ამოიდო, ის არ იყო სულელი, რომ შეიზიარა (სხვა), ის იყო.

ართი ქელ ეძ იცუ დო ფრიმულიშა ხე ქიგლესუ – ხუბ. 15. 9 – ერთი „შეიცინა" (შეიღიმილა, გაიღიმა) და წვერზე ხელი ჩამოისვა.

მუთუნი კოს ვეშულებუ ჩქიმი ელ აძ იც ინ აფ ა – ხუბ. 319. 12 – არა კაცს არ შეუძლია ჩემი გაღიმება („შეცინება" – ცოტათი გაცინება).

დამახასიათებელია, რომ გადატანითი მნიშვნელობითაც ქართულის **შე-**ს ეტოლება.

ელ ა- (ილ ა-) წინდებულის მნიშვნელობებში სამი ძირითადი მომენტი გამოსჭვივის:

1. აღნიშნავს შიგ, შიგნით ადგილსა და მიმართულებას.
2. უჩვენებს ზევით (ან საწინააღმდეგო – ქვევით) მიმართულებას.
3. აღნიშნავს რისამე გვერდით ადგილსა და მიმართულებას.

ეს მომენტები ზოგჯერ ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ მისი გამოყოფა ჭირს, ზოგჯერ კი მკაფიოდ გამოიყოფა.

მაგალითად, პირველი მნიშვნელობა აშკარად რისამე შიგნით მდებარეობას უჩვენებს. შიგნით, შიგნითკენ ადგილსა და მიმართულებას უჩვენებს მეორე მნიშვნელობაც, მაგრამ გარდა ამისა, შესამჩნევია სხვა მომენტიც – ქვევიდან ზევით მიმართულების ჩვენება, და ზოგჯერ საპირისპირო – ზევიდან ქვევითაც. მესამე მნიშვნელობაში მხოლოდ ეს მეორე მომენტია შესამჩნევი – ზევით მიმართულების ჩვენება. მეოთხე მნიშვნელობაში ორივე ეს მომენტია და თავს იჩენს კიდევ ახალი მომენტი – გვერ-

დით, გვერდიდან ადგილისა და მიმართულების ჩვენება. ეგეცე მომენტი ჩანს ზევით მიმართულების ჩვენებასთან ერთად მე-5 მნიშვნელობაში, ხოლო მე-6 მნიშვნელობით ეს წინდებული აშკარად გვერდით ადგილსა და მიმართულებას უჩვენებს.

ელა- || ილა- წინდებული იშლება **ე-**, **ი-** და **ლა-** ელემენტებად. მნიშვნელობით ელა-ილა-საგან არავითარ სხვაობას არ იძლევა.

პირველი ელემენტი **ე-** (|| **ი-**) დამოუკიდებლად ზევით მიმართულებას უჩვენებს, ეს რთული წინდებული თუ ზევით მიმართულებას უჩვენებს, ამის წყარო სწორედ ეს პირველი ელემენტია. რაც შეეხება მეორე ელემენტ ლა-ს, იგი მიუთითებს რისამე შიგნით ადგილსა და მიმართულებას. გარდა ამ ძირითადი მნიშვნელობებისა, ელა- (ილა-) წინდებული, როგორც აღვნიშნეთ, გვერდით, გვერდისკენ ადგილსა და მიმართულებასაც უჩვენებს. რომელი ელემენტი აძლევს ამ მნიშვნელობას **ელა-** წინდებულს **ე-** თუ **ლა-**, ნათელი არ არის, რადგანაც მისი დაკავშირება ამ ელემენტთა მნიშვნელობასთან ჭირს.

ალა-

თანხმოვნის წინ:

ათე მაჭირბოლიშ ქორას **ალახე** სუმი ჭანჯი – ხუბ. 172. 6 – ამ მერცხლის მუცელში (შიგ) ზის სამი ბუზი.

თუ თანხმოვნად რომელიმე პრეფიქსია **ა** და **ო** ხმოვნით ან **ნა, ნო-** პრეფიქსი მოსდევს წინდებულს, წინდებულის ხმოვანი სუსტდება **გ-**დ ან სრულიად იკარგება.

1. **ალგ...**

ჩქიმი ოსურც ქუუცოროფუაფუ... ნდემია დო თინა **ალგნოჯენია** – ყიფშ. 77. 14 – ჩემს ცოლს შეუყვარებია... მდეკიო და ის ჰყოლია საყვარლად (ზედმიწ. ეწვა თურმე).

2. **ალ...**

ათეს მეზობელი **ალნოხორუე** სქვამი ოსური – ხუბ. 257. 31 – ამის მეზობლად გვერდით „ნასახლება" ლამაზი ქალი.

თუ პრეფიქსის მომდევნო ხმოვანი **ი** არის, წინდებული უცვლელი რჩება:

ალმასი, ნამუთი ქვარაშა **ალაგიძგ**ნი, ... – ყიფშ. 72. 1 – ალმასი, რომელიც მუცელში (რომ) გიძევს.

ხმოვნის წინ:

ალა + ი → 1. **ალნ**...
2. **ალა**...

1. **ალნ**...

ათე კოს უღუ ლაბაშა. ათენა **ალაბიჯგ** – ხუბ. 259. 31 – ამ კაცს აქვს ჯოხი. ამას ეყრდნობა ეს (ზედმიწ. „დაიბიჯგა").

2. **ალა**...

ღუს **ალაფურცქინუ** ნამუდა... – ხუბ. 9. 14 – ყურში ჩაუფურჩულა, რომ...

ალა +უ → 1. ალუუ...
2. ალუ...
3. ალუ...

1. **ალუუ**...

ხენწგფეში სქუა – ბოში ირო ალუურდგ გატყარებული ბოშის – ყიფშ. 62. 28 – ხელმწიფის ვაჟიშვილი მუდამ გვერდით ედგა გაველურებულ (ზედმიწ. „გატყევებული") ვაჟს.

2. **ალუ**...

ე... კოჩი თაქ ალურე. თაქ ალუხენგ, წაგგ – ხუბ. 198. 11 – ეს... კაცი აქ უდგას გვერდით. აქ რომ უზის (გვერდით), ნააგო.

3. **ალუ**...

ოდგიში ალუძგ ჯიბეშა, გელეღგ თენა – ხუბ. 80. 35 – სადგისი უძევს ჯიბეში, ამოუღო ეს.

ალა +ი → 1. ალეე...
2. ალე...

1. **ალეე**...

ბჟაქალეელ ნი ... – ყიფშ. 69. 5 – მზე რომ ჩავიდა...

2. **ალე**...

ალეღუნუ დო მიდლეღონგ – ხუბ. 149. 15 – „თან წაიყოლა" (გვერდით) და წაიყვანა.

ორტვინიშა ალებლი – ხუბ. 333. 10 – ბოსტანში ჩავედი.

ქო + ალა + თანხმოვანი...

სი ათე ჯამი ჯინს ქალადირთი – ხუბ. 60. 17 – შენ ამ ხის ძირას დადექი.

ქო + ალა + თანხმოვანი პრეფიქსი + ო ხმოვანი...

1. წინდებულის ხმოვანი სუსდება **გ**-დ:

თოლს ქალგგოლუ – ყიფშ. 178. 5 – თვალში ჩაგივარდა.

2. წინდებულის ხმოვანი გაუჩინარებულია:

ჭიჭე ორქო ქოპუას, ჯიბეს ქალმოკვაკუას! – ხუბ. 335. – პატარა ოქრო ვიყო, ჯიბეში ვიდო!

3. გარდამავალი საფეხური უნდა იყოს შემორჩენილი შემდეგ მაგალითში:

გური ქალუმონკირი – ხუბ. 319. 17 – გული დამიწვი.

ქო-ალა + თანხმოვანი პრეფიქსი -ი ხმოვანი:

ბაწარი ქალამღოთით დო გეკომგღუნით ეკი! – ხუბ. 98. 2 – ბაწარი ჩამომიგდეთ და ამომიყვანეთ!

ხმოვნის წინ:

ქო + ალა + ო/ა → 1. ქალაა...
2. ქალა...
3. ქალა...
4. ქალა...

1. **ქალაა**...

კამბეჩიში მონირზე ხოს ქაქ ქ ა ლ ა ა ტ ი რ ხ უ – ყიფშ. 180. 12 – კამეჩის მოჩხუბარ ხარს რქა მოსტყდა...

2. **ქალჯ**...

რაშის ცუჯის ქ ა ლ ჯ ხ უ ნ უ – ხუბ. 167. 20 – რაშს ყურში ჩაუსვა.

3. **ქალა**...

ათე წყარს ქ ა ლ ა ც უ ნ უ – ყიფშ. 82. 13 – ამ წყალს აჰყვა.

ქ ა ლ ა ბ ე ე ს გ თოლსგ ხენწიფეს – ყიფშ. 96. 34 – ჩაასხეს თვალში ხელწიფეს.

შესაძლებელია, ყოფილიყო ქ ა ლ ა ა ბ ე ს, ამის მაგივრად გვაქვს: ქალააბეესგ...

4. **ქჳლა**...

კოჩიშ თოლს ქ ჳ ლ ა ლ გ დო ილაძგ თაქ – ხუბ. 261. 26 – კაცის თვალში ჩავარდა და დევს აქ.

ქო + ა ლ ა ლ გ → ქ ა ა ლ ა ლ გ → ქ ჳ ლ ა ლ გ.

ქო-ა ლ ა + უ → 1. ქ ა ლ უ უ...

2. ქ ა ლ უ̄...

3. ქ ა ლ უ...

1. **ქალუუ**...

მელე-მოლე თესგ ხოლო კოჩი ქ ა ლ უ უ ც უ ნ ე ს გ – ყიფშ. 92. 18 – იქეთ-აქეთ ამასაც კაცი გააყოლეს (გვერდზე).

2. **ქალუ̄**...

ალიშქერქოუქ ქ ა ლ უ̄ დ ი რ თ გ ძღაბის ყარულო – ხუბ. 187. 20 – „ალიშქერქოუ“ დაუდგა გოგოს ყარაულად.

3. **ქალუ**...

ართი ცურე ცაზაყი ქ ა ლ უ ც უ ნ უ̄ – ხუბ. 136. 22 – ერთ მხარეს „ყაზახი“ გააყოლეს (გვერდზე).

ქო + ა ლ ა + ი → 1. ქ ა ლ ე ე...

2. ქ ჳ ლ ე̄...

3. ქ ა ლ ე̄...

4. ქ ჳ ლ ე...

5. ქ ა ლ ე...

1. **ქალეე**...

ჯიბეშა ქ ა ლ ე ე დ უ – ყიფშ. 84. 32 – ჯიბეში ჩაიყო.

2. **ქჳლე̄**...

ქ ჳ ლ ე̄ დ გ ... – ხუბ. 290. 26 – ჩაიდო.

3. **ქალე̄**...

ჯიბეშა ხე ქ ა ლ ე̄ ჩ ა ნ უ ნ – ხუბ. 198. 27 – ჯიბეზე ხელი რომ ჩაიყო.

4. **ქჳლე**...

ჯიბეშა ქ ჳ ლ ე დ გ – ხუბ. 161. 33 – ჯიბეში ჩაიდო.

5. **ქალე**...

ჯიბეშა ქ ა ლ ე დ გ – ხუბ. 82. 37 – ჯიბეში ჩაიდო.

ალა-ს მნიშვნელობა:

1. მიუთითებს შიგნით მდებარეობას:

ქუაშ გური ალარძუნდა... – ხუბ. 312. 24 – ქვის გული თუ გიძევს...

... ირო გურიშა ალამირენი – ყიფშ. 145. 15 – ... მუდამ გულში რომ მყავს.

ათე მაჭირხოლიშ ქორას ალახე სუმი ჭანჯი – ხუბ. 172. 6 – ამ მერცხლის მუცელში ზის სამი ბუზი.

ისჷ ქვარაშა ალმასი ალუძგნია – ყიფშ. 71. 8 – მას მუცელში ალმასი უძევსო.

ტაბაშნისა გონწყჷ. თეს ალახე მაჭირხოლი – ხუბ. 172. 6 – სათუთუნე გახსნა. შიგ ზის მერცხალი.

2. რისამე გვერდით ადგილს აღნიშნავს:

ხრისტაგანი ქალუურდჷ მუში მუმას ბრელი ხანცჷ – ყიფშ. 86.30 – ხრისტაგანი გვერდით ედგა მამამისს დიდხანს.

ქალაცუნუ მელე-მოლე ჟირი კოჩქჷ – ყიფშ. 92. 4 – გაჰყვა (გვერდით) იქით-აქეთ ორი კაცი.

ჭე შორიშე ოკო ალულუან ართიანც – ხუბ. 99. 5 – ცოტა შორიდან უნდა ჩაუარონ ერთმანეთს.

ყარულო ალურენანია – ხუბ. 182. 31 – ყარაულად უდგანანო.

ღურუუშ წამალი ლაფარას ალაჩანდუა დო მითინს ვა აგორუა – ყიფშ. 180. 1 – სიკვდილის წამალი ლაფაროში ხაროზდა და ვერავინ ვერ იპოვაო.

ხვალე ვა გიჩქჷდა, ხოლო ქორე მაყარეფი! ეჩდოვითი კოჩი ვორეთ, ალაფშარე ლაფარეფი – ხუბ. 358. 9 – მარტო არ გეგონო, კიდევ არიან მაყრები! ოცდაათი კაცი ვართ, სავსე არის ლაფარო.

სი მერჩია ათე ცხენია, ქალემარქაფე ათე ცხენია – ხუბ. 252. 11 – შენ მიეციო ეს ცხენიო. მარქაფად გაიყოლე ეს ცხენიო.

3. ალა- წინდებული ხშირად გამოხატავს შიგნით ადგილს ან მიმართულებას და, ამასთანავე, გვერდზე, ფერდად, კიდეზე.

რაშის ცუჯის ქალახუნუ – ხუბ. 167. 20 – რაშს ყურში ჩაუსვა.

ქალუდჷ... მუში დაში სურათი ჯიბეშა – ხუბ. 290. 20 – ჩაიდო... თავისი დის სურათი ჯიბეში.

ბჟაქ ალეელგნი... – ყიფშ. 60.5 – მზე რომ ჩავიდა...

ბჟაქთი ალულას ქიმიოდირთჷ – ყიფშ. 82.13 – მზეც ჩასვლას მიადგა.

ლეკურიში ალაგაფასჷ კითი ქიმიკიიკვათჷ – ყიფშ. 100. 27 – ხმლის ჩაგებისას თითი გაიჭრა.

ქალაბეესჷ თოლს ხენწიფესჷ – ყიფშ. 96. 34 – ჩაასხეს თვალში ხელმწიფეს.

ალა-ს სამივე მნიშვნელობა საერთო აქვს ელა-სთან. ამ საერთო მნიშვნელობებში იგი სხვაობას არ ამჟღავნებს. ალა- და ელა- წინდებულები ენაცვლებიან კიდეც ერთმანეთს ერთსა და იმავე ზმნებში, ერთსა და იმავე კონტექსტში. მაგალითად:

ათე კოჩიშ თოლს ქ ა ლ ა ლ გ დო ი ლ ა ძ გ თაქ – ხუბ. 261. 26 – ამ კაცის თვალში ჩავარდა და დევს აქ (შიგ).

შდრ.: ქ ა ლ ა ლ გ („ჩავარდა"), იქვე ი ლ ა ძ გ „დევს (შიგ)".

ქ ე ლ ე კ გ რ გ კართეშა – ხუბ. 105. 20 – გამოიკრა (შიგ) კალთაში.

შდრ. იმავე მნიშვნელობით:

კართეშა ქ ა ლ ე ე კ ი რ გ – ყიფშ. 36. 19.

ასევე:

ქ ე ლ უ რ ი ნ ე ს ყარულო – დაუყენეს გვერდით ყარაულად, მაგრამ ა ლ უ რ ე ყარულო;

ა ლ ა ნ ჯ ი რ ა – ვინმეს გვერდით წოლა დ ე ლ ა ნ ჯ ი რ ა და სხვა.

მაგრამ ე ლ ა -ს, ა ლ ა -საგან განსხვავებით, სხვა მნიშვნელობაც აქვს – ზევითკენ მიმართულების ჩვენება, რაც ალა- წინდებულისათვის უცხოა. პირიქით, იგი ქვევით მიმართულებას გამოხატავს. ამ მნიშვნელობას თუ ე ლ ა - წინდებულს აძლევს პირველი ელემენტი ე-, ა ლ ა -ს პირველი ელემენტი ა- არ არის იგივე, რაც ე ლ ა -ს ე-.

გელა-

თანხმოვნის წინ:

გუუკვათგნქ ქორას... დო... კგნი გ ე ლ ა ვ ჭ ა ა ნ ქ – ყიფშ. 48. 3 – გავუკვეთ მუცელს... და... ისევ ამოვკერავ.

გელა + ო...

ნდემიში მორდილქგ ლეკური გ ე ლ ა ნ წ ყ გ – ყიფშ. 58. 8 – მდევის გაზრდილმა ხმალი ამოაძრო.

კოჩქ ქესა გ ე ლ ა ღ ა ლ ა ფ უ – ხუბ. 213. 7 – კაცმა ქისა ამოაღებინა.

გელა + უ...

თოლი გ ე ლ უ ჯ უ ნ გ ოსური დო სქუას – ხუბ. 202. 32 – თვალი ამოუკოცნა ცოლსა და შვილს.

გ ე ლ ა + ი → 1. გ ე ლ ე ე...
2. გ ე ლ ე...

1. **გელეე**...

გ ე ლ ე ე ნ წ ყ გ ლეკური – ყიფშ. 50. 31 – ამოიძრო ხმალი.

2. **გელე**...

გ ე ლ ე ნ წ ყ გ ლეკური – ხუბ. 148. 4 – იძრო ხმალი.

ქო + გ ე ლ ა > ქიგილა...

ჩქიმი თოფი დო ლეკური ემერი ქ ი გ ი ლ ა ბ უ შხვას – ყიფშ. 139.24 – ჩემი თოფი და ხმალი ეგერ ჰკიდია სხვას.

ქ ი გ ი ლ ა ბ უ ← ქო-გ ე ლ ა -ობუ...

ქო + გ ე ლ ა + ი → 1. ქ ი გ ი ლ ე...
2. ქ ე გ ლ ე...
3. ქ ი გ ლ ე...

1. **ქიგილე**...

ლეკური... ქ ი გ ი ლ ე ბ უ ნ უ ალექ – ხუბ. 169. 24 – ხმალი დაიკიდა ალემ.

2. **ქეგლე**...

ლეკური ქეგლებუნუ – ხუბ. 114. 22 – ხმალი დაიკიდა.

3. **ქიგლე**...

ხასილაშა ქიგლებუნუ მუში დიდი ლეკური – ხუბ. 184. 3 – გვერდზე დაიკიდა თავისი დიდი ხმალი.

ვა + გელა + ი → ვეგილეე...

გერიაქ ღუჯიშათი ვე გილეეფართხუუ – ყიფშ. 32. 12 – გერიამ ყურიც არ გააბარტყუნა.

გელა - სავსებით ემთხვევა მნიშვნელობით ელა-ს.

1. მიუთითებს გვერდით, ზევიდან, ქვევით ადგილსა და მიმართულებას:

ჟირი ჯიბეშა ქგლედგგ ... სუმხოლო თეშ ქიგლადგგ – ხუბ. 106. 27 – ორი ჯიბეში ჩაიდგა... სამივე ასე ჩადგა.

მარძგვანი ღუჯი გელასოფუ – ყიფშ. 96. 29 – მარჯვენა ყური ჩამოჰგლიჯა.

2. გვერდით, ქვევიდან, ზევით ადგილსა და მიმართულებას მიუთითებს:

გელერსიალ ლეკურქ – ხუბ. 37. 14 – ამოსრიალდა ხმალი.

ჟირხოლოქ სატევარი გელენწყეს – ხუბ. 101. 14 – ორივემ სატევარი „ამოაძვრეს".

გელეეღგ ართი მარწკინდი ჯიბეშე – ყიფშ. 83. 17 – ამოიღო ერთი ბეჭედი ჯიბიდან.

გილა-

თანხმოვნის წინ:

გილახე ლოგინს – ხუბ. 138. 31 – ჩამომჯდარია ლოგინზე.

ირ დიხაშა გილართით – ყიფშ. 79. 3 – ყველგან იარეთ. ადგილი დაიარეთ.

ჩქგ კუჩხით გილოურთგ – ყიფშ. 162. 19 – ჩვენ ფეხით დავდივართ.

გილა + თანხმოვანი პრეფიქსი + ო/ა ხმოვანი...

გილვოფურინი ჩიტიცალო – ყიფშ. 183. 27 – დავაფრინდი („ფრენით დავაჯექი") ჩიტივით.

მუშენ გილგობგ... თეჯგუა ჯვეშ ლეკური? – ხუბ. 275. 30 – რატომ გაბია... ასეთი ძველი ხმალი?

გილა- + თანხმოვანი პრეფიქსი + ხმოვანი ი...

ხეშა გილამიძგ დუდი – ყიფშ. 150. 25 – ხეზე მიდევს თავი.

გილა + -ო/ა →
1. გილაბ...
2. გგლაბ...
3. გილა...
4. გგლა...

1. **გილა**...

ათე... კოჩქ გილათხოზგ თეს – ხუბ. 295. 9 – ეს... კაცი დაედევნა მას.

2. **გგლა**...

მუში ტახტის თინას გგლახუნუანს – ხუბ. 232. 10 – თავის ტახტზე მას დასვამს.

3. **გილა**...

რკინაშ კარი გილაბუდგ – ხუბ. 183. 3 – რკინის კარი იყო დაკიდებული.

4. **გგლა**...

ლეკური გგლაბუდგ – ხუბ. 239. 19 – ხმალი ჰქონდა დაკიდებული.

გე/ილა- + უ → 1. გილოუ...
2. გილუუ...
3. გილუ...
4. გგლუ...

1. **გილოუ**...

მუშ დუდიშო გილოურსგ – ყიფშ. 329. 26 – თავისთვის დადის.

2. **გილუუ**...

მინდორს გილუურსგ ნი... – ყიფშ. 39. 10 – მინდორში რომ დადის...

3. **გილუ**...

გილურს ონადირუშა – ხუბ. 13. 7 – დადის სანადიროდ.

4. **გგლუ**...

ენა გგლურდგ ირო ნადირუშა; ი ჭაბუკ გგლურდგ ირო ოჯინუშა – ხუბ. 239. 30 – ეს დადიოდა სულ სანადიროდ; ის ჭაბუკი დადიოდა სულ საყურებლად.

გილა + ი → 1. გილეე...
2. გილე...

1. **გილეე**...

შქირენული გილეეშესგ ნი... – ყიფშ. 5. 12 – მშიერი რომ დადიოდნენ...

2. **გილე**...

ათეში უკული ათე ბოში გილეშუ ხენწიფეში დოხორეშა – ხუბ. 1. 34 – ამის შემდეგ ეს ვაჟი დადიოდა ხელმწიფის სასახლეში.

გილებრული ტყა და ტყას გერიშორო – ყიფშ. 157. 11 – ვირბინე ტყე და ტყე მგელივით.

ქო + გილა + თანხმოვანი → 1. ქიგილა...
2. ქეგლა...
3. ქიგლა...

1. **ქიგილა**...

ჟი მიმინო ქიგილახე – ყიფშ. 76. 19 – ზევით მიმინო არის ჩამომჯდარი.

2. **ქეგლა**...

უჩაშ ოსურსქუა ქეგლამხუნე ბალკონიშავა – ხუბ. 164. 23 – უფროსი ქალიშვილი დამისვი აივანზეო.

3. **ქიგლა**...

ლოგინს ქიგლაბდვი – ხუბ. 44. 33 – ლოგინზე დავდე.

ქო + გილა + თანხმოვანი პრეფიქსი + -ა:

ეთი ფოხალი ხუჯიმა ქიგლგმატახენია და... – ყიფშ. 84. 25 – ამ კოკას მხარზე თუ დავატეხ...

ქო + გელა + ო → 1. ქიგილაა...
2. ქიგლა...

1. **ქიგილაა**...

არძო... დოცვილგ დო ჟი ქიგილაანკიდგ – ყიფშ. 28. 18 – ყველა... დახოცა და ზევით დაამწკრივა.

2. **ქიგლა**...

ათეშ ქას ქიგლაფურინგ ათე ობრიქ... გილახე თე ოჩიშ ქასგნ... – ხუბ. 261. 25 – ამ რქაზე დაფრინდა ეს ორბი... რომ არის ამ თხის რქაზე ჩამომჯდარი...

ქო + გილა + უ → 1. ქიგგლუუ...
2. ქიგლუუ...
3. ქეგლუ...
4. ქიგლუ...

1. **ქიგგლუუ**...

იში ღალა ზღვას ქიგგლუუღუ – ყიფშ. 6.10 – იმისი ქონება ზღვას დააქვს.

2. **ქიგლუუ**...

ბოში მუში დუდიშო ქიგლუურცგ ნი... – ყიფშ. 85.19 – ვაჟი თავისთვის რომ დადის...

3. **ქეგლუ**...

კილეშა ქეგლუძუ ართი დიდი ბიგა – ხუბ. 34.3 – მკლავზე უდევს ერთი დიდი ჯოხი.

4. **ქიგლუ**...

კოჩი ქიგლურს ვიშო-აშო – ხუბ. 24.16 – კაცი დადის იქით-აქეთ.

ქო + გელა + ი → 1. ქიგილეე...
2. ქიგლე...

1. **ქიგილეე**...

ხუჯიმა ქიგილეეხუნუ – ყიფშ. 40.19 – მხარზე დაისვა.

2. **ქიგლე**...

მა გინიფრთუქ დიდი გოფურაფილი შანთ რკინათ დო ჟი მგნოლ კარს დინახალეშე ქიგლებდვალუქ – ხუბ. 100.14 – მე გადავიქცევი დიდ გახურებულ შანთ რკინად და ზევით შესასვლელ კარს შიგნიდან დავეღობი.

გილა-ს მნიშვნელობა:

1. გამოხატავს იქით-აქეთ, ხშირად, ჩვეულებრივ მოძრაობას, სიარულს: დადის, დაფრინავს, დაჰყავს... (ქართულის და- წინდებულს აქვს იგივე მნიშვნელობა).

გილურქინი, გილაპუნსუ – ხუბ. 319.2 – რომ დავდივარ, დამყავს.

ირი კოჩი მოსამართეთ თიშა გილეეშუ – ყიფშ. 43. 23 – ყოველი კაცი სამართლისათვის მასთან დადიოდა.

ჩქე კუჩხით გილოურთე – ყიფშ. 162. 19 – ჩვენ ფეხით დავდივართ.

ქიგლაფურინუნს ბრელი ჩიტეფი – ხუბ. 68. 4 – დაფრინავს ბევრი ჩიტი.

გილებრული ტყა დო ტყას გერიშორო – ყიფშ. 157. 11 – დავრბივარ ტყე-ტყე მგელსავით.

ქოჩორა ონადირუშა გილეეშე. ნადირეფი გილუუღუდუ ოხერო – ყიფშ. 101. 4 – ქოჩორა სანადიროდ დადიოდა. ნადირი მოჰქონდა ბევრი („დაჰქონდა ოხრად").

ჩხორო თუთას ქვარათ გილაიცუნი – ხუბ. 274. 30 – ცხრა თვეს მუცლით გატარებდი.

გილაცუნს თე ჩხუ ოდიარეშა – ხუბ. 139. 30 – დაჰყავს ეს ძროხა საძოვრად.

მელიშიას გილაჭკუმუნს თეშ გინირთე – ხუბ. 113. 6 – დადის და მოცვს ჭამს (ზედმიწ. „დაჭამს" = დადის და ჭამს), ისე გახდა (ისეთად იქცა).

სოფერს გილაფრთით დო გილავებზირეეთ – ყიფშ. 123. 11 – სოფელში დავდიოდით და „დავზვერაობდით".

უღურუშ წამალს გილებგორუდი – ხუბ. 321. 31 – უკვდავების წამალს დავეძებდი.

არბა ართო გილამუფშენთ – ხუბ. 359. 26 – ყველა ერთად ვმუშაობთ „დავმუშაობთ" (ზედმიწ. „დავდივართ და ვმუშაობთ").

2. ზედ, და- (ადო, დგა...)

„სტოლს" ქვგუდოხოდეს, ქუა ჟი ქიგლადვეს – ხუბ. 84. 22 – სუფრას შემოუსხდნენ, ქვა ზედ დადეს.

თისია „სტოლშა" გილუდგუნია ორქოში გალიავა – ხუბ. 134. 4 – მასო სუფრაზე უდევსო ოქროს გალიაო.

ტაბაკის ქიგლაანწკარე – ყიფშ. 17. 13 – ტაბაკზე დაამწკრივა.

სუა გალე ქიგლეფორუ – ყიფშ. 171. 9 – ფრთა გარეთ დააფარა.

(ჩიტიქ) ქიგლადოხოდე ნოჟელას – ხუბ. 68. 5 – ჩიტი დაჯდა ტოტზე.

კვარიაქ ჯას ქვგლაფურინე – ხუბ. 270. 9 – ყვავი ხეზე დაფრინდა.

3. მიმართულებას არ უჩვენებს, ქართულად **და**-თი გადმოიცემა.

ათე... კოჩქ გილაჩთხოზე თეს – ხუბ. 295. 6 – ეს... კაცი დაედევნა ამას.

ჩხვინდიში გილაჩიონი – ყიფშ. 126. 28 – ცხვირის დაცემინება.

თანხმოვნის წინ:

1. **გეგილა**...

1. ცალი ოშუმეში... გეგილახოკია – ყიფშ. 54. 7 – ცალი ულვაში ჩამოპარსეო.

2. **გეგლა**...

გეგლასხაპგ რაშიშე – ხუბ. 165. 25 – ჩამოხტა ცხენიდან.

გეგლასხაპგ რაშისგნ – ხუბ. 160. 3 – რომ ჩამოხტა რაშიდან.

თოლიშე ჩილამურს გეგლუოცოთანქია – ხუბ. 50 37 – თვალიდან ცრემლს ჩამოვუგდებო.

გეგლა-ვ-ოცოთანქია → გეგლუვოცოთანქია → გეგლუოცოთანქია.

გეგილა+ო → 1. გეგლა...
2. გეგლა...

1. **გეგლა**...

თიწკგმა გეგლანწყგ აღითქმა – ხუბ. 128. 17 – მაშინ ჩამოართვა აღთქმა.

2. **გეგლა**...

ათე... ხენწიფექ გეგლანწყუ მაჟირა ხენწიფეს მუში ქიანა – ხუბ. 1. 31 – ამ... ხელმწიფემ ჩამოართვა მეორე ხელმწიფეს მისი ქვეყანა.

გეგილა +ი → 1. გეგლე...
2. გიგლე...

1. **გეგლე**...

ხენწეგფექ ხენწეგფალა გეგლენწყუ დო მუში სინჯას ქგდახვამუ – ხუბ. 66. 17 – ხელმწიფემ ხელმწიფობა „ჩამოიხსნა“ და თავის სიძეს დაულოცა.

(გორდი) ქელეკგრგ კართეშა, გგშელგ მინდორიშა, გეგლეცონგ დო ქგდახუნუ – ხუბ. 105.20 – გომბეშო გამოიკრა კალთაში, გამოვიდა მინდორში და ჩამოიყვანა და დასვა.

2. **გიგლე**...

„თინა სტოლს გილაბგნია“ დო ქაღარდის მეკვარკვაშუ დო თექ გიგლეტუ – ხუბ. 273. 32 – „ის მაგიდაზე დევსო“ და ქაღალდში შეახვია და იქ დატოვა.

გაგლა...

თანხმოვნის წინ:

გაგლასხაპგ რაშისგ დო მინიილგ ცირაშა – ყიფშ. 30. 4 – ჩამოხტა ცხენიდან და შევიდა ქალიშვილთან.

გაგლა+უ → გაგლუ...

გეჭოფგ არგუნი დო ტოხგ, დუდი გაგლუფერეგუ – ხუბ. 238.12 – აიღო ნაჯახი და ხეთქა, თავი გაუხეთქა.

გა/გე- დართული ლა-იანი წინდებულები მნიშვნელობით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ორივე ქართულის **ჩამო-** წინდებულს შეესატყვისება მნიშვნელობით.

გალა-

გალუოლგ ჯიბეშე – ხუბ. 70. 8 – გამოუვარდა ჯიბიდან.

გალუოლგ ← გალა-უოლგ → გალოუოლგ → გალუუოლგ.

გალა + ი → 1. გალეე...

2. გალე...

ჯიბეშა გალეეღგ ხე – ყიფშ. 85. 33 – ჯიბეში ჩაიყო ხელი.

კგრდეშა გალერულგ – ხუბ. 97. 20 – კლდისაკენ ჩაირბინა.

გალა- წინდებულის მნიშვნელობა უკავშირდება გვერდით სიტყვას.

დილა-

თანხმოვნის წინ:

ბჟაქ დილალგშა ქგმერთგნი... – ხუბ. 181. 9 – მზის ჩასვლის დრო რომ მოვიდა (ზედმიწ. „მზე რომ ჩასვლაზე მივიდა")...

ტვერი დილაბცენსგ თოლსუ – ყიფშ. 151. 10 – მტვერი მეყრება თვალში.

ხმოვნის წინ:

დილა + ო...

ოკო ყუს დილაფურცქინე – ხუბ. 32. 10 – უნდა ყურში ჩაუფურჩულო.

დილა + ი...

ართი სქვამი ცირა დილენგარს ჯაში ჯინს – ყიფშ. 46. 5 – ერთი ლამაზი ქალიშვილი ტირის ხის ძირში.

ქო + დილა + ო...

ქარქაშის ქედილააგგ – ყიფშ. 28. 33 – ქარქაშში ჩააგო.

ვა + დილა + ი...

კოჩიშ გურს ვე დგლენტირე – ყიფშ. 125. 1 – კაცის გულში ვერ ჩაეტევა.

დილა- წინდებული იმავე მნიშვნელობისა ჩანს, რაც ალა-.

განსხვავებული მნიშვნელობისაა:

ართი სქვამი ცირა დილენგარს ჯაში ჯინს – ყიფშ. 46. 3 – ერთი ლამაზი ქალიშვილი ტირის ხის ძირში.

ამრიგად, ლა- დართული წინდებულებია შემდეგი:

მელა-

მოლა-

მილა-

მულა-

გამულა-

ელა-||ილა-
ალა-
გელა-
გილა-
გეგილა-
გაგილა-
გალა-
დილა-

მათი მნიშვნელობები დაიყვანება ორ ძირითად მნიშვნელობაზე:

1. გამოხატავს შიგნით ან შიგნიდან გარეთ ადგილსა და მიმართულებას: მილა-, მულა-, ელა-||ილა-, ალა-, დილა-, გამულა-.

2. მიუთითებს ქვევით, ქვევითკენ ადგილსა და მიმართულებას და შეესატყვისება ქართული **და-**, **ჩა-**, **ჩამო-** წინდებულებს: ელა-||ილა-, გეგილა-, გაგილა-, გილა-. უკანასკნელი ქართული და- წინდებულს ერთი თავისებური მნიშვნელობითაც უდრის – აღნიშნავს მოქმედებას, მოძრაობას, რომელიც ჩვეულებრივ ხდება.

ნო-დართული წინდებულები

მინო-, მონო- (→ მუნო-)

თანხმოვნის წინ:

მინორთეს თითო-თითოთ – ხუბ. 18. 24 – შევიდნენ თითო-თითოდ.

მინო- + თანხმოვანი პრეფიქსი ა ხმოვნით:

1. **მინგ(მა)**...

დაბა მინგმაშქვითია – ყიფშ. 141.18 – აბა, შემიშვითო.

მინმაშქვითია – თხუ – ხუბ. 86.25 – შემიშვითო, – სთხოვა.

ხმოვნის წინ:

მინო + ო → 1. მინაა...
2. მინჳ...
3. მინა...

1. **მინაა**...

გაანჯგ კარი... მინაანჯინგნი, ... – ყიფშ. 99.10 – გააღო კარი... რომ შეიხედა...

2. **მინჳ**...

ბოში ქიჩინეს დო მინჳშქვეს – ხუბ. 135.3 – ვაჟი იცნეს და შეუშვეს.

3. **მინა**...

მინაშქვით ცხენეფი – ხუბ. 55.7 – შეუშვით ცხენები.

მინო + უ → 1. მინუუ...
2. მინუ...
3. მინაუ...

1. **მინუუ**...

მ ი ნ უ უ რ თ ი, მ უ ნ უ უ რ თ ი... – ყიფშ. 176.5 – გადავაბრუნე, გადმოვაბრუნე...

2. **მინუ**...

კოლონას მ ი ნ უ ლ ე ბ უ მარანიშა – ყიფშ. 127.9 – კოლო შესულა მარანში.

3. **მინაუ**...

(ხინჯი) გგვაკეთით, ქოთ გობჭკადით მ ი ნ ა უ ლ ა რ ო – ხუბ. 346. 17 – (ხიდი) გავაკეთეთ, კიდეც გავჭედეთ გადასასვლელად.

მ ი ნ ო + ი → 1. მ ი ნ ი ი...
2. მ ი ნ რ...
3. მ ი ნ ი...

1. **მინიი**...

ართი ოჯახიშა მ ი ნ ი ი ლ გ – ყიფშ. 24. 23 – ერთ ოჯახში შევიდა.

2. **მინრ**...

თიშ ცუდშა მ ი ნ რ ლ გ – ხუბ. 114. 21 – იმის სახლში შევიდა.

მ ი ნ რ ბ ლ ე თი წყარს – ხუბ. 65. 1 – გადავალ ამ წყალში (მდინარეში).

3. **მინი**...

მ ი ნ ი ლ ე ს ართი კოჩიში ცუდეშა – ხუბ. 20.2 – შევიდნენ ერთი კაცის სახლში.

თი წყარს მ ი ნ ი ბ ლ ე ნ ქ ი ა – ხუბ. 64. 30 – იმ წყალში შევალო.

მ ო ნ ო - წინდებული თანხმოვნის წინ.

1. **მონო**...

ათეშ მონოყონაფას ოკონია სუმი წანა – ხუბ. 156. 15 – ამის მოყვანას უნდაო სამი წელი.

2. **მუნო**...

...კუჩხიში მ უ ნ ო დ გ გ მ ა ვ ა? – ხუბ. 183. 22 – ... ფეხის შემოდგმაო.

მ ო ნ ო - + თანხმოვანი პრეფიქსი + ხმოვანი ა:

მ უ ნ გ ა შ ქ ვ ა ჩქიმი ოთახგშა – ხუბ. 216. 9 – შემოგიშვებ ჩემს ოთახში.

წყარცგ მ უ ნ მ ო ბ უ ნ ქ ი – ყიფშ. 60. 21 – წყალს მასხამ (ზედ).

თუ პრეფიქსის მომდევნო ხმოვანი არის **ი**, მ ო ნ ო - წინდებულის მეორე ხმოვანი უცვლელად რჩება.

ჩე მ უ ნ ო მ ი რ ხ ი ა ლ ე ე – ყიფშ. 136. 2 – თეთრი გადამახრიალე.

მ ო ნ ო + ო → 1. მ უ ნ ი ო...
2. მ უ ნ ა ა...
3. მ უ შ ა...

1. **მუნიო**...

თეს მ უ ნ ი ო რ თ ი ნ უ ა ნ დ უ ა ჩქიმ სქუავა – ხუბ. 240. 31 – იმას გადაატრიალებდაო ჩემი შვილიო.

2. **მუნაა**...

წყარცგ მ უ ნ ა ა ბ უ ნ ც ი – ყიფშ. 60. 20 – წყალს გადაასხამსო.

3. მუნა...

ართიანცგ მუნანთხუდესგ – ყიფშ. 99. 20 – ერთმანეთზე ეცემოდნენ.

მუნო + უ → 1. მუნუუ...
2. მონუ...
3. მუნუ...

1. მუნუუ...

მინუურთი, მუნუურთი – ყიფშ. 176. 5 – გადაატრიალე, გადმოატრიალე.

2. მონუ...

მინურთეს, მონურთეს – ხუბ. 16. 14 – გადაატრიალეს, გადმოატრიალეს.

ცუდეშა მონულა – ხუბ. 100. 17 – სახლში შემოსვლა.

3. მუნუ...

ჟი მუნულუ – ხუბ. 123. 10 – ზემოთ გადაუარა.

მონო + ი → 1. მონრ...
2. მუნიი...
3. მუნრ...
4. მუნი...

1. მონრ...

ათაურე მონრლგ – ხუბ. 163. 35 – აქედან შემოვიდა.

2. მუნიი...

ხენწიფექგ მუნიილგ – ყიფშ. 40. 19; 76. 21 – ხელმწიფე შემოვიდა.

3. მუნი...

ათაურე მუნილგ ალექ – ხუბ. 163. 28 – აქედან შემოვიდა ალე.

4. მუნი...

ოზეშა მუნილენქ ნი... – ხუბ. 60. 3 – ეზოში რომ შემოხვალ.

მონო- წინდებულის პირველი ხმოვანი **ო** ჩვეულებრივ **უ**-ს იძლევა, იშვიათად რჩება უცვლელად.

მინო-, მუნო-ს პირველი ხმოვანი ი → უ-ს, რომელმაც შესაძლებელია, მოგვცეს **გ**, მაშინ გარეგნულად ეს ორი წინდებული ერთმანეთს ემთხვევა.

ოზეშა მგნულა – ხუბ. 103. 1 – ეზოში შესვლა.

ღალ მგნილგ – ხუბ. 111. 25 – ღელეს გადავიდა.

ამსერი ჩქიმდა მგნილი – ხუბ. 60. 31 – ამაღამ ჩემთან შემოდი.

მინო-, მონო- წინდებულებს თუ დაერთვის ქო- ან ვა- ნაწილაკი ამ წინდებულთა განმასხვავებელი პირველი ნაწილის ხმოვანი (**ი** და **ო**) იკარგება და ორივე შემთხვევაში ვიღებთ მნო-ს, ამიტომ გარჩევა ძნელდება მინო- წინდებულია, თუ მონო-. გარჩევაში თვითონ ქო- ან ვა- ნაწილაკი გვშველის, იმის მიხედვით, თუ როგორ სახეს ღებულობს იგი.

ორიოდე შემთხვევაა ისეთი, როდესაც განმასხვავებელი ხმოვანი რჩება, არ იკარგება.

ინგირს ქიმინგვოჩური – ყიფშ. 123. 21 – ინგური გადავცურე.

კოც ვემინააშქვანდგ – ყიფშ. 63. 4 – კაცს არ შეუშვებდა.

ლაგვანს ვამუნაანჭგ – ყიფშ. 184. 24 – ქვევრს არ გადასწვდა.

ქო- ნაწილაკი, მინო- წინდებულზე დართული, თავისი პირვანდელი სახით არ დასტურდება. იგი იძლევა ქი-ს; ქგ შესაძლებელია მინო-ზე დართული ქო-საგანაც მივიღოთ. ამ შემთხვევაში შეიძლება ზოგჯერ კონტექსტმა გვიშველოს, ზოგჯერ კი გაურკვეველიც დარჩეს.

ქო + მინო თანხმოვნის წინ:

1. ქომგნო...
2. ქგმგნო...
3. ქომნო...
4. ქიმნო...
5. ქგმნო...

1. **ქომგნო**...

ონანგერი უცბაშე ქომგნოდგგ – ყიფშ. 85. 12 – უნაგირი უცბად დაადგა.

2. **ქგმგნო**...

ქგმგნოდგგ... ონანგერი – ყიფშ. 95. 19 – დაადგა... უნაგირი.

3. **ქომნო**...

ქომნოდგეს... ონანგერი – ყიფშ. 94. 11 – დადგეს... უნაგირი.

4. **ქიმნო**...

ქიმნოდოხოდგ ჟი რაშის – ხუბ. 123. 8 – დაჯდა ზედ რაშზე.

5. **ქგმნო**...

ჟი ქგმნოდოხოდუ – ხუბ. 16. 25 – ზედ დაჯდა.

1. **ქგმნგ**...

მუ ბორჯის ქგმნგმოსხაპანქიე – ყიფშ. 77. 5 – რა დროსაც დამახტები...

2. **ქგმნ**...

ქგმნგათხეს დუსია – ხუბ. 265. 36 – დაგესხნენ თავსო.

ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში წინდებულის მომდევნო თანხმოვანი პრეფიქსია **ო** ან **ა** ხმოვნითურთ.

ქო + მინო + ო → 1. ქიმნაა...
2. ქგმნაა...
3. ქიმნჯ...
4. ქგმნჯ...
5. ქიმნა...
6. ქგმნა...

1. **ქიმნაა**...

მაჟირა ჯას ქიმნაანთხგ – ყიფშ. 86. 3 – მეორე ხეს დაეცა.

2. **ქგმნაა**...

ათე „პლატოკი" ჟი ქგმნააცოთი! – ყიფშ. 86. 21 – ეს ცხვირსახოცი ზედ დააგდე!

3. **ქიმნა**...

ჯიმალენს დუს ქიმნადირთგ – ხუბ. 164. 1 – ძმებს თავზე დაადგა.

4. **ქგმნა**...

ტყები... თის ქგმნაფინგ – ხუბ. 122. 18 – ტყავი... იმას დააფინა.

5. **ქიმნა**...

ქიმნაღურეს თე კოჩქ – ხუბ. – ზედ დააკვდათ ეს კაცი.

6. **ქგმნა**...

ჟი ქგმნარღგ თის... ფარა – ხუბ. 117. 28 – ზედ დააყარა მას... ფული.

ქო + მინო → ქგმნუუ...

ქგმნუუდგესგ ონაგერი რაშიშა – ყიფშ. 74. 20 – დაუდგეს უნაგირი რაშზე.

ქო + მინო + ი → ქიმნი...

ინა მუნენქქიმნიქუნეს – ხუბ. 43. 35 – ის მათ დაიხურეს.

ათე სიმონკა ვამნობძგდასიე – ხუბ. 395. 7 – ასეთი სიმძიმე რომ არ მედოს.

ვა + მინო- + თანხმოვანი პრეფიქსი + ი- ხმოვანი (> ვამნმა...):

მუთუნ ფერო ვამნმაცუნინუა – ხუბ. 276. 32 – არაფრით არ შემომყვა.

ვა + მინო + ო/ა... → ვემინაა...

კოც ვემინააშქვანდგ თი სადგგმიშა – ყიფშ. 63. 4 – კაცს არ შეუშვებდა იმ სადგომში.

ვამგნაა...

ვამგნაართინედგ თი კარდილავა – ყიფშ. 33. 19 – ვერ გადააბრუნებდა იმ ქვაბსო.

ვამნაა...

დაგვანს ვამნაანჭუ – ყიფშ. 184. 25 – ქვევრს არ გადასწვდება.

ვამნა...

ვამნართინეს თე ოშ კოს – ხუბ. 262. 16 – ვერ გადააბრუნა ამ ასმა კაცმა.

ვემნა...

ვემნაშქუ – ხუბ. 165. 5 – არ შეუშვა.

ვემნა...

ჩიტი გინოფურინუანს და ვარა მუთუნს ვემნართე – ხუბ. 122. 6 – ჩიტი გადაფრინდება, თორემ ვერაფერი ვერ გადავა.

ვა + მინო + უ → ვემნუ...

კოს ვემნურთუმგ თე წყარიშა – ხუბ. 123. 29 – არავინ არ გადასულა ამ მდინარეზე (წყალზე).

ვა + მინო + ი → 1. ვემგნიი...
2. ვემნი...

1. **ვემგნიი**...

გალავანიშა ვე მგნიირთე – ყიფშ. 87. 24 – გალავანზე ვერ გადაისვლება.

2. **ვემნი**...

სოლეთინი ვ ე მ ნ ი რ თ ე დინახალე – ხუბ. 42. 28 – ვერსაიდან ვერ შეისვლება შიგნით.

ვა + მ ო ნ ო + ი → ვ ა მ ნ ი...

ვ ა მ ნ ი ც უ ნ ა თ აშოვა – ხუბ. 301. 22 – არ მოიყვანოთ აქეთო.

მ ი ნ ო -ს მნიშვნელობა:

მიუთითებს შიგნით (ჰორიზონტალურ) ადგილსა და მიმართულებას:

კარი... გ ან ჯ გ... მ ი ნ რ ლ გ დინახალე – ხუბ. 147. 29 – კარი... გააღო... შევიდა შიგნით.

მ ი ნ ი ლ ე ს ართი კოჩიში ცუდეშა – ხუბ. 20. 2 – შევიდნენ ერთი კაცის სახლში.

მ ი ნ ი ბ ლ ი მაჟია ოთახგშა – ხუბ. 44. 35 – შეველი მეორე ოთახში.

სოროს მ ი ნ ი ლ გ – ხუბ. 45. 26 – სოროში შევიდა.

ცვანაშა მ ი ნ ი ბ ლ ე ნ დ ი თ ი ა – ხუბ. 112. 3 – ყანაში შევიდოდითო.

შეესატყვისება მნიშვნელობით ქართულის **გადა**- წინდებულს:

ხოლო მ ი ნ რ ბ ლ ე თი წყარს დო მიდურქ ცუდეშავა – ხუბ. 65. 1 – კიდევ გადავალ იმ წყალზე (მდინარეზე) და წავალ შინო:

მელე ხორუა ქრძირე... მ ი ნ ი ლ გ მუქ მელე – ხუბ. 116. 38 – გაღმა მოსახლე ჩანს... გადავიდა თვითონ გაღმა.

ინგირს ქ ი მ ი ნ გ ვ ო ჩ უ რ ი – ყიფშ. 123. 21 – ენგური გადავცურე.

ინა მუნენქ ქ ი მ ნ ი ქ უ ნ ე ს დო მუნეფიში შქართუნი თინენს ქ ე მ ნ ა ქუნეს – ხუბ. 78. 6 – ის თვითონ დაიფარეს და თავიანთი საბანი იმათ დააფარეს.

კამბეშიშ ტყები... თის ქ გ მ ნ ა ფ ი ნ გ, თე წყუს – ხუბ. 122. 18 – კამეჩის ტყავი... იმას გადააფარა... ამ წყაროს.

დუდშა დიხას მ ი ნ ი ვ რ ღ ვ ა ნ ქ – ყიფშ. 130. 12 – თავზე თიხას გადაიყრი.

ქ ი მ ნ ო დ ო ხ ო დ გ ჟი რაშის – ხუბ. 123. 8 – გადააჯდა ზედ ცხენს.

მ ი ნ ო- წინდებულის საპირისპირო მიმართულებას აღნიშნავს მ ო ნ ო (> მ უ ნ ო-ს) წინდებული, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, როდესაც მ ი ნ ო -იანი და მ ო ნ ო -იანი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება:

მ ი ნ უ რ თ ე ს, მ ო ნ უ რ თ ე ს ვიშო-აშო – ხუბ. 16. 14 – გადაატრიალეს, გადმოატრიალეს იქით-აქეთ.

მა თეურე მ უ ნ ი ბ ლ ე ნ ქ ჭითა ბარგით... ჩე ბარგით გ ი მ ი ბ ლ ე ქ – ხუბ. 163. 13 – მე იქით შევალ წითელი ტანისამოსით... თეთრი ტანისამოსით გამოვალ.

ირო თეშინეშე მოხვადგ მ ი ნ უ ლ ა ქ... ასე თეურეშე აშო აცუ მ უ ნ უ ლ ა ქ – ხუბ. 46. 13 – სულ ისე მოუხდა შესვლა... ახლა აქეთკენ გაუხდა შემოსასვლელი.

მ ო ნ ო- (→ მ უ ნ ო-)-ს მნიშვნელობა:

1. შიგნით (ჰორიზონტალურ), პირისაკენ მიმართულებას გამოხატავს:

ათაურე მ უ ნ რ ლ გ ალექ – ხუბ. 163. 28 – აქეთკენ შემოვიდა ალე.

ათაურე მ ო ნ რ ლ გ – ხუბ. 163. 35 – აქეთკენ შემოვიდა.

კარც გოგინჯა, მუნგაშქვა ჩქიმი ოთახგშა – ხუბ. 216. 9 – კარს გაგიღებ, შემოგიშვებ ჩემს ოთახში.

ცუდეშა ქიმერთესგნ, პაპაქ დრძახგ... ვამნიცუნათ აშოვა – ხუბ. 301. 22 – სახლთან რომ მივიდნენ, მღვდელმა დაიძახა... არ შემოიყვანოთ აქეთო.

ამსერი ჩქიმდა მგნილი კინია – ხუბ. 60. 36 – ამაღამ ჩემთან შემოდი ისევო.

2. მნიშვნელობით შეესატყვისება ქართულის **გადმო-** წინდებულს:

მუნრლგ მოლე – ხუბ. 134. 14 – გადმოვიდა გამოღმა.

ქოძირგ... „ზაბორი" ეკორთელენი, ქიმიოღვარუ... მუნერო გაბედია თაქიანი კუჩხიში მუნოდგგმავა? – ხუბ. 183. 22 – ნახა... ღობე წაქცეულა, დაიღრიალა... როგორ გაბედეო აქეთ ფეხის გადმოდგმაო?

აშო ვამგნოტახუკოვა – ხუბ. 139. 12 – აქეთ ხომ არ შემოტეხაო (ღობე).

ღანდაშა მუთუნ ფერო ვამნაცუნინუა – ხუბ. 276. 32 – ღობეზე ვერაფრით ვერ გადმოვიყვანეო.

წიფუიში ქჲოქის ქელახედუ – I.46.10 – წიფლის ძირას იჯდა.

ჭუვალი გამაკვათუ... ჭუალი ქელაჭუ – II.121.10 – ტომარა გამოჭრა... ტომარა ამოკერა.

გუდა ლემშითე ქელაჭეს – II.134.18 – გუდა ნემსით ამოკერეს.

ქარმატეს-ნახენ კოჩი დერემენჯი გოჭირდერი, ბიწერი შეეჭეთე ქელახენ... – წისქვილში რომ ზის კაცი, მეწისქვილე გაჭირვებული. დახეული რამეებით ზის.

2. **ქელე**...

არ ნუკუ ქელეგიდვა ქჩე გური-პიჯი-კალა – ყიფშ. 68.4 – პირი მოგიდო თეთრ გულ-პირთან.

ქელეიკათი დო მებულურთ – II.79.26 – წავიყოლიე და მივდივართ.

ტუჭეღი ქელებიკიდი – II.79.13 – თოფი ჩამოვიკიდე /გვერდზე/.

ოხორჯა, სი ქელეგაკიდუდორენ – ჟღ. 17.18 – ქალო, შენ გაგიჟებულხარ /„შეგკიდებია“/.

ქებიკიდი ოჭკომალე, გჲაი ქელებიკიდი – ჟღ. 166.21 – დავიკიდე საჭმელი, საჭმელი დავიკიდე /გვერდზე/.

წუკალიში ხეს ქელებუკლიმი-ა – ჟღ. 66.17 – ქვაბის სახელურს შევავლე ხელი.

ჩქუნ ბიჭი ქელემარდეს – ჟღ. 28.20 – ჩვენ ბიჭი წამოგვეზარდა.

არ ჩქვა ორძო მოიღით! არქადაში ჩქიმი ქელებიხუნა – ჟღ. 104.5 – ერთი კიდევ მოიტანეთ სკამი! ჩემს ამხანაგს მოვისვამ /გვერდით/.

ლიმხონა-თი ქომეორჩაფთ ე-დო ქელავინჯირთ. ელავინჯირთ, ამმა... – I.136.5 – გვიმრას დავაფენთ და წამოვწვებით. წამოვწვებით, მაგრამ...

3. **ქელო**...

ჭელუკა ქელმონჭაფეს – I.158.7 – ნავი გამომაყვანინე /ნაპირას/.

გირინიშ ჲერის ქელოგოკირა – ყიფშ. 15.4 – ვირის ადგილას მიგაკრავ.

4. **ქჲელა**...

მახოშა ქჲელაფთი... ლუმჯიში მახოშენ თხირნალიშა გელაფთარე – II.1.13 – მახოში ავედი... საღამოს მახოდან თხილნარში ჩამოვალ.

5. **ქოლა**...

სახანი ქოლადგიმან – II.70.2 – საინს შედებენ /თაროზე/.

ქო + ელა + ო > ქელო...

მატორი ქელონჭეს – I.96.5 – მოტორი ამოსწიეს /წაპირას/.

კანკულის ქელობუნ დიდი კამა დო ფიშთოვი – ჟღ. 44.9 – საფრთხობელას /გვერდზე/ ჰკიდია დიდი ხანჯალი და ფისტო.

დადის ცანცასტერი სიჯა ქელობუნ – ყიფშ. 49.28 – დეიდას კალათასავით /გვერდზე/ „ჰკიდია" სიძე.

ზუღაში ქენარის ქელობღუდორენ – II.43.35 – ზღვის პირას გამოუყრია /ფიცარი/.

ოდაში მბგას... ქელოდგინუ... მბგას ელადგინ – ჟღ. 43.29 – ოთახის კუთხეში... დააყენა... კუთხეში დგას.

რაკანეფეს წიფურიშ ნჯას დიდი ხორშაფე ქელოკორამან – II.85.1 – ფერდობებზე წიფლის ხეს დიდ სარებს შემოაკრავენ /მიაკრავენ/.

ოხორიშე... ქომოდმელან დო ქელონსვარამან – II.60.20 – შინ... მოიტანენ და ჩაამწკრივებენ /გვიმრას/.

ქო + ელა + ი > 1. ქელი...

2. ქილი...

1. **ქელი**...

სიჯაქ-თი... ვითოხუთ კოჩი ქელიკათეფს – I.134.7 – სიძეც... თხუთმეტ კაცს გაიყოლიებს.

პარაპათი ქელიქთუ – I.157.11 – თევზის დასაჭერი ბადე /გვერდზე/ შეიქცია.

ფადიშაიქ ბოზო მუში ქელიდგინუ ნეკნაკალა – ჟღ. 109.36 – ფადიშაჰმა თავისი ქალიშვილი დაიყენა კარებთან.

როკა ქელიდუმესს – II.60.25 – ტაროს ამოიდებს /გვერდით, სიმინდი/.

კაი კილიჭი ქელიკიდუ – ჟღ. 123.28 – კარგი ხმალი დაიკიდა /გვერდზე/.

ბერექ... ღალიშენ არ უშქური ქელიღუ – ჟღ. 33.29 – ბიჭმა... ღელედან ერთი ვაშლი ამოიღო.

კამა ქელიწკუ – ჟღ. 7.32 – ხანჯალი იძრო /გვერდიდან/.

ზენგინიქ ხეზმეკიაი ქელიხუნუ – ჟღ. 52.24 – მდიდარმა მოსამსახურედ დაისვა.

შკას ქელიბამან – ყიფშ. 75.17 – წელზე ჩამოიკიდებენ.

ლაზუტი ქელიდუმს – ყიფშ. 75.22 – სიმინდი ამოიღებს /ტაროს/.

ლაჭი ნეკნას ქელიჯინუ – ყიფშ. 77.30 – ლეკვი კარებთან დაწვა.

ავლადაში ჩაილუღის ქელიჯინუ – ყიფშ. 83.18 – ეზოს მოლზე წამოწვა.

2. **ქილი**...

კამა დო ლივორი ქილიკიდუ – I.40.33 – ხანჯალი და რევოლვერი ჩამოიკიდა /გვერდზე/.

ტოტეღი-თი ქილიკიდუ – I.37.36 – თოფიც დაიკიდა /გვერდზე/.

თხომუშ თუდე... ქილინჯირუ – I.45.30 – თხმელის ქვეშ... წამოწვა.

ნანაქ ჰაშე ქილიკათუ – ჟღ. 63.32 – დედამ ჰაშე გაიყოლია /თან/.

ქო + ელა + ა > 1. ქელა...
2. ქელვა...

1. **ქელა**...

კაფლანი-თი ბერეს ქელაკათუ დო იგზალეს – ჟღ. 40.13 – ვეფხვიც ბიჭს გაჰყვა /თან/ და წავიდნენ.

ოხორიში ოღინე მჯალეფე მედგინან. ჰქ ქელატკობი – ჟღ. 51.11 – სახლის წინ ხეები დგას. იქ შეიმალე.

მამული ნეკნაში ქინაის ქელანტკობუ – ჟღ. 139.37 – მამალი კარის კიდეს ამოეფარა.

კოკარი ჯირეკის ჯაში ქიოქის ქელაღუ – I.45.11 – კაკვი ჯირკის ხის ფესვს მოედო.

2. **ქელვა**...

მურადი არქადაშეფე მუშის ქელვაკათუ – I.107.8 – მურადი თავის ამხანაგებს გაჰყვა /თან/.

არ აქოლე, არ ექოლე ქელვაკნეს ხოჯას – I.10.22 – ერთი აქედან, ერთი იქიდან ეცნენ ხოჯას.

ოსმანი ემ კოჩეფეს ქელვაწკუ – I.46.34 – ოსმანი იმ კაცებს ჩამოშორდა.

ელა-ს პირველი ნაწილი არის **ე**-, მეორე -**ლა**-.

ე-ს მნიშვნელობა ამ რთულ წინდებულში ზოგიერთ შემთხვევაში იჩენს თავს.

მციქა ჟილენდო ელახთუ – I.127.4 – ცოტა ზეკითკენ ავიდა.

მა ჟილე ეშავულუ დო კაპინერი გელავულუ მჩხუი ჟინ ელახთუ – I.71.6 – მე ზევით ავალ და სირბილით ჩამოვალ, ცხვარი ზევით ავიდა.

ჟილე ელავიწკედი-ში... 1.91.15 – ზევით რომ ავიხედე.

ყუჯი ელაზდიმერი – I.101.7 – ყურაცქვეტილი.

დიშქა ზღვაქ ელაბღასეტუ – II.108.3 – შეშა ზღვას უნდა გამოეყარა.

მატორი ქელოვონჭით – I.146.16 – მოტორი ამოვიყვანეთ, გამოვიყვანეთ /ნაპირისაკენ/.

შქაშე ხამი ელიწუ დერემენჯიქ – II.95.31 – წელიდან დანა /ამო/იძრო მეწისქვილემ.

უკანასკნელ მაგალითებში გამოსჭვივის მეორე კომპონენტის, -**ლა**-ს მნიშვნელობაც, – რისამე შიგნით მიმართულების ჩვენება. ამ ორ მნიშვნელობას ერთვის კიდევ ახალი მომენტი. **ელა**-წინდებულის მნიშვნელობა უკავშირდება სიტყვებს: გვერდით, ნაპირას, კიდეზე; ფერდად, ალმაცერად.

ამრიგად, **ელა**-ს უფრო მრავალფეროვანი მნიშვნელობები აქვს, ვიდრე **მელა**-, **მოლა**-, **დოლო**-ს. ეს მნიშვნელობებია:

1. ზევით მიმართულებას აღნიშნავს. ეს მნიშვნელობა იშვიათად ჩანს.

2. შიგნით მიმართულებას აღნიშნავს ზევით მიმართულებასთან ერთად. ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იშვიათია, როგორც უკვე აღნიშნულია.[1]

3. ჩვეულებრივ, **ელა**-ს მნიშვნელობა უკავშირდება გვერდით, ნაპირას, კიდეზე, აგრეთვე, ფერდად, ალმაცერად სიტყვებს. ამ ნიუანსის გარეშე პირველი ორი მნიშვნელობა არ დასტურდება, ხოლო მხოლოდ ამ მნიშვნელობით პირველი და მეორე მნიშვნელობა რომ არ ჩანდეს, ისე ძალიან ხშირია, რაც ჩანს ზემოთ მოყვანილი საილუსტრაციო მასალით. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ეს მნიშვნელობა **ელა**-სთვის არ არის ძირითადი.[2]

4. მე-3 მნიშვნელობისაგან განვითარებულად ჩანს **ელა**-ს ის მნიშვნელობა, რომელიც ქართულად **შე**-ს[3] აქვს და ნაწილობრივ შესრულებული, მომხდარი მოქმედების გამოხატვას გულისხმობს:

დოლოქუნუ ელამიბრუწა-ში, მემიჭაფი! – I.18.12 – ტანისამოსი რომ „შემიცვდეს", დამიკერე!

ფოთინი ჭიტა ელუბრუწან-ში ისთომელან – I.113.14 – ფეხსაცმელი ცოტა რომ შეუცვდებათ, გადააგდებენ.

არ უშირის ჭიტა ელახცაფეი ქოძირუ – I.52.8 – ერთ ვაშლს ცოტა შემპალი უპოვა.

გელა-

თანხმოვნის წინ:

ნოღამისაშ ტაქიმიქ-თი ოდა-მოწიფხერი ნეკნას გელადგინან – ყიფშ. 9.11 – პატარძლის მხლებელი ქალებიც მორთული ოთახის კარებთან არიან დამდგარი.

არ ჯა ქაგოფცხოტუფთ, ჟინ ყა ვა მეუშქუმეთ, – ჯა გელადვაფუშენი – I.137.2 – ერთ ხეს გავსხლავთ, ზევით შტოს არ დავუტოვებთ, ხის – ჩამოსადებად /დასადებად/ /ზვინის/.

ნოღამა გელავიტი – II.148.21 – ბაზარში ჩავედი.

მა ჟილე ეშავულუ დო კაპინერი გელავულუ – I.76.6 – მე ზევით ავდივარ და სირბილით ჩამოვდივარ.

თის ხე გელამისუ – I.107.22 – თავზე ხელი ჩამომისვა /დამისვა/.

კუჩხე ვა გელაგისტვას – I.110.26 – ფეხი არ ჩამოგიცდეს /ხეზე/.

მერდევენიკალა ზილი რენ, ემუთენ... გელაჩაფან – I.124.32 – კიბესთან ზარი არის. იმას... ჩამოჰკრავენ.

არ კვინჭახი ჯას გელახეტუ – I.68.5 – ერთი ბეღურა ხეზე იჯდა.

არ ოხოის ღოჯის არ ოხორჯა გელახეტუ – I.48.25 – ერთ სახლზე, აივანზე ერთი დედაკაცი იყო ჩამომჯდარი.

ართეღი ოხორჯა კიჩის გელახეტუ – I.127. – ერთი ქალი კიჩოზე იყო ჩამომჯდარი.

---

[1] არნ. ჩიქობავა, „მორფ. შეხვედრ.", გვ. 154.

[2] არნ. ჩიქობავა, „მორფ. შეხვედრ.", გვ. 154.

[3] აკ. შანიძე, „ქართ. გრამ. საფ.", გვ. 251.

გზას ართელი ჭუკარა ოხორჯა, ბერე გელახუნეი, ხეტუ – I.84.6 – გზაზე ერთი მათხოვარი ქალი, ბავშვჩამომჯდარი /კალთაში/. იჯდა.

გზა წალე გელახტი! – ყიფშ. 23.16 – გზის ქვევით ჩა/მო/დი!

გელაფთი დო ახმედი ქეშაიყონი – I.96.30 – ჩავედი და ახმედი ამოვიყვანე /ხევიდან/.

მციქა ჩქვა გელამიხთატი – I.18.1 – ცოტა კიდევ ჩამომიკლებდი /დამიკლებდი, „ჩამომიხვიდოდი" ფასზე/.

გელაგიხთი, გელაგიხთი, მუთუ ვარ დოსქიდუ – I.18.7 – ჩამოგიკელი, ჩამოგიკელი /ფასზე „ჩამოგივედი"/, არაფერი არ დარჩა.

ხოჯა... ნჯას ეხთუ დო მჭიფეში-კელე გელადგითუ – ჟღ. 97.6 – ხოჯა... ხეზე ავიდა და წვრილებისაკენ ჩამოდგა /შტოზე/.

ცუჯის გელაკიდონი ალთუნი 11.30.20 – ყურზე ჩამოსაკიდებელი ოქრო, საყურე.

ბადი კოჩიქ ჩაქმაღი გელაჩუ დო კავის ნუდვინუ – II.2.27 – მოხუცმა კაცმა საკვესს ჩამოჰკრა და აბედს მოუკიდა.

ქრას ნა გელაცონუდორტუნ – ჟღ. 84.16 – რქაზე რომ ჩამოერჭო /ვაშლი/.

არ სემერი ქუუღუნ. გელაწკიმს დო... – ჟღ. 85.13 – ერთი უნაგირი აქვს. ჩამოხსნის და...

ნჯაში დუდის ათმაჯა-ნა გელახენ – ჟღ. 30.18 – ხის თავზე მიმინო რომ არის ჩამომჯდარი.

არ ნჯაზ-და მსქვა კინჩი გელახეტუ – ჟღ. 64.7 – ერთ ხეზეო ლამაზი ჩიტი იყო ჩამომჯდარი.

მახოშენ თხირნალიშა გელაფთარე – II.1.13 – მახოდან თხილნარში ჩავალ.

ბერე ღალიშე-კელე გელახტუ – ჟღ. 21.1 – ვაჟი ღელისაკენ ჩავიდა.

წალენდოკელე გელახთუ-ში... – ჟღ. 36.2 – ქვევითკენ რომ ჩავიდა...

კატაფხას ჭოროხი გელახთასენ. კატაფხა ღალი ენ... კატაფხა ჟილე ენ, ჭოროხი თუდე რენ... – II.70.4 – კატაფხაში ჭოროხი ჩამოვა. კატაფხა ზევითაა, ჭოროხი ქვევით არის.

ზოგჯერ **გელე**-ს სახით არის თანხმოვნის წინ, თუ ეს თანხმოვანი პრეფიქსია და მას ხმოვანი მოსდევს:

ტუტა გელებუბღამ – II.83.17 – ნაცარს ჩავაყრი /წყალში/.

ნე კანკული გელეგიდგინით ნა, ნე-თი მა გელაფხედი-ნა, მუთუ ვარ ივუ! – ჟღ. 44.20 – საფრთხობელა დაგიდგით, არც მე ჩაგისაფრდით /„ჩაგიჯექით"/, არაფერი არ მოხდა („იქნა")!

ერმენიში ავლი /ოხოიშ ოღინე!/ გელებიტი-ში... – სომხის ეზოში /სახლის წინ!/ რომ ჩავედი, ...

ჩელამურე გელემოფუფს მა ფეჩეს – ჟღ. 160. 21 – ცრემლი ჩამომდის /„ჩამომყვება"/ მე სახეზე ჩამოსაფარებელზე.

სი პოჯას მი გელეგიჯანზ-და – ჟღ. 55.31 – შენ კალთაში ვინ გიწევს /ვინ გყავს ჩაწვენილი/.

გელო-ს სახით შესაძლებელია იყოს, თუ თანხმოვან პრეფიქსს **ო** ხმოვანი მოსდევს:

დუმანი დოდგითა-ში, გელოონჭაფთ დო გოულუთ – I.119.3 – სიბნელე თუ დადგა, ჩავწევთ და ვივლით.

გელა + ო > გელო...

კანკულეცი ბითთუნ კრემულის გელობუნ – I.165.23 – კაკვი მუდამ ჯაჭვზეა ჩამოკიდებული.

ოდას ბალი გელობუტუ – I.102.28 – ოთახში სარკე იყო ჩამოკიდებული.

კუდელი ოქოსალესტეი გელობუნ – I.81.11 – კუდი ცოცხივით აქვს ჩამოკიდებული.

ჰექოლე-და კოჩიში თიფე გელობღუნ – ჟღ. 54.16 – იქო კაცის თავები არის ჩაყრილი.

კოჩი ეძსელუ დო ლივოი გელოდგინუ – ჟღ. 99.4 – კაცი ადგა და რევოლვერი დააყენა /„ჩამოაყენა"/.

გელა + უ > 1. გელუ...
2. გილუ...
3. ჯელუ...

1. **გელუ**...

არ ბურგულის მჯვაბუ გელუხენ – ჟღ. 92.15 – ერთ მუხლზე ბაყაყი უზის /ჰყავს ჩამომჯდარი/.

ოხორჯა მუში ხენ დო არ დიდი ბიჭი პორჯას გელუჯანს – ჟღ. 55.27 – მისი ცოლი ზის და ერთი დიდი ბიჭი კალთაში უწევს /ჰყავს ჩაწოლილი/.

2. **გილუ**...

მთელი არ კარდალას ქოდოლობღაფან... გილუბუფან წკაი – I.159.15 – ყველაფერს ერთ ქვაბში ჩაყრიან... ჩაასხამენ წყალს.

დიდო ვა გილუბღაფან – I.141.20 – ბევრს არ ჩაუყრიან /პურის ფქვილში მჭადისას/.

ქიჩიტი გილუსუ – I.11.8 – ასანთი ჩამოჰკრა /„ჩამოუსვა"/.

ქიჩიტი გილუჩხანკეფს – I.125.13 – ასანთს ჩამოჰკრავს.

გელა + ი – 1. გელი...
2. გილი...

1. **გელი**...

ჩხვაშ ოფუტეს მოდ გელილი – ყიფშ. 23.9 – სხვის ეზოში რად ჩადიხარ?

გელიტუ-შ-კულეი – ყიფშ. 14.19 – რომ ჩაიარა, შემდეგ...

თოფური ოღურთის გელიბენ – II.69.28 – თაფლი მაწონში ჩაისხმება.

ბოზოფექ ფენჯერეშე იწკენან... ნოღამეფე გელილეს – ჟღ. 123.20 – გოგოები ფანჯარაში იყურებიან... საქმროებმა ჩაიარეს.

უფი ონდღერი გელიქთერის გამახთუ – ჟღ. 43.34 – ოფლი შუადღე გადასულზე გამოვიდა.

კამა გელიწკუ – II.78.3 – ხმალი ჩამოიხსნა.

წალენდო გელიწკედუ – ჟღ. 18.11 – ქვევით ჩაიხედა.

ხეს გელიხუნარე – II.59.22 – ხელზე ჩამოისვი.

2. **გილი**...

გილიტესკონ-ში, ძიასინტეს – I.80.7 – რომ ჩაივლიდნენ, უნდა ენახათ.

ყუროლერი ჩქინი დანის გილილაფტუ – I.163.7 – ყვირილით ჩვენთან ახლოს ჩაივლიდა /ჩვენ ხეზე ვიყავით/.

გელა + ა > გელვა...

უფი გელვაყონეტუ /„ქოგეჩუ“/ – I.82.3 – ოფლი ჩამოსდიოდა.

ქო + გელა + თანხმოვანი > 1. ქოგელა...

2. ქაგელა...

3. ქაგელო...

4. ქოგელე...

5. ქოჯელა...

1. **ქოგელა**...

ქაუთუღის ქოგელახედუ – I.86.19 – ჯირკზე იყო ჩამომჯდარი.

ტუტეღეფეს კვინჩეფე... ქოგელახედერენან – ყიფშ. 3.35 – თოფებზე ჩიტები... იყვნენ ჩამომსხდარნი.

ხოჯა მწკოშ ყას გოქთეი ქოგელახედეენ – I.9.12 – ხოჯა წყავის შტოზე შექცეული ჩამომჯდარიყო.

ოხოიში ნეკნას ჟურ კოჩი ქოგელადგინ – ჟღ. 50.25 – სახლის კარებთან ორი კაცი არის დამდგარი.

დიდი რაკანის არ დიდი მჭკონი ქოგელადგინ – II.42.35 – დიდ მთაზე ერთი დიდი მუხა დგას /„ჩამომდგარი“ არის/.

ბაშის ქოგელადგითუ – ყიფშ. 60.9 – მწვერვალზე ჩამოდგა.

ფარაში ოფშა რენ ჯამადანი. ეზდუ დო ქოგელადუ – ჟღ. 105.20 – ფულით სავსე არის ჩემოდანი. აიღო და ჩამოდო.

ოხორი წკუ დო წალენდოკელეში ქოგელაკოდუ – ჟღ. 35.35 – სახლი დაანგრია /და/ხსნა/ და ქვევითკენ ააშენა.

ქრას არ უშქური ქოგელაყონუ – ჟღ. 84.13 – რქაზე ერთი ვაშლი ჩამოერჭო.

ა'ჩქვა პაპიროზი ქოგელაძინ ჰექ სტოლის – ჟღ. 130.8 – ერთი კიდევ პაპიროსი დევს იქ მაგიდაზე.

ლინეიკა კოჩითე ოფშა ტუ დო მა-თი ქენარის ქოგელაფხედი – II.55.16 – ლინეიკა ხალხით სავსე იყო და მეც კიდეზე ჩამოვჯექი.

სირტის ქოგელაფხედი – II.79.17 გორაკზე ჩამოვჯექი.

2. **ქაგელა**...

ჟილე ელაფთი... ე-დო ქაგელაიღი – I.93.31 – ზევით ავედი... ჰოდა ჩამოვიტანე.

ჯუმადი მუშიში ოხოიშა ქაგელახთუ – I.46.34 – ბიძამისის სახლში ჩავიდა.

დიდო ფარა ვარ მიღუნ დო ჭიტა ქაგელამიხთი – I.17.34 – ბევრი ფული არა მაქვს და ცოტა ჩამომიკელი /დამიკელი/.

3. **ქაგელო**...

მატოი ქაგელოვონჯით – I.94.5 – მოტორი ჩავუშვით /„ჩავწიეთ“ ზღვაში/.

4. **ქოგელე**...

შექეი ქოგელებუდვი, ქოგელებუბღი – II.76.89 – შაქარი ჩავდე, ჩავყარე.

მომჩი ქოგელებოკიდათ – II.71.35 – მომეცი, ჩამოვკიდოთ.

სახანის ქოგელემიხედეს – II.68.15 – საინთან ჩამომისხდნენ.

ჰიმ კუას ქოგელეგიდონა თუდე... დევაშ-დევაშ ქოდელემიდონი... ქოგემიდონი კუას – II.99.18 – იმ ორმოში ჩაგიყვან ქვევით... ნელა-ნელა ჩამიყვანე /შიგ/... ჩამიყვანე ორმოში.

5. **ქოჯელა**...

მაღაზას ქოჯელავობი – II.106.17 – სასიმინდეში ჩავყარე.

ქო + გელა + ო > 1. ქოგელო...
2. ქაგელო...
3. ქოგელვო...

1. **ქოგელო**...

ნეკნას კარაღოლი ქოგელოდგინუ – ჟღ. 85.10 – კარებთან ყარაული დააყენა.

კარბის კუჩხე ქოგელოკიდეს – ჟღ. 62.25 – ლურსმანზე ფეხი ჩამოჰკიდეს.

რესიმი წკარიში ჟინდოლე ქოგელოკიდუ – ყიფშ. 65.27 – სურათი წყლის თავზე ჩამოჰკიდა.

2. **ქაგელო**...

ბელუკა ქაგელონჯეს, მზოღას მიშუტალეს – I.126.32 – ნავი ჩაუშვეს /ზღვაში „ჩასწიეს“/, ზღვაში შეუშვეს.

3. **ქოგელვო**...

ცარ ხოშკა ქოგელვონცუ – II.123-23 – ერთი სარი ჩააცო.

ჰიმ ბოზომოთა... ქოგელვოხუნე – II.138.2 – ის ქალიშვილი... დავსვი...

ქო + გელა + უ > 1. ქოგელუ...
2. ქოგილუ...
3. ქოჯელუ...

1. **ქოგელუ**...

ელმასი ეზდუ, დონჯახუ, ბჟას ქოგელუბღუ – ჟღ. 51.31 – ალმასი აიღო, დაჩეჩქვა, რბეში ჩაყარა.

ქოგელუკაპუ – II.37.30 – ჩაუხტა /წყაროზე/.

მართეში ბიჭეფე სიჯას გზას ქოგლუტკობეს – ჟღ. 29.19 – მეზობლის ბიჭები სიძეს გზაზე ჩაემალნენ.

ლუს ქოგელუნჯუმი! – II.76.25 – კომბოსტო ჩაამარილე!

2. **ქოგილუ**...

ბინჯის წკაი ქოგილუბუფან – I.142.30 – ბრინჯში წყალს დაასხამენ.

წკაის ჯუმუ ქოგილუბღაფან – I.141.29 – წყალში მარილს ჩაყრიან.

მქიი ქოგოლუბღაფან გობის – I.144.4 – ფქვილს დაყრიან გობზე.

კაფლამას ქოთუმეში ხორცი ქოგილუდუმელან – I.142.33 – ფლავში ქათმის ხორცს ჩადებენ.

ხუთ მაქვალი ქოგილუტახეფან – I.140.27 – ხუთ კვერცხს ჩაატეხენ.

3. **ქოჯელუ**...

გზა ქოჯელუდუ – II.121.34 – გზა დაუდო.

ქო + გელა + ი > 1. ქოგელი...
2. ქოგილი...
3. ქაგილი...
4. ქოჯელი...

1. **ქოგელი**...

პაპიროზი დივუ. დივუ დო სტოლის ქოგელიდუ – ჟღ. 130.10 – პაპიროსი გაჩნდა. გაჩნდა და სუფრაზე დაიდო.

ხეს ქოგელიხუნუ – II.12.17 – ხელზე დაისვა, ჩამოისვა.

ანდღას ბერე ქოგელიხუნუ – ყიფშ. 38.1 – ერთ დღეს ბავშვი ჩაისვა /კალთაში/.

2. **ქოგილი**...

ახმედიქ კატუ პოდიიას ქოგილიხუნუ – I.103.32 – ახმედმა კატა კალთაში ჩაისვა.

3. **ქაგილი**...

გზაშა ქაგილინგიბონერეტუ – I.91.32 – გზაზე ჩაგორებულა.

ენთეფექ ჩალაფე ქაგილიღეს – I.93.25 – იმათ ჩალები ჩამოიტანეს.

4. **ქოჯელი**...

ქოჯელიდუ /„ქოგიელიდუ"/ ლაზუტი ფუსკული – II.116.5 – დაიდო სიმინდმა ყვავილი.

გელა-ს პირველი ნაწილია **გე**-, მეორე – **ლა**-. **გელა**- > **ჯელა**-ს ათინურში ისევე, როგორც **გე**- > **ჯე**-ს.

გელა- **ელა**-ს საპირისპირო მნიშვნელობისაა, ჩვეულებრივ, ისევე, როგორც **გე**- **ე**-სი.

გელა- აღნიშნავს:

1. ზევიდან ქვევით /დაღმართზე.../ მიმართულებას და ე. ი. დომინანტობს **გე**-ს მნიშვნელობა. საპირისპიროა **ელა**-ს პირველი მნიშვნელობისა.

გემთი გელილუ – ჟღ. 153.3 – დაღმართს ჩავიდა.

ჩარჩიშა გელახთა-ში, ორდო ელახტი – ყიფშ. 32.5 – ბაზარში რომ ჩახვალ, ადრე ამოდი.

2. ზევიდან ქვევით – შიგნითა მიმართულებას. ე. ი. **გე**-ს მნიშვნელობასთან ერთად თავს იჩენს **ლა**-ს მნიშვნელობაც. საპირისპიროა **ელა**-ს პირველი მნიშვნელობისა:

ჭელუკა ქაგელონჭეს, მზოღას მიშუტალეს – I.126.32 – ნავი „ჩასწიეს" /ჩაუშვეს ზღვაში/, ზღვაში შეუშვეს. /შდრ. ელონჭეს/.

წკაის ჯუმუ ქოგილუბღაფან – I.141.24 – წყალში მარილს ჩაყრიან.

ჭელა-ს ეს მნიშვნელობა უფრო მკაფიოდ ჩანს შემდეგ მაგალითში:

ჰიმ კუჲს ქოგელეგიჲონა თუდე... ქოდელემიჲონი... ქოგემიჲონი კუჲს – II.99.18 – იმ ორმოში ჩაგიყვან ქვევით... ჩამიყვანე... ჩამიყვანე ორმოში – გელა წინდებული ნახმარია დოლო-სთან ერთად.

კოჩიში მეკვათერი თიფე ოდას მოლობღუნ... ჰექოლე-ჲ კოჩიში თიფე გელობღუნ... – ჟღ. 54.10.16 – კაცის მოკვეთილი თავები ოთახში ყრია... იქ კაცის თავები ყრია...

ერთსა და იმავე კონტექსტში **ჭელა- მოლა**-ს ენაცვლება.

3. ნეკნას კარაღოლი ქოგელედგინუ – ჟღ. 85.10 – კართან ყარაული დააყენა.

ნეკნას გელადგითუ – ჟღ. 46.19 – კართან დადგა.

ამ ფრაზებში **ჭელა**-ს მნიშვნელობა გვერდით სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს. ეს მნიშვნელობაც **ელა**-სთან აქვს საერთო.

ცხენი დერე ქენარის ელუკაპუნ, გელუკაპუნ – II.39.7 – ცხენი მდინარის ნაპირას ახტის, დახტის.

ჭოლა-

თანხმოვნის წინ:

ჲასთუღი თიშ ჭოლადვალე – I.151.10 – ბალიში თავის დასადები.

ცხენი ბირდეშ ჲანი გზაშენ გულიქთუ დო მან ჲანდან ჭოლამინქინუ – I.92.10 – ცხენი ერთბაშად გვერდით გზისაკენ ატრიალდა და მე გვერდზე გადამიქნია.

ჭოლაკორონი ჰეფხე – II.72.27 – გადასაკრავი წნელი /ღობისა/.

არ საათი ვარ ჭოლახთუ – II.44.38 – ერთ საათს არ გაუვლია.

ჰაქოლე მი-თი ჭოლახტასენ – ყიფშ. 65.29 – აქეთ ვინც გაიაროს.

იშვიათად თუ წინდებულის მომდევნო თანხმოვანი პრეფიქსია და მას ხმოვანი მოსდევს **ჭოლ-** > **ჭოლო**-ს:

თუდელეშე კოჩ ჭოლოლიტუ-ის... – ჟღ. 97.7 – ქვეშ /ხის/ კაცმა რომ გაიარა...

სქანი-კალა ა-ჟურ წანას ჭოლობოლაფი ჲაზი – ყიფშ. 43.6 – შენთან ერთ-ორ წელს გავატარე ზაფხული.

ვიწურეფექ ქვათე ჭოლობუწკონდუმთ, ქვათე ჭოლოშკონდინეი – II.72.31 – ვიწელები ქვით ვაშენებთ, ქვით აშენებული.

ჭოლა + ო > ჭოლო...

ბოზო გამათხუში დივუდორენ, შქაფე ჭოლონკანამს – ჟღ. 28.32 – ჭოჭო გასათხოვარი რომ შეიქნება, წელს შეარხევს.

ჭოლოქთი დო მოწკედი ალა-თოლეფე, ალა. – ყიფშ. 68.8 – გატრიალდი და მიყურე მშვენიერთვალება.

თითო-თითო კოჩი ჭოლოშქვეს – ჟღ. 109.36 – თითო-თითო კაცი გადაუშვეს /კარებში/.

ვირვილი თოლეფეთე ოხრასურეს ჭოლოწკერტუ – ჟღ. 25.8 – ეშმაკური თვალებით ცოლისდას გადაჰხედავდა.

გოლოქთუ თი დო მურიას უწუ – I.101.36 – გადაატრიალა თავი და მურიას უთხრა.

ბაკლავა გედგიმერი ტეფსი გოოქთაფან – ყიფშ. 10.13 – ბაკლავადადგმულ ლანგარს გადაატრიალებენ.

გოლა + უ > 1. გოლოუ...
2. გოლუ...
3. გულუ...

1. **გოლოუ**...

ზოღაში ქენარის გოლოუმტუ – II.43.11 – ზღვის ნაპირას დადიოდა.

2. **გოლუ**...

არ ლაზი ზუღა პიჯის გოლულუტუ-ში... – ჟღ. 85.16 – ერთი ლაზი ზღვის პირას რომ დადიოდა.

ჭელუკა გოლულუნ – ჟღ. 162.17 – ნავი დადის.

თოლის გოლუსვეს-შ-კულე – ჟღ. 124.27 – თვალზე რომ გადაუსვეს /წამალი/.

გოლულუ, ოხორის დოლოხე ქოდოხედუ – ჟღ. 69.5 – შეაღო, სახლის შიგნით დაჯდა.

ხასანიქ... ღალი გოლუნწორუ – ჟღ. 9.24 – ხასანმა... ღელე გადაგუბა /„გადასწურა“/.

კაიკის... ჯა გოლუჭკადუნ – II.58.22 – სარეკელაზე ... ხე არის გადაჭედილი.

ზურა ცხენი გოლუხთუ – II.45.1 – ფაშატმა წინ გადაუარა /გაუსწრო/.

3. **გულუ**...

გულულუ წოხლე ხოჯეფეს – I.16.20 – გაუარა /გაუსწრო/ წინ ხარებს.

ხოჯა გულულუ ეშელის – I.11.19 – ხოჯამ გაუსწრო ვირს /გაუარა/.

ქოდოდგიფან კალათი. ტკეცი გულუშუფან – I.149.24 – დადგამენ გოდორს. ტკეცს გადააქსოვენ.

გოლა + ი > 1. გოლი...
2. გული...

1. **გოლი**...

ლაზუტიში ოხაჩქუში ორა გოლილა-ში... – ჟღ. 64.14 – სიმინდის თესვის დრო რომ გაივლის.

არ კოჩი გოლიტუ – II.8.18, 10.31 – ერთმა კაცმა გაიარა /გვერდით/.

ხოჯაქ სარუღი მუში გოლიკორუ – ჟღ. 146.25 – ხოჯამ თავისი თავსაკრავი გადაიკრა.

2. **გული**...

ქურიქ წიპილი ჭოფუმს; გიანთხენ გულიტა-ში... – II.75.11 – ქორი წიწილას იჭერს; დაეცემა, რომ გაივლის.

არ დღას აია ნაიბიშ ოხორიშ წოხლე ია ლეზგეფე გულილეს – I.30.31 – ერთ დღეს ამ ნაიბის სახლის წინ იმ ლეკებმა გაიარეს.

ხოჯა ბუჯაღიშ თის არ გზა გულილაფს – I.46.33 – ხოჯა ბუჯაღის თავზე ერთი გზა გადის.

მურიას ᲐᲜᲓᲐᲜ გულუხთუ დო თეფნე გულისთვინუ – I.101.12 – მურიას გვერდით ჩაუარა და წიხლი გადაუქნია.

ცხენი ბირდემ ᲐᲜᲘ გზაშენ გულიქთუ – I.92.16 – ცხენი ერთბაშად გვერდითა გზისაკენ გატრიალდა.

მოსა ღალის გულინქინუ – I.33.5 – ბადე ღელეში გადაისროლა /„გადაიქნია“/.

ქო + გოლა + თანხმოვანი > 1. ქოგოლა...
2. ქაგოლა...
3. ქოგულა...

1. **ქოგოლა**...

დაჩხირი-ნა ოგზაფან და ერის კირა ქოგოლაბდვი – I.147.27 – ცეცხლს რომ ანთებენ, იმ ადგილას კერია ჩავდე.

ᲐᲖᲚᲣᲦᲘᲛᲘ ოდას ქოგოლავინჯირი – I.147.18 – საზაფხულო ოთახში დავწექი.

არ წანა ქოგოლახტუ-შ-ქულე – ყიფშ. 56.20 – ერთმა წელმა რომ გაიარა, შემდეგ...

2. **ქაგოლა**...

თეცხანეფეში წოხლე მთელი ქაგოლაჩხუ – I.96.8 – იმათ წინ ყველაფერი გარეცხა.

3. **ქოგულა**...

ქჩინი ᲛᲔᲖᲓᲔᲡ დო ოწუდეს ქოგულადვეს – ჟღ. 142.2 – დედაბერი აიყვანეს და თაროზე შედეს.

მთუთი ქოგულახედუ – ჟღ. 61.27 – დათვი შემოუჯდა /სუფრას/.

ქო + გოლა + ო > ქოგოლო...

ტეფსი ეზდუ დო დივის ჩენგეს ქოგოლოკორუ – II.38.27 – თეფში აიღო და დევს ნიკაპზე გადააკრა.

გᲐრი დუხენუ ბერეფეს დო სუტრას სახანეფეთე ქოგოლონსვარუ – ჟღ. 60.6 – საჭმელი გაუკეთა ბიჭებს და სუფრაზე საინებით გაამწკრივა.

ეჩ კოჩი ქოგოლონსვაუ /ქოდოდგინუ/ – ფაშაქ ასკეეფე – I.116.27 – ოცი კაცი გაამწკრივა /დაყენა/ ფაშამ ჯარისკაცები.

ქო + გოლა + უ > 1. ქოგოლუ...
2. ქოგულუ...

1. **ქოგულუ**...

მუჭო-თი რენ, ქოგოლულუნ, ირის ჩარე დიხენენ – ყიფშ. 45.26 – როგორც არის, გაივლის, ყველაფრის საშუალება ინახება.

2. **ქოგულუ**...

კიცის არ გემთი დო არ ჩქვა აქირი ქოგულუღარუ – ყიფშ. 8.4 – კეცს ერთი ქვევით და ერთი განზე გადაუსვა ჯვარი.

ქო + გოლა + ი > 1. ქოგოლი...
2. ქოგული...

1. **ქოგოლი**...

არ დიდი ოხოი დოკოდუ დო ქოგოლინჯირუ აღასთერი ოხორი მუშის – II.44.3 – ერთი დიდი სახლი ააშენა და წამოწვა ბატონივით თავის სახლში.

2. **ქოგული**...

ფადიშაიში ფაფურიში ბაშის ქოგულიჯინერენ ჩხომი – ყიფშ. 18.8 – ფადიშაჰის გემის თავზე გადაწოლილა თევზი.

გოლა- იშლება **გო**- და -**ლა**- ელემენტებად.

ჩვეულებრივ, გოლა-წინდებული ქართულად **გა**-, **და**- და **გადა**- წინდებულებით გადმოიცემა:

უწუ კოჩიქ, ე-დო გოლილუ ჰემ კოჩი – II.8.18 – უთხრა კაცმა და გაიარა ამ კაცმა.

შქით წანა გოლილუ – ჟღ. 138.3 – შვიდმა წელმა გაიარა.

ოწკეტუ გოლანსვარელი თონეფეს – I.107.10 – უცქერდა გამწკრივებულ || ჩამწკრივებულ სკამებს.

ბიჭეფე გოლინსვააფუნან – II.63.31 – ბიჭებს ჩაამწკრივებენ || გაამწკრივებენ.

ხასანიქ... ღალი გოლუნწორუ – ჟღ. 9.24 – ხასანმა ღელე „გადაწურა“ /გადაგუბა/.

ვირვილი თოლეფეთე ოხრასურეს გოლოწკერტუ – ჟღ. 25.8 – ეშმაკური თვალებით ცოლისდას გადახედავდა.

ჟურ მტკოშ მენდრა-მენდრა დოცუნამან დო გოლუშუმან. წარწელი ივენ – II.75.29 – ორი მტკაველის სიშორეზე დაარჭობენ და გადააქსოვენ. ჩელტი შეიქნება.

ზოღაში ქენარის გოლოუმტუ – II.43.11 – ზღვის ნაპირზე დადიოდა.

არ ლაზი ზუღა პიჯის გოლულ-უტუ-ში... – ჟღ. 85.16 – ერთი ლაზი ზღვის პირას რომ დადიოდა.

ამრიგად, **გოლა**- წინდებულს აქვს ქართულის **გა**-, **და**- და ამ ორი წინდებულის კომბინაციის -**გადა**- წინდებულის მნიშვნელობა. **გა**-ს მნიშვნელობა რომ აქვს **გოლა**-ს, მოულოდნელი არ არის, რადგანაც **გოლა**-ს პირველი ელემენტი **გო**- ქართული **გა**-ს ზანური შესატყვისია, შესაძლებელია, დავუშვათ, რომ მეორე ელემენტი -**ლა**- ქართულის **და**- წინდებულის მნიშვნელობისაა.

ამრიგად, -**ლა** მეორე ელემენტად აქვს შემდეგ რთულ წინდებულებს: **მელა**-, **მოლა**-, **დოლო**-, **ელა**-, **გელა**-, **გოლა**-ს.

ამათგან პირველი სამი წინდებულის -**ლა**- შიგნით ადგილსა და მიმართულებას მკაფიოდ გამოხატავს. **ელა**-, **გელა**- იშვიათად აჩენს ამ მნიშვნელობას. ჩვეულებრივ კი სხვა მნიშვნელობა აქვთ მიღებული. **გოლა**- შიგნით მიმართულებასა და ადგილს არ გამოხატავს.

ზოგჯერ პირველი ნაწილის მნიშვნელობა დომინანტობს და მეორე ელემენტის მნიშვნელობა არ ჩანს და **ელა**- ქვევიდან ზევით მიმართულებას უჩვენებს, **გელა**- საპირისპირო მიმართულებას, **გოლა**-ს **გა**- წინდებულის მნიშვნელობა აქვს.

ლა- ნაწილაკის მნიშვნელობა რომ ვარიანტებს იძლევა იმის მიხედვით, თუ რომელი რთული წინდებულის შემადგენლობაშია იგი, აღნიშნული აქვს არნ. ჩიქობავას.[1]

ელა- და **გელა**- რთული წინდებულების მნიშვნელობა რომ ჩვეულებრივ, გვერდით, ნაპირას სიტყვებს უკავშირდება, ამის წყაროდ პირველი ელემენტები /ე-, **გე**-/ არის მიჩნეული.

ლა-ს ძირითადი მნიშვნელობა არის შიგნითა ადგილისა და მიმართულების ჩვენება.

ამრიგად, ასახსნელია როგორც **ელა**-, **გელა**- თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით /ე. ი. როცა მიუთითებს რისამე გვერდით, ნაპირას ადგილსა და მიმართულებას/, აგრეთვე, ახსნას მოითხოვს, რატომ აქვს **გოლა**- წინდებულს ქართული **და**- წინდებულის მნიშვნელობა.

შა-იანი რთული წინდებულები

მეშა-

თანხმოვნის წინ:

შიში დაჩხიის მეშადუმელან დო ოჩხვინაფან – I.149.27 – შამფურს ცეცხლში შედებენ /„მიშედებენ"/ და გაახურებენ.

გზას მეშატკობინერი ლეზგეფე – I.31.20 - გზაზე შემალული ლეკები.

კაიალუღის მეშაგიყონუ – I.35.9 – კლდეებში შეგიყვანა.

ქვაში თუდე ჟურ ალთუნი მეშაძინ – ყიფშ. 16.16 – ქვის ქვეშ ორი ოქრო დევს /შიგ/.

ია არაბაში თუდე მი მეშახენ – I.45.14 – იმ ურმის ქვეშ ვინ ზის /შიგ/.

ნანა სქანი, საღი, ლეტას მუჭო მეშახთას – II.139.11 – დედაშენი, ცოცხალი, მიწაში როგორ ჩავიდეს /შიგ/.

უჩა ლეტას მდონა, მეშამდვანორე – II.52.83 – შავ მიწაში წამიყვანე, ჩამიდე /შიგ/.

კუჩხე წუღას მეშამალერი მიღუტუ, დოლომალერი ვა მიღუტუ – II.73.11 – ფეხი წუღაში შედებული მქონდა /შიგ/, ჩადებული არ მქონია.

ჰექ კოჩი მეშახედუ – II.48.31 – იქ კაცი იჯდა /შიგ, სკაში/.

ღორმას მეშახთუ-ში, ... – II.43.1 – სოროში რომ შევიდა... მოხთას, ჭურნის მეშახტას – ყიფშ. 61.15 – მოვიდეს, ფურნეში შევიდეს /შიგ/.

მეშე- < **მეშა**-...

ალთუნის მეშეფხედა-ნა... – ჟღ. 107.1 – ოქროებში რომ ვიჯდე /შიგ/.

---

[1] არნ. ჩიქობავა. „მორფ. შეხვედრები...", გვ. 153-4.

ხომ არ მოსდევს წინდებულს **ი** ქცევის თავსართი – მეშეფხედა < მე-შა-ი-ფ-ხედა?..

მეშა- > **მეშო-**...

ლიმხანაფუნას მ ე შ ო ი ო ნ უ – ჟღ. 15.24 – გვიმრნარში შეიყვანა /შიგ/.

მეშო-ითნუ > **მეშა-ითნუ**...

არუშუალო მეზობელ **ო**-ს დაემსგავსა **მეშა**-ს ბოლო ხმოვანი.

მეშა + ო > **მეშო**...

ექ. ქარტალის-ნა მ ე შ ო ბ ღ უ ნ... – I.63.34 – იქ, ქაღალდში, რომ ყრია /შიგ/...

ია გოშახვეის მსიჯი მ ე შ ო ლ ა ფ ა ფ ა ნ – I.149.28 – იმ გამოხვრეტილში სუროს გაუყრიან /შიგ/.

არ დიშქა დოჩითი-ა, იდი, ჭურნის მ ე შ ო გ ზ ი-ა – ყიფშ. 61.19 – ერთი შეშა დააპეო, წადი, ფურნეში შეუნთეო /შიგ/.

მეშა + უ > 1. მეშუ...

2. მიშუ...

1. **მეშუ**...

კუჩხე-ნა მ ე შ უ მ ე ლ ა ნ – უზენგი იყვენ – I.152.19 – ფეხს რომ შეუყრიან /შიგ/, უზანგი იქნება.

2. **მიშუ**...

და სქანი ლეტას მ ი შ უ ლ უ ნ – II.140.12 – შენი და მიწაში შედის /შიგ/.

ე-ნა იდელას, ე დელობა-ნა მ ი შ უ ხ თ ა ს, მჯვე თუთას იყვენ – I.129.18 – ეს რომ გაგიჟდება, /ეს/ სიგიჟე რომ /„შიგ"/ შეუვა, ძველ მთვარეზე იქნება.

მეშა + ი > 1. მეში...

2. მიში...

1. **მეში**... ვიწურ-არქაბულშია:

კინჩხიში ოხოი ქოიაჩვაპუ დო ქჩინი დო ბადი მ ე შ ი მ ლ ი პ ე ს – ჟღ. 4.20 – კანაფის ღერის სახლი დაიფუშა და დედაბერი და ბებერი გაჭყლიტა /შიგ/.

კერვედის თუდე მ ე შ ი ლ უ – ჟღ. 19.9 – საწოლქვეშ შევიდა /შიგ/.

ჩისთანი ჩქიმიში თუდე მ ე შ ი ლ ი – ჟღ. 136.24 – ჩემი კაბის ქვეშ შედი.

2. **მიში**... ხოფურშია:

მამულიქ დიდო ფაა სუას მ ი შ ო / ი ბ ღ უ – I.27.7 – მამალმა ბევრი ფული ფრთაში შეიყარა /შიგ/.

დაბეფეს მ ი შ ი თ ი ე ლ ე ე ნ – I.49.29 – ეკლებში შეძვრნენ /შიგ/.

ღორმაშენ მ ი შ ი ყ ო ნ უ – I.36.1 – ხვრელით შეიყვანა /„მიშიგ/შეიყვანა"/.

ქო + მეშა + ი > 1. ქომეში...

2. ქომიში...

1. **ქომეში**... ვიწურ-არქაბულშია:

მუსაჭირი კითი ქომეშიღუ – ყიფშ. 36.9 – სტუმარმა თითი შედო.

2. **ქომიში**... ხოფურშია:

მითხანის მაწკინდი უღუნ, ხეს ქომიშიდვით – I.49.17 – ვისაც ბეჭედი აქვს, ხელში ჩაიდეთ /შიგ/.

ჯოღოი არ ჯაში კოვუღის ქომეშახთუ დო ქომიშინჯირუ – I.68.28 – ძაღლი ერთი ხის ფულუროში შევიდა და შიგ დაწვა /შიგ/.

მეშა + **ა** > **მეშვა**...

ათმაჯა მოსას მეშვატენ... – I.154.16 – მიმინო ბადეში შესულა... /შიგ/.

მზოღას მეშვატერენ – I.94.19 – ზღვაში შესულა /შიგ/.

მზოღას მეშვარატი – I.94.16 – ზღვაში შევედი.

ქო + **მეშა** + თანხმოვანი...

არ ლერის ღობერიშენ ქომეშაითირა-ნა... – I.101.15 – ერთ ადგილას ღობეში რომ გავძვრე /შიგ/.

ფაცხა მუშის ქომეშახედუ – I.53.7 – თავის ფაცხაში იჯდა.

ჰე ჩხომეფე ფილავის ქომეშადუ – II.42.6 – ეს თევზები ფლავში შედო /შიგ/.

ლასთულის თუდე ქომეშადუ-ქი, – II.16.5 – ბალიშქვეშ რომ შედო /შიგ/.

ბუტკაში ფაცხა დოვუ დო ქომეშახედუ – II.43.14 – ფოთლის ფაცხა გააკეთა და შიგ შეჯდა.

ჭურნის ქომეშახედუ – ყიფშ. 61.16 – ფურნეში ჩაჯდა.

ფავრეფე-ნა დიბლუ, ქოკოქოსუ, ჰექო ქომეშახედუ – ყიფშ. 59.18 – ფოთლები რომ ჩამოიყარა, ერთად მოხვეტა და იქ შეჯდა.

არ კარვანის ქომეშახთუ, ბოში კარვანის – II.48.28 – ერთ სკაში შევიდა, ცარიელ სკაში.

ქომეშო < **ქომეშა**... – ხდება სრული რეგრესული ასიმილაცია არაუშუალო ხმოვანთა.

არ კაჲალუღის ქომეშოგოხუნუ – I.34.33 – /ერთი/ კლდეებში შეგსვა.

მშქერეფუნას ქომეშოჲონუ ნუსა მუში – ჟღ. 20.19 – შქერნარში შეიყვანა თავისი რბალი.

ქომეშე > **ქომეშა**... აგრეთვე, რეგრესული ასიმილაციის შედეგად.

არ ლუქუნა ქორტუკონ მა ქომეშებიტი – ჟღ. 33.12 – ერთი სანთელი რომ ყოფილიყო, მე შევიდოდი /შიგ/.

სი მუნთხა გურის ცინი ქომეშეგიხთუდორენ – ჟღ. 24.6 – შენ რაღაცა გულში სიცივე შეგსვლია.

ქო + მეშა + ო > 1. ქომეშო...
2. ქომიშო...

1. **ქომეშო**...

ფატიჯანის ეკულე აჲა ქომეშობღაფან – I.143.37 – ბადრიჯანში შემდეგ ამას ჩაყრიან.

ლეტას ქომეშოხუნეენან – I.118.24 – მიწაში ჩაუმარხავთ /შიგ/.
ჰეის ქომეშოგღამან – II.80.17 – ჰერზე შეყრიან.
კალათის ქომეშოხუნუ – ჟღ. 43.4 – კალათში ჩასვა.
2. **ქომიშო**...
ფატიჯანის ქომიშოგღაფან – I.144.6 – ბადრიჯანში ჩაყრიან.
ქო + მეშა > 1. ქომეშუ...
2. ქომიშუ...

1. **ქომეშუ**...
ოქოთუმალეს ქომეშულვან – I.165.1 – საქათმეში შედიან.
სუმოში გროში მჭკულის ქომეშუდუ – ჟღ. 92.29 – სამასი გროში მჭადში ჩადო.
ჰათეფეს გურის ცინი ქომეშუხთესდორტუნ – ჟღ. 40.27 – ამათ გულში სიცივე შესვლოდათ.
2. **ქომიშუ**...
მთუთიქ შარბათი გდოშუ ე-დო თის ქომიშუხთუ – I.70.1 – დათვმა შარბათი შესვა და თავში აუვარდა /„შიგნით შეუვიდა“/.

მოშა-

თანხმოვნის წინ:
ენთეფეს-თი ცუკის თოკი გდუძინან, ვა მოშასთვას-და დო ოკუკიუფან – I.136.33 – იმათაც ყურში თოკს გაუდებენ, არ გამოძვრესო და გადანასკვავენ.
მთელი ყონა დონთხორეს დო ხოლო მუთუვა მოშახთუ – I.51.12 – მთელი ყანა დათხარეს და მაინც არაფერი არ ამოვიდა /შიგნიდან/.
კალაში მოშახტიმუშა პტახუფთ – I.158.22 – ქარის ამოვარდნამდე /„შიგნიდან ამოსვლამდე“/ ვტეხთ /ხურმას/.
ნჯა გდოქთუ. კვანცათე ფარა მოშალუ – ჟღ. 117.1 – ხე წაიქცა. დოქით ფული გამოვარდა /შიგნიდან/.
დოლოქუნუ ნთხირის ხეჭეპას მეშაძინ-და, ჰაია ტახით დო მოშახთასენ-და – ჟღ. 111.36 – ტანისამოსი თხილის ღენჭეპოს შიგნით დევსო. ეს გატეხეთ და გამოვა /შიგნიდან/.
მოშა + უ > მუშუ...
მუშულუნ დო ქომიშახოან-და – I.118.25 – გამოვა /შინიდან, დამარხული კაცი/ და შეგვჭამსო.
მოშა + ი > მოში...
შიში დაჩხუის მოშიღუ – ჟღ. 90.25 – შამფური ცეცხლიდან გამოიღო.
ქო + მოშა + თანხმოვანი > 1. ქომოშა...
2. ქამოშა...

1. **ქომოშა**... ვიწურ-არქაბულშია:
სი მა-და... ქოდოგოხვი ლეტას-და დო სი ხოლო ქომოშახთი – II.32.28 – მე შენ... დაგმარხე მიწამიო და შენ ისევ ამოხვედი /შიგნიდან/.

მჯვეში დოლოქუნეფე ქომოიწკუ... ა კაი მსქვა ბოზო ქომოშახთუ – ჟღ. 73.22 – ძველი ტანისამოსი გაიხადა... ერთი კარგი ლამაზი ქალიშვილი გამოვიდა.

2. **ქამოშა**... ხოფურშია:

საჰიბიქ კუმი ნცირუ-ში მაწკინდი ქამოშალუ – I.49.20 – პატრონი სილას რომ ცრიდა, ბეჭედი გამოვარდა.

ლეტაშენ წკაი ქამოშახთუ – I.120.24 – მიწიდან წყალი ამოვიდა.

ემ ვახთის... ტუცა კალაში ქამოშახთუ – I.90.9 – ამ დროს... თბილი ქარი ამოვარდა.

ჟურ ალთუნი ქამოშახტუ ქვაშ თუდე – ყიფშ. 16.19. – ორი ოქრო გამოვიდა ქვიდან /„ქვეშ"-იდან/.

ქო + მოშა + უ > ქომოშუ...

სანდუღი ოკოტახუ. ლაზი ქომოშუკაპუ – ჟღ. 86.18 – ზანდუკი გადატეხა. ლაზი გამოხტა /შიგნიდან/.

ქო + მოშა + ი > 1. ქომოში...

2. ქამუში...

1. **ქომოში**... ვიწურ-არქაბულშია:

ჩამი მოკვათუ... არ ქიუფი ლირა ქომეშადგინ. დელიქ ჰეა ქომოშიღუ ჩამიში ქიოქის – ჟღ. 146.13 – ნაძვი მოჭრა... ერთი დოქი ლირა დგას /შიგ/. გიჟმა ეს გამოიღო ნაძვის ძირიდან.

ჭუკარაში ბერექ ცაშიკი გონწკუ. ფადიშაი ქომოშიდონუ – ჟღ. 78.12 – ღარიბის შვილმა ყუთი გახსნა. ფადიშაჰი ამოიყვანა /შიგნიდან/.

2. **ქამუში**... ხოფურშია:

ფუსქული ქოდობღაფს, ქამუშიმესს – I.135.24 – ყვავილს დაიყრის, გამოიღებს.

თიკანი-ნა ნოჭკირან, პიპილი-ნა უწუმელან, ია ქამუშიმელან – I.138.28 – თიკანს რომ დაკლავენ, თესლს რომ უძახიან, იმას გამოუღებენ.

ეშა-

თანხმოვნის წინ:

ემთუმანის მუჭო ეშავიღა – I.42.3 – აღმართზე როგორ ავიტანო.

ეკულე აშახაჩქა, ეშაძანგაგინონ /ეშაძანგა-ბერგიშ ქენაითე!/ – I.135.13 – შემდეგ ამოთოხნი, უნდა ამოაღრმავო /ამოაღრმავო თოხის კიდით!/.

მიზრაღი ეშაწკუ-ში – I.120.24 – შუბი რომ ამოაძრო...

ჰიჩ ნერგი-თი ვა ეშახთერენ – I.39.31 – სრულიად ნერგიც /კი/ არ ამოსულა.

არ შური ეშახთასენ, ვარ ჲეხთუ, ჯუმა ჩქიმი! – ყიფშ. 20.1 – ერთი სული ამოხდეს, არ ამოხდა, ჩემო ძმაო.

ჟინდოლე ეშაფთიდორტუნ – II.3.32 – ზევითკენ ავსულიყავი.

დემირი-თი ეშახუტონეი ენ მციქა – II.58.15 – რკინაც „ამოხოტრილია" ცოტათი.

ეშა > **ეშო**-ს არაუშუალო ხმოვანთა სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად.

მუქ-ნა ე შ ო ი ნ უ დ ო რ ტ უ ნ კოჩი... – ჟღ. 79.19 – მას რომ ამოუყვანია კაცი...

ე შ ო ი ო ნ ი თ – ჟღ. 147.25 – ამოიყვანეთ.

ეშა > **ეშე**-ს, თუ წინდებულის მომდევნო თანხმოვანი პრეფიქსია და მას ფუძის ხმოვანი მოსდევს.

ჰაჩი ე შ ე ბ ი ლ ა თ – ჟღ. 7.16 – ახლა ავიდეთ.

გურუნი მემილუ დო ანჯაღ ე შ ე მ ა ი ო ნ უ – II.48.19 – ყორი გადმო მოვარდა და ძლივს შევძელი ამოყვანა.

მა ეფთარე ჟინ დო სი-თი ე შ ე გ ი ი ო ნ ა რ ე – ყიფშ. 29. – მე არა ზევით და შენც აგიყვან.

მა ნენა ვარ ე შ ე ბ ი ღ ი – ყიფშ. 33.3 – მე სატყვარი ვარ.

ეშა + უ > **ეშუ**-ს:

მეზარეშე ე შ უ ლ უ ნ – II.32.14 – საფლავიდან ამოდის.

სოჭაკალა შური მუში ე შ უ ლ უ ნ – ყიფშ. 50.8 – სოჭის ტყიდან ამოდის სული.

ეშა + ი > 1. ეში...

2. იში...

3. ეშე...

1. **ეში**...

ე შ ი ტ უ - შ - კ უ ლ ე... 11.57.16 – რომ ამოვიდა, მერე...

ორჭარიქ ნჯუმუში თასი ქეჭოფუ დო ორჭიში ე შ ი ღ უ – ორჭელმა მარილის თესლი იყიდა და ორჭამი აიტანა – ჟღ. 6.26 – ლაზუური ე შ ი ჩ ე - ნ ა ნ – II.61.3 – სიმინდს ამოიღებენ /საცეხველიდან/.

ნოღამისა ნენა ვა ე შ ი მ ე რ ს – ყიფშ. 10.7 – პატარძალი ხმას არ ამოიღებს.

ე შ ი მ ე ლ ა ნ – I. 139.29 – ამოიღებენ.

2. **იში**...

ემთუმანი ი შ ი ტ ა - შ ი... – I.152.25 – აღმართს რომ აიყვანი....

სოტოლიაში ტურში ი შ ი მ ე ლ ა ნ – I.142.20 – ჯარხლის მწნილს ამოიღებენ.

ღალიბიქ ჯუბეშენ მცხული ი შ ი ღ უ – I.56.29 – ღალიბმა ჯიბიდან მსხალი ამოიღო.

კვალი ი შ ი ღ ა შ - კ უ ლ ე – II.74.17 – ყველს რომ ამოიღებ, შემდეგ...

3. **ეშე**...

ჯამეს-ნა ხეტუ ხოჯა ე შ ე ლ უ... – II.32.31 – სალოცავში რომ იყო ხოჯა, ამოვიდა...

ეშა + ა > **ეშა**-ს

ჰაია ვარ ე შ ა ლ ე ნ – II.32.23 – ეს ვერ ამოვა /საფლავიდან/.

მუჰთის ნენა ვარ ე შ ა ღ ე ნ – II.35.11 – მუჰთიმ ენას ვერ ამოიღებს.

ქო + ეშა + თანხმოვანი > 1. ქაშა...

2. ქეშა...

1. **ქაეშა**...

ტექსტებში ერთადერთი შემთხვევა დასტურდება:

ღუჯიკელე ქაეშასუტონუფან – I.137.14 – ყურისაკენ „ქეამოხოტრავენ" /ხეს/.

2. **ქეშა**...

გელაფთი ირმაღის დო ახმედი ქეშაიყონი – I.96.30 – ჩაველი ხევში და ახმედი ამოვიყვანე.

არ-კატი ქეშამნახვი – II.83.19 – ერთი ხელი ამოვრეცხე.

ქეშაფუთხუ კუიშე – II.40.7 – ამოფრინდა ორმოდან.

ბათომიშა გეფთი, გერი ქეშაფთი – II.4.25 – ბათუმში ჩავედი, ისევ ამოვედი.

სირტიშე ქეშაპტით – II.79.1 – ფერდობზე ავედით.

ქეშა > **ქეშე**-ს თანხმოვანი პრეფიქსის წინ, რომელსაც ფუძის ხმოვანი მოსდევს.

სირტიშა ქეშებიღი – II.79.16 – გორაკზე ავიტანე.

ხოლო ჩხომი ქეშებიღარე – ჟღ. 4.27 – ისევ თევზს ამოვიღებ /წყლიდან/.

ოხორჯაქ თოლი ქეშემოღუ – ჟღ. 14.30 – ცოლმა თვალი ამომიღო.

ბოზო ჟინ ქეშეჲონეს – ჟღ. 108.14 – გოგო ზევით აიყვანეს.

დადის ქეშებოხაჩქათ – ჟღ. 154.5 – დეიდას დავუთოხნოთ.

ქოშა > **ქოშო**, **ქეშო**-ს, წინდებულის ბოლო ხმოვანი ემსგავსება მომდევნო **ო**-ს.

1. **ქოშო**...

ჰე-თი ქოშოჲონეს – ჟღ. 107.36 – ისიც ამოიყვანეს.

2. **ქეშო**...

ბერექ ჰემინდოს წუკალის ქეშოჲონუ – ჟღ. 60.33 – ბიჭმა იმ დროს ქვაბიდან ამოიყვანა.

ქეშოჲონეს – ჟღ. 108.22, 147.25 – ამოიყვანეს.

ჲონ- ფუძესთან ერთი ასეთი შემთხვევა დასტურდება ტექსტებში:

ქეშჲონეს – ჟღ. 107.34 – ამოიყვანეს.

ქეშჲონეს < ქო-ეშა-ჲონეს.

ჲონ /< **ყონ**/ ფუძესთან დასტურდება **ჰო**- ნაწილაკიც:

ხოჯა ჰამუს ქონუკორი დო ჰეშებოჲონათენ – ჟღ. 147.24 – ხოჯა ამას მიაბი და ამოვიყვანოთ.

ეს მოვლენა ასიმილაციით არ აიხსნება:

ჰეშოთე ქოშობიბღით – ჟღ. 102.25 – ასე შევიკრიბეთ.

ქო + ეშა + უ > 1. ქეშუ...

2. ქიშუ...

1. **ქეშუ**...

რაკანის ქეშუხტიმუნ – ყიფშ. 23.24 – აღმართზე ასულა.

ჩარკითე ქეშუღამან – II.31.34 – ჩარხით ამოიღებენ /ამოაღრმავებენ გობისათვის ხეს/.

2. **ქიშუ**... ხოფურშია:

კათთაიქ ხუთ-ხუთ კაპიკი ქომეფჩათ-ნა, ბერეში ზიანი ქიშუ-ლუნ – I.83.33 – თითოეულმა ხუთ-ხუთი კაპიკი რომ მივცეთ ბავშვს, დანაკლისი აუნაზღაურდება /„ქე შეუვა“/.

ქო + ეშა + ი > 1. ქეში...
2. ქიში...
3. ქაიში...

1. **ქეში**...

ოხორჯა-ნა ბირუ, დო არ-ჟურ ქეშიხვალუ – ყიფშ. 14.18 – ქალი რომ ნახა და ერთი-ორჯერ დაახველა (ზედმიწ. „შეახველა“).

მუამედიქ ქეშიღამს ტაბაკა – II.22.21 – მუამედი ამოიღებს თამბაქოს.

ჭილისიქ სიკალი ქეშიღუ, უკაჩხე ფუნცქული ქეშიღუ – II.31.12, შემდეგ ყვავილი გამოიღო /„ქე ამოიღო“/.

ოხორჯა ქეშიონუ – II.15.25 – ქალი ამოიყვანა.

2. **ქიში**...

ოკულე კუმის დოლონტონეს დო ხე ქიშიღეს – I.49.20 – შემდეგ სილაში ჩაყვეს და ხელი ამოიღეს /შიგნიდან/.

ხოჯაქ ჯებეს ხე დილიღუ დო ვით კურში, (თურქული ფულის „ლირას“ მესამედი ნაწილი) ქიშიღუ – I.9.33 – ხოჯამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ათი ასთანი (კურუში) ამოიღო.

სიჭთე კანტაი ქიშიმეს – I.135.24 – ჯერ თავთავს „ამოიღებს“ /ამოუვა სიმინდს/.

3. **ქაიში**...

დუყუ ქაიშიმელან კარდალაშენ – I.140.32 – ფხალს ამოიღებენ ქვაბიდან“.

ოხორჯაქ ქიმოლი ქაიშიყონუ ძაოშენ – I.37.25 – ცოლმა ქმარი ამოიყვანა საბუდრიდან.

გეშა-

გეშა- პრევერბი მხოლოდ ვიწურ-არქაბულ ტექსტებში დასტურდება. აქაც იშვიათია.

თანხმოვნის წინ **გეშა**-ს სახითაა ყველგან:

წუკალი დაჩხურის გეშადგიმან – ჟღ. 136.36 – ქვაბს ცეცხლში შედგამენ.

კოჩეფე ირი ჯას გეშახეტეს – II.44.37 – კაცები ყოველი ხის ქვეშ ისხდნენ.

ტუტას-ნა გეშახერტუ კოჩის... – ყიფშ. 57.34 – ნაცარში რომ იჯდა /იმ/ კაცს...

ქო + გეშა + თანხმოვანი > 1. ქოგეშა...
2. ქოგიშა...

1. **ქოგეშა**...

ჭუკი ქოგეშადგესდორენ დაჩხუის – II.34.36 – ქვაბი ჩაუდგამთ ცეცხლში.

არ ბოზო ნჯას ქოგეშახენ – ჟღ. 69.37 – ერთი გოგო ხის ქვეშ ზის.

2. **ქოგიშა**...

ბერექ ნაკაპუ... ხეთე წუკალის დო ქოგიშადგუ – ჟღ. 137.4 – ბიჭი მიახტა უცებ ქვაბს და ჩადგა.

გეშა + ი > გეში...

წიწილა ნჯას გეშიქაჩუ – ჟღ. 126.24 – გველი ხის ქვეშ არის „გაქაჩული".

გოშა-

თახმოვნის წინ:

ეგერ ია თოზი დაჩხირის გოშალას-ნა, ტკვაცუნ – I.64 – თუ ის ფხვნილი ცეცხლში ჩავარდა, გასკდება.

ოსმანი დაჰა იზმოჯეფეს გოშა-ხეტუ – I.47.5 – ოსმანი კიდევ სიზმრებში იყო /„იჯდა შიგ"/.

დერეს მოთ გოშახეტი – II.39.10 – ხევში რატომ იჯექი.

გოშა > **გოშო**-ს, თუ 1. წინდებულს მოსდევს **ო** ხმოვანი, ე. ი. ხდება ასიმილაცია. 2. **ო** ხმოვანი არ მოსდევს, ე. ი. ასიმილაციას არ ხდება ადგილი. წინდებულს მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი **ა** ხმოვნით.

ჩქუნი მალეფეში დოლოხე გოშოზოდონარე – ჟღ. 145.19 – ჩვენს ჯოგში გავატარებ.

გოშა + ო > გოშო-ს:

ემ დერის ეგერ კაი გოშონწკედა... – I.29.18 – იმ ადგილას თუ კარგად გახედავ...

გოშა + უ > 1. გოშუ...

2. გუშუ...

1. **გოშუ**... ვიწურ-არქაბულშია:

არ მეზარლუღის გზა გოშულუტუ – ყიფშ. 35.19 – ერთ სასაფლაოზე გზა გადიოდა /შუაში/.

2. **გუშუ**... ხოფურშია:

ია თოზიშენ არ მჯიხი ქეზდუ დო დაჩხირის გუშუბღუ – I.64.5 – იმ ფხვნილიდან ერთი მჯიღი აიღო და ცეცხლში ჩაყარა.

ხეშენ ნოშვალეთი გუშუდუმელან-და თორი ენ – I.150.23 – ხელით ნაქსოვსაც შეუდებენ /შარვალს/. ის „თორი" არის.

არ-არ თანე დაჩხირის გუშუტკომეტუ /ნოყაზეფე/ – I.63.32 – თითო-თითო ცალს ცეცხლში შეაგდებდა.

გოშა + ი > გოში-ს:

მაკარინას არ ლოკმა ვარ ეშიმელს, სუმ კითითენ-ნა იჭკომენ, გოშიმელს – ყიფშ. 47.10 – მაკარონს ერთ ლუკმას არ ჩაიდებს, სამი თითით რომ იჭმევა, შეიდებს /ჩაიდებს/.

გოშა + ა > გოშვა-ს.

ეშშეღი ღალის გოშვატუ – I.70.19 – ვირი ღელეში შევიდა.

ქო + გოშა + თანხმოვანი > 1. ქოგოშა...

2. ქაგოშა...

1. **ქოგოშა**...

თილქი ჩხომეფეში ორთას ქოგოშადვეს – I.11.26 – მელა თევზებს შუა შედეს.

მთელი დულია ქოგოშამაბღუ – I.57.28 – მთელი საქმე „შემომეყარა".

კულაქლი დაჩხიის ქოგოშადგიფან – I.141.29 – ყურიანს ცეცხლზე შედგამენ.

ტეფსი წკაის ქოგოშადგიფან – I.143.16 – ლანგარს წყალში შედგამენ /გასაცივებლად/.

2. **ქაგოშა**...

გუიში მქიი ქაგოშაიღი ქვაში ქენაეფეს – I.139.5 – გულის (შუა) ფქვილი გამოვიღე ქვის /წისქვილის/ კიდეებიდან.

თოკიშ ჲერი ქაგოშახუფან – I.149.30 – თოკის ადგილს გამოხვრეტენ.

ქო + გოშა- + თანხმოვანი პრეფიქსი + **უ**- ხმოვანი > **ქოგოშო**-ს:

თოკი ქოგოშობუდვი – II.81-19 – თოკი „გავუყარე" ნემსში.

ქო + გოშა + ო > ქოგოშო-ს:

კალაში ქამოშახთუ. დაჩხირი მთელი ქოგოშობღუ – I.90.10 – ქარი ამოვარდა. ცეცხლი სულ შემომაყარა.

შა-იან რთულ წინდებულთა მნიშვნელობაში თითქმის ყოველთვის ჩანს შიგნითა ან შიგნიდან მიმართულებისა და ადგილის ჩვენება. ეს მნიშვნელობა **შა**- ელემენტისაა, ზოგჯერ იგი გამკრთალია, რთული წინდებულის პირველი ნაწილის მნიშვნელობა ჩქმალავს მეორე ნაწილის მნიშვნელობას.

ქეშა-, **გოშა**- წინდებულებს ერთფეროვანი მნიშვნელობა აქვთ:

ქეშა – აღნიშნავს შიგნით, ჰორიზონტალურად მიმართულებას. ქართულად გადმოიცემა **შე**- წინდებულით.

მოშა- საწინააღმდეგო შიგნიდან გარეთ ჰორიზონტალურად მიმართულებას აღნიშნავს და ქართულად **გამო-/ამო/**- წინდებულებით გადმოიცემა.

ეშა- აღნიშნავს ქვევიდან, შიგნიდან /ორმოდან, მიწიდან.../ ზევით მიმართულებას და ქართულად გადმოიცემა **ამო**- წინდებულით.

წკაი ლეტაშენ ქეშახთეეტუ – I.119.28 – წყალი მიწიდან ამოსულიყო თურმე.

ბიჭიქ სანდუღი ქეწკუ, ქეშახთუ ლაზი – ჟღ. 85.40 – ბიჭმა ზანდუკი ახსნა, ამოვიდა ლაზი.

კუის ქეშახთუ – ჟღ. 79.19 – ორმოდან ამოვიდა.

თუდენდონ თხორუ დო ჟინ ქეშახთეს – I.36.10 – ქვევიდან გათხარა და ზევით ამოვიდნენ.

ეშიღუ დო ვით ლირა ქომეჩუ – II.16.24 – ამოილო და ათი ლირა მისცა.

ლეტა ბერგითენ ხაჩქუფან, ეშახუტონეფან – I.135.3 – მიწას თოხით მიწას თოხნიან „ამოხოტრავენ“.

თუ **ეშა**- შიგნითა ადგილს აღარ უჩვენებს, მაშინ რჩება მხოლოდ პირველი ელემენტის მნიშვნელობა – ქვევიდან ზევით მიმართულების ჩვენება. ქართულად გადმოიცემა **ა**- წინდებულით.

თეფეშა ქეშახთეს – I.120.14 – გორაკზე ავიდნენ.

ხეში ჟინ მთუგი ქეშახტუ – I.88.17 – ხეზე ავიდა თაგვი.

უკანასკნელ ზმნაში **ეშა**- წინდებული ქართულად გადმოიცემა, როგორც **ა**-, ისე **შე**- წინდებულით. **შე**- წინდებული ქართულშიც უჩვენებს ზევით მიმართულებას: შეხტა, შეფრინდა /ხეზე, სახურავზე.../.

გეშა- აღნიშნავს **ეშა**- წინდებულის საწინააღმდეგო მიმართულებას ქვევით /ქვეშ/, შიგნით ადგილსა და მიმართულებას. და ქართულად გადმოიცემა **ჩა**- წინდებულით.

გოშა- წინდებული მიუთითებს 1. შიგნითა მიმართულებას:

დელიკანეფე მზოღას გოშახთეს – I.146.13 – ახალგაზრდები ზღვაში შევიდნენ.

ხოჯას, ჯინაზე გოშანთხუ-შ-კულე, აშქუინუ – II.32.34 – ხოჯას, მიცვალებული რომ ჩამოვარდა /ხიდიდან მდინარეში/, შეეშინდა.

ნა გოშატკოჩუ კოჩი იმტენ-და – II.32.36 – რომ შეაგდო კაცი, მირბისო /ხიდიდან მდინარეში/.

2. მიუთითებს საწინააღმდეგო – შიგნიდან გარეთ მიმართულებას. ქართულად გადმოიცემა **გამო**- წინდებულით.

ქიმიქ-თი ტკობაშა ბურგითე კიდა გოშახუფს – ყიფშ. 9.16 – ზოგიც მალულად ბურღით კედელს გამოხვრეტს.

ჯუმა მუში მენდახთუ მალეფეშე კელე. იდუ დო გოშაგორუ – ჟღ. 145. 22 – მისი ძმა წავიდა ჯოგისაკენ... წავიდა და გამოარჩია /ძროხა/.

დიდი დაღი გოშაგორუ – ჟღ. 145.26 – დიდი მთა გამოარჩია.

3. **გოშა**- წინდებული ზოგჯერ აღნიშნავს რისამე გარშემო მიმართულებას. ქართულად გადმოიცემა **შემო**- წინდებულით.

კურკა ქოგოშიმენან ხეთე – II.61.3 – კურკას შემოხსნიან ხელით.

ასკერეფე მთელი ქოგუშიბღენან – I.120.18 – მთელი ჯარისკაცები შემოეფანტნენ.

განხილული **შა**-იანი წინდებულები დადასტურებულია ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში. ათინურში ძალიან იშვიათია **ეშა**- წინდებული.

გვხვდება **ქო**- ნაწილაკდართული.

ოდაშა ქეშახთეს – II.134.7 – შინ ავიდნენ.

ათინურში ჩვეულებრივია ორი წინდებული **შა**-ს შემცველი – **მეშკა**-, **მეშქა**- და **ეშკა**-, **ეშქა**-. **შ**-ს შემდეგ **კ** /ზოგჯერ **ქ**/ შესაძლებელია, განვითარებულია, ყოველ შემთხვევაში, **კა**- წინდებულთან მისი კავშირი არა ჩანს. **მეშკა**-, **მეშქა**-, **ეშკა**-, **ეშქა**- მნიშვნელობით სავსებით ემთხვევა ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის **ქეშა**-, **ეშა**-ს მნიშვნელობას.

მეშკა- || მეშქა-

თანხმოვნის წინ:

ნეკრაში ჯინდო მეშკაფდარე – II.122.17. – კარებში შევალ.

ქო + მეშკა + თანხმოვანი > ქომეშკა-ს:

დოლოხე გუდაშა ქომეშკახთუ – II.137.17 – შიგნით, გუდაში „ქემიშევიდა".

ქო + მეშქა + თანხმოვანი პრეფიქსი + **-ო** > **ქომეშქი**-ს.

ჰამერი ქომეშქიგოხუნარე – II.119.11 – იქ შეგსვამ.

ქო + მეშკა + ო > **ქომეშკა**-ს.

კალათის ქომეშკახუნეს – ყიფშ. 76.7 – კალათში ქემიშიგსვეს.

ქო + მეშქა + ა > **ქომეშქვა**-ს.

თოლეფეს ტუტა ქომეშკვაბღუ – ყიფშ. 78.2 – თვალებში ნაცარი შეეყარა.

ეშკა- || ეშქა-

თანხმოვნის წინ:

აემთი სვას ეშკახთი – II.87.13 – ამ აღმართ ადგილას ადი.

ეშკა + თანხმოვანი პრეფისქსი + ხმოვანი > **ეშკე**...

ეშკევულუტი – ყიფშ. 88.26 – ავდიოდი.

ეშკა + უ > **ეშკუ**-ს.

ემთი სუას ეშკულტუ – აღმართ ადგილას ავდიოდი.

თოლეფე-ნა ეშკუღი – II.92.26 – თვალები რომ ამოუღე.

ეშკა + ი > **ეშკი**-ს.

ეშკიღამს ბერჯითე – II.95.17 – ამოიღებს თოხით.

ქო + ეშკა + თანხმოვანი > **ქეშკა**-ს.

ბიჭი-თი კალათიშე ქეშკახთუ – II.127.25 – ბიჭიც კალათიდან ამოვიდა.

დაღიშე ქეშკაჭთი – II.105.26 – მთისაკენ ავედი.

ქო + ეშკა + თანხმოვანი პრეფიქსი + ხმოვანი – 1. ქეშკე...

2. ქოშკო...

1. **ქეშკე**...

კუის ქოდელევიღი... კუიშე ქეშკევიღი – II.105.34 – ორმოში ჩავიტანე... ორმოდან ამოვიღე.

2. **ქოშკო**...

თუთუნი ქოშკოვიღამ – II.105.36 – თუთუნს ამოვიღებ.

ქო + ეშკა + ი > **ქეშკი**-ს.

მეზარეში ლეტაფე ქეშკიღუ – II.93.19 – საფლავის მიწა ამოიღო.

ქო + ეშქა- > ქეშქი-ს.

კალათი... ქადოლოლუ... ქეშქიღუ – II.127.23 – კალათი... ჩავარდა... ამოიღო.

გარდა **შა**-იანი რთული წინდებულებისა, გვაქვს მარტივი წინდებული **შე**-.

იგი ორად-ორი ძირის ზმნებთან იხმარება. ეს ძირებია **გნ**-[1] და **ნახ**-.

თანხმოვნის წინ:

წოხლე ხჩინეფეშენ შ ე ვ ი გ ნ ე პ ტ ი – I.128.19 – წინათ მოხუცი.

ქალებისაგან გავიგონებდი /„შევიგნებდი“/.

სო რენ ნა შ ე მ ი ნ ა ხ ი თ უშქური? – ჟღ. 84.14 – სად არის, რომ შემინახეთ ვაშლი?

შე-ს თუ თანხმოვანი + პრეფიქსი მოსდევს რომელიმე ხმოვნით, ასეთი შემთხვევაც დასტურდება, როდესაც **შე**- > **ში**-ს.

ხორცი ნენაში თუდე შ ი ნ ა ხ ე რ ი - ნ ა უღუტუ... – ჟღ. 111.21 – ხორცი ენის ქვეშ შენახული რომ ჰქონდა.

წინდებული **შა**-ს სახით გამოიყოფა:

შეიეფე ქ ე შ ა ვ ი ნ ა ხ ი თ – ყიფშ. ნ. 34 – ნივთები შევინახეთ.

შე + **უ** > **შუ**-ს:

საღირი ია კოჩი რენ, ყუჯიქ-ნა ვარ შ უ გ ნ ე ფ ს – I.152.7 – ყრუ ის კაცია, ყურში რომ არ ესმის /„ყური რომ ვერ შეუგნებს“/.

შე + **ი** > **ში**-ს:

ბირაფაში სერსი-ნა შ ი გ ნ უ... – I.32.22 – სიმღერის ხმა რომ გაიგონა /„შეიგნო“/...

ჟუ ხაჭთას დერემენჯი დო ხორძა მუში შ ი ნ ა ხ უ მ ა ნ – II.100.37 – ორ კვირას მეწისქვილე და მისი ცოლი შეინახავენ.

ქო + შე + თანხმოვანი > 1. ქოშე...
2. ქეშე...

1. **ქოშე**...

ჩონჩი ფუჯეფეშენი ქ ო შ ე ბ ი ნ ა ხ ი – II.31.16 – ფუჩეჩი ძროხებისათვის შევინახე.

2. **ქეშე**...

მა უშქური ქ ე შ ე მ ი ნ ა ხ ი - ა! – ჟღ. 84.17 – მე ვაშლი შემინახეო.

ქო + **შე** + **უ** > **ქოშუუ**-ს.

შარვალიშ ჯიბეს ქ ო შ უ უ ნ ა ხ უ ნ – ყიფშ. 17.4 – შარვლის ჯიბეში შეუნახავს.

ქო + შე + ი > 1. ქოში...
2. ქუში...
3. ქეში...
4. ქიში...

1. **ქოში**...

აჲა ნენა მოლაქ ქ ო შ ი გ ნ უ – I.10.1 – ეს სიტყვა მოლამ გაიგონა.

მაჟუანი სერიშენი ქ ო შ ი ნ ა ხ უ – I.69.19 – მეორე ღამისათვის შეინახა.

---

[1] გნ – ძირთან შე წინდებული მხოლოდ ხოფურ ტექსტებში დასტურდება. სხვა ტექსტებში არ არის.

2. **ქუში**...

ბუძეფე ოფშა მჟა, ბერე მუშის ქუშინახერეტუ – I.101.29 – ძუძუები სავსე რძით თავისი შვილისათვის შეენახა.

3. **ქეში**...

ბერეფექ თითო მაქვალი ჲეზდეს დო ქეშინახეს – II.14-25 – შვილებმა თითო კვერცხი აიღეს და შეინახეს.

4. **ქიში**...

ოღანწკილონიში სერსი ქიშიგნეფუ – I.107.6 – ზარის ხმა გაიგონა.

შე- წინდებული ზოგჯერ შეზრდილია ფუძეს და პირის ნიშანი წინ დაერთვის.

ბელქი თერცინე ფშიგნი-ა – I.108.38 – იქნება შეცდომით /უკუღმა/ გავიგონეო.

აჲ სერსი-ნა ფშიგნით – I.131.28 – ეს ხმა რომ გავიგონეთ...

დობღური-ნა, სო ბიდარე? ლეტაქ-თი ვა მშინახუმს! – ყიფშ. 42.14 – რომ მოვკვდე, სად წავიდე? მიწაც არ შემინახავს!

ზოგჯერ პირის ნიშანთან ერთად მაქცევარი ხმოვანიც დაერთვის წინდებულის წინ:

მუნთხა მიჩქინ, ირი ფთქვარე, გურიქ ვარ მიშინახუმს – ყიფშ. 42.12 – რაც ვიცი, ყველაფერს ვიტყვი, გული არ შემინახავს.

ერთ ფორმაში შესაძლებელია აქ სათავისო ქცევის ორი **ი** იყოს: ერთი წინდებულის წინ, მეორე – წინდებულის შემდეგ შერწყმული წინდებულის ხმოვანთან /ასიმილაციის შედეგად/.

მიშინახუმს < მ-ი-შე-ი-ნახუმს.

ასეთივე აგებულებისაა:

კოჩიქ-თი აჲ ნენაფე იშიგნუ-ში... – I.5.9 – კაცმაც ეს სიტყვები რომ გაიგონა...

იშიგნუ < ი-შე-ი-გნუ.

ქო- ნაწილაკდართული:

კოჩეფეს ქოვიშიგნი – I.107.22 – კაცებს შორის („კაცებში“) გავიგონე.

ქოვიშიგნი < ქო-ვ-ი-შე-იგნი.

კუჩხეფეში სერსი ქუიშიგნუ – I.101.9 – „ფეხების“ ხმა გაიგონა.

ქუიშიგნუ < ქო-ი-შე-ი-გნუ.

ზოგჯერ **შე**- წინდებულიანი ზმნა გაგებულია უწინდებულო ფუძედ და დაერთვის სხვა წინდებული, სახელდობრ, **დო**- სრული ასპექტის მაწარმოებლად:

„ფარა სო ფშინახითი?“ არ ჲერი დოშინახეს – II.130.30 – „ფული სად შევინახეთ?“ – ერთ ადგილას შეინახეს.

დოშინახუ /მან/ – ჟღ. 111.14; – II.41.27; 60.33, 123.6 – შეინახა.

დოშინახუ < დო-შე-ი-ნახუ.

ჰაჲა დომიშინახი-ა ვითოხუთ ნდღას – ჟღ. 105.16 – ეს შემინახეო თხუთმეტ დღეს.

დომიშინახუ < დო-მ-ჲშე-ინახუ.

მეჟა/ო-

თანხმოვნის წინ: 1. **მეჟო**...
2. **მეჟა**...

1. **მეჟო**..

ჰე-თი მ ე ჟ ო ჩ უ – II.17.35 – ისიც დასწყევლა „გადასცა".

ჰემუქ... მ ე ო მ ჩ უ – I I . 19.7 – იმან დამწყევლა.

2. **მეჟა**...

მ ე ჟ ა ჩ ა მ ა / მუში კაბული დიყვერენ – ყიფშ. 18.33 – მისი წყევლა ასრულებულა.

ემუშკულე მთელი ფადიშაღეფეს კატა ნდღას მ ე ჟ ა ბ ჩ ა ფ – I.163.35 – ამის შემდეგ ფადიშაჰებს ყოველდღე ვწყევლი /„გადავცემ"/.

ხოფურში ეს წინდებული **მეჟა**-ს სახით გამოიყოფა /მეჟა-ჩამა, მეჟა-ბჩაფ/ ვიწ.-არქ-ში – **მეჟო**-ს სახით /მეჟო-მჩუ/.

განსხვავება ბოლო ხმოვანშია /ხოფურში -**ა**, ვიწურ-არქაბულში-**ო**/.

ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ: ფუძის ხმოვანი არის **უ**: კარავის ნაჯინეს დო მიჟუმწკეს კარავი – I.119.6 – გემს მიაწვნენ და გადახსნეს გემი.

მ ი ჟ უ მ წ კ ე ს < მ ე ჟ ა - უ მ წ კ ე > მ ე ჟ ო უ მ წ კ ე ს > მ ე ჟ უ - უ მ წ კ ე ს > მ ე ჟ უ მ წ კ ე ს > მ ი ჟ უ მ წ კ ე ს.

შეიცვალა არა მარტო წინდებულის მეორე ხმოვანი, არამედ პირველი **ე-ც ი**-დ დავიწროვდა.

მოჟა-

თანხმოვნის წინ:

ბერგი მ ო ჟ ა დ ვ ა ლ ე ი ჯამეკალა მიკულუნ – II.144.10 – თოხგადადებული ჯამესაკენ გაივლის.

ჩალა გიოთხვააფთ... ოკულე ჟინ ქ ო მ ო ჟ ა უ კ ი უ ფ თ, მჭიმა ვადოლოხთას, ემუშენი – I.137.5 – ჩალას ჩავამწკრივებთ... შემდეგ ზევიდან გადავუკრავთ, წვიმა რომ არ ჩავიდეს იმისათვის.

წინდებული **მოჟა**-ს სახით გმოიყოფა.

მ ო ჟ ა - ო > მ ო ჟ ო...

ფენჯერეს მ ო ჟ ო ო ბ უ ტ ი – II.148.17 – ფანჯარაზე გადმომდგარი იყავი.

მ ო ჟ ო ო ბ უ ტ ი < მ ო ჟ ა - ო ბ უ ტ ი.

მ ო ჟ ა-უ > მ უ ჟ უ...

ცხენი ქვაშა-ნა მოხთუ, არ ზორი მ უ ჟ უ ც ხ ო ნ ტ უ - ქ ი... მან ცხენიშენ მებლი – I.91.33 – ცხენი ქვასთან რომ მოვიდა, ერთი ძლიერად რომ ზე ახტა, მე ცხენიდან ჩამოვვარდი.

მ უ ჟ უ ც ხ ო ნ ტ უ < მ ო ჟ ა - უ ც ხ ო ნ ტ უ > მ ო ჟ ო უ ც ხ ო ნ ტ უ > მ ო ჟ უ ც ხ ო ნ ტ უ > მ ო ჟ უ ც ხ ო ნ ტ უ > მ უ ჟ უ ც ხ ო ნ ტ უ.

აქაც დავიწროვდა წინდებულის პირველი ხმოვანი.

ბეჟო-

ტეფსი კიცის ქ ო გ ე ჟ ო დ გ ი ფ ა ნ – I.143.22 – ლანგარს კეცზე დადგამენ.

ქარტალის ქვა გ ე ჟ ო დ ვ ე რ ე ნ – I.94.18 – ქაღალდზე ქვა დადებულა. ხუთ-ანშ კალათი ხარმანიში ჟინ ქ ო გ ე ჟ ო ბ დ გ ი ფ თ – I.125.5 – ხუთ-ექვს კალათს ძნებს ზევით დავდგამთ.

გამოიყოფა **ბეჟო**-ს სახით.

ბოლოს **ო** ხმოვანი არის.

ეჟა-

აჲა თუდე ნორჩაფან. ემუში ჟინ-ე ჟ ა რ ჩ ა ფ უ ლ ე – I.151.9 – ამას ქვეშ უგებენ, იმის ზევით – გადასაფარებელი.

ამრიგად, გვაქვს რთული წინდებულების ჯგუფი საერთო მეორე ელემენტით.

მ ე ჟ ა- || მ ე ჟ ო-

მ ო ჟ ა-

გ ე ჟ ო-

ე ჟ ა-

მეორე საერთო ნაწილი ოთხივე რთული წინდებულისა არის **ჟა**- || **ჟო**- ელემენტი.

არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა **ჟა**- || **ჟო**-ს **ჟ**-სათვის ამოსავლად თვლის **ჲ**-ს. იგი წერს:

„**ჲ**-ს **ჟ**-დ ქცევის საინტერესო მაგალითი გვაქვს არქაბულის მიერ ნახმარ ფორმებში: მ ე ჲ ო ჩ უ || მ ე ჟ ო ჩ უ... მთქმელმა ორჯერ იხმარა ჯერ **ჲ**-ანი ფორმა და იქვე გაისწორა, **ჟ**-ანი იხმარა, მაგრამ **ჲ**-ანი მაინც რამდენჯერმე წასცდა. ცხადია, აქ **ჲ** გადადის **ჟ**-დ“.[1]

ამრიგად, სავარაუდოა, რომ:

მ ე ჟ ა- || მ ე ჟ ო- < მ ე ჲ ა- || მ ე ჲ ო-,

მ ო ჟ ა- < მ ო ჲ ა-.

მოჟა-, **ბეჟო**-, **ეჟა**-ს შესახებ ვარაუდი ჯერჯერობით თითქოს არ დასტურდება.

მეჟა- || **მეჟო**-ს კი აქვს ვარიანტი **მეჲა**-, **მეჲო**-ს სახით.

გარდა დასახელებული მეჲოჩუ-სი, **მეჲა**- || **მეჲო**- წინდებულიანი ფორმები კიდევ დასტურდება ვიწურ-არქაბულსა და ათინურში:

ბადი... წკაის ქომეჲახთუ – ჟღ. 53.40 – მოხუცი... წყალზე /= მდინარეზე/ გადავიდა.

წინდებული გამოიყოფა **მეჲა**-ს სახით.

დერე მესქურუ / ქ ო მ ე ჲ ო ვ თ ა – II.133.32 – ხევი /=ხევში წყალი/ გაშრა, გადავალ.

გურუნი მ ე ჲ ო ტ კ ო ჩ უ გზა წალე – II.48.8 – ვირი გადააგდო გზის ქვევით.

---

[1] არნ. ჩიქობავა, „ჭან. გრამ. ან.“, გვ. 28.

უკანასკნელ მაგალითებში წინდებული გამოიყოფა **მეიო**-ს სახით.

მ ე ი ტ ა - ი მო მ ე ი ე ბ ი ტ ა ი – II.133.23 – გადავიდე, არ გადავიდე? თის-ნა მ ე ი ე მ ი ხ თ ე - შ ი, არ დესტანი დომჭარი – ყიფშ. 69.3 – თავს რომ გადამხდა, ერთი ლექსი დავწერე.

ხვალა ვარ მ ე ი ე ბ უ ლ უ რ – ჟღ. 53:28 – მარტო არ გადავალ.

აქ უკვე წინდებული **მეიე**-ს სახით გვაქვს ხმოვნიანი თანხმოვანი-პრეფიქსის წინ, ჭანურში, როგორც ვიცით, ასეთ პოზიციაში ხშირია წინდებულის ბოლო **ა**-ს **ე**-დ ქცევა.

ამრიგად, ორი ვარიანტია ამ წინდებულთა: **მეია-**, **მეიო-**, პირველ ვარიანტში ა გვაქვს, მეორეში – **ო. მეია-**, **მეიო-**, **მეჟა-**, **მეჟო**-ს შეესაბამება.

ხმოვნის წინ:

მეია- / ო + უ > მ ე ი უ...

ანდღა მო მ ე ი უ ლ უ რ – II.133.27 – დღე ნუ გადადიხარ.

მ ე ი უ ლ უ რ < მ ე ი ა - უ ლ უ რ > მ ე ი ო ლ უ რ უ > მ ე ი უ უ - ლ უ რ > მ ე ი უ ლ უ რ.

გურუნი-ნა მ ე ი უ ტ კ ო ჩ უ – II.48.23 – ვირი რომ გადაუგდო.

მეიუტკოჩუ < მ ე ი ა – უ ტ კ ო ჩ უ > მ ე ი ო უ ტ კ ო ჩ უ > მ ე - ი უ უ ტ კ ო ჩ უ > მ ე ი უ ტ კ ო ჩ უ.

არ ორძო თის ქ ო მ ე ი უ დ გ ე ს – ჟღ. 52.12 – ერთი სკამი თავზე დაადგეს.

ქ ო მ ე ი უ დ გ ე ს < ქ ო მ ე ი ა უ დ გ ე ს > ქ ო მ ე ი ო უ დ გ ე ს > ქ ო მ ე ი უ უ დ გ ე ს > ქ ო მ ე ი უ დ გ ე ს.

მ ე ი ა / ო + ი > 1. მეი...

2. მეი...

წკარის მეიტუ-ში, ...ბერე ნცხენითე მ ე ი ტ უ - შ ი... – ჟღ. 134.12 – წყალზე /= მდინარეზე/ რომ გადადიოდა... ბიჭი ცხენით რომ გადადიოდა.

მ ე ი ტ უ, მ ე ი ტ უ < მ ე ი ა /ო - ი ტ უ > მ ე ი ე ი ტ უ > მ ე ი ი ი ტ უ > მ ე ი ი ტ უ >

1. მ ე ი ტ უ- 2. მ ე ი ტ უ-.

მ ე ი ა + ა > მ ე ი ა...

გზა მ ე ი ა ნ ტ ა ლ უ – ყიფშ. 58.35 – გზა შეეშალა.

მ ე ი ა ნ ტ ა ლ უ < მ ე ი ა - ა ნ ტ ა ლ უ > მ ე ი ა ნ ტ ა ლ უ.

ზოგჯერ **ჟ**-ს მაგიერი **ი** მეია || მეიო || მეიე- წინდებულში გაუჩინარებულია და ვიღებთ **მეა** || **მეო**-ს.

მეა-

„ოღინე მა მ ე ა ფ თ ა რ ე"... ცხენითე მეილუ – ყიფშ. 64.30 – „ჯერ მე გადავალ"... ცხენით გადავიდა.

გვაქვს: მეაფთარე მეიაფთარე-ს მაგივრად.

ა'ჩქვა მ ე ა ფ ხ ა ჩ ქ ა ე – II.81.1 – ერთი კიდევ გადავთოხნი.

მეა > **მეე**... როდესაც თანხმოვან პრეფიქსს მოსდევს ხმოვანი პრეფიქსი.

მ ე ე ბ ი ჩ ა მ, მო ძირუმტა კაობა – მ. 107.41 – გწყევლი, ვერ გენახოს სიკეთე.

მ ე ე მ ა ხ ვ ე ს დუვარი – ყიფშ. 69.21 – გადაგვეყარა კედელი.

ი-იანი და **უი**ანო ვარიანტები დასტურდება ერთსა და იმავე მთქმელის მეტყველებაშიც.

მ ე ე მ ა ხ ვ ე ს... მაგრამ გვერდით იქვე არის: თის-ნა მ ე ი ე მ ი ხ თ ე-ში – ყიფშ. 69.3.

ანდა:

ბადი კაი-კაი წკაის ქ ო მ ე ი ა ხ თ უ... ბადი-ნა მ ე ა ხ თ უ – ჟღ. 53.40 – მოხუცი წყალზე გადავიდა... მოხუცი რომ გადავიდა... ერთსა და იმავე კონტექსტში ჯერ **მეია**- – ვარიანტიანი ფორმა არის, შემდეგ **მეა**-.

დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მეია- || მეიო-წინდებულს ერთსა და იმავე კონტექსტში ახალი ვარიანტი ენაცვლება, რომელშიც მოსალოდნელი **ი**-ს მაგივრად **რ**- თანხმოვანი იჩენს თავს და ვიღებთ **მერა**- || **მერე**- წინდებულს.

ასე მაგალითად:

ღვარი ქოგეხთუდორენ და მა ვარ მ ე რ ე მ ა ლ ა ს ე ნ – ჟღ. 25.2 – ღვარი ჩამოსულა და მე ვერ გადავალ.

მ ე რ ე მ ა ლ ა ს ე ნ < მ ე ი ე მ ა ლ ა ს ე ნ.

შდრ. იქვე:

მკიაფუქ... მ ე ო ნ ა მ ტ უ-ში – ჟღ. 25.24 – ტურას რომ გადაჰყავდა.

იქვე ისევ **რ**-იანი ვარიანტი ჩნდება:

წკარის ვარ მ ე რ ე გ ა ლ უ-ში, მა მ ე რ ე გ ო რ ო ნ ი – ჟღ. 25.34 – წყალზე /=მდინარეზე/ რომ ვერ გადახვედი, მე გადაგიყვანე.

მ ე რ ე გ ა ლ უ < მ ე ი ე გ ა ლ უ, მ ე რ ე გ ო რ ო ნ ი < მ ე ი ე გ ო რ ო ნ ი.

უკანასკნელ მაგალითში – /მ ე რ ე გ ო რ ო ნ ი/ – **ი**-ს ადგილას **რ** გაჩენილა არა მარტო წინდებულში, არამედ თვითონ ძირშიც.

ამ ზმნის ძირი – **ყონ**-არის, რომელიც, როგორც ცნობილია, **ითნ**-ის სახითაც გვხვდება **ყ** > **ი**-ს: იყონამს, 11.18, მოითნეს. 11.79. ზემოთ მოყვანილ მაგალითში **ი** მიღებული **ყ**-საგან იძლევა რ-ს.

ასევეა:

კარაფუნას მ ე რ ა ფ ხ ე – ჟღ. 162.14 – კლდეზე ვარ გადამჯდარი. მ ე რ ა ფ ხ ე < მ ე ი ა ფ ხ ე. კ ა რ ა ფ უ ნ ა < კ ა ი ა ფ უ ნ ა /**kaya** – თურქ. – კლდე/.

როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში ჭანურისათვის ჩვეულებრივია **რ**-ს დასუსტების შედეგად **ი**-ს მიღება.

ოხორი > ოხოი სახლი.

გური > გუი გული.

მგერი > მგეი მგელი[1]

ს. ჟღენტის მიერ დადასტურებულია საწინააღმდეგო მოვლენაც: მოსალოდნელი **ი**-ს ადგილას ჩნდება **რ**.[2]

ეშქირა < **ეშქიია** – ყაჩაღი.

დადასტურდა, რომ მოსალოდნელი **ი**-ს ადგილას **რ** ჩნდება **მეია** || **მეიე**- წინდებულშიც.

---

[1] ჭან. გრ. ან., გვ. 21.

[2] ს. ჟღენტი. ჭანური ტექსტები, გვ. XVI.

ი > **რ**-ს როგორც ამ წინდებულებში, ისე, საერთოდ, ძალიან იშვიათია, შესაძლებელია, ინდივიდუალურ მოვლენადაც ჩაითვალოს.

ამრიგად, ორი ძირითადი ვარიანტი დასტურდება:

1. მ ე ი ა || მ ე ი ო-

2. მ ე ჟ ა || მ ე ჟ ო-

ამათგან ძირითადია პირველი **ი**-იანი ვარიანტი. იგი არის ამოსავალი **ჟ**-იანი ვარიანტისათვის.

თითოეულ ვარიანტში ნაირსახეობას ქმნის ბოლო ხმოვანი **ა** და **ო**.

ჭანურისა და მეგრულის რთულ წინდებულთა მეორე ელემენტი ასეთი აგებულებისაა: თანხმოვანი – ხმოვანი. ეს ხმოვანი არის **ა** ან **ო**. აქ ხმოვნით ნაწილად გვაქვს **ა**-ც და **ო**-ც. მოსალოდნელი თანხმოვნითი ნაწილის ადგილას გვაქვს **ი** /რომელიც ზოგჯერ **ჟ**-ს იძლევა/.

რა წარმომავლობის შესაძლებელია იყოს ეს **ი**?

ი იგივე **ე** უნდა იყოს, რომელიც მარტივი წინდებულის სახით არის ჭანურსა და მეგრულში.

ე - ხ თ უ- ავიდა, ე ზ დ უ – აიღო.

ხმოვნის წინ იგი ვიწროვდება **ი**-დ და შემდეგ **ი**-დ:

ი ო ფ შ უ – I.44. – აავსო.

ვა ი ა ს ე ლ ე ნ – I.154. – ვერ ადგება.

ვა ი ა ჭ ო ფ ე ნ – I.109. – ვერ აიღებს.

ე წინდებული, როგორც აღნიშნულია, მნიშვნელობით ქართულის **ა** /დ/ წინდებულს უდრის. ამ მნიშვნელობის გადმოცემა ძნელია **ია || ჟა**-იანი წინდებულებით. ისინი ზედ, ზევით სიტყვათა მნიშვნელობას გამოხატავენ. ადგილის გარემოება, რომელიც ამ წინდებულიან ზმნებს უკავშირდება, ქართულად თარგმნის დროს ყოველთვის **-ზე** თანდებულს ირთავს. თვითონ ზმნა კი **გადა**- ზმნისწინს დაირთავს, რომელიც ყოველთვის რამეზე, რისამე თავზე გადავლით მიმართულებას მიუთითებს.

ქ ო მ ე ი ა ხ თ უ წკაის, – ჟღ. 53.4 – გადავიდა მდინარეზე. ორძო თის ქ ო მ ე ი უ დ გ ე ს – ჟღ. 52.12 – სკამი თავზე /გა/დაადგეს.

ოხო-

-ხო- ელემენტიანი ეს ერთადერთი წინდებულია.

თანხმოვნის წინ:

დიკა მქიის ო ხ ო ვ უ ქ თ ა ფ თ – I.139.8 – პურის ფქვილს შევურევთ.

ქოთუმე, ბრინჯი ო ხ ო ქ თ ე ი – I.140.6 – ქათამი, ბრინჯშერეული.

არ ლიპარდე'სთერი ყუროლერი სერსი ოგნაფტით. ჩქინ-თი სერსი მუშის'თერი ო ხ ო ვ ი ყ უ რ ი თ – I.163.2 – /ერთი/ ლეოპარდივით მყვირალა ხმა გვესმოდა. ჩვენც მის ხმასავით შევაყვირეთ.

ო ხ ო მ ი შ ქ ვ ი-ა /ო ხ ო მ ი შ ქ ვ ი, მემაშქვი მთელი არ ჲენ/ – I.10.28 – გამიშვიო /გამიშვი – „შემიშვი", „მიმიშვი" სულ ერთია/.

მუთუ ვარ ო ხ ო მ ა წ ო ნ უ – I.113.13 – ვერაფერი ვერ გავიგე;

კაი ვა ო ხ ო ვ ო წ ო ნ ი – I.161.15 – კარგად ვერ გავიგე.

საათის ნოკო-ენ, მამულითე ოხოგაწონენ – I.164.33 – რომელი საათია, მამლით მიხვდები.

ხაჯის ოხობუქთამთ – II.74.8 – ცერცვს შევურევთ.

ხეთე ბოხოქთარე – II.3.15 – ხელით აყურეც /ფქვილს/.

შური ჩქიმი მუთე ოხობოქთინა – ყიფშ. 43.2 – სულ რაგორ მოვითქვა /„შეკატრიალო"/.

ჩქუ-და ქომომჩით-და ლუღი-ა დო ოხოგიშქვათენ – II.56.27 – ჩვენ მოგვეცითო ლელვიო და გაგიშკებთო /შეგიშვებ ხელს/.

ბიგა თამამ ლაზური ენ, მა ეშო ოხობოწონა – II.27.36 – „ბოგა" (ჯოხი) მთლად ლაზურია, მე ასე ვფიქრობ.

ოხო+ო > ოხო...

ნცხენეფე ოხოტკვაცინეს – ჟღ. 73.30 – ცხენები გააქროლეს.

იშმარითე ოხოწონაფუ – ჟღ. 7.1 – თვალით ანიშნა.

ბაქიიშ კოპა... გიაის-ნა ოხოქთაფან – I.123.6 – სპილენძის ნიჩაბი... საჭმელს რომ ურევენ.

ოხო+უ > 1. ოხუ...

2. უხუ...

1. **ოხუ**...

ჩამის ხოლო იხი ნობარუ დო ბუტკაფე ოხუნკანუ – ჟღ. 146.4 – ნაძვს კიდევ დაუბერა ქარმა და ფოთლები შეურხია.

ჰემ ორას ოხუშქვეს – II.42.4 – ამ დროს გაუშვეს /ციხიდან/;

გალე ოხუშქუ – ჟღ. 40.16 – გარეთ გაუშვა.

ჭუკარაქ ნცხენი მუშის ოხუშქუ დო ჰემ კოჩიში ნცხენი ოჭოჭუ – ჟღ. 53.31 – ღარიბმა თავისი ცხენი გაუშვა და იმ კაცის ცხენი დაიჭირა.

ამუს ოხუშქუ – I.10.29 – ის აუშვა.

2. **უხუ**...

ჯუმუ, პეპერი უხუკანკუფან – I.139.23 – მარილს, პილპილს შეანაყავენ.

პრასქია ლობიას უხუჭკირუფან – I.139.20 – პრასს ლობიოს შეაჭრიან.

ოხო+ი > ოხი...

ჩამის იხი ნობარუ-ში, ბუტკაფე ოხინკანუ – ჟღ. 145.29 – ნაძვს ქარმა რომ მიუბერა, ფოთლები შეირხა.

ოთქუთე ვარ ოხიწონენ – ჟღ. 11.25 – თქმით ვერ „მიიხვედრება".

ოხო+ა > 1. ოხვა...

2. ოხა...

1. **ოხვა**...

წკაი-ნა იგიბას, ჭკიელი მაკაინა ქოდულუბღაფან. ია სუმ ჭარა ოხვაგიბას უნონ – I.141.25 – წყალი რომ ადუღდება, დაჭრილ მაკარონს ჩააყრიან. ის სამჯერ უნდა წამოდუღდეს /შეადუღდეს/.

ჰიჩი ვარ ოხვანკანუ – II.118.18 – სრულიად არ შენძრეულა.

2. **ოხა**...

ონჭარის... ვარ ოხაწონუ – ჟღ. 7.28 – ორჭელს არ მოეწონა.

ქო-ოხო+ო > ქოხო...

მა ქოხოვოწონი – ყიფშ. 16.1 – მე მივხვდი.

ჰა ფარაფე მა ქოხომსქიდას – ჟღ. 57.14 – ეს ფულები მე შემრჩება.

არ მჩხუ ბიგა-თი თვას ქოხომოტახუ – II.84.14 – ერთი მსხვილი ჯოხიც თავზე გადამატეხა.

მეგრელეფე-ნა ისინაფამტეს, ქოხობოწონამტით – II.4.23 – მეგრელები რომ ლაპარაკობდნენ, გვესმოდა.

ქო+ოხო > 1. ქოხო...

2. ქოხვო...

1. **ქოხო**...

აშქურინუ დო თოკი ქოხონკანუ – ჟღ. 107.34 – შეეშინდა და თოკი შეარხია.

ჰაშო მჭიფაშაში ქოხოწონაფუ ბიჭიში ნანას – ჟღ. 28.29 – ასე დაწვრილებით გააგებინა ბიჭის დედას.

2. **ქოხვო**...

ჰიმდორა ქოხვოწონუ – II.123.33 – იმ დროს მიხვდა.

ქოხვონწონუ < ქო-ოხო-ო-წონ-უ

ქო-ოხო+უ > 1. ქოხუ...

2. ქუხუ...

მედა- || მენდა-

თანხმოვნის წინ:

ოხორიშა მენდახთუ – II.5.32 – შინ წავიდა.

დაღისტანიშა მენდავიცონათ! – I.30.7 – დაღისტანში წავიყვანოთ.

3. დაკარგულია, მაგრამ უშუალოდ მოხვედრილი ხმოვნები /წინდებულისეული და ფუძისეული/ მაინც უცვლელად რჩება:

ხურმა ოხოიშა მენდაიღით – I.158.28 – ხურმა შინ წავიღეთ.

ჭუმანი ბარაბერ მენდაულუთ! – I.58.34 – ხვალ ერთად წავიდეთ!

მან-თი მენდამიცონი – I.86.28 – მეც წამიყვანე.

მენდაგიყონოფ – I.115.20 – წაგიყვან.

მაგრამ ასეთ პოზიციაში, თუ წინდებულს მოსდევს თანხმოვან-პრეფიქსი **ი** ხმოვნით, შესაძლებელია, წინდებულის მეორე ხმოვანი დაემსგავსოს მომდევნო **ი**-ს:

მა-თი მენდემიონი! – ყიფშ. 22.25 – მეც წამიყვან!

ჩხომი მენდებიღი – II.5.5 – თევზი წავიღე.

მენდემიონუ ოხორიშა – ყიფშ. 31.26 – წამიყვანა შინ.

მენდა > მენდე კანონზომიერია. წინებულის ბოლო ხმოვანი ემსგავსება ფუძისეულ **ი**-ს /თუმცა მისგან თანხმოვანი ყოფს/. ყოველთვის, როდესაც წინდებულს მოსდევს პრეფიქსი რომელიმე ხმოვნით, **მენდა**- იძლევა **მენდე**-ს.

მითიქ-თი ვარ მენდემოწკედუ – ყიფშ. 31.14 – არავინაც არ მომხედა.

ოხორი მუშიშე მ ე ნ დ ე ბ უ ღ ი – ჟღ. 67.5 – მისი სახლიდან წავიღე.

„წიწილას მ ე ნ დ ა მ ნ ი“-ა. „ბაბა, კაი, სი მა დომიწვიშ-კულე მ ე ნ დ ე ბ ა მ ნ ა რ ე“ – ჟღ. 132.26 – „გველს წაჰყევიო“, „მამა, კარგი, შენი თქმის შემდეგ წავყვები“.

ბოლო ხმოვანი შეიძლება კიდევ უფრო დავიწროვდეს და **ი** მივიღოთ:

ზორითე-თი მ ე ნ დ ი მ ო ჩ ქ უ მ ე ლ ტ ე ს – II.25.6 – ძალითაც მაგზავნიდნენ.

წინდებულის მეორე ხმოვანი მომდევნო, ფუძისელ ხმოვანს ემსგავსება, თუ წინდებულს მოსდევს **მ-ო**, **ბ-ო** მარცვლები /**მ - o**ı **ბ – o**ıı, **o**-ფუძისეული ხმოვანი/.

ბოზო, მ ე ნ დ ო მ ო წ კ ე დ ი! – ყიფშ. 24.13 – გოგოვ, შემომხედე!

შეჰერიშა მ ე ნ დ ო გ ო ჩ ქ უ მ ე – I.63.21 – ქალაქში გაგაგზავნი.

დასტურდება **მენდა**-ს მაგივრად **მინდა**-:

კოჩეფე ჩქინი მ ი ნ დ ა ხ ტ ე ს – ყიფშ. 1.3 – ჩვენი კაცები წავიდნენ.

ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ:

მ ე ნ დ ა + ო > 1. მ ე ნ დ ო...

2. მ ე ნ დ ვ ო...

1. **მენდო**...

ხოჯაქ კოჩი მ ე ნ დ ო ჩ ქ უ – I.130.23 – ხოჯამ კაცი გაგზავნა /წარგზავნა/.

2. **მენდვო**...

ერჭი მ ე ნ დ ვ ო შ ქ უ – II.124.20 – შუამავალი გაგზავნა /წარგზავნა/.

მ ე ნ დ ა + უ > 1. მ ე ნ დ უ...

2. მ ი ნ დ უ...

1. **მენდუ**...

ოტკომალე მ ე ნ დ უ ჯ ღ ო ნ ე ს – ყიფშ. 12.2 – ჩასაცმელი გაუგზავნეს /წარუგზავნეს/.

ოხორჯა მ ე ნ დ უ შ ქ უ ოხორიშა – II.5.30 – ცოლი გაუშვა შინ.

ფუჯი მ ე ნ დ უ ჩ უ – II.127.30 – ძროხა გაუშვა.

2. **მინდუ**...

ოხორჯაქ ქიმოლი მუშის გდაი მ ი ნ დ უ ღ უ – I.38.18 – ცოლმა თავის ქმარს საჭმელი წაუღო.

მ ე ნ დ ა + ი > 1. მ ე ნ დ ი...

2. მ ი ნ დ ი...

1. **მენდი**...

ე კოჩი ოხოქ ჩქინიშა ვარ მ ე ნ დ ი ჯ ო ნ ა ნ! – I.26.16 – ეს კაცი ჩვენს სახლში არ წაიყვანონ.

მ ე ნ დ ი ღ ი ოხორიშა! – II.6.3 – წაიღე შინ!

2. **მინდი**...

ჶელუკაფე ბათომიშა მ ი ნ დ ი ტ ე ს – I.96.10 – ნავები ბათუმში მიდიოდნენ /„წადიოდნენ“/.

მ ე ნ დ ა + ა > მ ე ნ დ ვ ა...

ია კულანი ბერეს მ ე ნ დ ვ ა ყ ო ნ უ – I.36.11 – ის გოგო ბიჭს წაჰყვა.

ჯუმა... იმ კოჩიშა მ ე ნ დ ვ ა ლ უ – II.126.25 – ძმა... იმ კაცთან წავიდა.

მენდა- წინდებული იშვიათად არის **ქო**- ნაწილაკდრთული:

არ ქ ო მ ე ნ დ ო მ ო წ კ ე დ ი!" – ყიფშ. 68.29 – „ერთი შემომხედე!"

ტრაპიზონიშა ქ ო მ ე ნ დ ო ნ ე ს – ყიფშ. 25.16 – ტრაპიზონში წაიყვანეს.

მენდა- წინდებულის ვარიანტად გვევლინება **მედა**-.

მ ე დ ა წ კ ე დ ე ე ნ ა ნ – გზას არ გიინი ქონარგეენან – I.117.13 – გაიხედეს, გზაზე ერთი ვირი შემოხვდათ.

...ბერეფე ჩქიმიქ-ნა ვა მ ე დ ა მ წ კ ე ნ ა ნ – I.50.25 – ჩემი შვილები რომ არ მხედავენ /=მივლიან/.

ბოსტანიშა მ ე დ ა ფ თ ი – II.80.32 – ბოსტანში წავედი.

ოხორიშა მ ე ნ დ ა ხ თ უ – II.5.32 – შინ წავიდა.

მ ე დ ა + ო > მ ე დ ო...

არ ჭაბას მ ე დ ო წ კ ე დ ი ო! – ჟღ. 41.19 – ერთი მტევანს შეხედეთ!

მ ე დ ა + უ > მ ე დ უ...

ოხოიშა მ ე დ უ ლ უ ნ ა ნ – II.63.38 – შინ წასულან.

მ ე დ ა + ი > 1. მ ე დ ი...

2. მ ე დ ე...

1. **მედი**...

ოკულე ართეღიქ გოწუღუ დო მ ე დ ი ღ უ – II.65.7 – შემდეგ ერთმა გამოართვა და წაიღო.

2. **მედე**...

ნოღამისა არ ოდაშა მ ე დ ე ც ო ნ ე ს – II.65.28 – პატარძალი ერთ სახლში წაიყვანეს.

აღსანიშნავია **მედა**- წინდებულის თანხმოვნის დაყრუება **ტ**-დ. არ მ ე ტ ე მ ო წ კ ე დ ი! – ჟღ. 41.14 – „ერთი შემხედე!"

ალბათ, გავლენა მოახდინა ძირეულმა მკვეთრმა – **წ**-მ.

მედა- წინდებული, **ქო**- ნაწილაკდართული ტექსტებში ერთადერთ შემთხვევაში დასტურდება.

ბერე მუშიქ სუმ წანას კაი ქ ო მ ე დ ა წ კ ე დ უ – I.51.1 – მისმა შვილმა სამ წელიწადს კარგად მიხედა /=მოუარა/.

მედა-ვარიანტი ვიწურ-არქაბულში უფრო არის გავრცელებული, ვიდრე ხოფურში, თუმცა ვიწურ-არქაბულშიც **მენდა**- არის ჩვეულებრივ. ათინურში **მედა**- თითქოს არ ჩანს.

მენდა- || **მედა**- ვარიანტები, მნიშვნელობის მიხედვით, განსხვავებას არ იძლევიან, ორივე ქართულის **წა**- წინდებულს უდრის.

ამა-

თანხმოვნის წინ.

ჩხომი ა მ ა ხ თ უ მოსას – I.33.6 – თევზი შევიდა ბადეში.

მა დოლოხე ა მ ა ფ თ ა რ ე... – ჟღ. 38.5 – მე რომ შიგ შევიდე...

თანხმოვან პრეფიქსს მოსდევს ფუძისეული ხმოვანი:

მექთების ვარ ა მ ა მ ი ც ო ნ ე ს – I.47.10 – სასწავლებელში არ შემიყვანეს.

ოდას ა მ ა ბ ი ლ ა თ ე ნ – II.71.19 – სახლში შევიდეთ.

წინდებული აქაც უცვლელადაა.

მუშენ ოხორის ვარ ა მ ა მ ო შ ქ ვ ი? – რატომ შინ არ შემიშვი?

ჰე დუვარის ვარ ა მ ა მ ა ლ ე ნ ა ნ – ჟღ. 137.10 – ამ კედელზე ვერ ავალთ.

წინდებული აქაც უცვლელადაა, მაგრამ ზოგჯერ მომდევნო **ო** ხმოვანი იმსგავსებს წინდებულის ბოლო ხმოვანს.

ა მ ა- > ა მ ო...

მამულიქ-ნა ოხოის ა მ ო მ ო ყ ი ა ნ... – I.128.20 – მამალმა შინ რომ შემოგვიყივლოს...

ოხოის ვა ა მ ო ბ ო შ ქ ვ ი! ამაბოშქიკონ... – შინ არ შემიშვი! შეგეშვი...

ერთსა და იმავე კონტექსტში ჯერ **ამო**- გვაქვს, შემდეგ **ამა**-.

ა მ ა + ო > ა მ ო...

მითი ვა ა მ ო შ ქ უ მ ე ს -ჲ ა – II.34.8 – არავინ არ შეუშვესო.

ოხოიშა ნოღამისა ვა ა მ ო ჩ ქ უ მ ე ლ ა ნ – შინ პატარძალს არ შეუშვებენ.

ა მ ა + უ > ა მ უ...

პიჯის-ნა ა მ უ ძ ი ტ უ ლირა – I.27.13 – პირში რომ ედო /„შედებული ჰქონდა“/ – ლირა.

ა მ ა + ი > ა მ ი...

პიჯის ა მ ი ბ ღ უ – I.102.19 – პირში შეიყარა.

დოლოხე ა მ ი ღ ა ს ე ნ ოხოიშა – II.3.11 – შიგ შეიტანენ სახლში.

ა მ ა + ა > ა მ ვ ა...

დოლოხე მი-თი ვარ ა მ ვ ა ლ ე ნ – II.99.11 – შიგ ვერავინ ვერ შევა.

ქ ო + ა მ ა + თანხმოვანი > ქამა...

ოხორის ქ ა მ ა ხ ტ უ – ყიფშ. 13.25 – შინ შევიდა.

არ შეჰერის ქ ა მ ა ხ ტ უ – ყიფშ. 57.9 – ერთ ქალაქში შევიდა.

ქ ო + ა მ ა + ი > ქ ა მ ი...

ართეღი ლირაჩქვა კიბიის ქ ა მ ი დ უ – I.ფ27.9 – ერთი ლირა კბილში ჩაიდო.

კუჩხეფე ფენჯერეს ქ ა მ ი ღ უ – ჟღ. 42.6 – ფეხები ფანჯარაში შედო.

ლოკმა ქ ა მ ი დ უ – II.123.1 – ლუკმა ჩაიდო.

მნიშვნელობა **ამა**-წინდებულისა ემთხვევა ქართულის **შე**-ს მნიშვნელობას.

თანხმოვნის წინ:

ბაზარიშა ვიღამინონ დო გ ა მ ა ფ ჩ ა მ ი ნ ო ნ – I.5.7 – ჰაზარში წავიღებ და გავყიდი.

სუმ ჩხომი გ ა მ ა ლ უ დ ო რ ე ნ – II.41.17 – სამი თევზი გამოვარდნილა.

ზმნისწინი არ იცვლება, ჩვეულებრივ, არც მაშინ, როდესაც პრეფიქსს ხმოვანი მოსდევს.

სი-ნა თოლი გამურჩაკი, მუქ-თი გ ა მ ა გ ი რ ჩ ა კ უ – I.103.5 – შენ რომ თვალი გამოუქაჩე, იმანაც გამოგიქაჩა.

შური გ ა მ ა მ ი ხ თ უ – II.8.33 – სული ამომივიდა.

გ ა მ ა ტ ა ხ ე რ ი კალათი – ყიფშ. 79.27 – გამოტეხილი კალათი.

ხე დო კუჩხე გ ა მ ა მ ო დ გ ი თ ე ს – II.61.15 – ხელი და ფეხი გამომადგა.

მაგრამ ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში **გამა-** > **გამო**-ს...

ადა ქიურქის-თი საჰები გ ა მ ო მ ი ხ თ ა ს უ ნ ო ნ – I.4.20 – ეს ქურქის პატრონიც გამოვა.

დაჩხუი გ ა მ ო გ ზ ა მ თ მ ჭ ი ფე ცხიკითე – II.75.22 – ცეცხლს დავანთებთ (ზედმიწ. „გამოვანთებთ") წვრილი ჩსირით.

წიწილაში ქორბაშენ გ ა მ ო მ ა ლ უ ნ ტუ – ჟღ. 101.13 – გველის მუცლიდან გამოსული რომ იყო.[1]

გ ა მ ა + ო > გ ა მ ო...

კიცი გ ა მ ო მ ჭ კ ვ ი ნ ა ფ ტ უ – შ-კულე – ფიყშ. 8.3 – კეცს რომ გამოწვავ, შემდეგ...

გ ა მ ო + უ > გ ა მ უ...

ენვერიქ ნენა გ ა მ უ ნ თ ხ უ – I.102.29 – ენვერმა ენა გამოუყო. სანდუღიშე არ ბოზო გ ა მ უ ლ უ ნ – ყიფშ. 63.37 – ზანდუკიდან ერთი გოგო გამოვიდა.

გ ა მ ა + ი > გ ა მ ი...

სერსი გ ა მ ი ტ უ – I.37.17 – ხმა გამოდიოდა.

გალე გ ა მ ი ლ ი! – ჟღ. 52.11 – გარეთ გამოდი!

თუდელე... გ ა მ ი ტ უ – II.119.21 – ქვემოდან... გამოვიდა.

გ ა მ ა + ა > გ ა მ ა...

ეშეღის გალე ვარ გ ა მ ა ლ უ – I.70.28 – ვირი გარეთ ვერ გამოვიდა.

ქო + გამა + თანხმოვანი > 1. ქ ო გ ა მ ა...

2. ქ ა გ ა მ ა...

3. ქ უ გ ა მ ა...

1. **ქოგამა**...

შეეფე მუში ქ ო გ ა მ ა ჩ ე ს დ ო რ ე ნ – ყიფშ. 27.23 – მისი ნივთები გაუყიდიაო.

---

[1] საფიქრებელია, აქ წინდებულად იყოს არა სახეცვლილი **გამა-**, არამედ **გამო-** წინდებული /შდრ. – მეგრულის **გამო**-/.

არ თოლი სქანი ქ ო გ ა მ ა ვ ი ღ ა – II.91.1 – ერთი შენი თვალი გამოვიღო.

2. **ქაგამა**...

გალე ქ ა გ ა მ ა ი მ ე თ... 1.156.19 – გარეთ გამოვიტანთ.

გალე ქ ა გ ა მ ა ხ თ უ – II.17.18 – გარეთ გამოვიდა.

3. **ქუგამა**...

გალე ქ უ გ ა მ ა ხ ტ უ – II.134.24 – გარეთ გამოვიდა.

ქ ო + გ ა მ ა + ო > 1. ქ ო გ ა მ ო...

2. ქ ა გ ა მ ო...

1. **ქოგამო**...

ბიჭიქ დივის ღვას არ ზოი ქ ო გ ა მ ო ჭ კ ი დ უ – II.37.20 – ბიჭმა მდევს ლოყაში ერთი მაგრად სტკლიცა.

2. **ქაგამო**...

პარაპათი... ქ ა გ ა მ ო თ ი რ ა ფ ა ფ ხ – I.157.13 – პარაპეტი გამოათრიეს.

ქ ო + გ ა მ ა + უ > 1. ქ ო გ ა მ ო უ...

2. ქ ო გ ა მ უ...

3. ქ ა გ ა მ უ...

1. **ქოგამოუ**...

ცხენი ქ ო გ ა მ ო უ ო ნ ე ს – ჟღ. 93.35 – ცხენი გამოუყვანეს.

2. **ქოგამუ**...

ქ ო გ ა მ უ ნ კ ა პ უ გალე – II.32.35 – გამოხტა გარეთ.

თოლი ქ ო გ ა მ უ ღ უ – II.91.3 – თვალი გამოუღო.

3. **ქაგამუ**...

თულენდო /მქიი/ ქ ა გ ა მ უ ლ უ ნ – I.140.20 – ქვეშ /ფქვილი/ გამოდის.

ქ ო + გ ა მ ა + ი > 1. ქ ო გ ა მ ი...

2. ქ ა გ ა მ ი...

1. **ქოგამი**...

ქ ო გ ა მ ი ღ უ – ყიფშ. 51.34 – გამოიღო.

2. **ქაგამი**...

ქესე ქ ა გ ა მ ი ღ ე ს – I.84.1 – ქისა გამოიტანეს.

გამა- რთული წინდებული იშლება **გა**- და -**მა**- ნაწილებად. ზოგჯერ მეორე ნაწილად -**მო**- გამოიყოფა. გ ა მ ო ბ ო გ ზ ა მ თ, გ ა მ ო მ ო რ ზ უ... გ ა მ ო მ ი ხ თ ა ს... ყველა ამ შემთხვევაში წინდებულს მოსდევს თანხმოვანი პრეფიქსი ხმოვნითურთ და გასაგებია, თუ რატომ დავიწროვდებოდა წინდებულის ბოლო ხმოვანი, თორემ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ იგივე ქართულის **გამო**- წინდებული გვაქვს, რომელიც მეგრულშიც არის.

ჰანურისა **გამა**- წინდებული მიუთითებს გარედან შიგნით მიმართულებას და უდრის ქართულის **გამო**- ზმნისწინს, როგორც მნიშვნელობით, ისე მასალითაც.

გომა-

მაქვალი ეზდუ დო გომაჩამუშე ნიმეტუ – ჟღ. 39.23 – კვერცხი აიღო და გასაყიდად მიჰქონდა.

თუ შესაძლებელია ამ ერთი ფაქტის საფუძველზე **გომა-** ვაღიაროთ დამოუკიდებელ წინდებულად, მას იგივე მნიშვნელობა ექნება, რაც **გამა-**ს აქვს ამავე ფუძესთან.

შდრ. გამაჩამს – ყიდის, „გამოსცემს“.

ნა- დართული რთული წინდებულები

სულ რამდენიმე შემთხვევა დასტურდება ტექსტებში ისეთი რთული წინდებულების ხმარებისა, რომელთა მეორე ელემენტად არის **-ნა-**. ეს წინდებულებია:

მენე-

არსლანიში ბახჩეშა მენებოშქვათ! – II.122.5 – ასლანის ბაღჩაში გადავუშვათ.

მენე- მიღებული ჩანს **მენა-**საგან.

გონა-

მზუღა გონარჩუ – II.132.18 – ზღვა აღელდა /„გადაიშალა“/.

გონა + უ > 1. გონუ...
2. გუნუ...

1. **გონუ**...

ბიზეფე ნიში დონჩხუნეს დო დელი უშყურან დო ჰიმ ჩუთუღის გონუმტამან – ყიფშ. 84.23 – სადგისები /თავისი/ დაახურეს და გიჟი ჰქონიათ და ის ჯირკი გადაუშვეს.

2. **გუნუ**...

ექ კაბღას ქიმოლობა ვარ გუნულუნ – ყიფშ. 11.17 – იქ ომში ვაჟკაცობა არ გადის.

გონა + ი > გონი...

მჭიმა გონიღუ – II.115.0 – წვიმამ გადაიღო.

შდრ. მჭიმა გოლიღუ – ყიფშ. 89.19 – წვიმამ გადაიღო.

გონა- ენაცვლება გოლა-ს.

მენა-, **გონა-** წინდებულების მნიშვნელობაში ერთი საერთო მომენტი გამოსჭვივის.

ორიოდე ფუძესთან გვხვდება რთული წინდებული **ოკო- ნა-** ელემენტდართული /ოკო-ნა > ოკონა.../. ეს ფუძეებია: -ღურ-, -ყვილ-, -ულ-.

1. ო კ ო - ნ ა - ღ უ რ უ - გული შეუწუხდა.

ოხორჯა დაძაბუნუ..., ნდღას სუმ ვანა ოთხო ჩარა ო კ ო ნ ა ღ უ - რ უ ტ უ – ჟღ. 14.4 – ქალი დაავადმყოფდა... დღეში სამჯერ, თუ ოთხჯერ გადაიქცეოდა (გული უწუხდა).

რესმი ბიჭის აძირუ-შ-კულე, ო კ ო ნ ა ღ უ რ უ – II.34.17 – სურათი რომ ნახა ბიჭმა, გადაიქცა (გული უწუხდა).

ოი, ოი, ო კ ო ბ ნ ა ღ უ რ ი ტორა – ყიფშ. 47.15 – უი, უი, კინაღამ გული შემიწუხდა.

ო კ ო ბ ნ ა ღ უ რ ი, არ ქოგემიბი წკარი! – ყიფშ. 69.2 – შემიწუხდა გული, დამასხი ერთი წყალი!

ქ ო-ო კ ო-ნ ა > ქ ა კ ო ნ ა...

ქაგოკუცხინეს... ხოლო ქ ა კ ო ნ ა ღ უ რ უ დო ქოდიჯინუ – I.48.32 – გამოაფხიზლეს... ისვ შეუწუხდა გული და დაიძინა.

ცხენიქ ქრუსი გეჩეენ დო მგეი ქ ა კ ო ნ ა ღ უ ე ე ნ... გოკუცხუში,... I.73.5 – ცხენს ქუსლი დაუცია და მგელს გული შესწუხებია... რომ გამოფხიზლდა,...

2. ქ ა კ ო ნ ა ყ ვ ი ლ უ – გული შეუწუხა, გადააქცია.

ცხენიქ არ ზოი თეფნე ნუნთხუ დო მგეი ქ ა კ ო ნ ა ყ ვ ი ლ უ – I.71.13 – ცხენმა ერთი ძალზე... მიანარცხა და მგელი გადააქცია /გული შეუწუხა/.

ლეზგიქ... თის ბიგა გჲოკირუ ოხორჯას დო ქ ა კ ო ნ ა ყ ვ ი ლ უ – I.30.18 – ლეკმა... თავში ჯოხი დასცა ქალს და გადააქცია.

3. ქ ა კ უ ნ უ ლ უ /გური/ – წაუვიდა გული.

გუი ქ ა კ უ ნ უ ლ უ. მანიშა ხოლო წკაი ოშვაფეს დო ქაგოკუცხინეს – I.48.31 – გული წაუვიდა. მაშინვე წყალი ასვეს და გამოაფხიზლეს.

სამივე ფუძის ზმნა ერთსა და იმავე მნიშვნელობას უკავშირდება. – გულის შეწუხებას აღნიშნავს. ეს **ნ** ხომ არ არის **მე**-ს მონაცვლე **ნ**-სთან რაიმე კავშირში. შდრ.: ნ უ ლ უ, ქ ა კ უ ნ უ ლ უ, ქ ა მ ე ღ უ რ უ, ოკონაღურუ.

ნა ელემენტი აქ თანხმოვნის წინაც გვაქვს.

გონწონა...

ეს წინდებული ერთადერთი ფუძის ზმნასთან გვხვდება. სულ სამიოდე შემთხვევაა დადასტურებული ტექსტებში.

გ ო ნ წ ო ნ ა ხ თ ი, სალახანა, იგზალი! – I.58.19 – გამეცალე, სალახანა, წადი!

მა ვა გო წო ნა ვუ ლუ, სი გო წო ნა ხთი! – I.74.26,27 – მე არ გა-გეცლები, შენ გამეცალე.

იქვე ამ ზმნისაგან მხოლოდ პრევერბი არის დარჩენილი.

გო წო, აქ მეკავილა!... სი გო წო დო მა მეკავილა – I.74.25.26 – „გა-მეცალე, მე გადავალ!".. „შენ გამეცალე და მე გადავალ".

ელანა...

ჰაშო იდით დო მელენ დერეში ხინჯის მეახტათ-შ-კულე საღი მხუ
ჯიშეკელე ელინიქთით დო ელახთით! – II.54 – II. – ასე იარე
და გაღმა მდინარის ხიდზე რომ გადახვალთ, მერე მარჯვენა მხრისა
მიტრგიალდით (ზედმიწ. „შეიქციეთ").

დასკვნა

1. მეგრულში 92 წინდებულია. ამათგან 12 მარტივი წინდებულია, ხოლო დანარჩენი – რთული. ჭანურში 50 წინდებულია, 8 მარტივი და დანარჩენი რთული. რთული წინდებულები რაოდენობითაც მეტია და შედგენილობითა და მნიშვნელობითაც გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მარტივები. მაგრამ ხმარების სიხშირე მარტივი წინდებულებისა მეტია, ვიდრე რთულისა.

2. ზანურის მარტივი წინდებულები ასეთი აგებულებისაა: თანხმოვანი + ხმოვანი და ორიოდე შემთხვევაში – მხოლოდ ხმოვნისაგან შედგება.

რთულ წინდებულებს ორი მრატივი წინდებულის აგებულება აქვს: თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი ან ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი. ხმოვანს შეიცავს ყველა წინდებული: 1. მხოლოდ ხმოვნით არის წარმოდგენილი მარტივი წინდებულები: **ე-**, **ა-**. 2. ყოველი წინდებული, მარტივიცა და რთულიც, ბოლოვდება ხმოვნით: **მე-**, **მო-**, **გე-**, **გო-**, **მელა-**, **მოლა-**... 3. რთულ წინდებულს ხმოვანი აქვს თანხმოვანთა შორისაც (თუ ხმოვნით არ არის დაწყებული): **გელა-**, **გეკო-**, **გეშა-**, **მელა-**, **მოლა-**... 4. წინდებულს შესაძლებელია ხმოვანი ჰქონდეს თავკიდურადაც: **ელა-**, **ეკო-**, **ეშა-**...

წინდებულს თავკიდურ ხმოვნად შეიძლება ჰქონდეს ერთ-ერთი სამ ხმოვანთაგანი: **ა ო ე** (აკო-, ეკო-, ოკო-, ალა-, ელა-).

წინდებულს შუაში შეიძლება ჰქონდეს ყველა ის ხმოვანი, რომლითაც ბოლოვდება მარტივი წინდებულები, ე. ი. **ა ო ე** და, აგრეთვე, **ი//გ** (კი-/გნო-, კგ-/ილა- – წინდებულებისა). **ი** ჩანს მეგრულის შემდეგ წინდებულებშიც: **მიკო-**, **მილა-**, **მიწო-**, **მითო-**, **მიდა-**... თუმცა აქ **ი** ← **ე**-სგან, მაგრამ ეს თავდაპირველი **ე** აღარ ჩანს ამ წინდებულებში.

წინდებულს ბოლო ხმოვნად მოუდის **ა, ო, ე**. რთული წინდებული მხოლოდ **ა** და **ო**-თი შეიძლება ბოლოვდებოდეს, სამივე მოეპოვება მარტივ წინდებულებს.

მარტივი წინდებულები:

ა-ბოლოკიდურით	**ო**-ბოლოკიდურით	**ე**-ბოლოკიდურით
მეგრული **ა-**	**დო-**	**ე**
და-	**გო-**	**გე**
გა- ქართულიდანაა ნასესხები	**მო-**	**მე**
ჩა-		

	ჭანური	
და- ქართულიდან ნასეხსებია	დო-	ე
	გო-	გე
	მო-	მე
		შე-

რთულ წინდებულთა ბოლო ელემენტი

ა	მეგრული	ო
-ლა-		-კო-
-შა-		-ნო-
-და-		-წო-
-მა-		-თო-
(კგ)ლა-		-მო-
		(კგ)ნო-

	ჭანური	
-კა-		-კო-
-ნა-		(ო)ხო-
-ლა-		
-შა-		
-და-		
-მა-		
-ია//ჟა-		

ჭანურში მეტი ერთგვაროვნებაა – ორიოდე გამონაკლისის გარდა ყველა რთული წინდებულის მეორე ელემენტის ხმოვნად ა- ხმოვანია, როცა ო არის, ისიც წინა ხმოვანთან ასიმილაციის შედეგად მიღებული ჩანს. მის შესატყვისად მეგრულში ხან ა- ხმოვანია, ხან ო. ანდა მეორეული წარმოშობისად მიჩნეული ი და უ.

ეს ხმოვნები (**ა, ო**) ერთგვარი გამაფორმებელია რთულ წინდებულთა მეორე კომპონენტისა, რაც შემდეგიდან ჩანს: 1. თუ ვივარაუდებთ, რომ **მეა-** წინდებულის მეორე ელემენტად გვაქვს **ე-**. იგივე **ე-** მარტივი წინდებული, ჩანს, რთული წინდებულის შემდაგენლობაში მას დართვია ხმოვანი **ა**, რომელიც დამოუკიდებლად მას არ გააჩნდა.

თუ II ნაწილი რთულ წინდეაბულთა ფორმდება **ა, ო** ხმოვნებით. პირველი **ი-** ხმოვნით გაფორმდა: აფხაზური: **კგნო → კინო** (// კგნო-ს), მეგრულში **კგლა- → კილა**-ს (კგლა).

შესაძლებელია, **წიმო-** ქართულიდან იყოს ნასეხსბები და **წამო- → წიმო**-ს.

ასევე, მეგრულში საკუთარი **დო-** რთული წინდებულების I შემადგენელ ნაწილად იძლევა **დი**-ს (დიკო-, დილა-...) (ჭანურში მხოლოდ ასიმილაციის ნიადაგზე). საყურადღებოა, რომ მეგრულში როცა I შემადგენელ ნაწილად **წ + ი** გვაქვს, ხოლო მეორე შემადგრენელ ნაწილად – **წ + ო** (წიმო-, მიწო-, ეწო-...).

ამრიგად, იმისათვის, თუ რა ხმოვანი ექნება წინდებულში, მნიშვნელობა აქვს, ეს ხმოვანი რთული წინდებულის I ელემენტისაა, თუ მეორე ელემენტისა.

3. მეგრულის წინდებული შესაძლებელია, თავისი თავდაპირველი – უცვლელი სახითაც იყოს ან შეიცვალოს ფონეტიკური სახე.

ჩვეულებრივ, იცვლება წინდებულის ხმოვანი ნაწილი. თანხმოვნის ცვლილება იშვიათად ხდება.

წინდებული უცვლელად დარჩება თუ შეიცვლება, დამოკიდებულია იმაზე, თუ 1. როგორ ფუძეს ერთვის წინდებული – თანხმოვნით დაწყებულს თუ ხმოვნით დაწყებულს და 2. ერთვის თუ არა წინდებულს **ქო-, ვა-** ნაწილაკები ანდა ორმაგად გართულებული **გა-//გე-//გო-** წინდებულები.

4. თუ წინდებულს მოსდევს თანხმოვნით დაწყებული ფუძე, წინდებული, ჩვეულებრივ, უცვლელი რჩება. გამონაკლისია ზოგი შემთხვევა.

თუ ფუძე ხმოვნით იწყება, ფუძისეული ხმოვანი წინდებულის ბოლოკიდური ხმოვნის უშუალო მეზობლად იქნება და, ჩვეუებრივ, ფონეტიკური ცვლილება მოხდება – ფუძისეული ხმოვნის გავლენით შეიცვლება წინდებულის ბოლოკიდური ხმოვანი (უფრო იშვიათად – პირიქით, ან ურთიერთგავლენას მოახდენენ). თუ წინდებული რთულია, ფუძის ხმოვანმა შეიძლება იმოქმედოს რთული წინდებულის I ხმოვანზე, რომელიც მასთან არაუშუალო მეზობლად არის.

თუ **ქო-, ვა-** ნაწილაკები და **გა-/გე-/გო-** წინდებულები ერთვიან ხმოვნით დაწყებულ წინდებულს, მათი ბოლო ხმოვანი და წინდებულის თავკიდური ხმოვანი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და ფონეტიკურ ცვლილებას იწვევენ.

მათ შესაძლებელია, გავლენა იქონიონ თანხმოვნით დაწყებული წინდებულის I ხმოვანზეც, რომელიც მასთან უშუალო მეზობლად არ იქნება.

ამრიგად, ფუძის ხმოვანი უშუალოდ მოქმედებს წინდებულის ბოლო ხმოვანზე, ხოლო არაუშუალოდ – წინდებულის I ხმოვანზე. ამავე დროს ცვლილებას განიცდიან თვით ეს ნაწილაკები და წინდებულებიც.

თანხმოვნის წინ წინდებული უცვლელი სახითაა. იქნება ეს თანხმოვანი ფუძისეული, თუ ფორმანტი (S1-**ხ**, **პ**, **ფ**, O2-**გ**).

არ მოქმედებს ასეთ პოზიციაში არც წინ დართული ნაწილაკები: **ქო-**, **ვა-**. ივცლება, ჩვეულებრივ, თვითონ **ქო-** და **ვა-** ნაწილაკები.

მეგრულში წინდებული თანხმოვნის წინ იცვლება, თუ ეს თანხმოვანი პრეფიქსია (O1-**მ**, O2-**გ**) და პრეფიქსს მოსდევს **ა-** ან **ო-** ფუძის ხმოვანი ანდა პრეფიქსად არის **მა-**, **ნო-**.

ცვლილება გაომიხატება წინდებულის ხმოვნის დავიწროებით. წინდებულის ხმოვანი **ა** → **ე** **ო** → **უ**, **გ** → **ი**, **ე** → **ი**

ასეთ პოზიციაში თუ წინდებულს **ქო-** ან **ვა-** ნაწილაკი ერთვის, წინდებულის ხმოვანი არათუ ვიწროვდება, არამედ **გ**-დაც სუსტდება და სულაც იკარგება.

იშვიათად წინდებული უცვლელი სახითაც შეიძლება დარჩეს ასეთ პოზიციაში. ხოლო თუ **ქო-** (ან **ვა-**) ნაწილაკიც ერთვის, მაშინ – კიდევ უფრო იშვიათად. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც მიზანია გამოსათქმელად გამარტივება. გამარტივების საჭიროება კი მაშინ უფრო არის, როდესაც ახალი მარცვალი ემატება.

თუ თანხმოვან პრეფიქსებს მოსდევს არა **ა** ან **ო** ხმოვანი, არამედ **ი** ხმოვანი, მაშინ წინდებული უცვლელი სახითაა. იშვიათად, მაგრამ მაინც ცვალებადობა შეიძლება განიცადოს არა წინდებულის ხმოვანმა, არამედ ფუძისეული **ი** დასუსტდეს **გ**-დ ან სრულიად ამოვარდეს.

თუ **ი** ხმოვანი მოსდევს O2-**გ** პრეფიქსს, O2-**გ** გაუჩინარებულია.

და + **გ** + **ი** → **დაი**

მე + **გ** + **ი** → **მეი**...

გ-ს დაკარგვის შემდეგ, მართალია, ხმოვნები უშუალოდ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ფონეტიკური ცვალებადობა მაინც არ ხდება. ოღონდ შეიძლება მომდევნო **ი** ხმოვანი დავიწროვდეს **ი**-დ. **მეი** → **მეი**-ს. როდესაც თანხმოვან პრეფიქსს მოსდევს **ე**- ხმოვანი 1. ზმნისწინი შეიძლება უცვლელად დარჩეს (**დაგე**-, **მომე**-...), 2. შეიძლება შეიცვალოს: ზმნისწინის ხმოვანი დავიწროვდეს – დაემსგავსოს ფუძისეულ ხმოვანს (**დეგე**...). კიდევ უფრო დავიწროვდეს, განემსგავსოს ფუძისეულ ხმოვანს (**დიგე**-, **მუმე**-...) და შემდეგ დასუსტდეს **გ**-დ (**მგმე**...).

ჭანურში თუ მარტივი წინდებულის შემდეგ არის თანხმოვანი პრეფიქსი, რომელსაც მოსდევს ფუძის ხმოვანი, წინდებული უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც წინდებული რთული შედგენილობისაა. ამ შემთხვევაში ცვლილება მეტწილად წინდებულის ხმოვნის ფუძისეულ ხმოვანთან ასიმილაციით აიხსნება (მეკემიხთუ „ჩამიარა“, ქეწემიდგი „დამიდგი წინ“, ელემიკათუ „გამომყვა თან“, გოწოვოკადაფთ „დამიკიდა წინ“, მოლოგოხუნაფ „ჩაგსვამ შიგნით“...). მაგრამ არც ყოველთვის ასიმილაციით ახსნა შეიძლება. თუმცა ყოველთვის არა, მაგრამ ზოჯგერ წინდებულის ხმოვანი ვიწროვდება ისევე, როგორც მეგრულში (ქეკებუდგამთ „დავუდგამ“, ეწეგიწკათ „მოგიხსნათ“, გოწომიღუ „გამომართვა“...).

5. წინდებულის ბოლო ხმოვნის ფუძისეულ ხმოვანთან შეხვედრით ვიღებთ ხმოვანთა სხვადასხვაგვარ კომბინაციას. დავასკვნათ, ერთი მხრივ, ამ კომბინაციებში რა სახის ხმოვნებია ღიაობის, სირბილე-სიმაგრის და, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული ბაგისმიერობის თვალსაზრისით. და, მეორე მხრივ, დავახასიათოთ თითოეული ეს კომბინაცია შედეგების მხრივ, ე. ი. 1. რა სახის ცვლილება ხდება: ასიმილაცია, დისიმილაცია, 2. როგორი ასიმილაცია, დისიმილაცია ხდება – რეგრესული თუ პროგრესული, სრული თუ არასრული, 3. რის მიხედვით ემსგავსება ან განემსგავსება ერთმანეთს ხმოვნები ღიაობის, ან სირბილე-სიმაგრის მიხედვით, თუ ბაგისმიერობის შეძენით ან დაკარგვით.

ღიაობის თვალსაზრისით, შესაძლებელია იყოს: 1. ერთნაირი ღიაობისა: ყველა იდენტური ხმოვანი და არაიდენტურთაგან ე + ო, ო + უ, 2. ღია + ვიწრო: ა + ო, ა + უ, ა + ე, ა + ი, ო + უ, რ + ი, ე + ი, ე + უ, 3. ვიწრო + ღია: ი + ე, ი + ა, ი + ო, ე + ა, ო + ა.

სირბილე + სიმაგრის თვალსაზრისით: 1. ერთნაირი:

რბილები	მაგრები
ვ + ი ი + ე ე + ე ი + ი	ა + ო ა + უ ო + უ ო + ა

2. მაგარი + რბილი: ა + ე ა + ო ო + ე ო + ი.

3. რბილი + მაგარი: ე + ა ე + ო ე + უ ი + ა ი + ო ი + უ. ამ ორი ნიშნის მიხედვით ერთმანეთში კომბინაცია იძლევა:

ერთნაირი ღიაობის + ერთნაირი სიმაგრის

„ „ + მაგარი + რბილი

„ „ + რბილი + მაგარი

ღია + ვიწრო + ერთნაირი სიმაგრის და ა. შ.

ფუძეს თავკიდურ ხმოვნად შეიძლება ექნეს ხუთივე ხმოვანი: ა, ო, ე, ი, უ. ისინი სხვადასხვა ფუნქციისანი არიან (გვარის, ქცევისა და სხვ. მაწარმოებლები), მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს წინდებულის ფონეტიკური ცვალებადობისათვის. თითოეული ეს ხმოვანი სხვადასხვა ფონეტიკური ძალისა და თვისებისა არის.

მეგრული

ასიმილაცია: რეგრესული

1. ღია + ვიწრო. ა) მაგარი + მაგარი, რბილი + რბილი. ასიმილაცია გამოიხატება წინამავალი ღია ხმოვნის დავიწროებაში.

ა + უ → ოუ ნაწილობრივი ასიმილაციაა

ა + უ → უუ სრული ასიმილაციაა

ო + უ → უუ „ „

ე + ი → იი „ „

2. ერთნაირი ღიაობისა: მაგარი + რბილი. ასიმილაცია ხდება მხოლოდ სირბილე-სიმაგრის ნიშნის მიხედვით – წინამავალი ხმოვანი მომდევნოს გავლენით რბილდება. ო + ე → ეე. სრული ასიმილაციაა.

3. ვიწრო + ღია: ა) მაგარი + რბილი. ო + ა → აა-ს. სრული ასიმილაციაა. ბ) მაგარი + რბილი. წინამავალი ხმოვნის დავიწროებასთან ერთად ხდება მისი დარბილებაც:

ა + ი → ეი ნაწილობრივი ასიმილაციაა
ა + ი → იი სრული „
ო + ი → ეი ნაწილობრივი „
ო + ი → იი სრული „
ა + ე → ეე სრული „

გ) რბილი + მაგარი. ხდება წინამავალი ხმოვნის გამაგრება (დავიწროებასთან ერთად).

ე + უ → ოუ ნაწილობრივი ასიმილაციაა
ე + უ → უუ სრული „

ორივე იშვიათია.

ასიმილაცია: პროგრესული

ღია + ვიწრო: ა) მაგარი + მაგარი, რბილი + რბილი. ასიმილაცია გამოიხატება წინამავალი ხმოვნის გავლენით მომდევნო ხმოვნის გაფართოებით. ა + ო → აა სრული ასიმილაციაა.

ი. **ყიფშიძე** ამ პროცესს საურთიერთო ასიმილაციად მიიჩნევს: ა + ო → ოო → აა-ს. ამ პროცესის შედეგის მიხედვით პროგრესულ ასიმილაციად მიჩნევას თითქოს დაბრკოლება არ ეღობება, გარდა ამისა, გარდამავალი საფეხური **ოო** მეგრულში არც ჩანს.

ე + ი → ეე-ს – სრული ასიმილაცია. სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული იდენტური ხმოვნები ზოგჯერ შეირწყმიან ერთ გძრელ ხმოვნად, რომელმაც, თავის მხრივ, შეიძლება მოგვცეს ჩვეულებრივი ხმოვანი.

უუ → ӯ → უ
უუ ← 1. ა + უ
2. ო + უ
3. ე + უ

ии → ы → и
ии ← 1. а + и
2. е + и
3. о + и

ее → ӗ → е
оо → о ძალიან იშვიათია.
аа → ӓ → а
аа ← 1. о + о
2. а + о
3. о + а.

უკანასკნელი შემთხვევა **შ. ძიძიგურს** ასეთი გზით მიღებულად აქვს წარმოდგენილი:

ო + ა → უა → უა → ვა →ა ე. ი. **ო + ა → ა** დიფთონგიზაციის ნიადაგზე.

შ. ძიძიგური ამას ასკვნის ჭანურის დაკვირვების საფუძველზე. მართლაც, ჭანურში **ო + ა**, ერთი მხრივ, დიფთონგიზაციის შედეგად იძლევა **ვა**-ს, ხოლო, მეორე მხრივ, **-ა**-ს. სხვა გარდამავალი საფეხურები არ ჩანს, სამაგიეროდ ეს გარდამავალი საფეხურები ჩანს მეგრულში **ო + ა →**

1. **აა →**
2. **ა →**
3. **ა**

ცხადია, **ა** მიღებულია სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული იდენტური ხმოვნების შერწყმით, ხოლო **ო + ა – უა – ვა** ფონეტიკური ცვალებადობის მეორე ხაზია.

დისიმილაცია: რეგრესული

I. ვიწრო + ღია. ა) მაგარი + მაგარი, ბ) რბილი + მაგარი.

დისიმილაცია გამოიხატება წინამავალი ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროებით. რბილი ხმოვანი იძლევა რბილსვე, ოღონდ უფრო ვიწროს, მაგარი – მაგარსვე და ისევ უფრო ვიწროს, მიუხედავად იმისა, როგორია მომდევნო განმამსგავსებელი ხმოვანი სირბილე-სიმაგრის მიხედვით:

ო + ა → ვა ვ + ა → ია-ს.

II. დისიმილაციის შედეგად წინამავალი ხმოვანი ვიწროვდება, მაგრამ არა თავისი რიგის ხმოვნად, არამედ საპირისპირო რიგის ხმოვნად – რბილი მაგარს იძლევა და მაგარი რბილს.

ა) მაგარი + მაგარი → რბილი + მაგარს: **ო + ა → ია**-ს, ბ) რბილი + მაგარი → მაგარი + მაგარს: **ე + ა → უა**-ს.

ამ შედეგს ის გამართლება აქვს წინასთან შედარებით, რომ მომდევნო ხმოვანი მაგარია და თითქოს მას ემსგავსება, მაშინ როდესაც წინა შემთხვევაში ღიაობის თვალსაზრისით, დისიმილაციას ემატება სირბილე-სიმაგრის მიხედვით დისიმილაციაც. თანაბარი ღიაობის რბილი + მაგარი. დისიმილაცია ისეთივე ხასიათისაა, როგორც წინა შემთხვევაში – წინამავალი ხმოვანი ვიწროვდება: **ე + ო → 1. ეო →**

→ 2. ჲო

ე + ე → იე

III. ერთი და იგივე ხმოვნები

ორივე მაგარი:

დისიმილაცია გამოიხატება პირველი ხმოვნის დავიწროებითა და დარბილებით. **ო + ო → ეო** იშვიათია. ღია + ვიწრო: მაგარი + მაგარი.

დისიმილაცია გამოიხატება წინამავალი ხმოვნის კიდევ უფრო გაფართოებით.

რიგ შემთხვევაში ხმოვნები ურთიერთზეგავლენას ახდენენ. იცვლება როგორც წინამავალი, ისე მომდევნო ხმოვანი და, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე ხმოვნებს ვიღებთ.

1. **ა + ი →** 1. **ეე →**
2. **ე →**
3. **ე**

ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ღიაობითაც – წინამავალი უკიდურესი ღიაა, მომდევნო – უკიდურესი ვიწრო და, აგრეთვე, სიმაგრე-სირბილის თვალსაზრისითაც: I – მაგარია, II – რბილი.

მათი ცვლილების შედეგად ვიღებთ ორ ერთსა და იმავე **ე**- ხმოვანს, რომელიც შესაძლებელია, შეირწყას ჩვეულებრივი წესით ერთ გრძელ ხმოვნად, რომელმაც შეიძლება ჩვეულებრივი ხმოვანიც მოგვცეს. **ა + ი →** **ეე**-ს. ეს პროცესი **ი. ყიფშიძეს** მიჩნეული აქვს საურთიერთო ასიმილაციად.

მიღებული ხმოვანი შეცვლილ ხმოვნებთან (**ა** და **ი**) ერთად ხმოვანთა სამკუთხედის ერთ გცერდზე ლაგდება **ა-ე-ი**. **ა**-საგან რომ **ე** მიგვეღო, იგი ნაწილობრივ უნდა დამსგავსებოდა **ი**-ს – დავიწროებულიყო და სირბილეც შეეძინა. **ო**-საგან **ე**-ს მისაღებად **ი** უნდა დამსგავსებოდა **ა**-ს – გაფართოებულიყო. **ა + ი → ე**-ს მართლაც ფაქტია. **ო + ა → ეა** მეგრულში თითქოს არ გვხვდება, მაგარმ შეუძლებელი არც ეს ჩანს. მაშასადამე, **ა + ი →** **ეე** მიღებული ჩანს ურთიერთ ასიმილაციის ნიადაგზე.

2. **ო + ი →** 1. **ეე →**
2. **ე →**
3. **ე**

სამივე შემთხვევა იშვიათად გვხვდება. აქაც ურთიერთ ასიმილაცია უნდა იყოს. **ო ი**-ს გავლენით სირბილეს იჩენს და, აგრეთვე, **ე**-ს გვაძლევს.

3. **ო + ო →** 1. **აა →**
2. **ა →**
3. **ა**

ი. ყიფშიძე ამ პროცესს საურთიერთო ასიმილაციად მიიჩნევს. ხოლო **შ. ძიძიგური** წერს: „ორი ერთნაირი ხმოვნის განვითარება მხოლოდ შერწყმის გზით უნდა წავიდეს, – დისიმილაცია დასაშვები არ არის. ასე: შეუძლებელია, **იი ოო უუ აა** კომპლექსებმა დისიმილაცია განიცადონ“, მაგრამ **ო + ო → აა** ხომ ფაქტია და თუ მისი საურთიერთო ასიმილაციად ან დისიმილაციად მიჩნევა „a priori მიუღებელია“. ასევე ვერ ჩაავთვლით ამ პროცესს ყოველ შემთხვევაში შერწყმად. ავტორი კი გვეუბნება: „ორი ერთნაირი ხმოვნის განვითარება მხოლოდ შერწყმის გზით უნდა წავიდეს“-**ო**.

4. **ო + ი → ვე**

იშვიათია: მიკო + იჯინედგ → მიკვეჯინედგ.

წინა შემთხვევებში ურთიერთგავლენის შედეგად ვიღებდით იდენტურ ხმოვნებს. ორივე ხმოვანი იცვალა აქაც, მაგრამ სრულიად განსხვავებული ბგერები მივიღეთ. **ო → ვ**-ს დავიწროების შედეგად **ი → ე**-ს გაფართოების შედეგად. ე. ი. მომდევნო ვიწრომ დაავიწროვა წინამავალი ხმოვანი, ხოლო წინამავალმა ღიამ გააფართოვა მომდევნო.

ამრიგად, წინდებულის ხმოვანი მომდევნო ფუძის ხმოვნის გავლენით განიცდის სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ ცვლილებას, მაგრამ ზოგჯერ ეს ცვლილება არ ხდება. განვიხილოთ ასეთი შემთხვევებიც.

იდენტური ხმოვნები **ა + ა → აა**-ს. **ე + ე → ეე**-ს.

ცვლილება შემდეგი ხასიათისა ჩვეულებრივია: იდენტური ხმოვნები შეირწყმიან ერთ ე. წ. გრძელ ხმოვნად – ეს არის I საფეხური ცვლილებისა და მეორე საფეხურზე გრძელი ხმოვნისაგან ვიღებთ ჩვეულებრივ ხმოვანს: **აა → ა**-ს, **ეე → ე → ე**-ს.

უცვლელად შესაძლებელია დარჩეს:

ღია + ვიწრო	**ვიწრო + ღია**	**ერთნაირი ღიაობის**
ა + უ → აუ	**ე + ა → ეა**	**ო + ე → ოე**
ო + უ → ოუ		**ე + ო → ეო**
ო + ი → ოი		**ი + უ → იუ**
ე + ი → ეი		
ე + უ → ეუ		

ზოგჯერ უცვლელად დარჩენილ ხმოვნებს შორის ჩართულია ხმოვანთგამყარი, რომლის გარეშეც ეს ხმოვნები, ჩვეულებრივ, ცვლილებას განიცდიან. ხმოვანთგამყარად არის **ი//ჲ**:

ე + ო → ეიო//ეჲო (შდრ. იო, ჲო).

ე + ა → ეია //ეჲა (შდრ. ია...).

ჭანური

ჭანურში წინდებულის ხმოვნის ფუძის ხმოვანთან ცვალებადობა ნაკლებ ვარიანტებს იძლევა. ამით განსხვავდება მეგრულისაგან. მეგრულისაგან განსხვავებულია ზოგიერთი კერძო შემთხვევითაც.

ასიმილაცია: რეგრესული

ღია + ვიწრო ა) მაგარი + მაგარი

ა + უ → უ **ო + უ → უ** **ა + ო → ო**

ბ) მაგარი + რბილი

ა + ი → ი **ო + ი → ი**

გ) რბილი + რბილი

ე + ი → ი

პირველსა და უკანასკნელ შემთხვევაში დამსგავსება ხდება ღიაობის ნიშნის მიხედვით – წინამავალი ხმოვანი ვიწროვდება. მეორე შემთხვევაში, გარდა ღიაობის ნიშნისა, სიმაგრის შეცვლაც ახლავს.

დამახასიათებელია ერთი რამ: გარდამავალი საფეხურები არ ჩანს. სრული ასიმილაციის შედეგად უნდა მიგვეღო იდენტური ხმოვნები და მხოლოდ მათი შერწყმა მოგვცემდა ერთ ჩვეულებრივ ხმოვანს.

ერთადერთი გამონაკლისის სახით დასტურდება:

ო + ი → 1. **ეი →**

2. **იი →**

3. **ი**

სამივე საფეხური დადასტურებულია.

ასევე, თუმცა ძალიან იშვიათია: ე + უ → 1. უუ →
2. უ

აგრეთვე, ორივე საფეხურია დადასტურებული:

1. ერთგვარი ღიაობის: მაგარი + რბილი:

ო + ე → ე

გარდამავალი საფეხური არც აქ ჩანს.

2. ვიწრო + ღია მაგარი + მაგარი:

ო + ა → ა

სრული რეგრესული ასიმილაციაა აქაც.

ასიმილაცია: პროგრესული

ერთადერთი შემთხვევაა: ა + ო → ა

ასიმილაციის პროცესი ასე შეიძლება მიმდინარეობდეს:

ა + ო → ა ა → ა

დიფთონგიზაციად შეიძლება მიჩნეულ იქნეს რამდენიმე ზოგი რამით განსხვავებული პროცესი. მათთვის საერთოა ის, რომ ერთ-ერთი ხმოვანი – ჩვეულებრივ წინამავალი – ვიწროვდება.

წინა ხმოვანი დავიწროების შედეგად შეიძლება კიდევ უფრო განემსგავსოს მომდევნო ხმოვანს. ე. ი. დიფთონგიზაცია დისიმილაციის ნიადაგზე ხდება:

1. ვიწრო + ღია ო + ა → ვა ე + ა → ა
2. ღია + ვიწრო ე + უ → უ ო + ი → უი

აქ თითქოს დისიმილაციის ნიადაგზე ხდება დიფთონგიზაცია.

3. ერთნაირი სივიწროვის: ა + ა → ვა ე + ო → 1. იო →
2. ჲო

ორივე შემთხვევაში დისიმილაციის ნიადაგზეა დიფთონგიზაცია.

ამრიგად, ვიწრო + ღია და, აგრეთვე, ერთნაირი სივიწროვის ხმოვანი დისიმილაციის ნიადაგზე იძლევა დიფთონგს, ხოლო ღია + ვიწრო – ასიმილაციის ნიადაგზე.

ყველა ამ შემთხვევაში აღმავალ დიფთონგს ვიღებთ.

დამაალ დიფთონგს ვიღებთ: ე + ი → ე.

დიფთონგიზაციის საწინააღმდეგო მოვლენა ხდება: ო + ე → აე-ს. წინამავალი ხმოვანი ფართოვდება.

ჭანურში, ისევე როგორც მეგრულში, ზოგჯერ უშუალოდ შეხვედრილი ხმოვნები უცვლელად რჩებიან:

ა + ი → აი
ო + ი → ოი
ე + ი → ეი
ე + უ → ეუ
ე + ო → ეო
ე + ა → ეა

ზოგჯერ ჩაერთვის ხმოვანთგამყარი:

ე + ო → ეჲო

ე + უ → ეჲუ

ე + ა → ეჲა

იდენტური ხმოვნები ერთ ხმოვნად შეირწყმიან:

ა + ა → ა

ო + ო → ო

ამრიგად, ჭანურისათვის, მეგრულთან შედარებით, დამახასიათებელია ნაკლები ვარიანტი – პროცესი ბოლომდეა მიყვანილი, გარდამავალი საფეხურები არ ჩანს.

ფონეტკიური პროცესების მხრივ, ჭანურში მეტი მიდრეკილებაა დიფთონგიზაციისაკენ. დისიმილაციის შედეგად წინამავალი ხმოვანი თითქმის ყოველთვის იმდენად არის დავიწროებული, რომ დიფთონგს ვიღებთ. არის შემთხვევები დამავალი დიფთონგის მიღებისაც.

6. ზანურის მარტივი წინდებულები მნიშველობით თითქმის სავსებით ემთხვევა ქართულისას.

მე- წინდებული, რომელიც კანონზომიერი ზანური შესატყვისია ქართულის **მი-** წინდებულისა, მნიშვნელობითაც მისი მსგავსია. ზანურის **მო-**ს იმავე ქართულის **მო-** წინდებულის მნიშვნელობა აქვს. ამ ორი წინდებულის ხმარებისას ზანურში თავისებურია ერთი რამ:

ზანურში, ისევე როგორც ქართულში, **მე-** და **მო-** წინდებულით გარჩეულია იქითა ე. ი. III პირისაკენ მიმართულება და აქეთა ე. ი. I პირისაკენ მიმართულება. იქით, III პირისაკენ მიმართულებას გამოხატავს **მე-**, აქეთ, I პირისაკენ მიმართულებას – **მო-**. II პირი ქართულში აქეთა მიმართულებისაა და ყოველთვის **მო-** წინდებულით აღინიშნება. ხოლო ზანურში მეორე პირი შესაძლებელია **მო-** წინდებულითაც გამოიხატოს, ახალი ქართულის მსგავსად, და **მე-** წინდებულითაც, ე. ი. ისე, როგორც ძველ ქართულში იყო. წყარს ქ ი მ ე რ ჩ ა ნ ს ი ა – ხუბ. 296.27 – წყალს მოგცემსო („მიგცემსო"), ვიშო თოფურ მ ე გ ი ჯ ღ ო ნ ი, მ ო მ ი ჯ ღ ო ნ ი თ ნიორი? – ხუბ. 31.14.31 – იქით თაფლი გამოგიგზავნე („მიგიგზავნე"), გამომოგზავნეო ნიორი? (შდრ. „ესე ყოველი მიგცე", მათე. 4,9).

ე- წინდებული, რომელსაც ქართულის **ა(ღ)** წინდებულის მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ჰორიზონტალური სიბრტყიდან ზევით მიმართულებას მიუთითებს, ზოგჯერ საპირისპირო მიმართულებასაც გამოხატავს, მიუთითებს ზევიდან ქვევით ზედ სიბრტყეზე მიმართულებას. ჭანური: ბერგითე ჰაშო ქ ე ჲ უ თ უ მ ა ნ – ყიფშ. 72.20 – თოხით ასე (ზედ) დააფარებენ. ჟინ... ნოშქერი ქ ე ჲ ო ბ ღ უ – II.88.15 – ზედ... ნახშირი დააყარა. სტოლის ქ ო ჲ ო დ უ მ ე ს ს – II.63.13 – მაგიდაზე დადებს. მეგრული: წყარი ჲ ო ბ ე ს – ხუბ. 272.5 – წყალი დაასხეს. ჩვეულებრივ, ამ მნიშვნელობით **ჲე-** წინდებულია, რომელიც ქართულის **და-** წინდებულის მნიშვნელობისაა, მიუთითებს ზევიდან ქვევით სიბრტყეზე მიმართულებას. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ **ჲე-** მნიშვენლობით ენაცვლება **ე-**ს. ეშე გ ე ვ ო ც ო თ ა ნ ქ ი ა – ხუბ. 116.36 – ამ შემთხვევაში **ჲე- ე-** წინდებულზე დართული ჩანს. **ჲე-**, **ჲა- ჲო-** წინდებულები ერთვიან ხოლმე რთულ წინდებულს, და, ჩვეუ-

ლებრივ, მოქმედების უკუქცევითობას გამოხატავენ. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში **გე-** დაერთო არა რთულს, არამედ მარტივ წინდებულ **ეა-**ს და ზემოხსენებულ „გევოცოთანქია“-ს „ამოვაგდებო“. **გე ← გე + ე**-სგან, რაც ფონეტიკურად შესაძლებელია. „გევოცოთანქ“-ში შესაძლებელია **გე ← გე + ე**-საგან. ამას მხარს უჭერს **გე-** წინდებულის „ვარიანტები“: **გე-**, **გე̄-**. ოჭუმარეს გეედგრთეს – ყიფშ. 67.27 – დილას დადგნენ. გეეჭოფუ გუდა ღვინო – ყიფშ. 17.3 – აიღო გუდა ღვინო. გალია გე̄ჭოფგ – ხუბ. 134.13 – გალია აიღო.

აქ თითქოს **გე + ე → გე** პროცესის გარდამავალი საფეხურებია წარმოდგენილი: **გე + ე → გეე → გე̄ → გე**...

ყველა ამ შემთხვევაში **გეე-**, **გე̄-** **ე-** წინდებულის მნიშვნელობით არის, რაც კიდევ უფრო ამაგრებს ამ მოსაზრებას. არც ის იქნებოდა მოულოდნელი, რომ **გე-**ს ისევე ეჩვენებინა თავისი ძირითადი მნიშვნელობის საპირისპირო ქვევიდან ზევით მიმართულება, როგორც **ე-** უჩვენებს თავის მნიშვენლობას საპირისპირო – ზევიდან ქვევით მიმართულებას. ზოგჯერ ისეთ ზმნებში, რომლებიც გამოხატავენ მდებარეობას და არა მოძრაობას, მეგრულში **გე-** წინდებულის მნიშვნელობაში ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება აღარ ჩანს და აღნიშნავს სიბრტყეზე ადგილსა და მდებარეობას: ქა გეჩანსი – ხოჯი ვარ რე – ყიფშ. 184.14 – რქა აქვს (ზედ) – ხარი არ არის.

გო-, **დო-** წინდებულები მიმართულებას თითქმის აღარ მიუთითებენ და მხოლოდ ასპექტს გამოხატავენ.

დო-ს მეგრულში, ქართულის მსგავსად, აქვს ე. წ. ინტენსივობისა და განუსაზღვრელობის ფუნქცია. ამ ფუნქციით თითქოს ჭანურში **გო-** არის (მისი ქართული შესატყვისი **გა-**სათვის ეს ფუნქცია უცხოა).

ინტენსივობას გამოხატავს: დიდო შუშეფე დო კუზეფე ქოგიტახეს – ჟღ. 29.15 – ბევრი შუშა („შუშები“) და კოვზი („კოვზები“) დატყდა („დატყდნენ“). განუსაზღვრელობას გამოხატავს: არ დუნდა ქოგოილი-ა – ჟღ. 131.4 – ქვეყანა დავიარეო.

და- ჭანურის და მეგრულისა და, აგრეთვე, **გა-**, **წა-**, **შე-**, **ჩა-** მეგრულისა ნასესხებია ქართულიდან. ისინი სულ რამდენიმე ფუძესთან იხმარება. ჩვეულებრივ, ფუძიანად არის ნასესხები ქართულიდან.

7. ზანურის რთული წინდებულები აგებულია შემდეგნაირად: თითოეული მათგანი ორი ელემენტისაგან შედგება: პირველ ელემენტად გვაქვს იგივე დამოუკიდებლად ხმარებული მარტივი წინდებული **მე-**, **მო-**, **ე-**, **გე-**, **გო-**, **დო-**... გამონაკლისია **ო-** ელემენტი.

მეორე ელემენტად არის ისეთი მასალა (**-ლა-**, **-წო-**, **-კო-**, **-ნო-**...), რომელიც ზანურში დამოუკიდებლად, მარტივი წინდებულის სახით არ დასტურდება. თითოეული რთული წინდებულის მნიშვნელობაში გამოსჭვივის როგორც მისი პირველი, ისე მეორე ელემენტის მნიშვნელობა. ჩვეულებრივ, ერთ-ერთის მნიშვნელობა არის გაბატონებული რთული წინდებულის მნიშვნელობაში, შეიძლება მეორე სრულიად დაჩრდილულიც აღმოჩნდეს.

წინდებულები, რომელთაც მეორე ელემენტად აქვთ **კა-//კო-**, 3 ჯგუფად ნაწილდება, რომელთა მნიშვნელობით ერთმანეთთან დაკავშირება არ ხერხდება: 1. **კა-/კო**-იანი წინდებულები, რომელთა მნიშვენლობაში გამოსჭვივის ქართულის **გა-**, **გადა-** წინდებულების მნიშვნელობა, 2. წინდებულები, რომელთა მნიშვენლობა **ერთ-** სიტყვას უკავშირდება, 3. წინდებულები, რომელთა მნიშვნელობა **უკან** სიტყვასთან არის დაკავშირებული.

ეს სამი წყება **კა-/კო**-იან წინდებულთა ჭანურში უფრო მკაფიოდ გამოირჩევა, ვიდრე მეგრულში, რადგანაც მეგრულში, ჩვეულებრივ, I ელემენტის მნიშვნელობა ჩრდილავს მეორე, **კო-** ელემენტისას. ჭანურის წინდებულები **მეკა-**, **მოკა-**, **ეკა-** აშკარად უკავშირდებიან ქართული **გა-**, **გადა-** წინდებულთა მნიშვენლობას. მეგრულში იმავე **მიკო-**, **მუკო-**(მოკო-) წინდებულებს, ჩვეუებრივ, განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ – შეესაბამებიან ქართული **მი-** (ზოგჯერ **მო-**) წინდებულის მნიშვნელობას, რისი წყაროც ამ წინდებულის I შემადგენელი ნაწილი არის, ჭანურის მსგავსი მნივშენლობით კი იშვიათად დასტურდება, ხოლო რაც შეეხება **ეკო-** წინდებულს, მის მნიშვენლობაში სავსებით გაბატონებული ჩანს I ელემენტის **ე-**ს მნიშვნელობა და II ელემენტის მნიშვნელობა არა ჩანს. ქართულის **გა-**, **გადა-** წინდებულთა შესატყვისი მნიშვენლობის წყარო ამ წინდებულთა II ელემენტი **კა-/კო-** არის.

მეორე ჯგუფი **კო**-იანი წინდებულებისა მიუთითებს მოძრაობასა და მოქმედებას ერთად, ერთმანეთთან, ერთმანეთზე, ერთმანეთისაგან და მისთ. ყველა ეს სიტყვა უკავშირდება ერთ სიტყვას და ხომ არ არის ამ წინდებულის **კო-** უკავშირდებოდეს ქართულ **კაკალ-**, აფხაზურ **აკა** (ერთი) ძირებს, როგორც ქ. ლომთათიძემ აღნიშნა. რომ ეს განსხვავებული ჯგუფია, იმითაც ჩანს, რომ პირველი ჯგუფის წინდებულებში ჭანურში **-კა-** გამოიყოფა II ელემენტად, ხოლო II ჯგუფში – **კო-**. III ჯგუფის წინდებულები, როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, **უკან** სიტყვას უკავშირდება მნიშვნელობითაც და მასალობრივადაც.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულსა და ჭანურში **წა-/წო**-იანი წინდებულები ორ წყებას ქმნიან: 1. რომლებშიც II ელემენტი **წა-/წო-** გამოხატავს ქვევით, (რამის) ქვეშ მიმართულებას და 2. რომლებშიც ეს მეორე ელემენტი წინ მიმართულებას გამოხატავს, ისევე, როგორც ქართულის **წა-** წინდებული (წაიქცა, მაგრამ წარსდგა).

I წყების წინდებულები ძირითადად ჭანურშია, მეორე წყებისა – მეგრულში. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც, ჭანურშიც არის **წა**-იანი წინდებულები **წინ** სიტყვას რომ უკაშვირდებიან და მეგრულის **წო**-იან წინდებულშიც გამოსჭვივის ქვევით, (რამის) ქვეშ ადგილისა და მიმართულების ჩვენება. ასეთია წინდებული **წიმო-//მიწო-**, რომელიც, ჩვეულებრივ, წინ ზმნისართს უკავშირდება მნიშვნელობით, მაგრამ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **წიმო-//მიწო-** (რამის) ქვეშ მიმართულებას უჩვენებს. ონანგერი დუდშა ქ გ მ წ უ ძ გ – ხუბ. 251.15 – უნაგირი თავქვეშ დაიდო. გოხოლუქ უჩა ბოში წარე ჩხანაშ მ ი წ ო ჭ ვ ი ლ ი – ხუბ. 332.30 – მე გახლავარ შავი ბიჭი, მცხუნვარე მზის ქვეშ დამწვარი. წ ი მ ი ი კ ი ნ გ ჰე – ყიფშ. 89.23 – წაიწია (წინ) ცოტა.

მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს ქმნის **ლა**-დართული წინდებულებიც. რიგი **ლა**-იანი წინდებულებისა რისამე შიგნით ადგილსა და მიმართულებას უჩვენებს. ასეთებია: მეგრულის: **მილა**-, **მულა**-, **ელა**-, **ალა**-, **გელა**-, **დილა**-. ჭანურის: **მელა**-, **მოლა**-, **დოლო**-, **ელა**-, **გელა**-.

ყველა ამ წინდებულის მნიშვნელობაში მეტნაკლებად გამოსჭვივის შიგნით მიმართულების ჩვენება. ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნიუანსს უმატებს I ელემენტი. **მილა**-, **მულა**- შიგნით ჰორიზონტალურად მიმართულებას უჩვენებს, **დოლო**- შიგნით და ქვევით და ა. შ. სხვა წინდებულებში კიდევ უფრო მეტი ცვლილება შეაქვს I ელემენტს. სპეციალურ ლიტერატურაში **ლა**- ელემენტი რთული წინდებულებისა დაკავშირებულია აფხაზურის **ლა**- წინდებულთან, რომელიც შიგნით ადგილსა და მიმართულებას უჩვენებს, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევაში ზანურის **ლა**-იანი წინდებულები სრულიად განსხვავებული მნიშვნელობისაა. **ლა**-ს შიგნით მიმართულებისა და ადგილის მნიშვნელობით ეთიშება ჭანურის **გოლა**-, რომელიც მნიშვნელობით ქართულის **გადა**-ს უდრის. I ელემენტი ჭანურსა და ქართულში საერთოა – **გა**- ქართულში და მისი ზანური შესატყვისი **გო**- ჭანურში. ქართულში მეორე ელემენტად გვაქვს **და**- წინდებული, რომელიც ქვევით მიმართულებას მიუთითებს.

ჭანურის **ლა**-, რომელიც **გოლა**- რთულ წინდებულში ქართულის **და**- წინდებულის ადგილასაა, ხომ არ არის მნიშვნელობითაც **და**-ს მსგავსი. ხომ არ მიუთითებს **გოლა**-ს **-ლა**- ქვევით მიმართულებას. მაშინ ეს **ლა**- განსხვავებული აღმოჩნდებოდა ჭანური რთული წინდებულების **მოლა**-, **მელა**-, **დოლო**-ს... **ლა**-საგან და იგი დაუკავშირდებოდა არა აფხაზურის **ლა**- ფუძე-წინდებულს, რომელიც შიგნით მიმართულებას აღნიშნავს, არამედ აფხაზურისავე სხვა **ლა**- წინდებულს, რომელიც ქვევით მიმართულებას აღნიშნავს.

აფხაზურში რამდენიმე **ლა**- წინდებულია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფუნქციით.

1. ფუძე-წინდებული – რომელიც შორის, რამის შიგნით მიმართულებას აღნიშანვს (ტყეში, მინდორში, ხალხში, წყალში, მიწაში): აბნა სგლოუპ – ტყეში ვარ (ტყე შიგ ვარ).

2. **-ლა**- ოდენ მიმართულების აღმნიშვნელი წინდებულია, რომელიც უჩვენებს ქვემოთ მიმართულებას. დ-ლე-ჲტ „ის ქვევით ჩავიდა“, ა-ლა-და „დაღმართი“, ა-ლა-ვ-წ-რა „გვერდით არსებულის ქვევით ჩაწევა“, ა-ლგ-ქ°-წა-რა – ზემოდან ქვევით დადება. ამრიგად, **ლა**- აფხაზურში არის შიგნით ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი ფუძე-წინდებული და, აგრეთვე, წინდებული, რომელიც ქვევით მიმართულებას აღნიშნავს. ამ უკანასკნელთან არის კავშირში ჭანურის **გოლა**-. ჭანურის **გოლა**-ს წყებისა არის, აგრეთვე, მეგრული **ლა**-იანი წინდებულები: **გოლა**-, **მოლა**-. მეგრ. **მოლა**-, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ **წამო**-ს უდრის მნიშვნელობით. თითქოს აგებულებითაც მსგავსი გამოდის. **მო**- ორივე რთული წინდებულისათვის საერთოა. შეიძლება ქართულის **წა**- და მეგრულის **ლა**-ც ერთი ფუნქციისა იყოს. თუ გავითვალისწინებთ **წა**-ს თავდაპირველ მნიშ-

ვნელობას – ქვევით მიმართულების ჩვენებას, იქნებ **ლა**-ც ქვევით მიმართულებას აღნიშნავს ამ წინდებულში.

საგულისხმოა, რომ საწინააღმდეგო მიმართულების გამოსახატავად მეგრულში გვაქვს **მიდა**- წინდებული. **მიდა** = **წა**-ს: მ ი დ ა რ თ გ – წავიდა, **მოლა**- = **წამო**-ს. მიმართულება იქითაა თუ აქეთა, გარჩეულია პირველი ნაწილით **მი**- და **მო**-თი. **მიდა**-ს მეორე ნაწილი არის **და**-, რომელიც ქართულ **და**-ს უნდა უდრიდეს. **მოლა**-ს **ლა**-ც გამოდის, რომ იმავე ფუნქციისაა და უდრის ქართულ **და**-ს. ქართული **წამო**- და მეგრული **მოლა**- აგებულებითაც და მნიშვნელობითაც მსგავსი გამოდის, განსხვავებაა განლაგების მიხედვით: ქართულში **მო**- მეორე ადგილზე არის, მეგრულში კი პირველზე. **ლა**- ელემენტი რომ ქვევით მიმართულებას შეიძლება გამოხატავდეს, ჩანს მეგრულის **გილა**- წინდებულშიც შემდეგი მნიშვნელობით: ჟი მიმინო ქ ი გ ი ლ ა ხ ე – ყიფშ. 76.19 – ზედ მიმინო არის ჩამომჯდარი. ძღაბის ბირგულიშა დუდი ქ ი გ ლ უ უ დ უ – ყიფშ. 99.3 – მუხლზე თავი ჩამოუდო გოგოს. თუმცა აქ ქვევით-ის მნიშვნელობას შეიძლება I გამოხატავდეს (**გე**-). ამრიგად, ზანურში **-ლა**- (რთული წინდებულის მეორე კომპონენტი) ორგვარია: ა) აღნიშნავს შიგნით მიმართულებას და უკავშირდება აფხაზურის **-ლა**- შიგნით მიმართულების აღმნიშვნელი ფუძე-წინდებული, ბ) დასტურდება ქართული **და**-ს ადგილას და მისივე ფუნქციით და უკავშირდება აფხაზურის ქვევით მიმართულების აღმნიშვნელი წინდებული.

ლა-იან წინდებულთა მსგავსად მეგრულის **წო**-იანი წინდებულებიც ორ ჯგუფად განიყოფა. პირველ ჯგუფში ერთიანდება წინდებულები, რომლებიც შიგნით ზმნისართს უკავშირდებიან მნიშვნელობით. ასეთებია: **მიწო**-, **მოწო**-(მუწო-), **ეწო**-(იწო-//ეწა-//იწა-), **დიწო**-, **გეწო**- მეორე ჯგუფის **წო**-იან წინდებულებს I ჯგუფის წინდებულებს ვერ დავუკავშირებთ მნიშვნელობით. მეორე ჯგუფის წინდებულებში **-წო** + მეორე ჯგუფის **ლა**-ს მონაცვლე შესაძლებელია იყოს. თუ შევადარებთ ამ მხრივ აფხაზურს, იქ **ლა**-ს, რომელიც ქვევით მიმართულებას უჩვენებს, ენაცვლება **-ნა**-. პირაქეთა დიალექტებში დაბალი სიტყვის აღსანიშნავად არის ლაყ. ტაპანთურში თავი დაადაბლებინა არის „იჯა ნა-ნა-რყოგდ“. აქ დაბალ სიტყვაში თავი იჩინა **ნა**-მ, **ლა**-ს შეენაცვლა **ნა**-. მეორე ჯგუფში შედის წინდებული: **გინო**-, რომელიც ქართულის **გადა**- წინდებულს უდრის მნიშვნელობით და, შესაძლებელია, აგებულებითაც მსგავსი აღმოჩნდეს თუ დავუშვებთ, რომ **გი** ← **გო** და **გა**-საგან. I ელემენტები ერთმანეთის შესატყვისია ფონეტიკურად, ხოლო **გინო**-ს მეორე ელემენტი **ნო**-ც ქვევით მიმართულებას მიუთითებს ქართულის **და**-ს მსგავსად. ასეთივეა აგებულებით და მნიშვნელობით **გონო**-, **განო**-.

მეორე ჯგუფის **ნო**-ს შეიცავს **მინო**-, **მონო**-, როცა იმათ **გადა**-, **გადმო**-ს მნიშვნელობა აქვთ, განსხვავებით I ჯგუფისაგან, **მინო**-, **მონო**-საგან, რომელთაც **შე**-, **შემო**- წინდებულთა მნიშვნელობა აქვთ. **ნო**-იანი წინდებულები, როგორც I, ისე II ჯგუფისა, ენაცვლება **ლა**-იანს. მაგალითად: **ჯინო**- მეგრულისა – ჭანურის **გოლა**-ს.

ნა-იან წინდებულთა რიგი დადასტურდა ჭანურშიც, თუმცა ისინი ძალიან იშვიათია. ასეთებია **მენე**- (← მენა˚) და **გონა**-. ორივეში **ნა**- **და**-ს მნიშვნელობისაა. **მენე** = **გადა**-ს.

გონა. **გონა**-ს **გოლა** ენაცვლება: მჭიმა გონიღუ – 11.115 – მჭიმა გოლიღუ – ყიფშ. 89.14. საყურადღებოა **ნა**- დართული რთული წინდებულები: **ოკო-ნა**, **გოწო-ნა**, **ელა-ნა**. ეს **ნა**- მნივშნელობით **გადა**-ს უკავშირდება. ამრიგად, **ლა**-, **ნა**- ზანურისა და აფხაზურისა ქართულის **და**-ს მონაცვლეა.

მიუხედავად მნიშვნელობით ზოგიერთი დაშორებისა, **-შა**- II ელემენტი ზანურისა ქართულის **შე**-ს მიჰყვება ძირითადად. **შა**-იანი წინდებულები ზანურში იმეორებენ ქარული **შე**-ს ორივე ძირითად მნიშვნელობას: 1. უჩვენებს შიგნით მიმართულებასა და ადგილს, 2. ზევით მიმართულებასა და ადგილს.

ოხო- წინდებული ჭანურისა **ოკო**-ს ენაცვლება მნიშვნელობით, შესაძლებელია, მასალობრივადაც მას უკავშირდებოდეს.

აფხაზურიდან ნასეხები ჩანს **კგლა**- და **კგნო** რთული წინდებულები მთლიანად. ამ სახით ეს წინდებულები აფხაზურში გვხვდება: აკგლფშ₃რა – „შორის ყურება, ჴვრეტა“. ამასვე ნიშნავს **კგლა**-, **კგნო**- მეგრულშიც. ჭანურში იგი არ არის.

8. ზანურის რიგ წინდებულებში I ელემენტად გვაქვს **მე**-, **მო**- (რომლებიც დამოუკიდებლადაც იხმარება, როგორც მარტივი წინდებული). ესენია:

მე...: **მი-კო**-, **მი-კო₂**-, **მე-ლა**-, **მი-ლა**-, **მი-ნო**-, **მი-თო**-, **მი-შა**-, **მი-და**-, **მი-წო**-//წი-**მო**-,

მო..: **მო-კო**-//**მუ-კო**-, **მუ-კო₂**-, **მო-ლა**-, **მუ-ლა**-, **მო-ნო**-//**მუ-ნო**-, **მო-თო**-, **მუ-შა**-, მეგრულში, ჩვეულებრივ, რთული წინდებულის შემადგენლობაში **მე**- → **მი**- (გამონაკლისია მელა-) და **მო**– → **მუ**-ს. ზოგჯერ **მო**- უცვლელადაა. თითქოს **მო**- უფრო ხშირად მაშინაა უცვლელად, როდესაც ეს რთული წინდებული **მი**-იანი სათანადო წინდებულის საპირისპირო, აქეთ მიმართულებას მიუთითებს, ხოლო როდესაც **მო** → **მუ**-ს, რთული წინდებული **მი**-იანის საპირისპირო, აქეთ მიმართულებას უფრო იშვიათად აღნიშნავს. ასე მაგალითად, **მოთო**- აქეთ მიმართულეაბას უჩვენებს და **მითო**-ს უპირისპირდება. **მუშა**- აქეთ მიმართულებას არ უჩვენებს და **მიშა**-ს არ უპირისპირდება. განსაკუთრებით საინტერესოა, ამ მხრივ, **მოლა**- და **მულა**-. **მოლა**-, რომელშიც **ო** ხმოვანი უცვლელადაა, ყოველთვის აქეთ მიმართულებას უჩვენებს, ქართულის **წამო**-ს უდრის მნიშვნელობით. **მულა**-, რომელშიც **ო** → **უ**-ს, აქეთ მიმართულებას არ აღნიშნავს და **მილა**-საგან მნიშვნელობით არ განსხვავდება, თითქოს კი მის საპირისპირო მიმართულებას უნდა აღნიშნავდეს. ასეთი განსხვავება **მო**-, **მუ**-იანი ვარიანტებისა შესაძლებელია შემთხვევითი იყოს. მაგრამ არც ის არის შეუძლებელი, რომ **მო**- ხმოვანს ინარჩუნებდეს, სწორედ მაშინ, როცა საპირო₃ა დაუპირისპირდეს იქითა მიმართულების წინდებულს. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ წინდებულები **მიკო**-, **მილა**-, **მინო**-, **მითო**-, **მიშა**-,

მიდა- სათანადო **მეკა-**, **მელა-**, **მეწო-**, **მეთო-**, **მეშა-**, **მედა-**საგან კი არ არიან მიღებულნი, არამედ **მუკო-**, **მულა-**, **მუნო**... წინდებულებისაგან. ამის საფუძველს გვაძლევს, ჯერ ერთი ის, რომ **მიკო-** და **მუკო-**, **მილა-** და **მულა-**, **მიშა-** და **მუშა-** წინდებულები თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მნიშვნელობით და ენაცვლებიან კიდეც ერთმანეთს სავსებით ერთნაირ კონტექსტში. მეორე ის, რომ **უ**-ს **ი**-სთან მონაცვლეობა მეგრულში ჩვეულებრივია. მიუხედავად ამისა, ეს მოსაზრება მაინც არ უნდა იყოს მართალი. მაშინ გამოდის, რომ **მე**-იანი რთული წინდებულის რიგი მეგრულში არ ყოფილა (ერთადერთი გამონაკლისი **მელა-** იქნებოდა), მაგრამ თუკი **მო**-იანი არის, რატომ არ უნდა ყოფილიყო **მე**-იანიც. **მე**-იან რთულ წინდებულებში **ე** ისევე დავიწროვდა **ი**-დ, როგორც **მო**-იანებში **ო** დავიწროვდა **უ**-დ. ამის მიზეზი იგივე უნდა იყოს, რაც არის მაშინ, როდესაც ეს I ელემენტი დამოუკიდებელი, მარტივი წინდებულის სახით იცვლის ხმოვანს (ივიწროებს) მომდევნო თანხმოვან პრეფიქსთან, თუ მის შემდეგ ფუძის ხმოვანი არის და იძლევა **მე** → **მი**-ს, **მო** → **მუ**-ს. ასევე, რთულ წინდებულში მომდევნო ხმოვნიანი ელემენტის წინ ვიწროვდება I ელემენტის ხმოვანი. გარდა ამისა, **მუ**-იანი წინდებულები მართლა მაინცდამაინც თანმიმდევრულად არა, მაგრამ მაინც მიუთითებენ ზოგჯერ აქეთ მიმართულებას და ამით უპირისპირდებიან **მი**-იან წინდებულებს, რომელთაც, ჩვეულებრივ, არა აქვთ ასეთი გაგება, თუმცა ფაქტია. ჩქიმდა მ ი კ ი ლ ი აშონანს – ხუბ. 17.24 – ჩემთან გამოიარე აქეთობას. მუჯო მორწონქ? მ ი კ მ ო ჯ ი ნ ი! – ყიფშ. 171.20 – როგორ მოგწონვარ? შემომხედე! **მიკო-** წინდებული **მუკო-**(მოკო-)-ს ფუნქციითაა. იქნებ ასეთ შემთხვევაში **მიკო-** მართლა **მუკო-**ს ვარიანტია, მაგრამ ამას ვერ გავავრცელებთ ყოველგვარ **მი-** ელემენტიან წინდებულებზე. რომ **მე-** ელემენტიანი რთულ წინდებულთა რიგი მეგრულში არსებობს და **მი**-იანი წინდებულები (მიკო-, მილა-...) ამ რიგისაა (მიღებულია მეკო-, მელა-საგან...). ამის დამადასტურებელია ჭანური. როგორც წინა მსჯელობიდან ირკვევა, **მე-**, **მო**-იან რთული წინდებულებით მკაფიოდ და თანმიმდევრულად არ არის გარჩეული იქით და აქეთ მიმართულება. ერთადერთი წინდებული **მოლა-** არის, რომელიც ყოველთვის გარკვევით აქეთ მიმართულებას გამოხატავს, მაგრამ მასაც უპირისპირდება არა მოსალოდნელი **მელა-** (ან მილა-), არამედ **მიდა-**. საპირისპირო მიმართულების წინდებულები **მიდა-** და **მოლა-** განსხვავებული არიან არა მარტო I ელემენტით (მი-, მო-), არამედ მეორე ელემენტითაც (-ლა-, -და-). განსხვავება სხვა წყვილებშიც არის (თუმცა მიშა- მუშა- წყვილში ეს განსხვავება სრულიად არ არის), მაგრამ არათანამიმდევრულად ისევე, როგორც მარტივ **მე-**, **მო**-სთან გვქონდა. თავისებურება არის ისიც, რომ აქეთ მიმართულებად მეგრულში გაგებულია I პირი, იქით მიმართულებად – III და, ჩვეულებრივ – II-ც. საერთოდ. **მე-** და **მო**-იანი რთული წინდებულები ერთი და იმავე მნიშვნელობისაა ან სრულიად მცირე ნიუანსით განსხვავდება.

ჭანურში **მე-**, **მო**-იან რთულ წინდებულებში I ელემენტი **მე-**, **მო**-უცვლელი სახითაა, ისევე როგორც **მე-**, **მო-** წინდებულები თანხმოვანი პრეფიქსის წინ, თუ მათ მოსდევს ფუძის ხმოვანი.

9. **ე**-იან რთულ წინდებულებში თუმცა ყოველთვის არა, მაგრამ II ელემენტის მნიშვენლობასთან ერთად გამოსჭვივის **ე**- მარტივი წინდებულის მნიშვნელობა – ზევითკენ მიმართულების ჩვენება. მეგრულის **ეკო**-, **ელა**-//**ილა**-, **ეშა**- წინდებულები მიუთითებენ ზევით მიმართულეაბას – როგორც ჰორიზონტალური სიბრტყიდან ზევით (და ქართულად **ა**(**ღ**) წინდებულით გადმოიცემიან), ისე ქვევიდან ჰორიზონტალურ სიბრტყემდე (ქართულის **ამო**-ს შესაბამისად). ზევით მიმართულებას მიუთითებენ, აგრეთვე, ჭანურის **ეშა**-(//ეშკა-//ეშქა-), **ელა**- წინდებულები. ჭანურ რთულ წინდებულში **ეწა**-(ეწო)-ში, რომლის I ელემენტი **ე**- ზევით მიმართულებას გამოხატავს, ხოლო II -**ნა** (ნო)- ელემენტი საწინააღმდეგო – ქვევით, რამის ქვეშ მიმართულებას, ხან I ელემენტის მნიშვნელობა ბატონობს და **ეწა**- ზევით მიმართულებას აღნიშნავს, ხან II ელემენტი და **ეწა**- აღნიშნავს ქვევით, რამის ქვეშ მიმართულებასა და ადგილს. შესაძლებელია, **ე**-ს მნიშვნელობა დაიჩრდილოს და მხოლოდ II ელემენტის მნიშვნელობა ჩანდეს. ხოლო ჭანურის **ეკა**- წინდებულში **ე**- ელემენტი, როგორც დამოუკიდებელი **ე**- მარტივი წინდებულიც, თავისი ძირითადი მნიშვნელობის საწინააღმდეგო – ქვევით მიმართულებას გამოხატავს. ასევე, მეგრული **ენო**-(//**ინო**-//**ენა**-//**ინა**-) წინდებულიც მიუთითებს შიგნით, ქვევით მიმართულებას. ზევით მიმართულების ჩვენებასთან არაფერი აქვს საერთო **ეთო**- წინდებულს, რომელიც ქვეშ, ქვევით ადგილსა და მიმართულებას უჩვენებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წინდებულში ქვევით მიმართულების წყარო **ე**- არის, რომელიც თავისი ძირითადი მნიშვნელობის საპირისპირო მნიშვნელობით არის, მას დაერთვის მეორე ელემენტის მნიშვნელობა – შიგნით მიმართულების აღნიშვნა და ვიღებთ რამის ქვეშ მიმართულებას. ამრიგად, **ე**-ს მნიშვნელობა როგორც რთული წინდებულის I ელემენტისა თუ ჩანს (შესაძლებელია არ ჩანდეს), გამოხატავს ზევით მიმართულებას ან მის საწინააღმდეგო ქვევით მიმართულებას. მაგრამ ზოგჯერ **ე**-იანი რთული წინდებულები ისეთი მნიშვნელობითაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს არც I **ე**- ელემენტთან და არც მეორე ელემენტთან. ასეთებია **ელა**-, **ეკო**- წინდებულები, რომელთა მნიშვენლობა ზოგჯერ გვერდით, ნაპირას, კიდეზე სიტყვებს უკავშირდება. რა უნდა იყოს ამის წყარო. ისევ I **ე**- ელემენტი, რადგანაც ეს მნიშვნელობა სწორედ **ე**- როცა არის I ელემენტად, მაშინ ჩნდება და სხვა **ლა**-, **კო**-იან რთულ წინდებულებს არა აქვთ. ასეთივე მნიშვნელობისაა ჭანურის **ელა**-(ილა-). თუმცა გვერდით ადგილს მიუთითებს ზოგჯერ მეგრულის **ალა**-, **გალა**- წინდებულებიც. **ალა**- საერთოდ მიჰყვება **ელა**-ს მნიშვნელობით. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ **ალა**- ზევით მიმართულებას არ უჩვენებს, ხოლო **ელა**- უჩვენებს. ე. ი. განსხვავება არის იმ მნიშვნელობაში, რომლის წყაროც I ელემენტია. თუ გვერდით აწ სხვა მნიშვნელობას I ელემენტი ანიჭებს **ელა**-ს, მაშინ **ალა**-საც უნდა ჰქონოდა იგივე მნიშვნელობა. **ა**-იანი ისევე, როგორც **ო**-იანი რთული წინდებულები, საერთო ნეიტრალური მიმართულების გამომხატველი არიან და მნიშვნელობა მეორე ელემენტის მიხედვით აქვთ მიღებული. ასევე, **გა**-იანებიც, ისევე როგორც **ე**- და **გე**- დამოუკიდებლად არსებული წინდებულები, ენაცვლებიან ერთმანეთს მნიშვნელობით,

აგრეთვე, ამ ელემენტიანი რთული წინდებულებიც – მეგრულში: **ელა**-ს **გელა**-, **ეკო**-ს **გეკო**-, **ეშა**-ს **გეშა**-, **ეწო**-ს **გეწო**-. როდესაც **გე**-იანი ქვევით მიმართულებას უჩვენებს (გეწო- და ზოგჯერ გელა-ც), ეს ასეც არის მოსალოდნელი (თავისებურია მაშინ მისი წყვილის ე-იანი ფორმა), მაგრამ გასაკვირი არის ის, რომ **გე**-იანი **ე**-იანს მაშინაც ემთხვევა, როდესაც ზევით მიმართულებას უჩვენებს (გეკო-, გეშა-). ისევე როგორც ჭანურში **გელა**-, **გეშა**-, აგრეთვე, **გეწა**- წინდებულები, შესაძლებელია. **გელა**-, **გეკო**-... მიღებულია **ელა**-, **ეკო**-ზე **გე**- წინდებულის დართვით, რომლებიც გართულებულია ორმაგად.

მეგრულში **ე**- I ელემენტი რთული წინდებულებისა ხშირად **ი**-ს სახითაა. **ი**-იანი ვარაინტი არავითარ განსხვავებას არ ქმნის **ე**-იანისაგან.

რთული წინდებულები, რომელთა I ელემენტად არის **გი**-, გამოხატავენ: 1. უკუქმედებას. ასეთებია: **გითო**-, **გინო**-: (მითოჯანგნია ლოგინიშ თუდო... გითილგ – ხუბ. 260.34 – წევს ლოგინის ქვეშ... გამოვიდა). 2. ზოგჯერ ქართულის **გა**- წინდებულის მნიშვნელობა იჩენს თავს წინდებულებში: **გინო**- (= გადა-ს), **გიშა** (= გა-ს)...

ასევეა ჭანურშიც: 1. უკუქმედებას გამოხატავენ: **გოშა**-, **გოწა**-... 2. ქართულის **გა**- წინდებულის მნიშვნელობა გამოსჭვივის **გოლა**-, **გოწა**- წინდებულებში.

10. მეგრულში არის რიგი ორმაგად გართულებული წინდებულებისა, რომლებიც მიიღება, ჩვეულებრივ, რთულ წინდებულზე **გე**-, **გა**-, **გო**- ელემენტთა დართვით და აკისრია სრული ასპექტის გამოხატვა. ეს წინდებულები მნიშვნელობით არ განსხვავდებიან სათანადო **გა**-/**გე**-/**გო**- დაურთველი რთული წინდებულებისაგან, განსხვავებაა მხოლოდ ასპექტში: **გაწმო**-, **გამწო**-, **გემწო**- იგივეა მნიშვნელობით, რაც **მიწო**-, **წიმო**. **გაგლა**-, **გეგილა**- **გილა**-ს ემთხვევა, **გედნო**- – **დინო**-ს, **გემითო**- – **მითო**-ს, **გაგნო**-, **გეგინო**- – **გინო**-ს, **გემშა** – **მიშა**-ს.

მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. **გა**-/**გე**-/**გო**-ს დართვით შესაძლებელია, მივიღოთ უკუქმედების გამომხატველი წინდებული. ასეთი წინდებულებია: **გამკო**- (გემკო-), **გეგინო**-/**გაინო**-/**გეინო**-, **გაგითო**-/**გეგითო**-, **გამშა**-, **გაგშა**-/**გეგშა**-/**გოგშა**-, **გაკლა**-/**გეკლა**-. ისინი ქართულად **გამო**- და ზოგჯერ **ჩამო**- წინდებულებით გადმოიცემიან. მაგრამ მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობითი ნიუანსი ახასიათებს იმის მიხედვით, თუ რომელი რთული წინდებულის ორმაგად გართულებით არის იგი მიღებული.

11. ჭანურში, როგორც ფონეტიკური ცვალებადობის, ისე წინდებულთა შედგენილობისა და მნიშვნელობათა მიხედვით, მეტი ერთფეროვნებაა. ასეთი ერთფეროვნება, უნიფიკაცია, მეგრულთან შედარებით, საერთოდ დამახასიათებელია ჭანურისათვის, მაგრამ ეს გარემოება ჭანურის წინდებულებში არსებით განსხვავებას არ იძლევა.

მეგრული წინდებულები

მარცვლის ნიშნდებულის ცვლილება	ნ	ი	შ	ვ	ლ	ე	ს	ზ	ხ	ბ
	კი	წი	თი	ბი	ფი	ხი	ჰი	ზი	ჯი	ბი
ბუ ბი	ბიკო (2)	ბინი (ნიშნავს: 2)	ბითი	ბინი	ბიფი, ბიხი	ბიჰი, ბიზი	ბიზი	ბიჯი		
ბო ბე	ბეკო, ბეკო (2)		ბეთო	ბინო, ბეხი	ბიფო, ბიხო	ბეზი, ბეჯი	ბეჯი			
ტი	ტეკო, ტეკო (2)	ტენი, ტინი	ტეთო, ტითო	ტეხი, ტინი, ტეხი	ტეფი, ტიხი	ტეზი, ტიზი	ტეჯი, ტიჯი			
ა	აკო (2)	აწი	ათო	ავი	აფი	აჰი	აზი	აჯი		
ო	ოკო									
ბუ	ბუკო	ბუნი	ბუთო	ბუნი	ბუფი	ბუჰი	ბუზი	ბუჯი		ბუბა
ბო ბი	ბოკო	ბონი	ბოთო	ბონი, ბიხი	ბოფი	ბოჰი	ბოზი	ბოჯი	ბონი, ბიხი	
ბა	ბაკო			ბავი	ბაფი	ბაჰი	ბაზი	ბაჯი	ბაბი	ბაბა
დო, ტო	ტოკო			ტონი	ტოფი	ტოჰი	ტოზი	ტოჯი		
ხო										
ბე										
ჩე										
ჩი ჩე									ჩიბი (ბინი)	
ჯი ჯე					კიწი, ჯეწი					
ბი	ბიკო (2)	ბიწი (ნიშნავს: 2) ბინი ბიწი (ნიშნავს: 2) ბინი	ბითო ბითი	ბიხი ბიხი	ბიფი ბიხი	ბიჰი ბიზი	ბიზი ბიჯი		ბიჯი (ნიშნავს: ბიჯი	
ბე	ბეკო	ბეწი (ნიშნავს: 2) ბინი ბეწი	1. ბეთო 2. ბითო ბეთი	ბეხი ბინი ბეხი	ბეფი ბიხი	ბეჰი ბიზი	ბეზი ბიჯი ბეჯი		ბეჯი	
ბო	ბოკო			ბოხი					ბოჯი	

ჰანურის წინდებულები

მარტივი, რთული წინდებულის I ელემენტი	რ თ უ ლ ი								
	კა (კო)	ნა	ლა	ხა	შა	და	მა	ხო	ბა (ბო)
მე	მეკა (2)	მენა (2)	მელა	ჰეხა	ჩენა	მედა (?) ნენდა			მენა, შენა
მო	მოკა (2)	მონა (2)	მოლა		მოშა				მოვა
ე ი, ე-	ეკა (2) ეკო	ენა (2)	ელა		ეშა				ეშა
ა							ამა		
ო	ოკო							ოხო	
გე		გენა (2)	ვალა		გეშა				ვენა
გი	ჯოკი	გონა (2)	ვოლა	ჯინა	გოშა		გომა		
გა							გამა		
დო			დოლო						
და									
შე									
ორმაგად რთული წინდებულები				ოკონა გიხინა					

Ирине Асатиани

Превербы в Занском (Мегрельско-Чанскогом) Языке

Р е з ю м е

Превербы в занском (мегрельско-чанском) языке, так же как и в других картвельских яхыках, играют большую роль в спряжении глагола. Они показывают направление выраженного глаголом движения или действия, с их многообразными оттенками, и часто существенно меняют значение основы глагола. Раскрыть значения глагола с превербом, не учтя значения преверба, невазможно. Для выражения многочисленных нюансоы в занском языке имеется чрезвычайно сложная система превербов.

Изучение особенностей занских превербов уясняет некоторые стороны грамматикческого строя занского и других картвельских языков, характерной особенностью которых является сильно развитое, по сравнению со склонением, спряжение.

Превербы в занском языке бывают как простые, так и сложные.

В мегрельском диалекте занского языка 92 преверба, из них 12 простых, а остальные – сложные. В чанском диалекте, из имеющихся в нем 50 превербов, 8 – простых, а остальные – сложные. Помимо того, что сложные превербы численно преобладают над простыми, они несравненно более многообразны и по структуре и по значению.

Простые превербы в занском языке следующие: me-, mo-, e-, ge-, go-, do- и усвоенные из грузинского da-, ga-, še-, ča-, ça.

Все заимствованные превербы, за исключением da- имеются только в мегрельском диалекте. В чанском их нет.

Сложные превербы в занском языке образованы следующим образом: каждый из них состоит из двух компонентов; в роли первого компонента выступает тот же простой преверб (исключение состовляет o, который встречается лишь в составе сложных превербов). В качестве второй части сложных превербов употребляются частицы, которые не встречаются в занском языке в виде самостоятельных простых превербов.

Таковы:

мегр.	чан.
-ḳo-	-ḳa- ‖ -ḳo
-ço-	-ça-
-la-	-la-
-no-	-na-
-to-	-ša-
-ša-	-da-
-da-	-ma-
-ma-	-ja- ‖ -ža

Перевербы занского языка могут быть представлены в неизменном виде, или же могут фонетически изменяться. Обычно изменениям подвергается гласный преверба, согласный же изменяется очень редко.

Простые перевербы занского языка, за единичными исключениями, так материально, так и по значению совпадает с простыми перевербами грузинского языка.

Преверб me-, который является закономерным занским соответствием грузинского преверба mi-, сходен с ним и по значению, Преверб mo- имеет значение того же преверба mo- в грузинском языке: в занском языке, так же как и в грузинском, перевербами me- и mo- определяется направления «труда», т. е. к третьему лицу, и направление «сюда», т. е. к первому лицу. Однако направления ко второму лицу в занском выражается и превербом me-, как и в новогрузинском языке, и превербом mo-, т. е. так, как это было в древнегрузинском: merčank – я даю тебе.

Преверб e-, который имеет значение грузинского преверба a'γ', т. е. указывает на направление «с горизонтальной плоскости вверх»: eǫ̈pu – поднял, но выражает иногда и противоположное направление, т. е указывает на направление «сверху вниз на плоскость». Чанское: kejutuman – (сверху) накроют. Обычно это значение выражается превербом ge-, который соответствует по значению грузинскому da-, указывающему на направление «саверху вниз на плоскость».

Преверб ge- может присоединиться к превербу e-, в результате чего получается ge + e → gee → ge-. Значение преверба e- в этом случае остается неизменным, посредством ge- выражается совершенны аспект: eše gevo'otant – выбросим наверх; geedərtə – встал, поднялся.

Перевербы go-, do-, закономерно соответствующие грузинском перевербам ga-, da-, выражают преимущественно лишь аспект.

Перевербы ga-, da-, ça-, še-, ča- усвоены из грузинского языка и представлены лишь при нескольких основах. Обычно они заимствуются из грузинского языка вместе с основой: skuak deebadu – сын родился у нее: šegilebu – ты можешь, в состоянии; çekitxə – прочел.

В сложных перевербах более или менее отражается значение, как первого составного компонента, так и второго.

me-, mo- в качестве первого компонента является общим для следующих сложных перевербов: me- (→mi-): mi-ḳo, mi-la... mo- (→mu): mo-ḳo || mu-ḳo || mu-ḳo...

В мегрельском диалекте me- в составе сложного преверба даст обычно mi-. Компонент же mo- переходит mu-.

Сложные перевербы с первым компонентом mo- обычно указывают на направление «сюда», противоположное указываемому соответствующим превербом с компонентом me-.

Особый интерес представляют в этом отношении перевербы mola-, mu-la. Преверб mola-, в которым гласный не претерпевает изменений,

указывает всегда на направление «сюда» и совпадает по значению с грузинском ça- . Превсрб же mula-, в котором u ведет начало от o, не выражает направления «сюда» и не отличается по значению от mila-. molartə – пошел сюда оттуда... mulare (|| milare) 'udus – находится (букв. «стоит») внутри дома.

В сложных превербах компонентом e-, наряду со значением второго компонента, отражается, хотя и не всегда, значение и первого компонента e, самостоятельно указывающего на направление «вверх».

Однако иногда сложные превербы с первым компонентом e- приобретают значение, не имеющее ничего общего со значением ни первого, ни второго компонента в отдельности. Таковы превербы ela-, eḳo-, значение которых связано со значением слов «рядом с чем-либо», «на краю», «с краю»; kelanǯiru лег рядом с чем-либо. eḳoxe – сидит рядом с чем-либо.

Обусловлено это значение, повидимому, все тем же первым компонентом e-, так как только при его наличии преверб обретает это значение, а другие сложные превербы с компонентами -la-, -ḳo- его не имеют.

Сложные превербы с первым компонентом e- и ge- часто заменяют друг друга по значению, так же как и самостоятельные простые превербы e- и ge-: eleeyə, geleeyə ǯibeše... – вынул из кармана.

Сложные превербы мегрельского gito-, giço-, в которых в качестве первого компонента выделяется gi-, выражают «обратное действие»: mitoǯanə loginiš tudo, gitilə. Он лежит под кроватью, «вышел» из под кровати. И в чанском диалекте сложные превербы goša-, goça- с первым компонентом go- выражают „обратное действие".

Сложные превербы, имеющие вторым компонентом -ḳa- || -ḳo-, разбивают на три, совершенно независимые друг от друга группы. Первая группа – с компонентом -ḳa- || -ḳo-, значение которых приближается к значению грузинских превербов ega-, gada-[1].

Таковы превербы чанского диалекта meḳa-, moḳa-, eḳa- и мегрельского диалекта miḳo-, muḳo- (moḳo-), eḳo-. В мегрельском диалекте превалирует значение первого компонента, но иногда заметно значение и второго компонента -ḳo-: miḳilu – прошел.

Вторая группа сложных превербов с компонентом -ḳo- указывает на движение и действие совместно или движение одного на другого, друг от друга и т. е. aḳoḳatu – собрад вместе, oḳoxvades – встретились друг с другом.

В чанском диалекте обе эти группы отличаются друг от друга и гласным второго компонента (eḳo-, eḳa-...).

---

[1] Значение этих превербов не имеет ничего общего с тем значением грузинского превербa ga'n'-, которое указывает на направление „изнутри".

Превербы третьей группы mɛḳo-, muḳo-, ɛḳo-, как указано в литературе (Арн. Чикобава), связаны и по значению и материально с грузинским uḳan („назад").

В специальной литературе указано, что превербы с компонентом -ça- || -ço- в мегрельском и чанском диалектах образуют два независимых друг от друга: 1. Превербы, в которых второй компонент -ça- || -ço- выражает нахождение «внизу» и направление «вниз», «под». 2. Превербы, в которых этот второй компонент выражает нахождение «впереди»и направление «вперед» так же, как и преверб ça- грузинского языка в некоторых случаях.

Превербы первого ряда имеются в основном в чанском диалекте, второго ряда – в мегрельском, хотя иногда и в чанском диалекте встречаются превербы с компонентами, находящимися в связи со значением слова «вперед» и в мегрельском – превербы с компонентом -ça- || -ço-, указывающие на место «внизу» и направление «вниз». Таков преверб çimo- || miço-, который связан обычно по значению с наречием çin (вперед). Однако наблюдаются и такие случаи, когда он указывает направление «вниз», «под»: onan- geri dudəša kəmçuǯə – седло подложено под голову; koçiǯyonu – пропустил впереди себя.

Отличные по значению группы и сложные превербы с компонентом -la-. Ряд превербов с компонентом -la- обозначает место «внутри» и направление «во внутрь чего-нибудь». Таковы превербы мегрельского диалекта mila-, mula-, ela-, ala-, gela-, dila- и чанского диалекта mela-, mola-, dola, ela-, gela-. Мегр.: milaxe – сидит внутри чего-либо (напр., в комнате). Чанск. moloxunu – посадил во внутрь чего-либо.

Однако в целом ряде случаев превербы занского языка с компонентом -la- имеют совершенно другое значение. Из превербов с компонентом -la-, выражающих направление «во внутрь» и место «внутри», выделяется чанский преверб gola-, который совпадает по значению с грузинском gada- : golaxtu – прошел, перешел. Первый компонент здесь и чанского и грузинского превербов – общий. Это ga- грузинский и соответствующий ему ченский go-. В качестве второго компонента в грузинском языке мы имеем преверб -da-, который указывает на направление «вниз». Чанский -la-, который занимает в сложном превербе gola- место грузинского преверба da-, очевидно, имеет односложное значение, указывает на направление «вниз». Этот компонент -la- кажется отличным от того же компонента ченских сложных превербов mola-, mela-, dolo- и др.

Того же порядка, что и чанское gola-, превербы мегрельского диалекта с компонентом -la-, а именно: gila-, gilartə – ходил туда-сюда. Сложный преверб mola-, как мы уже указывали, имеет то же значение, что и грузинский çamo- и подобен ему и по строению. Компонент mo- является общим для обоих превербов. Если учесть первичное значение ça-, то он, так же как и -la- мегрельского диалекта, выражает направление «вниз». Примечательно, что для выражения противоположного направления в

мегрельском диалекте мы имеем преверб mida-. Направленно ли движения туда или сюда, это показывает первый компонент mi- и mo-. Вторым компонентом в превербе mida- является -da-, который совпадает с грузинским -da-. Надо полагать, что и этот компонент -la- преверба mola- имеет ту же функцию грузинского da-. Таким образом, преверб грузинского çamo- и мегрельского mola- сходны друг с другом как по значению, так и по составу. Разница заключается лишь в местоположении компонентов. В превербе çamo-, как и в других сложных грузинских превербах, mo- занимает второе место, в то время как в превербе mola- мегрельского диалекта – первое.

Таким образом, в занском языке второй компонент сложного преверба -la- является двояким: а) указывает на направление внутрь, б) встречается на месте грузинского da- и с его же функцией.

Подобно превербам с компонентом -la- превербы мегрельского диалекта с компонентом no- также делятся на две группы. В первой группе объединяются превербы, которые связаны по значению с наречием «внутрь». Таковы: mino-, mono- (|| muno-), eno- (|| ino-) || ena- (ina-), dino-, geno-, minilə ('udeša, soroša...) – вошел (вдом, в нору...).

Вторую группу этих превербов нальзя связать по значению с первой. Во вторую группу входит gino- мегрельского диалекта, который совпадает по значению с преверюом gada- грузинского языка (ginilə – перешел), а возможно окажется сходным с ним и по структуре, если допустить, что первые компоненты мегрельского преверба gino- gi- (← go-) и грузинского gada-, ga- фонетически соответствуют друг другу второй же компонент преверба -no- в мегрельском диалекте указывает направление «вниз», подобно компоненту da- в грузинском языке.

Компонент -no- второй группы входит в превербы mino-, mono-, имеющие значение грузинского gada-, gadmo-: minilə mele – перешел на ту сторону реки.

Группа сложных превербов с компонентами -na-, хотя и очень редко, встречается и в чанском диалекте. Таковы mene- (← mena-) и gona-. В обоих превербах -na- имеет значение грузинского da-, bayčeša meneboškvat (Арн. Чикобава, Чанск. т., 122,5) – в сад пропустим; mzuya gonarču (Арн. Чикобава, Грамм. анализ..., 132,18) – море взволновалось; kimoloba var gunulun (И. Кипшидзе, Мегр. хрест., 17) – мужество не выручит.

Превербы с компонентом -no- как первой, так и второй группы, заменяют собой превербы с компонентом -la-, напр., gino- мегрельского диалекта – gola- чанского диалекта; mčima goniyu (Арн. Чикобава, Грамм. анализ..., 115,2); mčima goliyu (И. кипшидзе, Мегр. хрест. 17) дождь перестал.

Заслуживают внимания сложные превербы с наращенным элементом -na-: oko-na, goço-na, ele-na: okonayuru, goçonaxti, elinikti.

Таким образом, -la-, -na- || -no- в занском языке аналогичны по значению с грузинским da-.

Второй компонент превербов занского -ša- следует в основном за грузинским še-. Занские превербы с компонентом -ša- дублируют оба основных значения грузинского преверба -še-: 1) указывает на направление „во внутрь" и место „внутри": ṭqas kimišeeṭqobə – склылся в лесу и 2) указывает на направление „вверх" и место „наверху" ešeelə rašiša – „сел на своего коня".

Части -ža- || -žo выделяются также в качестве второго компонента и в следующих превербах meža- || mežo, moža-, eža-: mežomču – он проклял, предал проклятию меня; bergi možadvalei (Арн. Чикобава, грамм. анализ..., 144, 10) – „перекинув мотыгу через плечо..." ežarčapule – покрывало.

Наличествуют превербы meja- || mejo, которые являются исходными для meža- || mežo-. По значению эти варианты друг от друга не отличаются. Компонент -ža- || -žo-, как указывается в литературе (Арн. Чикобава), идет от -ja- || -jo-: ç̣kais komejaxtu – перешел через реку.

Второй компонент -ja- этих превербов, возможно, происходит от простого через реку.

Второй компонент -ja- этих превербов, возможно, происходит от простого преверба e-.

Преверб oxo- чанского диалекта торжественен по значению с превербом oḳo-, а возможно, связан с ним также материально.

В мегрельском диалекте имеется ряд сугубо усложненных превербов, образующихся в результате присоединения превербов ge-, ga-, go- к обычным сложным превербам. По значению сугубо усложненые превербы не отличаются от соответствующих превербов без этих элементов (ga-, ge-, go-), разница между ними лишь в аспекте: gaçəmo-, gamə̣o-, gemə̣o- имеют то же значение, что и miç̣o-, ç̣imo-. А также превербы gagəla-, gegila- совпадают с gila-, gedəno- с dino-, gemito- с mito-, gagəno-, gegino- с gino-, gemə̣a и miša: dinilə, gednilə (dinaxale) – сошел вниз (во внутрь).

Но это не всегда так. Сугубо усложненные превербы иногда выражают «обратное действие». Таковы превербы: gamə̣ḳo-, gemə̣ḳo-: muḳobu beç̣edi, gamḳolə beç̣edik – кольцо было привязано, упало оттуда.

Все они выражаются, в основном, грузинскими превербами gamo-, amo-.

Однако сугубо усложненные превербы мегрельского диалекта отражают разные нюансы в зависимости от составляющих компонентов.

В чанском диалекте сугубо усложненных превербов нет.

Изучение занских превербов приводит нас к выводу, что по сравнению с чанским диалектом в превербах мегрельского диалекта значительно больше вариантов, как в отношении фонетических изменений, так и в отношении значений.

Следует отметить, что несмотря на воздействие в течение длительного времени турецкого языка на чанский диалект, чанские превербы не обнаруживают следов влияния турецкого языка.

Prepositions in Zan (Megrelian-Chan)

Abstract

1. There are 92 prepositions in Megrelian – 12 simple and 80 complex. In Chan there are 50 prepositions. Among them 8 are simple and the rest is complex. Complex prepositions are greater in number and more diverse in terms of composition and meaning. However, the simple ones are used more frequently than the complex prepositions.

2. The structure of Zan simple prepositions is as follows: consonant + vowel and in about two cases it consists of just vowels.

As for the complex prepositions, they have the structure of two simple ones: consonant + vowel + consonant + vowel or vowel + consonant + vowel.

Simple Prepositions:

Final vowel - a	**Final vowel - o**	**Final vowel - e**
	Megrelian	
a-	do-	e
da-	go-	ge-
g- Adopted form Georgian	mo-	me-
ča-		

	Chan	
da- Adopted form Georgian	do-	e-
	go-	ge-
	mo-	me-
		še-

Last Element of Complex Prepositions

	Megrelian	
-a-		-o-
-la-		-ḳo-
-ša-		-no-
-da-		-ço-
-ma-		-to-
(ḳə)la-		-mo-
		(ḳə)no-

	Chan	
-ḳa-		-ḳo-
-na-		(o)xo-
-la-		
-ša-		
-da-		
-ma-		
ja//ža-		

Those vowels (a, o) are a kind of decors for the second component of a complex preposition which can be seen from the following: 1. If we suppose that the second element of the preposition meža- is e- or a simple preposition e-, it seems that while being a part of a complex preposition it added a vowel a that it did not have as an independent unit.

If the second part of the prepositions adds vowels a and o, the first one adds a vowel i-: Abkh. ḳəno → ḳino (//ḳəno), Megr. ḳəla- → ḳila (ḳəla).

It is possible that çimo- was adopted from Georgian çamo- → çimo.

In Megrelian do- gives di- as the first component part of complex prepositions diḳo-, dila-...) (In Chan just as a result of assimilation). It is noteworthy that in Megrelian when we have ç+i as the first component part the second components part is ç + o (çimo-, miço-, eço-...).

So, the question about which vowel will be included in a preposition depends on the fact whether the vowel itself is a part of the first element of a preposition or of the second one.

3. In Megrelian a preposition may be original or change phonetically.

As usual, in a preposition a vowel part changes. Consonants change rarely.

The fact whether a preposition remains unchanged depends on 1. a base starting with a consonant or a vowel and 2. if a preposition adds particles ko-, va- or double-complicated prepositions ga-//ge-//go-.

4. If a preposition is followed by a base starting with a consonant the preposition, as a rule, remains unchanged. Thought there are some exceptions.

If a base starts with a vowel its vowel is an immediate neighbor for a final vowel of a preposition and a phonetic change occurs – under the influence of a base vowel a final vowel of a preposition changes (rarely in vice versa or interaction takes place). If a preposition is complex a base vowel may influence on the first vowel of a complex preposition which is not an immediate neighbor.

If the particles ko-, va- and the prepositions ga-/ge-/go- add to a preposition starting with a vowel, their final vowel and an initial vowel of a preposition interact and cause a phonetic change.

They may influence on the first vowel of a preposition starting with a consonant that is not an immediate neighbor.


So, a base vowel has a direct influence on the final vowel of a preposition and an indirect influence on the first vowel of a preposition. At the same time even the particles and the prepositions change.

A preposition before a consonant is unchangeable. It does not matter whether the consonant is of a base or a formant (S_1-b, p, p, O_2-g-).

In such a position the particles ko-, va- do not have an influence. As usual they are changed themselves.

In Megrelian a preposition changes before a consonant if the consonant is a prefix (O_1-m, O_2-g) and is followed by the base vowels a- or o- or the prefix is ma- or no-.

The change is expressed by narrowing a vowel of a preposition:



In such a position if a preposition adds the particles ko- or va. A vowel of a preposition not only becomes narrow but also becomes ə or is lost.

In this position a preposition may rarely remain unchanged and if it adds the particles ko- or va- it occurs more rarely. It is natural as the aim is to make it easier to pronounce and making it easier is more necessary when it adds a new syllable.

If consonant prefixes are followed not by the vowels a or o, but by a vowel i, a preposition is unchanged. The change may occur very rarely but it is not related to a vowel of a preposition but to a base vowel i that may become weak ə or get lost.

If the vowel i follows the prefix O_2-g O_2-g disappears.

da + g + i → dai

me + g + i → mei...

After losing g the vowels meet each other but the phonetic change does not occur. Following vowel omay become narrow j:mei → mej. When the vowel e follows a consonant prefix 1. a preposition may remain unchanged (dage-, mome-...), 2. or it may change: a vowel of preposition may become narrow, similar to a base vowel (dege...), or narrower, different from a base vowel (dige-, mume-...) and then become weak ə (məme...).

In Chan if a simple preposition is followed by a consonant prefix that is followed by a base vowel the preposition remains unchanged. It changes only when it is complex. In this case the change is mainly explained by assimilating a vowel of a preposition to a base vowel, e. g. **m e ķ e m i x t u** "He passed me." **k e ç e m i d g i** "Put it in front of me." **e l e m i ķ a t u** "He led me away". **g o ç o ķ a d a p t** "We'll hang it out at the front." **m o l o g o x u n a p** "I'll seat you inside." But sometimes a vowel of a preposition becomes narrow like it happens in Megrelian, e. g. **keķebudgamt** "We'll put it next to it." **eçegiçķat** "I'll remove it from you." **goçomiγu** "He took it from me."

5. Meeting a final vowel of a preposition and a base vowel gives different vowel combinations. On the one hand, we would like to find out which vowels are open, soft and hard or related to the labiality and on the other hand we would like to discuss each combination according to the results, i.e. 1. the types of changes: assimilation or dissimilation, 2. the types of assimilation and dissimilation: regressive, progressive, complete or incomplete, 3. the causes because of which vowels become similar to or different from one another according to hiatus, being soft, hard or becoming labial or losing labiality.

In terms of hiatus the vowels can be 1. of the same hiatus: all vowels identical and non-identical **e + o**, **o + u**, 2. open + narrow **a + o**,**a + u**, **a + e**,**a + i**, **o + u**, **r + i**, **e + i**, **e + u**, 3. narrow + open: **i + e**, **i + a**, **i + o**, **e + a**, **o – a**.

In terms of being soft + hard: 1. the similar ones:

soft	hard
v + i i + e e + e i + i	**a + o a + u o + u o + a**

2. hard + soft: **a + e a + o o – e o + i**.

3. soft + hard: **e + a e + o e + u i + a i + o i + u**.

The combination according to these two properties gives:

the same hiatus + the same hardness

„ „ + hard + soft

„ „ + soft + hard

open + narrow + the same hardness etc.

